



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

თინათინ დოლიაშვილი, გიორგი ლილუაშვილი

ბ უ ლ ტ რ უ ლ ი ა ღ რ ი ც ხ ვ ა

სტუდენტის სახელმძღვანელო

გამომცემლობა

თბილისი

2015

ნაშრომში განხილულია ბუღალტრული აღრიცხვის საკითხები საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

სახელმძღვანელო განკუთვნილია პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის და ამ საკითხებით დაინტერესებული აუდიტორიისათვის.

ავტორები: **თინათინ დოლიაშვილი**, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი
გიორგი ლილუაშვილი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მაგისტრანტი

რეცენზენტები: **გოჩა თუთბერიძე**, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი
ნინო გრიგალაშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, სულხან-საბა სასწავლო უნივერსიტეტის და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ნინო მამარდაშვილი, აა(ი)პ წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული კოლეჯის პროფესიული მასწავლებელი

წინასიტყვაობა

საქართველოში განათლების სისტემის რეფორმამ განაპირობა პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის სტანდარტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილიყო სტუდენტის სახელმძღვანელოები სხვადასხვა მიმართულებით.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დაკვეთით შემუშავდა სტუდენტის სახელმძღვანელო „ბუღალტრული აღრიცხვაში“, რომელშიც თეორიული მასალისა და გამჭოლი სიტუაციური მაგალითების საფუძველზე განხილულია სამეურნეო ობიექტის სრული სააღრიცხვო ციკლი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სახელმძღვანელოთი დაიფარა „ბუღალტერ-ტექნიკოსის“ და „ბუღალტრის“ პროგრამების შემდეგი სავალდებულო პროფესიული მოდულები: „სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში 1“, „სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში 2“, „ფინანსური ანგარიშგების შედგენა“ და „ინვენტარიზაცია“.

იმედია, ჩვენი სახელმძღვანელოს მეშვეობით მარტივად და ხალისიანად შეძლებთ ბიზნესის ენის შესწავლას.

გისურვებთ წარმატებებს!

თინათინ დოლიაშვილი

გიორგი ლილუაშვილი

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	3
მოდული I „სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში 1“.....	8
1.1 შესავალი ბუღალტრულ აღრიცხვაში.....	8
• სამეურნეო აღრიცხვა, მისი არსი, სახეები და მნიშვნელობა	
• ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები	
• ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება საქართველოში	
თვითშეფასების კითხვარი.....	11
1.2 ბუღალტრული აღრიცხვის საგანი.....	12
• აქტივების არსი და სტრუქტურა	
• ვალდებულებების არსი და სტრუქტურა	
• საკუთარი კაპიტალის არსი და სტრუქტურა	
თვითშეფასების კითხვარი.....	18
ამოცანები.....	19
1.3 ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი.....	19
• ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის არსი და მისი ელემენტები	
• ბუღალტრული აღრიცხვის ფუძემდებლური პრინციპები	
თვითშეფასების კითხვარი.....	22
1.4 პირველადი დაკვირვება.....	23
• ბუღალტრული დოკუმენტების სახეები/კლასიფიკაცია	
• პირველადი დოკუმენტების ტიპური ფორმები	
• ბუღალტრული დოკუმენტების შენახვის წესი	
თვითშეფასების კითხვარი.....	42
1.5 ბუღალტრული ანგარიშები.....	43
• ბუღალტრული ანგარიშები, მათი არსი და აგებულება	
• ბუღალტრული ანგარიშების კლასიფიკაცია	
• ანგარიშთა გეგმა, მისი სტრუქტურა და დანიშნულება	
• ორადი ასახვის არსი და მნიშვნელობა (დიგრადიული მეთოდი)	
თვითშეფასების კითხვარი.....	49
1.6 ფულადი საშუალებების აღრიცხვა.....	50
• ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	
• სალაროს ოპერაციების აღრიცხვა	
• ანგარიშსწორება საკონტროლო სალარო აპარატით	
• ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირთან	
ამოცანები.....	54
• უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები და მათი რეგულირება	
• ანგარიშსწორების ანგარიშზე ოპერაციების აღრიცხვა	
• ანგარიშსწორება საგადახდო დავალებით	
• ანგარიშსწორება აკრედიტივებით	
• ანგარიშსწორება ჩეკებით	
• ანგარიშსწორება საინკასო დავალებით	
• ანგარიშსწორება საკრედიტო ბარათებით	

<ul style="list-style-type: none"> • უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა • უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები • ფულის დროითი ღირებულება • განმარტებითი შენიშვნები 	
თვითშეფასების კითხვარი.....	66
ამოცანები.....	66
1.7 მოთხოვნების აღრიცხვა.....	68
<ul style="list-style-type: none"> • მოთხოვნის წარმოქმნის საფუძვლები და კლასიფიკაცია • მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა • მიწოდება უკან დაბრუნების პირობით • გაყიდვა განვადებით • დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების ურთიერთჩათვლა • უიმედო და საეჭვო მოთხოვნების აღრიცხვა • სათამასუქო და სასესხო მოთხოვნების აღრიცხვა • დარიცხული და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა • გრძელვადიანი მოთხოვნების აღრიცხვა • განმარტებითი შენიშვნები 	
თვითშეფასების კითხვარი.....	78
ამოცანები.....	79
1.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა.....	80
<ul style="list-style-type: none"> • სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების არსი და კლასიფიკაცია • სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება • სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდები 	
<ul style="list-style-type: none"> • სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მეთოდები • სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადაფასება • განმარტებითი შენიშვნები 	
თვითშეფასების კითხვარი.....	89
ამოცანები.....	89
1.9 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.....	90
<ul style="list-style-type: none"> • ძირითადი საშუალებების ცნება, კლასიფიკაცია, აღიარება და შეფასება • ძირითადი საშუალებების მიღების აღრიცხვა • ძირითადი საშუალებების ცვეთის აღრიცხვა • ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯების აღრიცხვა • ძირითადი საშუალებების გადაფასების აღრიცხვა • ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის აღრიცხვა • განმარტებითი შენიშვნები 	
თვითშეფასების კითხვარი.....	106
ამოცანები.....	107
1.10 არამატერიალური აქტივების აღრიცხვა.....	108
<ul style="list-style-type: none"> • არამატერიალური აქტივების ცნება, კლასები, აღიარება და შეფასება • არამატერიალური აქტივების მიღების აღრიცხვა • ფირმაში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები 	

<ul style="list-style-type: none"> • არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის აღრიცხვა • არამატერიალური აქტივების გადაფასების აღრიცხვა • არამატერიალური აქტივების გასვლის აღრიცხვა • განმარტებითი შენიშვნები 	
თვითშეფასების კითხვარი.....	116
ამოცანები.....	116
1.11 ვალდებულებების აღრიცხვა.....	117
<ul style="list-style-type: none"> • ვალდებულებების წარმოქმნის საფუძვლები, აღიარება და კლასიფიკაცია • სავაჭრო კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა • სასესხო და სათამასუქო ვალდებულებების აღრიცხვა • საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა • დარიცხული ვალდებულებების აღრიცხვა • გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა • საგარანტიო ვალდებულებების აღრიცხვა • განმარტებითი შენიშვნები 	
თვითშეფასების კითხვარი.....	130
ამოცანები.....	130
1.12 საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა.....	132
<ul style="list-style-type: none"> • საკუთარი კაპიტალის არსი და სტრუქტურა • აქციების გაყიდვა ფულზე • აქციების გაყიდვა არაფულად აქტივებზე • აქციების გაყიდვა ხელმოწერით • აქციების ბონუსური ემისია • აქციების გაყიდვა ოფციონით • აქციების კონვერტირება • აქციების დანაწევრება • საკუთარი აქციების გამოსყიდვა და მეორადი გაყიდვა • სააქციო საზოგადოების რეზერვების აღრიცხვა • შ.პ.ს საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა • განმარტებითი შენიშვნები 	
თვითშეფასების კითხვარი.....	140
ამოცანები.....	140
1.13 შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა.....	141
<ul style="list-style-type: none"> • შემოსავლების ცნება, კლასიფიკაცია, აღიარება და შეფასება • საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღრიცხვა • პროცენტის, როიალტის და დივიდენდების აღრიცხვა • ხარჯების ცნება და მათი კლასიფიკაცია • პერიოდის საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯების აღრიცხვა • განმარტებითი შენიშვნები 	
თვითშეფასების კითხვარი.....	147
ამოცანები.....	148
1.14 ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების განზოგადება (ნაწილი I).....	150
<ul style="list-style-type: none"> • სააღრიცხვო ციკლი და მისი ეტაპები 	

<ul style="list-style-type: none"> • კრებსითი დოკუმენტების მონაცემების განზოგადება ჟურნალებსა და მთავარ წიგნში 	
თვითშეფასების კითხვარი.....	160
ამოცანები.....	160
მოდული II „სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში 2“	161
2.1 ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების განზოგადება (ნაწილი II).....	161
<ul style="list-style-type: none"> • მაკორექტირებელი და დროებითი ანგარიშების დახურვის გატარებები • ბრუნვათა უწყისის არსი, ელემენტები და დანიშნულება 	
თვითშეფასების კითხვარი.....	169
ამოცანები.....	169
მოდული III „ფინანსური ანგარიშგების შედგენა“	171
3.1 ფინანსური ანგარიშგების როლი მართვის ინფორმაციულ სისტემაში.....	171
<ul style="list-style-type: none"> • ფინანსური ანგარიშგების არსი, მნიშვნელობა, კომპონენტები, ელემენტები და მათი შეფასება • ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები • საცდელი ბალანსის არსი, მნიშვნელობა და შევსების წესი • სრული შემოსავლების ანგარიშგება • საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება • ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება • ფულადი ნაკადების ანგარიშგება • განმარტებითი შენიშვნები 	
თვითშეფასების კითხვარი.....	189
ამოცანები.....	190
მოდული IV „ინვენტარიზაცია“	194
4.1 ინვენტარიზაცია, მისი არსი, სახეები და ჩატარების წესი.....	194
<ul style="list-style-type: none"> • ინვენტარიზაციის არსი და სახეები • ფირმებში ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი 	
თვითშეფასების კითხვარი.....	210
ამოცანები.....	211
გამოყენებული ლიტერატურა.....	212
დანართი.....	213

მოდული I „სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში 1“

1.1 შესავალი ბუღალტრულ აღრიცხვაში

სამეურნეო აღრიცხვა, მისი არსი, სახეები და მნიშვნელობა. სამეურნეო საქმიანობა დაკავშირებულია მატერიალური დოვლათის ანუ პროდუქციის წარმოებასთან, მოხმარებასა და დაგროვებასთან. პროდუქცია შეიძლება წარმოვიდგინოთ საქონლის სახით, მაგალითად საფრენი აპარატი(თვითმფრინავი, შვეულმფრენი) და მომსახურების სახით, მაგალითად საფრენი აპარატით ტვირთისა და მგზავრგადაზიდვების განხორციელება.

სამეურნეო საქმიანობის პროცესში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, დაჯგუფების და გადაცემის სისტემას სამეურნეო აღრიცხვა ეწოდება. ამ პროცესში ცვლილებების შესწავლა, გამოყენება და კონტროლი ხდება როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივად. შესაბამისად, სამეურნეო აღრიცხვაში გამოიყენება **სამი საზომი ერთეული:**

1. **ნატურალური**, მაგალითად: მეტრი(მ), კილომეტრი(კმ), გრამი(გრ), კილოგრამი(კგ), კვადრატული მეტრი(მ²), კუბური მეტრი(მ³), ცალი(ერთეული), წყვილი და ა.შ. ანუ ზომის, წონის, რაოდენობის, მოცულობის, ფართობის საზომი ერთეულები;

2. **შრომითი**, მაგალითად: შრომადღე, კაცდღე, კაცსაათი, მანქანასაათი და ა.შ. ანუ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის საზომი ერთეულები, რომლებიც შრომის ანაზღაურების განსაზღვრის საფუძველია;

3. **ფულადი**, მაგალითად: ლარი, დოლარი, ფუნტ სტერლინგი, ევრო და ა.შ. ანუ ვალუტა, რომლის გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია ნატურალური და შრომითი საზომი ერთეულების გამოყენების სფეროების შეზღუდულობით.

თავის მხრივ, **სამეურნეო აღრიცხვა აერთიანებს სამი სახის აღრიცხვას: ოპერატიულს, სტატისტიკურს და ბუღალტრულს.**

ოპერატიული აღრიცხვა სამეწარმეო საქმიანობაში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას ასახავს დაუყოვნებლივ გაფორმების სათანადო წესით. ამიტომ, მას ხშირ შემთხვევაში ტექნიკურ აღრიცხვასაც უწოდებენ. **მაგალითად**, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საწყობიდან ფირმის ძირითად საამქროში, სადაც იწარმოება სასწავლო დაწესებულებების ინვენტარი, მასალის გაგზავნა გარკვეული სახის საბუთის საფუძველზე წარმოადგენს ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვის ინფორმაციას. შესაბამისად, ოპერატიულ აღრიცხვაში გამოიყენება სამივე სახის საზომი ერთეული, თუმცა უპირატესობა ენიჭება პირველ ორს.


სტატისტიკური აღრიცხვა ახორციელებს ფირმის სამეურნეო საქმიანობასა და ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი მასობრივი და ტიპიური სახის მოვლენების რაოდენობრივი და თვისობრივი მხარეების შესწავლას. **მაგალითად**, წარმოების მოცულობის, საქონლის ბრუნვის, სამუშაო დროის გამოყენების, საშუალო გამომუშავების, შრომის მწარმოებლურობის, მოკვდაობის, შობადობის, მოსახლეობის რიცხოვნობის, შედგენილობის და ა.შ. სახის ინფორმაცია ასახავს პოულობს სტატისტიკური აღრიცხვის დოკუმენტაციაში. სტატისტიკურ აღრიცხვაშიც გამოიყენება სამივე სახის საზომი ერთეული, მაგრამ უპირატესობა ისევ პირველ ორს ენიჭება.

ბუღალტრული აღრიცხვა არის ფირმის სამეურნეო საქმიანობისა და მისი ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის შეგროვების, განზოგადების და წარდგენის საშუალება.

ბულალტრულ აღრიცხვაში გამოიყენება სამივე სახის საზომი ერთეული, თუმცა საბოლოოდ, ინფორმაცია განზოგადდება მხოლოდ ფულად საზომში.

ბულალტრული აღრიცხვა დოკუმენტური აღრიცხვაა. იგი უწყვეტია დროში. ინფორმაციის ასახვა ხორციელდება თანმიმდევრულად, ანუ ქრონოლოგიური წესით. სამეწარმეო პროცესში მომხდარი ყველა ცვლილება ურთიერთკავშირშია. შესაბამისად, მონაცემები უტყუარი, დროული და სრულია.

სააღრიცხვო ინფორმაციის მოხმარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბულალტრული აღრიცხვის ინფორმაციულ სისტემაში შედის საგარეო, ანუ **ფინანსური აღრიცხვა** და შიდა, ანუ **მმართველობითი (მენეჯერული) აღრიცხვა**.



ფინანსური აღრიცხვა სამეურნეო ფაქტების დაფიქსირების, შეფასების და ფინანსურ ანგარიშგებაში განზოგადების საშუალებას იძლევა. ფინანსური აღრიცხვის ინფორმაციას ჰყავს ინფორმაციის მომხმარებელთა ფართო წრე, როგორც შიდა, ისე გარე მომხმარებლების სახით. ამიტომ, ფინანსური აღრიცხვის ინფორმაცია საჯარო ხასიათს ატარებს და პერიოდულად ქვეყნდება. **მმართველობითი აღრიცხვა** კი მოიცავს ინფორმაციას ფირმის ცალკეული სტრუქტურების (ქვედანაყოფების) საქმიანობის შესახებ, რომელიც ფასდება, მუშავდება და გადაეცემა ფირმის მენეჯმენტის სხვადასხვა იერარქიულ დონეს ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. აქედან გამომდინარე, მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია კონფიდენციალურ ხასიათს ატარებს და იგი არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.

ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები(ზასს). საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ წარმოშვა სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების საკითხისადმი ერთიანი მიდგომის აუცილებლობა. სწორედ ამიტომ, 1973 წლის 29 ივნისს, მსოფლიოს ათი განვითარებული ქვეყნის, ავსტრალიის, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, მექსიკის, ნიდერლანდების, გერთიანებული სამეფოს, ირლანდიისა და აშშ-ს ბულალტერთა პროფესიულ კავშირებს შორის შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა **ბულალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების**

კომიტეტი(ბასსკ). ამჟამად, ბასსკ აერთიანებს 140 პროფესიულ ბუღალტრულ ორგანიზაციას 100-ზე მეტი ქვეყნიდან. ბასსკ წესდებაში შესწორებები იქნა შეტანილი 1982 წლის ნოემბერში, 1992 წლის ოქტომბერში, 2000 წლის მაისში, 2002 წლის მარტში. 2000 წელს შეიქმნა **ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო(ბასსს)**, როგორც ბასსკ ფონდის ნაწილი. ბასსს თავის მიზნებს ძირითადად ახორციელებს **ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების(ფასს)** შემუშავებითა და გამოყენებით, რითიც ეხმარება მომხმარებელს ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის ინტერპრეტაციაში, რაც საბოლოო ჯამში აუმჯობესებს მომხმარებლის შესაძლებლობას მიიღოს ოპტიმალური ეკონომიკური გადაწყვეტილებები. ზოგადად, „სტანდარტი“ ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „ნორმას“, „ნიმუშს“, „წესს“. ბუღალტრულ აღრიცხვასთან მიმართებაში იგი წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტურად გაფორმებული წესების ერთობლიობას. თითოეული წესი განსაზღვრავს ამა თუ იმ მოვლენის აღრიცხვის არსს, ტერმინოლოგიას და მეთოდებს. 1973 წლიდან გამოცემულია 41 ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი და ერთი შესავალი ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში. ამ სტანდარტებიდან ზოგიერთის სახელწოდება შეიცვალა, ზოგი გაუქმდა, ე.ი. ბასსკ-ის მიერ გამოცემული ბასს მუდმივად განიხილება, რათა საჭიროების შემთხვევაში შესწორდეს.

ამჟამად, საქართველოში მოქმედებს ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი საერთაშორისო სტანდარტები:

ა) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესავალი – „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები“;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“;

გ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 2 – „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები“;

დ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 8 – „საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი, არსებითი ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში“.

ე) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 9 – „სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები“.

ვ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 10 – „გაუთვალისწინებელი მოვლენები და ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები“.

ზ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 11 – „საამშენებლო კონტრაქტები“;

თ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 12 - "შემოსავლებიდან გადასახადები“;

ი) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 16 – „ძირითადი საშუალებები“;

კ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 17 - „იჯარის ბუღალტრული აღრიცხვა“;

ლ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 18 – „ამონაგები“;

მ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 20– „სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების ასახვა ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებით შენიშვნებში“;

ბ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 21 – „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები“;

ო) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 23 – „სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები“;

პ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 25 – „ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვა“;

ჟ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 27 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და შვილობილ საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვა“;

რ) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 28 – „მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების ბუღალტრული აღრიცხვა“;

ს) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 31 – „ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობის ფინანსური ანგარიშგება“;

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე დამტკიცებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა.


ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება საქართველოში. 1999 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „**ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ**“, ბასს-ის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. კერძო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების თვითრეგულირებას ახორციელებენ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია(ბაფ) საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიასთან ერთად. ეს კომისია ამტკიცებს ქართულ ენაზე თარგმნილი სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებას, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურას ბასს-ის შესაბამისად. 2000 წლის 1 იანვრიდან ყველა საწარმო, გარდა ინდივიდუალური მეწარმეებისა, მცირე საწარმოებისა და არაკომერციული იურიდიული პირებისა ვალდებულია ანგარიშგება აწარმოონ ბასს-ის მიხედვით. სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო კი ამ საკითხებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომლის კომპეტენციაში შედის საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ნორმების, წესების, ინსტრუქციების და მითითებების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

თვითშეფასების კითხვარი

1. განმარტეთ სამეურნეო აღრიცხვის შინაარსი;
2. განმარტეთ სამეურნეო აღრიცხვაში გამოყენებული საზომი ერთეულების შინაარსი;
3. განმარტეთ სამეურნეო აღრიცხვის სახეები;
4. დაახასიათეთ ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემა;
5. განმარტეთ რამ გამოიწვია სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავებისა და მომხმარებლისათვის მიწოდების საკითხისადმი ერთიანი მიდგომის აუცილებლობა;
6. განმარტეთ რა კანონის საფუძველზე ხდება ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირება საქართველოში;
7. განმარტეთ კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის (კსიპ) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების თვითრეგულირების განმახორციელებლის სტატუსი;
8. განმარტეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენცია ბუღალტრული აღრიცხვის ნორმების, წესების, ინსტრუმენტების და მითითებების შემუშავებისა და

1.2 ბუღალტრული აღრიცხვის საგანი

ბუღალტრული აღრიცხვის შესწავლის საგანია ეკონომიკური რესურსები, ანუ აქტივები; რესურსების ფორმირების წყაროები, ანუ კაპიტალი და სამეურნეო ფაქტები, ანუ სამეურნეო ოპერაციები, რომლებიც ასახავენ აქტივებისა და კაპიტალის ცვლილებას სამეურნეო საქმიანობის პროცესში.



აქტივების არსი და სტრუქტურა. აქტივები არის ფირმის განკარგულებაში არსებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი, მატერიალური და არამატერიალური რესურსები, რომლებიც წარსულში მომხდარი სამეურნეო პროცესების შედეგია, ხოლო აწმყოში მათი გამოყენებით სამომავლოდ ფირმა ეკონომიკური სარგებლის შემოდინებას მოეწოდებს.

მატერიალურ აქტივებს ნივთიერი სახე გააჩნიათ, არამატერიალური აქტივებს კი ხელშესახები სახე არა აქვთ. გრძელვადიანია აქტივები, რომელთა გამოყენების ვადა 12 თვეს აღემატება, ხოლო მოკლევადიანი, ანუ მიმდინარე აქტივების გამოყენების ვადა 12 თვეზე ნაკლები პერიოდია.

გრძელვადიან მატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება ძირითადი საშუალებები: მიწა, შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.

გრძელვადიან არამატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება: ლიცენზია, კონცესია (უფლება წიაღისეულის მოპოვებაზე), პატენტები, საავტორო და სხვა უფლებები, გუდვილი(ნამეტი თანხა, რომელიც წარმოიქმნება როგორც სხვაობა საწარმოს შექმნაში გადახდილ თანხასა და შეძენილ წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას შორის), კომპიუტერული პროგრამები, სავაჭრო და სასაქონლო ნიშნები, რეცეპტები, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები და სხვ.

გრძელვადიან აქტივებს ბრუნვის გარეშე აქტივებსაც უწოდებენ. გრძელვადიანი აქტივების შემადგენლობაში გარდა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივებისა, მოიაზრება გრძელვადიანი ინვესტიციები და გრძელვადიანი მოთხოვნები.

მოკლევადიან, ანუ მიმდინარე აქტივებს საბრუნავ საშუალებებსაც უწოდებენ. მიმდინარე აქტივები იყოფა ფულად და არაფულად აქტივებად. მათ შემადგენლობაში შედის:

ფულადი საშუალებები, მოკლევადიანი ინვესტიციები, მოთხოვნები, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგი), წინასწარ გაწეული ხარჯები.

ფულადი საშუალებების შემადგენლობაში შედის ნაღდი ფული ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, ანუ ნაღდი ფული სალაროში, ეროვნული და უცხოური ვალუტა ფირმის საბანკო ანგარიშებზე, როგორც რეზიდენტ(ქვეყანაში რეგისტრირებულ), ისე არარეზიდენტ (ქვეყანაში არარეგისტრირებულ) ბანკებში და ფულის ექვივალენტები.

მოკლევადიანი ინვესტიციები ფულადი საშუალებების დროებითი დაბანდებებია (1-3 თვის) მოგების მიღების მიზნით და ხორციელდება აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენით. მათ შემადგენლობაში შედის მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოს ფასიანი ქაღალდებში, გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი.

მოთხოვნები ანუ მისაღები ანგარიშები არის კლიენტების დავალიანება ფირმის მიმართ, რომელიც წარმოიქმნება შემდგომი გადახდის პირობით, ანუ კრედიტით საქონლის გაყიდვის ან მომსახურების გაწევის პროცესში. ასეთ დავალიანებას **დებიტორულ დავალიანებასაც** უწოდებენ. დებიტორულ დავალიანებას წარმოადგენს: მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით, მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ, მოთხოვნა პარტნიორებზე გაცემული სესხებით, გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი, მომწოდებელზე გადახდილი ავანსები. მოთხოვნების სპეციფიკური სახეა **სათამასუქო მოთხოვნები**. თამასუქი არის საგარანტიო წერილი, რომელსაც გასცემს შემდგომი გადახდის პირობით პროდუქციის მყიდველი დებიტორზე, რის საფუძველზეც, ეს უკანასკნელი, თამასუქის მფლობელი ხდება. **სათამასუქო მოთხოვნებში** მოიაზრება მიღებული მოკლევადიანი თამასუქი და მიღებული გრძელვადიანი თამასუქის მიმდინარე ნაწილი. მოთხოვნა პარტნიორებზე გაცემული სესხებით და სათამასუქო მოთხოვნები პირდაპირ კავშირშია **დარიცხულ მოთხოვნებთან**, კერძოდ, მუხლთან „მისაღები პროცენტები“. გარდა ამისა, დარიცხულ მოთხოვნებს მიეკუთვნება მისაღები დივიდენდებიც.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები(მარაგი) არაფულადი მიმდინარე აქტივებია. მათ შემადგენლობაში შედის: საქონელი, ნედლეული და მასალა, დაუმთავრებელი წარმოება, მზა პროდუქცია და სხვა მარაგი.

საქონელი არის ფასეულობა, რომელიც შეძენილია სხვა სამეურნეო სუბიექტებისაგან და განკუთვნილია გასაყიდად დამატებითი დამუშავების გარეშე.

ნედლეულისა და მასალის შემადგენლობაში შედის: ნედლეული და ძირითადი მასალა, დამხმარე მასალა, სათბობი, სათადარიგო ნაწილები, ტარა და ტარა მასალები, ნახევარფაბრიკატები.

ნედლეული და ძირითადი მასალა წარმოადგენს პროფილური პროდუქციის საფუძველს, მის სუბსტანციას. **მაგალითად**, ძირითადი მასალაა ალუმინი საფრენი აპარატებისა და გადამამუშავებული ხის მასალა ავეჯის წარმოებისას, ხოლო ნედლეულია მომპოვებელი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქცია(ქვანახშირი, ყურძენი, ხილი და ბოსტნეული). **დამხმარე მასალის** მეშვეობით პროფილური პროდუქცია დებულობს დამთავრებულ, სასაქონლო სახეს. **მაგალითად**, წებო, ლაქი ხე-ტყის დამამუშავებელ წარმოებაში, ძაფი ტრიკოტაჟის წარმოებაში, სხვადასხვა სახის საღებავი და ა.შ. **სათბობი** დამხმარე მასალებში ცალკე ქვეჯგუფად გამოიყოფა. დანიშნულების მიხედვით სათბობი შეიძლება იყოს: ენერგეტიკული, ტექნოლოგიური და სამეურნეო სახის.

ენერგეტიკული სათბობის მეშვეობით მიიღება სხვა რაიმე სახის ენერგია, **მაგალითად**, ორთქლი, ელექტროენერგია. **ტექნოლოგიური სათბობის** მეშვეობით ხდება, **მაგალითად**,

ლითონის გამოწრობა, რის შედეგადაც მეტალურგიაში იწარმოება ფოლადი, ხოლო **სამეურნეო სათბობად** ითვლება სხვადასხვა სახის სამეურნეო დანიშნულების სათბობი. **მაგალითად**, შენობების გასათბობად, იატაკის გასაწმენდად, ჰაერის გასაფილტრად და ა.შ. გამოიყენებული სათბობი.

სათადარიგო ნაწილები გამოიყენება ძირითადი საშუალებების რემონტისათვის, ანუ პირვანდელი მწარმოებლურობის შენარჩუნების მიზნით.

ტარა და ტარამასალები გამოიყენება პროდუქციის შესაფუთად და იყიდება მასთან ერთად. განასხვავებენ ხის, ლითონის, მინის, მუყაოს, ქაღალდის, პოლიეთილენის და სხვა სახის ტარას.

ნახევარფაბრიკატები არის დაუმთავრებელი სახის პროდუქცია, რომელმაც გაიარა დამუშავების გარკვეული საფეხურები. განასხვავებენ ნაყიდ და საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატებს. **საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატია** ნაწარმი, რომელიც საფეხურებრივ ტექნოლოგიურ დამუშავებას გაივლის ერთიდაიგივე საწარმოში, მხოლოდ სხვადასხვა სტრუქტურაში(დანახარჯთა ცენტრებში). **მაგალითად**, ნართი სართავ-საქსოვ წარმოებაში, თუჯი სრული ციკლის მეტალურგიულ ქარხანაში და სხვა. **ნაყიდი ნახევარფაბრიკატები** საფეხურებრივ ტექნოლოგიურ დამუშავებას გადიან სხვადასხვა საწარმოებში. **მაგალითად**, შასი, როგორც ნაყიდი ნახევარფაბრიკატი გამოიყენება საავიაციო ქარხანაში, საბურავი-საავტომობილო მრეწველობაში, საკისრები, ჭანჭიკი, ქანჩი მრეწველობის მრავალ დარგში და ა.შ.

დაუმთავრებელი წარმოება ასევე არის დაუმთავრებელი სახის ნაწარმი, მაგრამ ნახევარფაბრიკატებისგან განსხვავებით მისი დასრულება მოხდება იმავე დანახარჯთა ცენტრში, სადაც დაიწყო წარმოება, მხოლოდ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში. **მაგალითად**, მექანიკურ საამქროში მარტის თვეში უნდა დამუშავებულიყო 2000 ცალი დეტალი, დამუშავდა 1800 ცალი, ე.ი. აპრილში დასრულდება დარჩენილი 200 ცალი დეტალის დამუშავება და შემდგომ დაიწყება იმ თვის გეგმაზე მუშაობა.

მზა პროდუქცია არის დამთავრებული სახის ნაწარმი, რომელმაც გაიარა ტექნიკური კონტროლი, სერტიფიცირებულია, ე. ი. შეესაბამება ყველა სახის სტანდარტის მოთხოვნებს, ჩაბარდა მზა პროდუქციის საწყობში და გამზადებულია ბაზარზე გასატანად, ანუ სარეალიზაციოდ.

მიმდინარე აქტივებს მიეკუთვნება აგრეთვე **წინასწარ გაწეული ხარჯები** (მომავალი პერიოდის ხარჯები), რომლებიც მიმდინარე საანგარიშგებო წელს არ ეკუთვნის. ამ ხარჯების გაწევა ხდება მიმდინარე პერიოდში, მაგრამ ეკონომიკური სარგებელი მათგან მიიღება მომავალში. წინასწარ გაწეული ხარჯების შემადგენლობაში შედის წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა, წინასწარ გადახდილი გადასახადები, წინასწარ გადახდილი დაზღვევა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ფირმის ქონების ფორმირების წყაროს კაპიტალი წარმოადგენს, რომელიც წარმოადგენს საკუთარი და მოზიდული კაპიტალის, ანუ ვალდებულებების ერთობლიობას

ვალდებულების არსი და სტრუქტურა. ვალდებულება არის ფირმის მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო ფაქტების შედეგია და მისი შესრულება მოითხოვს ფირმიდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას. დაფარვის ვადების მიხედვით ვალდებულებები ჯგუფდება მოკლევადიან, ანუ მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად.

ბასს-ის თანახმად, მოკლევადიანია ვალდებულება, თუ მისი დაფარვა შესაძლებელია ბალანსის შედგენიდან 12 თვის განმავლობაში. შესაბამისად, გრძელვადიანია ვალდებულება, თუ მის დაფარვას ესაჭიროება ბალანსის შედგენიდან 12 თვეზე ნეტი პერიოდი.

მოკლევადიანი ვალდებულებების შემადგენლობაში შედის საკუთრივ მოკლევადიანი ვალდებულებები, საგადასახადო ვალდებულებები და დარიცხული ვალდებულებები.

საკუთრივ მოკლევადიან ვალდებულებებს, რომელსაც **სავაჭრო ვალდებულებებსაც** უწოდებენ მიეკუთვნება შემდეგი სახის ვალდებულებები: ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით, მიღებული ავანსი, გადასახდელი ხელფასი, გასანაღდებელი თამასუქები, ვალდებულება საწარმოს პერსონალის მიმართ, მოკლევადიანი სესხი, გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი და სხვა. ჩამოთვლილი ვალდებულებები წარმოადგენს ფირმის დავალიანებას სხვადასხვა ორგანიზაციების, საწარმოების ან პირების მიმართ, ანუ დავალიანებას კრედიტორების წინაშე. აქედან გამომდინარე სავაჭრო ვალდებულება იგივე **კრედიტორული დავალიანებაა**.

საგადასახადო ვალდებულებების შემადგენლობაში შედის გადასახდელი მოგების გადასახადი, გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, გადასახდელი დღგ, გადასახდელი აქციზი, გადასახდელი ქონების გადასახადი და სხვა. ეს ვალდებულებები წარმოიქმნება, როგორც დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე.

დარიცხული ვალდებულებების შემადგენლობაში მოიაზრება ისეთი ვალდებულებები, რომლებიც აღიარებულია ვალდებულებად, მაგრამ გარკვეულ თარიღამდე მათი გადახდის ვადა არ დამდგარა, კერძოდ, გადასახდელი პროცენტები და გადასახდელი დივიდენდები.

გრძელვადიან ვალდებულებებს მიეკუთვნება გრძელვადიანი სესხი, გრძელვადიანი გასანაღდებელი თამასუქი, საგარანტიო მომსახურების ანარიცხები და სხვა.


საკუთარი კაპიტალის არსი და სტრუქტურა. საკუთარი კაპიტალი არის სპეციალური სახის ვალდებულება მფლობელთა წინაშე და წარმოადგენს წმინდა აქტივების იმ ნაწილს, რომელიც რჩება ფირმის განკარგულებაში ვალდებულებების დაფარვის შემდეგ. საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში შედის საწესდებო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება და სარეზერვო კაპიტალი.


საწესდებო კაპიტალი ბიზნესში ინვესტირებული კაპიტალის სიდიდეა.

გაუნაწილებელი მოგება არის ფირმის განკარგულებაში დარჩენილი წმინდა მოგების ნაწილი, რომელიც გაუნაწილებელი დარჩა. ის განაწილებას დაექვემდებარება მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იმ პერიოდში მიღებულ წმინდა მოგებასთან ერთად, რათა მოხდეს წარმოების გაფართოება და სრულყოფა.


რეზერვები გამოიყენება მხოლოდ სპეციალური, მიზნობრივი დანიშნულებით, რათა მოხდეს მიღებული შემოსავლების შენარჩუნება, მესაკუთრეებისა და კრედიტორების ზარალისაგან დაცვა.

საემისიო კაპიტალი წარმოიქმნება სააქციო საზოგადოებაში და წარმოადგენს პირველად ბაზარზე აქციების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს.






შემოსავალი არის ფირმის ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების ხარჯზე, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის გადიდებით, მაგრამ არ არის დაკავშირებული ამ კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან.



ხარჯები არის ფირმის ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდში აქტივების შემცირების ან ვალდებულებების ზრდის ხარჯზე, რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის შემცირებით, მაგრამ არ მოითხოვს ამ კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებს.



როგორც ვიცით, ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტია ფირმაში მომხდარი სამეურნეო ფაქტები, ანუ სამეურნეო ოპერაციები. მათ ადგილი აქვთ მომარაგების, წარმოების და რეალიზაციის პროცესში. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვა აქტივების წრებრუნვის ყველა საფეხურს ასახავს.



თვითშეფასების კითხვარი

1. განმარტეთ რას შეისწავლის ბუღალტრული აღრიცხვა;
2. განმარტეთ აქტივების არსი და მათი შემადგენლობა;
3. განმარტეთ ვალდებულებების არსი და მათი შემადგენლობა;
4. განმარტეთ საკუთარი კაპიტალის არსი და მისი შემადგენლობა;
5. განმარტეთ შემოსავლებისა და ხარჯების არსი და მათი შემადგენლობა;
6. განმარტეთ აქტივების წრებრუნვის საფეხურების თანმიმდევრობა.

ამოცანები

1. დააჯგუფეთ აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით: შენობები, საემისიო კაპიტალი, მანქანა-დანადგარები, ევრბ, ლიცენზიები, მზა პროდუქცია, გაუნაწილებელი მოგება, სატრანსპორტო საშუალებები, სავაჭრო ნიშნები, დაუმთავრებელი წარმოება, მიღებული თამასუქი, მიღებული ავანსი, ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში, მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით, სარეზერვო კაპიტალი, ავეჯი და ინვენტარი, მასალები, გადასახდელი მოგების გადასახადი, მოკლევადიანი სესხი, მისაღები პროცენტები, წინასწარ გადახდილი იჯარა, ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით, გასანაღდებელი ორწლიანი თამასუქი.

2. დააჯგუფეთ აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით: პატენტები, მოკლევადიანი სესხი, მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ, მასალები, გაუნაწილებელი მოგება, მიწა, საქონელი, ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში, საშემოსავლო გადასახადი, ევრბ, გადასახდელი ხელფასი, წინასწარ გადახდილი დაზღვევა, მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით, შენობები, გრძელვადიანი სესხი, საწესდებო კაპიტალი, ოფისის აღჭურვილობა, გადახდილი ავანსი, გასანაღდებელი თამასუქი, პარტნიორზე გაცემული სესხი, გადასახდელი პროცენტები, ნაგებობები, მისაღები დივიდენდები.

1.3 ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის არსი და მისი ელემენტები. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი არის წესებისა და ხერხების ანუ ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ფირმის აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების და გადაცემის შესაძლებლობას ფულად საზომ ერთეულში.

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ელემენტებს მიეკუთვნება:

- დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია;
- შეფასება და კალკულაცია;
- ანგარიშთა სისტემა და ორადი ჩაწერა;
- ფინანსური ანგარიშგება.

დოკუმენტაცია და ინვენტარიზაცია არის ინფორმაციის შეგროვების საშუალება. **დოკუმენტი** ლათინური წარმოშობის სიტყვაა და წერილობით დასტურს ნიშნავს. ე. ი. დოკუმენტის მეშვეობით წერილობით დასტურდება ცალკეული სამეურნეო ოპერაციის მოხდენის ფაქტი. **დოკუმენტაცია** კი არის დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის, კერძოდ, ფინანსური აღრიცხვის წარმოების საფუძველს. ფირმაში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები შინაარსით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შესაბამისად განსხვავებულია მათი ამსახველი

დოკუმენტებიც. მაგალითად: სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენას და გაყიდვას, სალაროდან ფულის გამოტანას და სალაროში ფულის შეტანას, ბანკიდან სესხის აღებას და ა.შ. ადასტურებს განსხვავებული სახის დოკუმენტები. დაწვრილებით ამ საკითხზე საუბარი გვექნება სახელმძღვანელოს სხვა ნაწილში. ინვენტარიზაცია ასევე ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს პოვნას, აღმოჩენას. **ინვენტარიზაცია**, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ერთ-ერთი ელემენტი წარმოადგენს ფირმის ეკონომიკური რესურსების და მათი წყაროების შესახებ დოკუმენტებში ასახული სააღრიცხვო მონაცემების მათ ფაქტიურ მდგომარეობასთან შედარების საშუალებას (ხერხს). აქედან გამომდინარე, ინვენტარიზაციის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს დანაკლისი ან ზედმეტობა.

ბუღალტრული აღრიცხვა აერთიანებს, როგორც ფირმის სამეურნეო-საწარმოო, ისე საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, ანუ აქტივებს, ვალდებულებებს, საკუთარ კაპიტალს, სამეურნეო და საფინანსო პროცესებს (შემოსავლები და ხარჯები), ფინანსურ შედეგებს. ამ ერთიანი საინფორმაციო მოდელის შესაქმნელად საჭიროა ჩამოთვლილი ელემენტების სწორი შეფასება და ერთიან ფულად საზომში ასახვა. კალკულაციაც ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გამოთვლას, გაანგარიშებას. ბუღალტრულ აღრიცხვასთან მიმართებაში კი **კალკულაცია** ნიშნავს პროდუქციის (საქონელი ან გაწეული მომსახურება) ერთეულის თვითღირებულების გაანგარიშებას, ანუ იმის დადგენას, თუ რა უჯდება ფირმას პროდუქციის ერთეულის წარმოება. თვითღირებულების კალკულაცია წარმატებით გამოიყენება მმართველობით აღრიცხვაშიც. სწორი შეფასება კალკულაციის განსაზღვრის ობიექტურ საფუძველს წარმოადგენს. **შეფასება და კალკულაცია** ინფორმაციის ღირებულებით განსაზღვრას ახორციელებს.

ანგარიშთა სისტემის მეშვეობით შესაძლებელია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ყოველგვარი ცვლილების დაფიქსირება. დაფიქსირება ხორციელდება **ორადი ჩაწერის ხერხით**, ანუ **დიგრაფიული მეთოდით**, ვინაიდან სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილება ეხება როგორც აქტივებს, ისე ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს. **მაგალითად**, ნედლეულისა და მასალის ნაღდ ფულზე შეძენისას ცვლილება უნდა აისახოს როგორც ნედლეულისა და მასალის ანგარიშზე, ისე სალაროში ნაღდი ფულის ანგარიშზე. **ანგარიშთა სისტემა და ორადი ჩაწერა ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია**, რომელიც ინფორმაციის მიმდინარე დაჯგუფების საშუალებას იძლევა.

ფინანსური ანგარიშგება ფირმის საინფორმაციო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია და ასახავს მის ფინანსურ მდგომარეობას, საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგებს და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებებს. ფინანსური ანგარიშგების უმნიშვნელოვანესი ნაწილია **ბალანსი**, რომელშიც ასახვას პოულობს აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი განზოგადებული ფულად საზომ ერთეულში დროის გარკვეული მომენტისათვის, ანუ გარკვეული თარიღისათვის.

ბუღალტრული აღრიცხვის ფუძემდებლური პრინციპები. ბასს-ით ბუღალტრული აღრიცხვის **ფუნდამენტურ (ფუძემდებლურ) პრინციპებს** მიეკუთვნება:

- უწყვეტობის;
- მუდმივობის;
- პირვანდელი ღირებულების ანუ თვითღირებულების;
- ფულადი შეფასების;

- მყარი ფულადი ერთეულის;
- რეალიზაციის;
- ავტონომიურობის;
- ორმხრივობის;
- საანგარიშგებო პერიოდის პრინციპები.

ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის ხერხების ერთობლიობას, ვინაიდან მათი გამოყენებით შესაძლებელია პასუხი გაეცეს კითხვას, თუ როგორ არის შესაძლებელი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება, შეფასება და ასახვა.

უწყვეტობის პრინციპში იგულისხმება, რომ ფირმა უახლოეს საპროგნოზო პერიოდში გააგრძელებს თავის აქტიურ საქმიანობას.

მუდმივობის პრინციპში იგულისხმება, რომ ფირმა განახორციელებს ბუღალტრულ აღრიცხვას პროცედურებისა და წესების შესაბამისად მუდმივად ანუ ყოველწლიურად.

პირვანდელი ღირებულების პრინციპში იგულისხმება, რომ ფირმა აქტივებს აღრიცხავს შეძენაზე გაწეული დანახარჯების ჯამით, ხოლო ვალდებულებებს იმ აქტივის თანხის ოდენობით, რაც ამ ვალდებულების სანაცვლოდ არის მიღებული, ე. ი. თვითღირებულების შესაბამისად.

ფულადი შეფასების პრინციპში იგულისხმება, რომ ფირმა აღიარებს მხოლოდ იმ აქტივებსა და ვალდებულებებს, მოვლენებსა და ოპერაციებს, რომელთა ფულადი საზომით გამოსახვა არის შესაძლებელი.

მყარი ფულადი ერთეულის პრინციპში იგულისხმება, რომ ფირმა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას ემყარება მყარ ვალუტას, რაც სხვადასხვა დროის მონაკვეთის მაჩვენებელთა შესადარისობას უზრუნველყოფს. მაგრამ, თუ ფულადი ერთეული მყარი ვალუტის სახეს კარგავს, ფინანსური ანგარიშგება ინფლაციის პირობებში სათანადო კორექტირებას მოითხოვს.

რეალიზაციის პრინციპში იგულისხმება, რომ ფირმა აღიარებს შემოსავალს რეალიზაციიდან ამ ფაქტის მოხდენისთანავე, ანუ მყიდველზე საკუთრების და მასთან დაკავშირებული რისკის გადაცემისას.

ავტონომიურობის პრინციპში იგულისხმება, რომ ფირმა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახავს ინფორმაციას მხოლოდ საწარმოში მომხდარის სამეურნეო ოპერაციების შედეგების შესახებ და არა მისი დამფუძნებლების ან მესამე მხარის საქმიანობას.

ორმხრივობის პრინციპში იგულისხმება, რომ თითოეულ სამეურნეო ოპერაციას ანუ ფაქტს განიხილავს, როგორც ორმხრივ ცვლილებას მომხდარს ეკონომიკურ რესურსებსა და წყაროებში. შესაბამისად, ორმხრივობის პრინციპი გამოისახება ტოლობით:

$$\text{აქტივები} = \text{ვალდებულებები} + \text{საკუთარი კაპიტალი}$$

თავდაპირველად, ამ ტოლობას ასეთი სახე ჰქონდა:

$$\text{აქტივები} - \text{პასივები} = \text{საკუთარი კაპიტალი}$$

ეს ტოლობა გერმანელი მეცნიერის **შერის პოსტულატის** სახელწოდებითაა ცნობილი, რაშიც იგულისხმებოდა, რომ ფირმის კაპიტალი არის სხვაობა ქონებასა და კრედიტორული

დავალიანების ოდენობას შორის. საბალანსო ტოლობა ყოველთვის ძალაში რჩება, თუ ბუღალტრულ ჩანაწერებში არ არის დაშვებული შეცდომა.

საანგარიშგებო პერიოდის პრინციპში იგულისხმება, რომ ფირმა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში პერიოდულობას გულისხმობს. ზოგადად ფირმის საქმიანობა გარკვეულ პერიოდებად შეიძლება დაიყოს. **მაგალითად**, ერთი კალენდარული წელი. ამ დროის მონაკვეთებს საანგარიშგებო პერიოდი ეწოდება. თუმცა, საჭიროებისამებრ ეს პერიოდი შეიძლება ნაკლებიც იყოს. **მაგალითად**, კვარტალი, თვე. ფინანსური ანგარიშგება, როგორც წესი, ერთი წლის მონაცემების საფუძველზე უნდა მომზადდეს.

ბასს აღიარებს ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგ ძირითად დაშვებებს:

- დარიცხვის მეთოდი;
- ფუნქციონირებადი საწარმოს არსი.

დაშვებები გამომდინარეობს ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტური პრინციპებიდან.

დარიცხვის მეთოდი ნიშნავს, რომ ფირმაში მომხდარი ნებისმიერი მოვლენა, ანუ სამეურნეო ოპერაცია (ფაქტი) უნდა აღიარდეს მოხდენისთანავე, ფულის გადახდის მიუხედავად. დარიცხვის მეთოდი უშუალო კავშირშია რეალიზაციის პრინციპთან.

ფუნქციონირებადი საწარმოს არსი კავშირშია უწყვეტობის პრინციპთან და ნიშნავს, რომ საწარმო იფუნქციონირებს და თავის საქმიანობას გააგრძელებს საპროგნოზო მომავალშიც, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას ან თავისი საქმიანობის მასშტაბების საგრძნობლად შემცირებას(ფასს, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები. თბ. 2009).

თვითშეფასების კითხვარი:

1. განმარტეთ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის არსი;
2. ჩამოთვალეთ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების ელემენტები;
3. განმარტეთ დოკუმენტაციისა და ინვენტარიზაციის არსი და მნიშვნელობა;
4. განმარტეთ შეფასებისა და კალკულაციის არსი და მნიშვნელობა;
5. განმარტეთ ანგარიშთა სისტემისა და ორადი ჩაწერის არსი და მნიშვნელობა;
6. განმარტეთ ფინანსური ანგარიშგების არსი და მნიშვნელობა;
7. ჩამოთვალეთ და განმარტეთ ბუღალტრული აღრიცხვის ფუძემდებლური პრინციპები;
8. განმარტეთ ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი დაშვებების არსი და მათი კავშირი აღრიცხვის ფუნდამენტალურ პრინციპებთან.

1.4 პირველადი დაკვირვება

ბუღალტრული დოკუმენტების სახეები/კლასიფიკაცია. უწყვეტობის პრინციპიდან გამომდინარე ფირმის სამეურნეო-ეკონომიკურ საქმიანობაში განხორციელებული აბსოლიტურად ყველა სამეურნეო ოპერაცია (ფაქტი) სათანადო წესით უნდა გაფორმდეს პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. ამიტომ ბუღალტრულ აღრიცხვას დოკუმენტურ აღრიცხვასაც უწოდებენ. **დოკუმენტების მეშვეობით ხდება პირველადი დაკვირვება სამეურნეო ფაქტებზე მათი შემდგომი დაჯგუფებისა და ციფრობრივ მაჩვენებლებში ასახვის მიზნით.**

დოკუმენტი სპეციალური ფორმის ბლანკია, რომელშიც აისახება სამეურნეო ოპერაციის შინაარსი რაოდენობრივი და თანხობრივი გამოსახულებით. დოკუმენტში ასახული ინფორმაციის საფუძველზე ფირმის მენეჯმენტი ახორციელებს ეკონომიკური რესურსების მართვას და რაციონალურ გამოყენებას. გარდა ამისა, დოკუმენტით კონტროლდება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვა. დოკუმენტს სამართლებრივი ძალა აქვს, რადგან, მისი გამოყენება შესაძლებელია ფირმებს, ორგანიზაციებსა და პირებს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაჭრაში. ე. ი. დოკუმენტი წარმატებით გამოიყენება სამეურნეო პროცესების მართვის, დაგეგმვის, კონტროლისა და ანალიზის დროს. დოკუმენტში ასახული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, სრული (ამომწურავი), დროული და გასაგები შინაარსის. ყოველივე ეს მიიღწევა დოკუმენტის ელემენტების ანუ რეკვიზიტების მეშვეობით. რეკვიზიტები იძლევა პასუხს დოკუმენტში დასმულ კითხვებზე. **დოკუმენტის აუცილებელი რეკვიზიტებია:**

- დოკუმენტის დასახელება;
- ნომერი;
- შევსების თარიღი;
- მომხდარი სამეურნეო ფაქტის შინაარსი;
- ზომის ერთეული;
- პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერა;
- ფირმის დასახელება და მისამართი.

ზოგიერთი დოკუმენტი შემუშავებულია სახელმწიფო უწყებების მიერ და სტანდარტული ფორმა აქვთ, ზოგი კი იქმნება თვით ფირმაში განცხადებების, მოხსენებითი და ახსნა-განმარტებითი ბარათების, ბრძანებების სახით. უმრავლეს შემთხვევაში დოკუმენტების შევსება ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, ზოგიერთი დოკუმენტი კი გამოიწერება ონლაინ რეჟიმში. დოკუმენტის შევსებისას ზოგადად არ შეიძლება შეცდომის დაშვება და შესწორების შეტანა. თუმცა, გამონაკლის შემთხვევაში ხელით შევსებულ დოკუმენტებში შეცდომის შესწორება შეიძლება კორექტირების წესით დოკუმენტის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. არასწორ ჩანაწერს გადაესმება ხაზი, ზვიდან გაკეთდება სწორი ჩანაწერი, რაც დადასტურება ხელმოწერით. შესწორების შეტანა სალაროსა და ბანკის დოკუმენტებში დაუშვებელია.

სამეურნეო ფაქტების სიმრავლე, მათი არაერთგავროვნება მოითხოვს დოკუმენტების გარკვეული სისტემით დაჯგუფებას და შენახვას. **დოკუმენტების დაჯგუფებას ერთგვაროვნების ნიშნით დოკუმენტების კლასიფიკაცია ეწოდება.**

კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს შემდეგი ნიშნების მიხედვით:

- დანიშნულების განზოგადების ხარისხის;
- შედგენის ადგილის;
- სააღრიცხვო პოზიციათა რაოდენობის;
- სამეურნეო ოპერაციათა შინაარსის შესაბამისად.

დანიშნულების მიხედვით არსებობს განკარგულებითი, აღსრულებითი, კომბინირებული და ბუღალტრული გაფორმების დოკუმენტები.

განკარგულებითი დოკუმენტი იძლევა წერილობით განკარგულებას შემსრულებელი პირის მიმართ გარკვეული სახის სამეურნეო ფაქტის შესრულების შესახებ. **მაგალითად**, საგადახდო დავალება, ჩეკი ბანკიდან ფულის გამოტანაზე. დოკუმენტები განკარგულებით ფუნქციას იძენენ ფირმის ხელმძღვანელის ხელმოწერისა და ბეჭდის დასმის შემდეგ. განკარგულებითი დოკუმენტებით არ დასტურდება სამეურნეო ოპერაციის მოხდენა, ამიტომ ისინი არ წარმოადგენენ ოპერაციის ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის საფუძველს.

აღსრულებითი დოკუმენტი ადასტურებს მომხდარ სამეურნეო ფაქტს და წარმოადგენს სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოების საფუძველს. ამ დოკუმენტებს ადგენენ და ხელს აწერენ სამეურნეო ფაქტის მოხდენასა და გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირები. **მაგალითად**, სასაქონლო ზედნადები, სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები, ძირითადი საშუალებების მიღება-გადაცემის აქტები.

კომბინირებული დოკუმენტი ხასიათდება როგორც განკარგულებითი, ისე აღსრულებითი დოკუმენტის ნიშნებით. ისინი მოიცავს განკარგულებას სამეურნეო ფაქტის მოხდენის თაობაზე და ადასტურებს მის შესრულებას. **მაგალითად**, სალაროს გასავლის ორდერი, მოთხოვნა მარაგის გაცემაზე.

ბუღალტრული გაფორმების დოკუმენტი იძლევა საშუალებას მოხდეს სააღრიცხვო ჩანაწერთა სისტემატიზაცია. ამ დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია საფუძველია ბუღალტრულ ანგარიშებში ჩანაწერების შესასრულებლად. **მაგალითად**, ამორტიზაციის დარიცხვის უწყისები, ხელფასის უწყისები, დამუშავებითი ცხრილები, ცნობები და ა.შ.

განზოგადების ხარისხის მიხედვით დოკუმენტი შეიძლება იყოს პირველადი და მეორადი (ნაერთი).

პირველადი დოკუმენტი დგება სამეურნეო ფაქტის მოხდენისთანავე.

მეორადი ანუ ნაერთი დოკუმენტი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე დგება. **მაგალითად**, მივლინებიდან დაბრუნებული პირის საავანსო ანგარიში, რომელშიც თავს მოიყრის სამგზავრო ბილეთების, სასტუმროს ქვითრისა და სხვა პირველადი დოკუმენტების ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, ნაერთი დოკუმენტის შევსება ხდება სამეურნეო ოპერაციის შესრულების შემდეგ დღის, კვირის, დეკადის (10 დღე), თვის დამთავრებისას.

შედგენის ადგილის მიხედვით დოკუმენტი შეიძლება იყოს შიდა და გარე გაფორმების.

შიდა დოკუმენტი შედგება თვით საწარმოში. **მაგალითად**, სალაროს შემოსავლის და გასავლის ორდერები, ხელფასის უწყისები და ა.შ.

გარე დოკუმენტი საწარმოში გარედან შემოდის. **მაგალითად**, ანგარიშფაქტურა, საბანკო ანგარიშის ამონაწერი (ავიზო) და ა.შ.

სააღრიცხვო პოზიციათა რაოდენობის მიხედვით დოკუმენტები ჯგუფდება ერთპოზიციურ და მრავალპოზიციურ დოკუმენტებად.

ერთპოზიციური ანუ ერთსტრიქონიანი დოკუმენტი ადასტურებს ერთი სახის საშუალებათა მოძრაობას. **მაგალითად**, სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები

მრავალპოზიციური ანუ მრავალსუბიექტიანი დოკუმენტი ადასტურებს რამდენიმე სახის ერთგვაროვან საშუალებათა მოძრაობას. მაგალითად, ხელფასის უწყისი.

სამეურნეო ოპერაციების შინაარსის მიხედვით დოკუმენტები იყოფა მატერიალური, არამატერიალური, ფულადი საშუალებების, ანგარიშსწორებათა ამსახველ დოკუმენტებად.


მატერიალური საშუალებები ასახვას პოულობს ძირითადი საშუალებების მიღება-ჩაბარებისა და ლიკვიდაციის აქტებში, სასაქონლო ზედნადებში, ანგარიშ-ფაქტურაში და სხვა.

არამატერიალური აქტივების მიღება ფორმდება ხელშეკრულების საფუძველზე.

ფულადი საშუალებების ამსახველი დოკუმენტები ადასტურებენ ფულის მოძრაობას ფირმის სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე. მაგალითად, სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები, საბანკო ამონაწერი.


საანგარიშსწორებო დოკუმენტი ადასტურებს სხვა სამეურნეო სუბიექტებთან, თანამშრომლებთან ანგარიშსწორებას. მაგალითად, ხელფასის უწყისი, საგადახდო დავალება და სხვა.

პირველადი დოკუმენტები ბუღალტერიაში წარდგენისას უნდა შემოწმდეს ფორმის, შინაარსის მიხედვით და არითმეტიკულად. შემოწმებული დოკუმენტები ბუღალტერიაში გარკვეული წესით მუშავდება, ხოლო დამუშავების შემდგომ შენახვას ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, დოკუმენტების მოძრაობას მათი შედგენის ადგილიდან არქივში ჩაბარებამდე დოკუმენტბრუნვა ეწოდება. დოკუმენტბრუნვის მოძრაობის ოპტიმალურ სქემას ფირმის მთავარი ბუღალტერი ადგენს.



სწორი ორგანიზების მიზნით, დოკუმენტბრუნვის პირველად დოკუმენტებს განასხვავებენ აღრიცხვის უბნების მიხედვით. მაგალითად, ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების, ფულადი საშუალებების, მოთხოვნების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის ამსახველი დოკუმენტები.

დოკუმენტების კლასიფიკაციის სქემა



პირველადი დოკუმენტების ტიპური ფორმები. შემოსავლების სამსახურის საიტზე (rs.ge) მოქმედებს სამეწარმეო სუბიექტებსა და საგადასახადო ორგანოს შორის სააღრიცხვო დოკუმენტებისა და დეკლარაციების ელექტრონული ბრუნვის სატესტო ვერსია, რომელიც პერიოდულად ცვლილებებს განიცდის.

წარმოგიდგინთ პირველადი დოკუმენტების ფორმებს.

შეავსეთ!

დანართი №III-05

დამტკიცებულია
საქართველოს ფინანსთა მინისტრის
წლის ბრძანებით
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა

სერია

1	N°000000
---	----------

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა,
რომლის კორექტირებაც ხდება

2	სერია N°
---	----------

3	20 წ.	4	20 წ.
---	-------	---	-------

ოპერაციის (კორექტირების) განხორციელების
პერიოდი:
თვე/კვარტალი (სიტყვიერად)

გამოწერის რიცხვი, თვე (სიტყვიერად)

5 გამყიდველი

6 მყიდველი

5.1											
-----	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.1											
-----	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	
-----	--

დასახელება / სახელი, გვარი

6.2	
-----	--

დასახელება / სახელი, გვარი

საქონლის / მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის / მომსახურების ღირებულება დღგ-ისა და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ის თანხა	აქციზის თანხა
1	2	3	4	5	6
სულ					

7	
---	--

სასაქონლო ზედნადების N°

8	
---	--

თარიღი

ხელმძღვანელი ან უფლებამოსილი პირი (ხელმოწერა) (ხელმოწერა) ბ.ა. მყიდველს ჩაბარდა ხელზე

შენიშვნა: პირველი ეგზემპლარი – მყიდველს, მეორე ეგზემპლარი გამყიდველს დამკვეთი:
დამამზადებელი:
სფს-ს რეგისტრაციის N°

სასაქონლო ზედნადები

1	სასაქონლო ზედნადები #	
2	თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
3	დრო (საათი, წუთი)	
4	გამოდევლის (გამგზავნის) დასახელებას სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო ინადი ნომერი
5	მოიდევლის (მომღების) დასახელებას სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი
6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მოსამართი)
7	ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მოსამართი)	
8	ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მოსამართი)	
9	ტრანსპორტირების სახე	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი
10	მისამართი	
11	სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პირადი ნომერი	გამოდევლის (გამგზავნის) / მოიდევლის (მომღების) მიერ გაჩეული ტრანსპორტირების ხარჯი
თანხა ლარებში		

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი*

13	მოწოდებული საქონლის მოლიანი თანხა (ცენტრებით და სიგეციერად)	
14	გამოდევლი (გამგზავნი) საქონლის ჩანარზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)	მოიდევლი (მომღები) საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)
15	ხელმოწერა	
16	ხელმოწერა	ხელმოწერა
17	თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)	
18		
19		

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩაივლით, აქვთის გადამხდელისათვის აქვთის საქონელზე, დღგ-ს და აქვთის ჩაივლით

სალაროს შემოსავლის ორდერი

საწარმო, ორგანიზაცია				საწარმო, ორგანიზაცია	
სალაროს შემოსავლის ორდერი				ქვითარი	
N 					
რ ი ც ხ ვ ი	თ ვ ი				
0	0	0 ₾.			
მაკონსოლიდირებული ანბარითი, ს.ზ. ანბარითი	ანალიზური აღრიცხვის კოდი	თანხა	მიწმობრივ აღნიშვნების კოდი		
		0.00 GEL			
მიღებულ იქნას _____					
საფუძველი _____					
სიტყვიერად					
დანართი _____					
მთავარი ბუღალტერი					
მოწარმე					
მთავარი ბუღალტერი					
მოწარმე					

სალაროს გასავლის ორდერი

საღარიბო გაცემის ორბანიჭანის **N 2**

რ ი ტ ხ ე რ	თ ე ე
0	0

0 ლ.

დოკ.	მსკომპანია/საწარმო, ს.პ. ანგარიში	ანგარიშის აღრიცხვის კოდი	თანხა	მიზნობრივი აღნიშვნის კოდი
			0.00GEL	

გამგზავნი _____

საფუძვლიანი _____

თანხა სიტყვითაა

დანიშნული _____

საღარიბო/საწარმო მთ. (უფროსი) ბუღალტერი

მიმღები _____
თანხა სიტყვითაა

" _____ " _____ 0 ლ. სიღარიბო

მიმღები კომპანის მფლობელის სახელი

დანიშნულების საღარიბო, მიმღები, თარიღი და გაცემის ადგილი

გაცემა მოწარმე

საბანკო ამონაწერი



ამონაწერი აგრაშიდან:
Account Statement:

ანგარიშის მფლობელი
Account Holder:

საწყისი ნაშთი/Opening Balance	
-------------------------------	--

საბოლოო ნაშთი/ Closing Balance	
--------------------------------	--

ჯამური ბრუნვა დებეტი/Debit კრედიტი/Credit

Total Turnover



თარიღი Date	დანიშნულება Description	კრედიტი Credit	დებეტი Debit	ნაშთი Balance
	მასალის შესატყაფი			
	მომსახურების % აღება			
	მასალის დირეზული			
	გადარიცხვის საკომისიო			

საგადახდო დავალება

სავადახლო დავალება № _____

20__ წლის "___" _____

გაღმწევის დასახელება _____

საიდენტიფიკაციო
ნომერი

ანგარიში
(დეპუტატი)

ბანკის კოდი

გაღმწევის ბანკი

მომწესის დასახელება

ანგარიში
(კრედიტი)

მომწესის ბანკი

ბანკის კოდი

სადაც უნდა
სადაც უნდა

გადახდის დასახელება

დამატებითი ინფორმაცია

ხელმოწერა:

პ. ა.

თანხა

თანხა სიტყვებით

ბანკი უნდა
თანხის აღნიშვნები

ხელმოწერა:

შტამის ადგილი

სამკურნალო რეცეპტი (გამკურნალები) № _____
20__ წლის "___" _____

გამომწველის დასახელება _____

გამომწველის
სამკურნალო ნომერი

გამომწველის სახელი _____

სამკურნალო კოდი

(სურათი)

თანხა

მკურნალობა	<input type="text"/>
მკურნალობა	<input type="text"/>
მკურნალობა	<input type="text"/>
მკურნალობა	<input type="text"/>
მკურნალობა	<input type="text"/>
მკურნალობა	<input type="text"/>
მკურნალობა	<input type="text"/>
მკურნალობა	<input type="text"/>
მკურნალობა	<input type="text"/>
მკურნალობა	<input type="text"/>
მკურნალობა	<input type="text"/>

<input type="text"/>
თანხა სიტყვებით

მომწველის დასახელება

მკურნალობა
(სტრუქტურა)

მომწველის სახელი

სამკურნალო კოდი

სადაც მომწველის მუშაობის სახელი კოდი

გამომწველის დასახელება

სამკურნალო დასახელება

სამკურნალო მუშაობის

სადაც

სტრუქტურა

ეს რეცეპტი გამოწვეულია იქნა სამკურნალო, სადაც, სტრუქტურა, სამკურნალო დასახელება, სადაც სამკურნალო კოდი (სტრუქტურა)

გამომწველის დასახელება

სტრუქტურა

სა

სამკურნალო დასახელება

პირველი გვერდი

ტ. რ. № 248

საგანმანათლებლო პროგრამა

ორგანიზაციის დაწესებულების შტაბში ბეჭედი _____ 200 წ.

მიმღი: _____
განრი, სახელი და მამის სახელი მანათლებლობა

მომზადების განკვეთი ორგ. დასახელება

მიმღის ბეჭედი _____
(დასაშუალებების ბეჭედი ორგ. დასახელება)

საფუძველი პროგრამა № _____ 200 წ.

ბეჭედი № _____ დაფ. 200 წ. _____ შტაბი

პროგრამის სახელი № _____ წარმომადგენლის

დირექტორი _____
უფროსი _____

აღნიშნული დასაშუალებების ბეჭედიში მოხელისა და იქვეან წამოსვლის შესახებ

გადასმულია	დან	გამოცხადდა	შე
_____	_____	_____	_____
_____	200 წ.	_____	200 წ.
ხელმოწერა		ხელმოწერა	
ბეჭედი		ბეჭედი	
_____	_____	_____	_____
_____	200 წ.	_____	200 წ.
ხელმოწერა		ხელმოწერა	
ბეჭედი		ბეჭედი	
_____	_____	_____	_____

მეორე გვერდი

საგანმანათლებლო პროგრამა № _____ 200 წ.

ფინანსის დასაშუალებები _____ 200 წ.

სახელი	ფინანსური ანგარიშის	სახელი	შედეგები		
			პროგრამა	პროგრამა	სახელი
1. _____	_____	_____	_____	_____	_____
2. _____	_____	_____	_____	_____	_____
ხელმოწერა		_____	_____		
ბეჭედი		_____	_____		
_____	_____	_____	_____		
_____	200 წ.	_____	_____		
_____	_____	_____	_____		

სახელი	სახელის რაოდენობა	ფინ. რაზმი და რა სახელია გადახდა	თანხა	ფორმა	
				პროგრამა	პროგრამა
_____	_____	_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____	_____	_____

პროგრამის დასაშუალებების სახელი ხელმოწერა _____

საავანსო ანგარიში (1-ლი გვერდი)
 ანგარიში თანხით _____

სიტყვიერად
 ორგანიზაციის
 ხელმძღვანელი _____
 (ხელმოწერა) (ხელმოწ. გარკვევით)
 “ _____ ” _____ წ.

საავანსო ანგარიში № _____
 “ _____ ” _____ წ.

ორგანიზაცია (ცენტრალიზებული ბუღალტერია) _____
 სტრუქტურული ქვედანაყოფი _____
 დაფინანსების წყარო _____
 დანაყოფი (ქვედანაყოფი) _____
 მიზნობრივი მუხლი _____
 გასავლის სახე _____
 ანგარიშვალდებული პირი _____
 თანამდებობა _____ ავანსის დანიშნულება _____

მაჩვენებლის დასახელება	თანხა ლარი
ნაშთი	
გადახარჯვ.	
წინა ავანსი (ვისგან რიცხვი)	
სულ მიღებ. (კრედ.სუბანგარიში)	
გახარჯულია	
ნაშთი	
გადახარჯვა	

ბუღალტრული ჩანაწერი		
დებეტი	კრედიტი	თანხა ლარი

დანართი _____ საბუთი
 მიზანდასახულად გაწეული ხარჯებს ვადასტურებ
 სტრუქტურული ქვედანაყოფის _____
 ხელმძღვანელი (ხელმოწერა) (ხელმოწ. გარკვევით)
 ანგარიში შემოწმებულია
 ვამტკიცებ _____ ლარი _____ თეთრი

ბუღალტერი (ხელმოწერა) (ხელმ. გარკვევით)

ხელფასის უწყისი

ორგანიზაციის დასახელება

(წლის, თვის)
ხელფასი

უწყისის N

№	ანგარიშის N	სახელი, გვარი	დარიცხული	საშემოსავლო	სხვა ნებადართული დაკავებები	ხელზე ასაღები
1						
		ჯამი				

ბუღალტრული აღრიცხვის
სამსახურის უფროსი

მთავარი სპეციალისტი

მიღება-ჩაბარების აქტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი, ერთის მხრივ (ორგანიზაციის დასახელება, სამსახური, თანამდებობა) და მეორეს მხრივ (ორგანიზაციის დასახელება, სამსახური, თანამდებობა) ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ (თარიღი) პირველმა მხარემ ჩააბარა, ხოლო მეორე მხარემ მიიღოს ჩამოთვლილი მატერიალური ფასეულობები:

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
			სულ :

ჩავაბარე:

ბ. ა.

/სახელი, გვარი/

ჩავიბარე

ბ. ა.

/სახელი, გვარი/

ბუღალტრული დოკუმენტების შენახვის წესი. დოკუმენტაციის შენახვის წესები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N 72 ბრძანების „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ მოთხოვნებს.

დოკუმენტის სახეობა	შენახვის ვადა	შენიშვნა
<p>ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება</p> <p>პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის უნიფიცირებული ტიპობრივი ფორმების ალბომები ბუღალტრული ბალანსები და ანგარიშები; მათთან დაკავშირებული დოკუმენტები (ბალანსის დანართები, განმარტებითი ბარათები, სპეციალიზებული ფორმები):</p> <p>ა) კრებსითი წლიური ბ) წლიური გ) კვარტალური დ) თვიური</p> <p>გადასაცემი, გასაყოფი, სალიკვიდაციო ბალანსები; მათი დანართები, განმარტებითი ბარათები</p> <p>წლიური ბალანსებისა და ანგარიშების ანალიტიკური დოკუმენტები (ცხრილები, ჩანაწერები, მოხსენებები)</p> <p>მიმოწერა ბალანსებისა და ანგარიშების დამტკიცებისა და დაზუსტების შესახებ</p> <p>ბალანსებისა და ანგარიშების განხილვისა და დამტკიცების დოკუმენტები (ოქმები, აქტები, დასკვნები) ხარჯთა ნუსხის შესრულების ანგარიშები:</p> <p>ა) კრებსითი წლიური ბ) წლიური გ) კვარტალური</p>	<p>ახლით შეცვლამდე</p> <p>მუდმ. მუდმ 5წ.¹ 1წ.²</p> <p>25წ.</p> <p>25წ.</p> <p>6წ.</p> <p>მუდმ.¹</p> <p>მუდმ. მუდმ. 5წ.¹</p>	<p>¹წლიურების არარსებობისას – მუდმ. ²წლიურების, კვარტალურების არარსებობისას – მუდმ.</p> <p>¹კვარტალურების – 10წ.</p> <p>¹წლიურების არარსებობისას – მუდმ.</p>
<p>ბუღალტრული აღრიცხვის სინთეზური, ანალიზური, მატერიალური ანგარიშები</p> <p>ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების გეგმა</p> <p>ფულადი თანხის გადარიცხვის ანგარიშები სახელმწიფო და არასახელმწიფო დაზღვევის (საპენსიო, სამედიცინო, სოციალური, დასაქმების) მიხედვით</p> <p>მიმოწერა ბუღალტრული და საფინანსო ანგარიშგების წარდგენის ვადების შესახებ</p>	<p>6წ.</p> <p>6წ.</p> <p>25წ.</p> <p>1წ.</p>	
<p>საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის ჩატარების, საკონტროლო-სარევიზიო სამუშაოს, მათ შორის, სალაროს, გადასახადების აკრეფის სისწორის შემოწმებისა და სხვა დოკუმენტები (გეგმები, ანგარიშები, ოქმები, აქტები, ცნობები, მოხსენებითი ბარათები, მიმოწერა)</p>	<p>6წ.¹</p>	<p>¹შემოწმების (რევიზიის) დამთავრების პირობით. დავის, აზრთა სხვადასხვაობის, საგამომიებო და სასამართლო საქმეების წარმოქმნისას – ინახება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე</p>

<p>ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ძირითადი კრიტერიუმები (მაჩვენებლების სისტემა), რომელთა მიხედვით მათი ბუღალტრული (საფინანსო) ანგარიშგება ექვემდებარება აუცილებელ ყოველწლიურ აუდიტორულ შემოწმებას:</p> <p>ა) შემუშავებისა და დამტკიცების ადგილზე ბ) სხვა დაწესებულებებში</p> <p>ხელშეკრულებები აუდიტორებთან (სააუდიტორო ფირმებთან)</p> <p>ბუღალტრული სააღრიცხვო რეგისტრები (მთავარი დავთარი, ჟურნალ-ორდერები, შემუშავებული ცხრილები და სხვა)</p> <p>დამტკიცებული ლიმიტები, ხელფასის ფონდები: ა) შემუშავებისა და დამტკიცების ადგილზე ბ) სხვა დაწესებულებებში</p> <p>პირველადი დოკუმენტები და მათი დანართები, სადაც დაფიქსირებულია სამეურნეო ოპერაციის შესრულების ფაქტი და რომლებიც ჰქმნიან საფუძველს ბუღალტრული ჩანაწერებისათვის (საკასო, საბანკო დოკუმენტები, საბანკო ჩეკის წიგნაკების ყუები, ორდერები, ტაბელები, ბანკების შეტყობინებები და გადასაგზავნი მოთხოვნები, ქონებისა და მასალების მიღების, ჩაბარების, ჩამოწერის აქტები, ქვითრები, მათი ყუები, ანგარიშ-ფაქტურები, ზედნადებები, საავანსო ანგარიშები და სხვა)</p> <p>დაწესებულებათა შორის ურთიერთანგარიშებისა და გადაანგარიშების დოკუმენტები (აქტები, ცნობები, მიმოწერა)</p> <p>მიმოწერა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის (ფონდების აღრიცხვის, გადახდევინების, ჯარიმების დადების, მატერიალურ ფასეულობათა მიღების, ჩაბარების, ჩამოწერისა და სხვა) შესახებ</p> <p>მუშაკთა პირადი ანგარიშები</p> <p>მუშაკთა პრემირების დებულებები</p>	<p>მუდმ. ახლით შეცვლამდე</p> <p>6წ.¹ სშკ</p> <p>6წ.¹</p> <p>მუდმ. საჭიროების გასვლამდე 6წ.¹</p> <p>6წ.</p> <p>6წ.</p> <p>75წ. სშკ</p> <p>6წ.¹ სშკ</p>	<p>¹ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ</p> <p>¹შემოწმების (რევიზიის) დამთავრების პირობით. დავის, აზრთა სხვადასხვაობის, საგამომიებო და სასამართლო საქმეების წარმოქმნისას – ინახება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე</p> <p>¹შემოწმების (რევიზიის) დამთავრების პირობით. დავის, აზრთა სხვადასხვაობის, საგამომიებო და სასამართლო საქმეების წარმოქმნისას – ინახება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.</p> <p>¹ახლით შეცვლის შემდეგ</p>
<p>ხელფასისა და სხვა შემწეობის მიღების დოკუმენტები (ხელფასის, შემწეობის, ჰონორარის, მატერიალური დახმარებისა და სხვა გადახდების კრებსითი საანგარიშსწორებო (საანგარიშსწორებო-საგადასახდელი) უწყისები (ტაბულაგარამები);¹ ფულადი თანხისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მიღების მინდობილობები, მათ შორის, ანულირებული)</p>	<p>6წ.²</p>	<p>¹პირადი ანგარიშების არარსებობისას – 75წ. ²შემოწმების (რევიზიის) დამთავრების პირობით. დავის, აზრთა სხვადასხვაობის, საგამომიებო და სასამართლო საქმეების წარმოქმნისას – ინახება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე</p>

<p>მიმოწერა ხელფასის გაცემის შესახებ</p> <p>ცნობები წლის განმავლობაში მუშაკთა ერთობლივი შემოსავლისა და გადასახდელების გადახდის შესახებ</p> <p>საგარანტიო წერილები</p>	<p>გწ.</p> <p>გწ.</p> <p>გწ.</p>	
<p>ცნობები ფონდების, ხელფასის ლიმიტების აღრიცხვის, მათი განაწილების კონტროლის, ხელფასის გადახარჯვისა და დავალიანების გადაანგარიშების, ხელფასიდან, სოციალური დაზღვევის სახსრებიდან დაკავების, შვებულების ფულის გაცემის შესახებ</p> <p>მიმოწერა სესხების გაცემისა და დაბრუნების შესახებ</p> <p>შემწეობის გაცემის, შრომისუუნარობის ფურცლების ანაზღაურების დოკუმენტები (ანგარიშების ასლები, განცხადებები, მუშაკთა სიები, ოქმების ამონაწერები, დასკვნები)</p> <p>საადსრულებო ფურცლები</p> <p>დებიტორული და კრედიტორული დავალიანების, დანაკლისის, გაფლანგვის, დატაცების დოკუმენტები (ცნობები, აქტები, ვალდებულებანი, მიმოწერა)</p> <p>პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების ხელმოწერის უფლებამოსილ პირთა ნუსხა</p> <p>სასწავლო შვებულებების ანაზღაურების დოკუმენტები (განცხადებები, გადაწყვეტილებები, ცნობები, მიმოწერა)</p> <p>დაწესებულების ძირითადი ფონდების გადაფასების, ძირითადი საშუალებების გაცვეთის განსაზღვრის, ქონების ღირებულების შეფასების დოკუმენტები (ოქმები, აქტები, გაანგარიშებები, დასკვნები)</p> <p>სამორტიზაციო გადარიცხვების დოკუმენტები (აქტები, ბანკების ამონაწერები, უწყისები, გაანგარიშებები, მიმოწერა)</p>	<p>გწ.</p> <p>გწ.¹</p> <p>გწ.</p> <p>საჭიროების გასვლამდე¹</p> <p>გწ. სშკ</p> <p>ახლით შეცვლამდე</p> <p>საჭიროების გასვლამდე¹</p> <p>50წ. სშკ</p> <p>გწ.</p>	<p>¹სესხის დაფარვის შემდეგ</p> <p>¹არანაკლებ 10 წლისა</p> <p>¹არანაკლებ 10 წლისა</p>
<p>ბრუნვათა უწყისები</p>	<p>გწ.¹</p>	<p>¹შემოწმების (რევიზიის) დამთავრების პირობით. დავის, აზრთა სხვადასხვაობის, საგამომიებო და სასამართლო საქმეების წარმოქმნისას – ინახება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე</p>
<p>შეტყობინებები (მოწმობები) საგადასახადო ორგანოებში აღრიცხვაზე აყვანის შესახებ</p>	<p>გწ.¹</p>	<p>¹აღრიცხვიდან მოხსნის შემდეგ</p>

<p>ანგარიშები გადასახადების მიხედვით:</p> <p>ა) წლიური ბ) კვარტალური გ) თვიური</p> <p>ყველა დონის ბიუჯეტში გადასახადების დარიცხული და გადარიცხული თანხების დოკუმენტები (გაანგარიშებები, ცნობები, ცხრილები)</p> <p>მიმოწერა გადასახადის შეწერის, სააქციო და სხვა შეგროვების საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის შესახებ</p> <p>გადასახადების გადახდისაგან გათავისუფლების, შეღავათების, კრედიტების მიცემის, გადასახადების, სააქციო და სხვა შეგროვების მიხედვით გადახდების განვადების ან უარის თქმის დოკუმენტები (გაანგარიშებები, ცნობები, განცხადებები, გადაწყვეტილებები, სიები, უწყისები, მიმოწერა)</p> <p>სხვადასხვა დონის ბიუჯეტებსა და ბიუჯეტგარეშე ფონდებში საგადასახადო შემოსავლების ჩარიცხვის, მათი დავალიანებების დოკუმენტები (ცნობები, შეტყობინებები, მიმოწერა)</p> <p>მიმოწერა ბრუნვითი სახსრების წარმოქმნის, განაწილების, შეგროვების და ბრუნვითი სახსრების მიხედვით გაანგარიშებების შესახებ</p> <p>მოწყობილობის, საწარმოო და საცხოვრებელი ფონდის შექმნაზე ხარჯების დოკუმენტები (განაცხადები, ცნობები, ლიმიტები, გაანგარიშებები)</p> <p>ბიუჯეტში ჩათვლებით, ფასიანი ქაღალდებით, პროდუქციის, საქონლის მიწოდებით, სამუშაოების, მომსახურების განხორციელებით გადასახადების გადახდის დოკუმენტები (შეჯერების აქტები, ცნობები)</p> <p>გადასახადების (დავალიანებების) თამასუქით დაფარვის აქტები-ცნობები</p> <p>თამასუქის ანაზღაურების, დახურდავების, მიღება-გადაცემის დოკუმენტები (განაცხადები, განკარგულებები, ცნობები-გრაფიკები, აქტები)</p>	<p>მუდმ. 5წ.¹ 1წ.¹ 6წ. სშკ</p> <p>6წ. სშკ</p> <p>6წ. სშკ</p> <p>6წ.</p> <p>6წ.</p> <p>6წ.</p> <p>6წ.</p> <p>6წ.¹</p> <p>6წ.</p>	<p>¹ წლიურის არსებობისას მუდმ. ² კვარტალურის არარსებობისას – 5წ.</p> <p>¹გადასახადების დაფარვის შემდეგ</p>
<p>დოკუმენტები სავალუტო საკითხებზე (განაცხადები, აქტები, ცნობები, მიმოწერა)</p>	<p>6წ. სშკ</p>	
<p>სავალუტო და კონვერსიული, გრანტებიანი ოპერაციების წარმოების დოკუმენტები (ანგარიშები, ცნობები)</p> <p>ოპერატიული ანგარიშები საზღვარგარეთ უცხოური ვალუტით ანგარიშების მიხედვით</p> <p>ოპერატიული ანგარიშები საზღვარგარეთ მივლინებებზე უცხოური ვალუტის ხარჯვის შესახებ</p>	<p>50წ. სშკ</p> <p>50წ. სშკ</p> <p>6წ.</p>	

<p>გადახდების წუსხა, რომლებზედაც არ დაირიცხება დაზღვევის შენატანები სახელმწიფო სოციალურ ფონდებში:</p>		
<p>ა) შემუშავებისა და დამტკიცების ადგილზე ბ) სხვა დაწესებულებებში</p>	<p>50წ. სშკ ახლით შეცვლამდე</p>	
<p>აქციონერთა პირადი ანგარიშები</p>	<p>6წ.¹</p>	<p>¹საკუთრების უფლების აქციებზე გადასვლის შემდეგ, შემოწმების (რევიზიის) დამთავრების პირობით</p>
<p>ხელშეკრულებები, შეთანხმებები (საკრედიტო, სამეურნეო, საოპერაციო)</p>	<p>6წ.¹ სშკ</p>	<p>¹ხელშეკრულების, შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ</p>
<p>გარიგებათა პასპორტები</p>	<p>მუდმ.</p>	
<p>შესრულებულ სამუშაოთა მიღების დოკუმენტები (აქტები, ცნობები, ანგარიშები)</p>	<p>6წ.¹</p>	<p>¹პირადი ანგარიშების არარსებობისას – 75წ.</p>
<p>ხელშეკრულებები მატერიალურ პასუხისმგებლობაზე მატერიალურ-პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერების ნიმუშები</p>	<p>6წ.¹ საჭიროების გასვლამდე</p>	<p>¹მატერიალური პასუხისმგებლობის პირის დათხოვნის შემდეგ</p>
<p>სასაქონლო დაზღვევის ხელშეკრულებები</p>	<p>6წ.¹</p>	<p>¹ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ</p>
<p>ძირითადი საშუალებების, ქონების, შენობებისა და ნაგებობების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის დოკუმენტები (საინვენტარიზაციო კომისიების სხდომათა ოქმები, საინვენტარო ანაწერები, აქტები, უწყისები)</p>	<p>6წ.¹</p>	<p>¹შემოწმების (რევიზიის) დამთავრების პირობით. დავის, აზრთა სხვადასხვაობის, საგამომიებო და სასამართლო საქმეების წარმოქმნისას – ინახება საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე</p>
<p>სააღრიცხვო დავთრები, ჟურნალები, ბარათები:</p>	<p>50წ. სშკ</p>	<p>¹ბოლო ხელშეკრულების, კონტრაქტის, შეთანხმების მოქმედების ვადის დამთავრების შემდეგ</p>
<p>ა) ფასიანი ქაღალდების ბ) ხელშეკრულებების, კონტრაქტების, შეთანხმებების (საკრედიტო, სამეურნეო, საოპერაციო)</p>	<p>6წ.¹ სშკ</p>	<p>შემდეგ</p>
<p>გ) ძირითადი საშუალებების (შენობების, ნაგებობების)</p>	<p>6წ.²</p>	<p>²ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციის შემდეგ შემოწმების (რევიზიის) დამთავრების პირობით</p>
<p>დ) დაწესებულებებთან ანგარიშის გასწორების</p>	<p>6წ.³</p>	<p>შემდეგ</p>
<p>ე) შემოსავალ-გასავლის საკასო დოკუმენტების (ანგარიშების, საგადასახადო დავალებების)</p>	<p>6წ.³</p>	<p>შემდეგ</p>
<p>ვ) გადასახადების გადახდაზე დაფარული თამასუქების</p>	<p>6წ.⁴</p>	<p>შემდეგ</p>
<p>ზ) გადასახადებით დაბეგრული და დამატებით ღირებულებაზე დაუბეგრავი საქონლის, სამუშაოების, მომსახურების რეალიზაციის</p>	<p>6წ.⁵</p>	<p>შემდეგ</p>
<p>თ) სამეურნეო საქონლის</p>	<p>6წ.³</p>	<p>შემდეგ</p>
<p>ი) დამხმარე, საკონტროლო (სატრანსპორტო, სატვირთო, წონის და სხვა)</p>	<p>6წ.³</p>	<p>შემდეგ</p>
<p>კ) ანგარიშვალდებულ პირთა</p>	<p>6წ.</p>	<p>შემდეგ</p>
<p>ლ) სააღსრულებო ფურცლების</p>	<p>6წ.</p>	<p>შემდეგ</p>
<p>მ) მუშაკთა შემოსავლებისა და საშემოსავლო გადასახადის ჯამის</p>	<p>6წ.</p>	<p>შემდეგ</p>
<p>ნ) დეკონინრებული ხელფასის</p>	<p>6წ.³</p>	<p>შემდეგ</p>
<p>ო) დეკონინრებული დეპოზიტური თანხების მიხედვით</p>	<p>6წ.</p>	<p>შემდეგ</p>

<p>პ) მინდობილობების</p> <p>ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ავტომატიზებული სისტემების ორგანიზებისა და დანერგვის პროგრამები, სახელმძღვანელოები მიმოწერა აღრიცხვისა და ანგარიშგების ავტომატიზებული სისტემების ორგანიზებისა და დანერგვის შესახებ</p> <p>შეკვეთები აღრიცხვისა და ანგარიშგების ბლანკებზე</p>	<p>ნწ.³</p> <p>ახლით შეცვლამდე</p> <p>ნწ.</p> <p>1წ.</p>	
<p>საქველმოქმედო საქმიანობის საფინანსო საკითხების დოკუმენტები (ანგარიშები, ცნობები, მიმოწერა და სხვა)</p>	<p>ნწ. სშკ</p>	

ნუსხაში მოცემული დოკუმენტების შენახვის ვადები ვრცელდება ყველა დაწესებულებაზე, განურჩევლად იმისა, გადაიცემა თუ არა მათი დოკუმენტები სახელმწიფო შენახვისათვის.

თვითშეფასების კითხვარი:

1. განმარტეთ რა ხორციელდება პირველადი დაკვირვების მეშვეობით;
2. განმარტეთ დოკუმენტის არსი და მნიშვნელობა;
3. განმარტეთ დოკუმენტის რეკვიზიტები;
4. განმარტეთ დოკუმენტების დაჯგუფების თავისებურებები ნიშნების მიხედვით;
5. განმარტეთ დოკუმენტბრუნვის არსი;
6. განმარტეთ რა ვადით ხორციელდება იუსტიციის მინისტრის ბრძანების შესაბამისად დოკუმენტების არქივში შენახვა.

1.5 ბუღალტრული ანგარიშები


ბუღალტრული ანგარიშები, მათი არსი და აგებულება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მომხდარი სამეურნეო ოპერაციების ასახვა ხდება ბუღალტრულ ანგარიშებში. აქედან გამომდინარე, ბუღალტრული ანგარიში იხსნება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის ბუღალტრული ბალანსის მონაცემების საფუძველზე.

ბუღალტრული ანგარიში არის ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ერთ-ერთი ელემენტი, რომელიც საშუალებას იძლევა ერთგვაროვანი ნიშნით დავაჯგუფოდ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების ელემენტებში სამეურნეო ოპერაციების შედეგად მომხდარი ცვლილებები.

ანგარიშის გახსნა ნიშნავს მთავარ ბუღალტრულ წიგნში (რეგისტრში) განთავსებული სპეციალური მოხაზულობის ცხრილებისათვის (ანგარიშებისათვის) ბუღალტრული ბალანსის ყოველი მუხლის მიხედვით სახელწოდების მიკუთვნებას და შესაბამისი თანხობრივი განზომილების გადატანას საწყისი ნაშთის სახით სპეციალურად განკუთვნილ სტრიქონზე.

ბუღალტრულ ანგარიშს აქვს ორი მხარე. მარცხენა მხარე არის **დებეტი**, რაც ლათინურად ვალს ნიშნავს, მარჯვენა მხარე კი არის **კრედიტი**, რაც ლათინურად ნდობას ნიშნავს. ბუღალტრული ანგარიში იხსნება ერთი თვის ვადით და მასში აისახება საწყისი ნაშთი, თვის განმავლობაში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები და ნაშთი თვის ბოლოსათვის. ანგარიშზე ასახული სამეურნეო ოპერაციების ჯამი წარმოადგენს ბრუნვას. შესაბამისად, დებეტში ასახული ოპერაციების ჯამი არის **დებეტის ბრუნვა**, ხოლო კრედიტში ასახული ოპერაციების ჯამი **კრედიტის ბრუნვა**. ანგარიშის დებეტისა და კრედიტის ჩანაწერებს შორის სხვაობას ნაშთს ანუ სალოდს უწოდებენ.

საბალანსო ტოლობიდან გამომდინარე, აქტივების ამსახველი ანგარიშები **აქტიური ანგარიშებია**, ხოლო ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ამსახველი ანგარიშები **პასიური**. როგორც ვიცით, შემოსავლების ზრდა ზრდის საკუთარი კაპიტალის სიდიდეს, ხოლო ხარჯების ზრდა იწვევს მის შემცირებას. შესაბამისად, ხარჯების ამსახველი ანგარიშები **აქტიურია**, ხოლო შემოსავლებისა-**პასიური**.



აქტივების ამსახველი აქტიური ანგარიშის სქემა

ანგარიშის დასახელება			ანგ. კოდი
დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
საწყისი ნაშთი	X		
აქტივების ზრდა	X	აქტივების შემცირება	X
ბრუნვა	X	ბრუნვა	X
საბოლოო ნაშთი	X		

როგორც ვხედავთ, აქტივების ამსახველ აქტიურ ანგარიშზე საწყისი ნაშთი იწერება დებეტის მხარეს, ზრდის ამსახველი ოპერაციები ჩაიწერება დებეტში, შემცირებისა-კრედიტში, თვის ბოლოს საბოლოო ნაშთი (საღდო) ისევ სადებეტოა. აქედან გამომდინარე:

**აქტივების ამსახველი აქტიური ანგარიშის საბოლოო ნაშთი = სადებეტო საწყისის ნაშთს
+ დებეტის ბრუნვა - კრედიტის ბრუნვა**

ხარჯების ამსახველი აქტიური ანგარიშის სქემა

ანგარიშის დასახელება			ანგ. კოდი
დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
ხარჯების ზრდა (აღიარება)	X	ხარჯების შემცირება(ჩამოწერა)	X
ბრუნვა	X	ბრუნვა	X

როგორც ვხედავთ, ხარჯების ამსახველ აქტიურ ანგარიშზე საწყისი და საბოლოო ნაშთი არა გვაქვს, თვის განმავლობაში დებეტში დაგროვილი ხარჯები ჩამოიწერება კრედიტიდან. შესაბამისად დებეტისა და კრედიტის ბრუნვა ერთმანეთის ტოლია.

ვალდებულებების ამსახველი პასიური ანგარიშის სქემა

ანგარიშის დასახელება			ანგ. კოდი
დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
		საწყისი ნაშთი	X
ვალდებულებების შემცირება	X	ვალდებულებების ზრდა	X
ბრუნვა	X	ბრუნვა	X
		საბოლოო ნაშთი	X

საკუთარი კაპიტალის ამსახველი პასიური ანგარიშის სქემა

ანგარიშის დასახელება			ანგ. კოდი
დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
		საწყისი ნაშთი	X
საკუთარი კაპიტალის შემცირება	X	საკუთარი კაპიტალის ზრდა	X
ბრუნვა	X	ბრუნვა	X
		საბოლოო ნაშთი	X

როგორც ვხედავთ, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის ამსახველ პასიურ ანგარიშზე საწყისი ნაშთი იწერება კრედიტის მხარეს, ზრდის ამსახველი ოპერაციები ჩაიწერება კრედიტში, შემცირებისა-დებეტში, თვის ბოლოს საბოლოო ნაშთი (საღდო) ისევ საკრედიტოა. აქედან გამომდინარე:

**პასივების ამსახველი პასიური ანგარიშის საბოლოო ნაშთი = საკრედიტო ნაშთს +
კრედიტის ბრუნვა - დებეტის ბრუნვა.**

შემოსავლების ამსახველი პასიური ანგარიშის სქემა

ანგარიშის დასახელება			ანგ. კოდი
დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
შემოსავლების შემცირება(ჩამოწერა)	X	შემოსავლების ზრდა (აღიარება)	X
ბრუნვა	X	= ბრუნვა	X

როგორც ვხედავთ, შემოსავლების ამსახველ პასიურ ანგარიშებზეც, ხარჯების ანგარიშების მსგავსად, საწყისი და საბოლოო ნაშთი არა გვაქვს. თვის განმავლობაში კრედიტში დაგროვილი შემოსავლები ჩამოიწერება დებეტიდან. შესაბამისად, დებეტისა და კრედიტის ბრუნვა ერთმანეთის ტოლია.

ბუღალტრული ანგარიშების კლასიფიკაცია. ბუღალტრული ანგარიშების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი ძირითადი ნიშნების მიხედვით:

- ფინანსურ ანგარიშგებასთან დამოკიდებულებით;
- ეკონომიკური შინაარსით;
- სტრუქტურითა და დანიშნულებით;
- მათში ასახული ობიექტების განზოგადებისა და დეტალიზაციის ხარისხით.

ფინანსურ ანგარიშგებასთან დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებენ მუდმივ ანუ რეალურ და დროებით ანუ ნომინალურ ანგარიშებს.

რეალურ ანგარიშებზე აისახება აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

ნომინალურ ანგარიშებზე აისახება შემოსავლები და ხარჯები.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით განასხვავებენ ფინანსური ანგარიშების ელემენტების ამსახველ ანგარიშებს, ანუ აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ამსახველ ანგარიშებს.

სტრუქტურისა და დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ ძირითად და მარეგულირებელ ანგარიშებს.

ძირითად ანგარიშებზე აისახება ფირმის ეკონომიკური რესურსები (აქტივები), რესურსების ფორმირების წყაროები (საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები) და საოპერაციო საქმიანობა (შემოსავლები და ხარჯები).

მარეგულირებელი ანგარიშების მეშვეობით ხდება ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტების შეფასებათა დაზუსტება.


ობიექტის განზოგადებისა და დეტალიზაციის ხარისხის მიხედვით განასხვავებენ სინთეზურ და ანალიზურ ანგარიშებს.

სინთეზური ანგარიში არის შინაარსობრივად დაახლოებული ბუღალტრული ანგარიშების ჯგუფი. **მაგალითად**, ძირითადი საშუალებების, მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების, მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების, მზა პროდუქციის ამსახველი ანგარიშები.


ანალიზური ანგარიშები შედის სინთეზური ანგარიშის შემადგენლობაში და გამოიყენება ბუღალტრული ობიექტების დეტალური დახასიათებისათვის. **მაგალითად**,

მასალების სინთეზური ანგარიშის ანალიზური ანგარიშებია ფოლადის, ხის მასალის, აგურის, ცემენტის და სხვა სახის მასალის ამსახველი ანალიზური ანგარიშები.


რეალური ანგარიშების კლასიფიკაცია



ანგარიშების კლასიფიკაცია სტრუქტურისა და დანიშნულების მიხედვით



ნომინალური ანგარიშების კლასიფიკაცია



ანგარიშთა გეგმა, მისი სტრუქტურა და დანიშნულება. სამეურნეო ოპერაციების დიდი რაოდენობა მათი ასახვისათვის მოითხოვს ანგარიშთა ასევე დიდ რიცხვს. ანგარიშები ერთმანეთისაგან ეკონომიკური შინაარსით განსხვავდება, ამიტომ საჭიროა მათი სისტემატიზირება, რაც განხორციელებულია ანგარიშთა გეგმაში. ანგარიშთა გეგმის სანიმუშო სტრუქტურა კომერციული ფირმებისათვის დამტკიცდა 1999 წლის 12 აგვისტოს საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ. ანგარიშთა გეგმა შეიმუშავა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ. სამეურნეო სუბიექტებს შეუძლიათ საკუთარი შეხედულებისამებრ შეადგინონ და დაამტკიცონ საკუთარი სამუშაო ანგარიშთა გეგმა ბასს-ით დადგენილი სტრუქტურის ფარგლებში, საქმიანობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკისა და დარგობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ანგარიშები კოდირებულია ოთხი ნიშნით: პირველი - ჯგუფის აღმნიშვნელია (მოკლევადიანი აქტივი, გრძელვადიანი აქტივი და ა.შ); მეორე - ქვეჯგუფისა (ფულადი საშუალებები სალაროში, საბანკო ანგარიშზე და ა.შ); მესამე და მეოთხე - ანგარიშის დასახელებისა (ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში, ფული უცხოურ ვალუტაში და ა.შ). ანგარიშთა ტიპური გეგმა შედგენილია ლიკვიდურობის კლებადობის პრინციპით.

მაგალითად:

- 1110-ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში;
- 1210-ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში;
- 1410-მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით;
- 1610-საქონელი;
- 1720-წინასწარ გადახდილი იჯარა;
- 1820-მისაღები პროცენტები;
- 2110-მიწა;

- 3110-ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით;
- 4140-გრძელვადიანი სესხი;
- 5150-საწესდებო კაპიტალი;
- 5310-გაუნაწილებელი მოგება;
- 5330-საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი;
- 6110-შემოსავალი რეალიზაციიდან;
- 7110-პირდაპირი მასალის ხარჯი;
- 7210-გაყიდული საქონლის თვითღირებულება;
- 7310-რეკლამის ხარჯი;
- 7420-იჯარის ხარჯი;
- 8110-საპროცენტო შემოსავალი;
- 8210-საპროცენტო ხარჯი;
- 9210-მოგების გადასახადის ხარჯი.

ორადი ასახვის არსი და მნიშვნელობა (დიგრაციული მეთოდი). სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების ჩაწერას ერთი და იგივე თანხით ერთი ანგარიშის დებეტსა და მეორე ანგარიშის კრედიტში ორადი ჩაწერის სისტემა, ანუ დიგრაციული მეთოდი ეწოდება. პირველად ამ სისტემის არსი 1494 წელს იტალიელმა მათემატიკოსმა ლუკა პაჩიოლიმ აღწერა და დაასაბუთა, რომ ნებისმიერ მეურნეობაში შეიძლება აიგოს ანგარიშებისა და წიგნების (დავთრების) მიზანშეწონილი სისტემა.

ორადი ჩაწერის წესით ანგარიშების დაკავშირებას ანგარიშთა კორესპონდენცია ეწოდება, ხოლო ურთიერთდამაკავშირებელ ანგარიშებს მაკორესპონდენტო ანგარიშები.

ანგარიშების მითითებას, რომლებსაც შეეხო სამეურნეო ოპერაციით გამოწვეული ცვლილება ბუღალტრული მუხლი, ანუ ბუღალტრული გატარება ეწოდება. ოპერაციის შინაარსიდან გამომდინარე არსებობს მარტივი და რთული ბუღალტრული გატარებები. მარტივი ბუღალტრული მუხლი აკავშირებს ერთმანეთთან ერთი ანგარიშის დებეტსა და მეორე ანგარიშის კრედიტს. რთული ბუღალტრული მუხლი აკავშირებს ერთმანეთთან ერთი ანგარიში დებეტსა და რამოდენიმე ანგარიშის კრედიტს, ან პირიქით. ორადი ასახვის სისტემა გამოსახება ტოლობით:

$$\text{დებეტი} = \text{კრედიტი}$$

თვითშეფასების კითხვარი

1. განმარტეთ ანგარიშის არსი და რას ნიშნავს მისი გახსნა;
2. განმარტეთ ბუღალტრული ანგარიშის აგებულება;
3. განმარტეთ აქტიურ ანგარიშებზე ნაშთის გამოყვანის წესი;
4. განმარტეთ პასიურ ანგარიშებზე ნაშთის გამოყვანის წესი;
5. განმარტეთ ხარჯებისა და შემოსავლების ანგარიშების აგებულება;
6. განმარტეთ ანგარიშთა გეგმის არსი და მისი შედგენის წესი;
7. განმარტეთ ორადი ასახვის სისტემის არსი;
8. განმარტეთ რეალური და ნომინალური ანგარიშები;
9. განმარტეთ ძირითადი და მარეგულირებელი ანგარიშები;
10. განმარტეთ სინთეზური და ანალიზური ანგარიშები

1.6 ფულადი საშუალებების აღრიცხვა

ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები. ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტების მიეკუთვნება მონეტები და ბანკნოტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, საბანკო ანგარიშებზე რიცხული თანხები და მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდები. გარდა ამისა, ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ელემენტად ითვლება **საბანკო ოვერდრაფტი, ანუ ანგარიშსწორების ანგარიშის უარყოფითი ნაშთი**, თუ ის ექვემდებარება განაღდებას მოთხოვნისთანავე. წინააღმდეგ შემთხვევაში საბანკო ოვერდრაფტი-მოკლევადიანი ვალდებულებაა. სასესხო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით, ფირმას საბანკო ანგარიშზე შეიძლება ერიცხებოდეს „საკომპენსაციო ნაშთი“ ანუ მინიმალური თანხა, რომელიც მუდმივად ირიცხება ანგარიშზე სესხის გამცემი ბანკის მოთხოვნით. საკომპენსაციო ნაშთის თავისუფალი გამოყენება არ შეიძლება, თუმცა ამით მცირდება კომპანიის ლიკვიდურობა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღიარდება **ფაქტიური ანუ გამოცხადებული ღირებულებით**. საბანკო ოვერდრაფტი გამოირიცხება ფულადი სახსრების შემადგენლობიდან და აისახება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, ხოლო საკომპენსაციო ნაშთი ასახვას პოულობს ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში.

სალაროს ოპერაციების აღრიცხვა. ნაღდი ფულის მოძრაობა ხორციელდება ფირმის სალაროს მეშვეობით. ფირმის ხელმძღვანელობამ უნდა დაამტკიცოს სალაროსათვის ნაღდი ფულის დღიური ლიმიტი, რომლის ზემოთ არსებული ნაღდი ფული დღის ბოლოს შეტანილი იქნება მომსახურე ბანკში გახსნილ ანგარიშსწორების ანგარიშზე. **სალაროში ნაღდი ფულის მოძრაობა ფორმდება სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერით.** ნაღდი ფულის აღრიცხვისათვის გამოიყენება ანგარიშები:

1110-ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში;

1120-ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში.

1120 ანგარიშს უნდა ჰქონდეს იმდენი ქვეანგარიში, რამდენი სახის უცხოურ ვალუტასაც იყენებს ფირმა. **მაგალითად:**

1120/1-ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში (დოლარი)

1120/2-ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში (ევრო)

1120/3-ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში (ფუნტ სტერლინგი) და ა.შ

ამ ანგარიშით ანგარიშსწორება შეზღუდულია კანონმდებლობით და დაშვებულია საზღვარგარეთ მივლინებასა და ერთობლივ საწარმოებთან ანგარიშსწორებაში. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სუბიექტებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება მხოლოდ ეროვნული ვალუტით ლარით.

განვიხილოთ სალაროში ნაღდი ფულის მიღებისა და გაცემის ოპერაციების ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვა:

1. მიღებულია სალაროში ანგარიშსწორების ანგარიშიდან გამოტანილი 1500 ლარი.

დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 1500

კ-ტი 1210 ევრო 1500

2. შეტანილია საბანკო ანგარიშზე ნაღდი ფული 3000 ლარი.	
დ-ტი 1210 ევრბ	3000
კ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	3000
3. გაცემულია სალაროდან ანგარიშვალდებულ პირზე 300 ლარი საკანცელარიო ნივთების შესაძენად:	
დ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	300
კ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნული ვალუტაში	300
3ა. ანგარიშვალდებული პირის მიერ შეძენილია 250 ლარის საკანცელარიო საქონელი, დაუხარჯავი 50 ლარი დაბრუნებულია სალაროში:	
დ-ტი 7490 სხვა საერთო ხარჯები (კანცელარიის)	250
დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	50
კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	300
3ბ. ანგარიშვალდებული პირის მიერ შეძენილია 320 ლარის საკანცელარიო საქონელი:	
დ-ტი 7490 სხვა საერთო ხარჯები (კანცელარიის)	320
კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	300
კ-ტი 3160 ვალდებულება საწარმოს პერს. მიმართ	20
3გ. გაცემულია სალაროდან ანგარიშვალდებული პირის დავალიანების დასაფარავად 20 ლარი:	
დ-ტი 3160 ვალდებულება საწარმოს პერსონალის მიმართ	20
კ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	20
4. გაიყიდა ნაღდ ფულზე 1500 ლარის საქონელი:	
დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნული ვალუტით	1500
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან	1500
5. ნაღდ ფულზე დაიფარა 1200 ლარის დებიტორული დავალიანება:	
დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1200
კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	1200
6. ავანსის სახით მყიდველისაგან მიღებულია ნაღდი ფული 1800 ლარი:	
დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1800
კ-ტი 3120 მიღებული ავანსი	1800
7. ნაღდი ფულით გაცემულია საწარმოს პერსონალის ხელფასი 5000 ლარი:	
დ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი	5000
კ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	5000
8. გაცემულია სალაროდან 700 ლარი დისტრიბუტორების საკომისო გასამრჯელო:	
დ-ტი 7320 შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო	700
კ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	700

ანგარიშსწორება საკონტოლო-სალარო აპარატით. ანგარიშსწორება ნაღდი ფულით ხორციელდება საკონტოლო-სალარო აპარატით. ოპერაციებს ასრულებს მოლარე-ოპერატორი. მისი ფუნქციონირების სივრცეს „საოპერაციო სალაროს“ უწოდებენ. ფირმის მასშტაბებიდან გამომდინარე მთავარ სალაროსთან ერთად შეიძლება იყოს რამოდენიმე საოპერაციო სალარო. სამუშაო დღის ბოლოს სალარო-აპარატის ფისკალური მეხსიერების ამონაწერთან ერთად, მოლარე ოპერატორი მთავარ სალაროში აბარებს ნაღდი ფულის დღიურ ამონაგებს, რაც დასტურდება „სალაროს შემოსავლის ორდერით“.

მაგალითი

მოლარე-ოპერატორმა სალარო-აპარატის ამონაგები 2000 ლარი შეიტანა მთავარ სალაროში. ოპერაციის ასახვა მოხდება შემდეგნაირად:

ა) დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2000
კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	2000
ბ) იმავდროულად აღიარდება ნაღდი ანგარიშსწორებით შემოსავალი რეალიზაციიდან	
დ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	2000
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან	2000

ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან. მართალია, ფირმა ანგარიშსწორებას ძირითადად უნაღდო ფორმით ახორციელებს, მაგრამ გარკვეული მოცულობის შესყიდვებისა და ხარჯების გაწევისას გამოიყენება ანგარიშსწორება ნაღდი ფულით. ამ ოპერაციას ასრულებს ანგარიშვალდებული პირი. **ანგარიშვალდებული პირი მუშაკია, რომელსაც ბრძანებით მინიჭებული აქვს უფლება მცირე მოცულობის შესყიდვების განხორციელებაზე.** ამ მიზნით მას ავანსად ეძლევა საქვეანგარიშო თანხა. ანგარიშვალდებული პირი მატერიალურად პასუხისმგებელი პირია. აქედან გამომდინარე, ის ვალდებულია წარადგინოს ინფორმაცია საქვეანგარიშო თანხის ხარჯვაზე.

საქვეანგარიშო თანხები აღირიცხება შემდეგ ანგარიშებზე:

1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ;

3160 ვალდებულება საწარმოს პერსონალის მიმართ

1430 ანგარიშს უნდა ჰქონდეს ქვეანგარიშები: საქვეანგარიშო თანხებით მოთხოვნებზე (1430/1), მოლარე-ოპერატორებთან მოთხოვნებზე (1430/2), სამივლინებო ავანსებით მოთხოვნებზე (1430/3) და ა.შ. საქვეანგარიშო თანხების გასაცემად გამოიყენება ე.წ. **მცირე სალაროს ფონდი**, საიდანაც საქვეანგარიშო თანხების გაცემა ხდება **დადგენილი ლიმიტის** ფარგლებში. მცირე სალაროს ფონდის თანხა გათვალისწინებულია ხარჯების ასანაზღაურებლად 2-4 კვირის განმავლობაში. ამიტომ, პერიოდულად ხდება მისი შევსება საბანკო ანგარიშიდან სათანადო დოკუმენტებისა და ანგარიშის წარდგენის შემდეგ.

ანგარიშვალდებული პირის მიერ შესყიდვების განხორციელება დასტურდება პირველადი დოკუმენტებით და გატარდება:

დ-ტი 7110, 7140, 7210, 7340, 7490 ხარჯების ანგარიში

ან

დ-ტი 1610, 1620, 2160, 2180 აქტივების ანგარიშები

კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ

ანგარიშვალდებული პირის მიერ გამოუყენებელი ავანსის უკან დაბრუნება და ავანსზე აღმატებული თანხის ხარჯის გაწევის გატარებები განხილულია გვ. 51-ზე მე-3ა, 3ბ, 3გ ბუღალტრულ მუხლებში.

თუ ანგარიშვალდებული პირი გამოუყენებელი ავანსის თანხას დროულად ვერ დააბრუნებს სალაროში, მისი დაკავება მოხდება ხელფასიდან:

დ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი

კ-ტი 1430 მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ.

ანგარიშვალდებულ პირზე ახალი ავანსი გაიცემა ადრე გაცემული ავანსის სრული დაფარვის შემდეგ. საქვენაგარიშო თანხის გადაცემა ერთი ანგარიშვალდებული პირის მიერ მეორისათვის დაუშვებელია.

სალაროდან თანხები გაიცემა არამარტო სამეურნეო ხარჯებისათვის, არამედ სამივლინებოდაც. მივლინება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ ფორმდება ბრძანებით. ქვეყნის შიგნით მივლინებაზე გამოიწერება „მივლინების ბარათი“, რომელშიც მითითებულია მივლინებაში წასვლის, დანიშნულების ადგილზე ჩასვლის, იქიდან გამოსვლისა და უკან დაბრუნების თარიღები სათანადოდ დადასტურებული წესით. იმავდროულად გაიცემა სამივლინებო ავანსი. მივლინებიდან დაბრუნების მომდევნო სამუშაო დღეს ანგარიშვალდებულმა პირმა ბუღალტერიაში უნდა წარადგინოს „საავანსო ანგარიში“ დამადასტურებელი დოკუმენტებით (სამგზავრო ბილეთი, სასტუმროს ქვითარი, კვების ხარჯები ნორმის ფარგლებში). ბუღალტერია წარუდგენს საავანსო ანგარიშს დოკუმენტებითურთ ფირმის ხელმძღვანელს მისი მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში დასამტკიცებლად. ავანსის გამოუყენებელი ნაშთი ბრუნდება სალაროში და ამ ოპერაციაზე გამოწერილი სალაროს შემოსავლის ორდერის ქვითარი უნდა დაერთოს საავანსო ანგარიშს. თუ საავანსო ანგარიშის გამოუყენებელი ნაშთი არ დაბრუნდა ვადაში ანგარიშვალდებული პირის მიერ, ბუღალტერია დააკავებს ამ თანხას ხელფასიდან.

მაგალითი

1. ქ. ქუთაისში სპეცდანიშნულების დანადგარის გამოფენა-გაყიდვაზე შესყიდვების მენეჯერის მივლინებით გაგზავნა და საქვენაგარიშოთ 600 ლარის სამივლინებო ავანსის სალაროდან გაცემა გატარდება:

დ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	600
კ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	600

2. მივლინებიდან დაბრუნებისას მივლინების ხარჯის აღიარება (სასტუმროს მომსახურება 400 ლარი, მატარებლის ბილეთი ორივე მიმართულებით და ადგილზე მგზავრობა 40 ლარი, კვების დღიური ნორმა 15 ლარი, მივლინების ხანგრძლივობა 5 დღე) და დაუხარჯავი 100 ლარის სალაროში დაბრუნება გატარდება:

დ-ტი 7470 მივლინების ხარჯები	500
დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	100
კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	600

უცხოეთში მივლინებისას სამივლინებო ავანსო გაიცემა იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც მივლინებულია პირი. ბუღალტრულად თანხები გატარდება გამგზავრებისას და დაბრუნებისას არსებული ვალუტის თავისუფალი გასაცვლელი კურსის შესაბამისად. კურსის სხვაობა იძლევა მოგებას ან ზარალს ვალუტის კურსთა შორის სხვაობით.

მაგალითი

1. შესყიდვების მენეჯერის გაგზავნა ქ. პარიზში 2014 წლის 5 აპრილიდან 9 აპრილის ჩათვლით და საქვენაგარიშოთ 1500 ევროს გაცემა სალაროდან გატარდება:

დ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ €1500×3,00	4500
კ-ტი 1120/2 ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში(ევრო)	4500
2. 11 აპრილს მივლინების ხარჯის აღიარება (სასტუმრო „ლუქსემბურგის“ ანგარიში 600 ევრო, თვითმფრინავის ბილეთი თბილისი-პარიზი-თბილისი 670 ევრო, კვების დღიური ნორმა 30 ევრო, მივლინების ხანგრძლივობა 5 დღე) და 80 ევროს უკან დაბრუნება.	
დ-ტი 7470 მივლინების ხარჯები €(600+670+30×5)×2,90	4118
დ-ტი 1120/2 ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში (ევრო) €80×2,90	232
დ-ტი 8240 ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობით €1500×0,1	150
კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	4500

ვინაიდან ვალუტის გასაცვლელი კურსი შემცირდა 10 თეთრით ოპერაციის შედაგად წარმოიქმნა ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობით 150 ლარი. თუ ვალუტის გასაცვლელი კურსი გაიზრდებოდა 10 თეთრით, მაშინ იგივე თანხით მივიღებდით მოგებას ვალუტის კურსთა შორის სხვაობით.

ბასს 21-ით საკურსო სხვაობა აღიარებული უნდა იქნეს შემოსავლებად ან ხარჯებად იმ საანგარიშგებო პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიქმნა.

1. სალაროს ანგარიშზე ნაშთი 2014 წლის 1/09 3500 ლარია. სექტემბერში განხორციელებული ოპერაციები:
 - 2/09 საბანკო ანგარიშიდან გამოტანილია 1000 ლარი;
 - 5/09 საქვეანგარიშოდ გაიცა 900 ლარი;
 - 9/09 დაფარულია ნაღდი ფულით 2500 ლარის დებიტორული დავალიანება;
 - 15/09 ნაღდი ფულით წინასწარ გადახდილია სამი თვის საიჯარო ქირა 1500 ლარი;
 - 20/09 ავანსის სახით მიღებულია მყიდველისაგან ნაღდი ფული 700 ლარი


განსაზღვრეთ სალაროს ანგარიშის ნაშთი 2014 წლის 30/09-თვის.
2. 2014 წლის 31/12 ჩატარდა სალაროს ინვენტარიზაცია და აღმოჩნდა ნაღდი ფულის დანაკლისი 500 ლარის ოდენობით. 300 ლარი მოლარემ დაფარა 3/1, ხოლო დარჩენილი 200 ლარი დაექვითა იანვრის ხელფასიდან.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრულად.
3. 2014 წლის ოქტომბრის თვეში ფირმაში ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:
 - 2/10 ანგარიშსწორების ანგარიშიდან სალაროში მიღებულია 500 ლარი;
 - 5/10 ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულია სალაროდან 500 ლარი განბაჟებული საქონლის გადმოსატვირთად;
 - 6/10 ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძინა 177 ლარის საქონელი;
 - 6/10 საქონლის ტრანსპორტირებისათვის დაიქირავა ავტომანქანა, რაშიც გადაიხადა 80 ლარი;
 - 7/10 ანგარიშვალდებულმა პირმა წარმოადგინა საავანსო ანგარიში დახარჯულ თანხებზე და დააბრუნა სალაროში გამოუყენებელი ნაშთი.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრულ ანგარიშებზე, განსაზღვრეთ და ასახეთ ბუღალტრულად ანგარიშვალდებული პირის მიერ სალაროში დასაბრუნებელი თანხა.

უნაღლო ანგარიშსწორების ფორმები და მათი რეგულირება. უნაღლო ანგარიშსწორება ნიშნავს ერთი საბანკო ანგარიშიდან მეორე საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვას.

უნაღლო ანგარიშსწორების ფორმები



საგადახდო დავალება არის ანგარიშის მფლობელის წერილობითი განკარგულება მომსახურე ბანკისადმი მისი ანგარიშიდან თანხის გადარიცხვაზე. ამ დოკუმენტის გამოწერას ახდენს გადამხდელი დადგენილი ფორმის ბლანკზე **ორ ეგზემპლარად**. პირველი ეგზემპლარი რჩება მომსახურე ბანკის დოკუმენტებში, მეორე კი დადასტურებული ბანკის მიერ რჩება გადამხდელთან. საგადახდო დავალება ძალაშია მისი გამოწერიდან ათი დღის განმავლობაში, გამოწერის დღის ჩაუთვლელად.

აკრედიტივი არის მყიდველის ბანკის მიერ (ემიტენტი) დავალება მომხმარებლის ბანკის (რემიტენტი) მიმართ გაუნაღლოს მომწოდებელს საქონლის ღირებულება მყიდველის „აკრედიტივზე განაცხადში“ გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. მყიდველი აკრედიტივს ხსნის თავის მომსახურე ბანკში და წარადგენს „განაცხადს აკრედიტივზე“. აკრედიტივი იხსნება მხოლოდ ერთ მომწოდებელთან ანგარიშსწორებისათვის. დაუშვებელია აკრედიტივიდან ნაღდი ფულის გაცემა. აკრედიტივის დახურვის შეტყობინებას შემსრულებელი, ანუ რემიტენტი ბანკი უგზავნის აკრედიტივის გამხსნელ ბანკს, ანუ ემიტენტ ბანკს.

ანგარიშსწორება ჩეკით. ჩეკი ფასიანი ქაღალდია. ის მკაცრი აღრიცხვის ბლანკია. ჩეკების დამზადებისათვის აუცილებელია ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი ნებართვა. ჩეკებით ანგარიშსწორებისას ჩეკის გამცემი აძლევს საბანკო დაწესებულებას წერილობით დავალებას ჩეკში აღნიშნული თანხის განაღდების შესახებ. ჩეკის გამოწერა შეიძლება მხოლოდ იმ საბანკო დაწესებულებაზე, სადაც ინახება ჩეკის გამცემის ფულადი სახსრები. ჩეკი მიმოქცევაშია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე და გამოიყენება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიერ. განასხვავებენ ფულად და საანგარიშსწორებო ჩეკს.



ფულადი ჩეკი გამოიყენება ჩეკის მფლობელზე ბანკიდან ნაღდი ფულის გაცემისათვის (სამეურნეო საჭიროება, ხელფასი, მივლინება და ა.შ.).

საანგარიშსწორებოა ჩეკი, რომელიც გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორებისათვის, გულისხმობს ჩეკის გამცემის უპირობო განკარგულებას თავისი ბანკისადმი, გადარიცხოს მითითებული თანხა მიმღების (ჩეკის მფლობელის) ანგარიშზე. ჩეკის განაღდება ხდება წარდგენისთანავე.

წარმომდგენზე ჩეკის გადაცემა ხდება ახალი მფლობელისათვის უბრალო ჩაბარებით და მასში მითითებული არ არის მიმღები პირი.

სახელობითი ჩეკი გაცემულია კონკრეტულ პირზე.

ჩეკის განაღდების გარანტია დაშვებულია თავდებობის ანუ ავალის მეშვეობით. თავდებობას აფორმებს მესამე პირი, რომელიც თანაბრად პასუხისმგებელია იმასთან ერთად, ვისაც თავდებად უდგება.

ანგარიშსწორება საინკასო დავალებით ხორციელდება დადგენილ ვადაში გადაუხდელი გადასახადებისა და გადასახადებების უდავო წესით გადახდევინებისათვის. ეს ხდება იმ ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლებსაც კანონმდებლობით აქვთ საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადების უფლება. კლიენტის ანგარიშზე ფულადი სახსრების არ არსებობის შემთხვევაშიც კი ბანკმა უნდა მიიღოს საინკასო დავალება და ფულადი სახსრების შემოსვლისას მთლიანად ან ნაწილობრივ გაანაღდოს ის. საინკასო დავალებაში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული იმ საკანონმდებლო აქტის პუნქტი, რომლითაც ბანკს მიცემული აქვს უდავო წესით თანხის ჩამოწერის უფლება.

ანგარიშსწორების ანგარიშზე ოპერაციების აღრიცხვა. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს გახსნილი ანგარიშსწორების ანგარიში ერთ ან რამოდენიმე ბანკში. ანგარიშის გახსნა რეგლამენტირებულია მოქმედი წესებით. საბანკო მომსახურება ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულებით. ამის შემდეგ იურიდიული პირის ანგარიშსწორების ანგარიშს ენიჭება ნომერი. ანგარიშსწორების ანგარიშზე აკუმულირდება ფირმის თავისუფალი ფულადი სახსრები პროდუქციის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები, ბანკის კრედიტი და სხვა ჩარიცხვები, ხოლო ანგარიშსწორების ანგარიშიდან ხდება მომწოდებლებისა და საბიუჯეტო ვალდებულებების დაფარვა, ნაღდი ფულის გამოტანა სხვადასხვა მიზნებისათვის და ა.შ. **გადარიცხვების თანმიმდევრობას** ადგენს კლიენტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანხები ჩამოსაწერია საინკასო დავალებით და აღმასრულებელი ფურცლების საფუძველზე. გარდა ამისა, ბანკი საკუთარი ინიციატივით კლიენტის ანგარიშიდან ჩამოწერს ბანკის მომსახურების ღირებულებას, ტერმინალით

სარგებლობის საკომისიოს, კრედიტით სარგებლობის პროცენტს, ვადაგადაცილებული სესხის თანხას და სხვ.

საბანკო ოპერაციების სერვისის მაღალ დონეს განაპირობებს კომპიუტერული პროგრამის გამოყენება, კერძოდ, მსოფლიოში აპრობირებული პროგრამისა „ბანკი-კლიენტი“. ამ პროგრამით მომუშავე ბანკები უზრუნველყოფენ კლიენტის ელექტრონულ მომსახურებას. ამით კლიენტი ახორციელებს არამართო საბანკო ოპერაციებს, არამედ იღებს სასურველ ინფორმაციას და გზავნის ბანკში ტექსტურ შეტყობინებებს. ამ პროგრამაში შესასვლელად კლიენტი შეიმუშავეს მინიმუმ ოთხნიშნა პერსონალურ საიდენტიფიკაციო კოდს-PIN კოდს და დისკეტაზე აფიქსირებს საიდუმლო „გასაღებს“ ინფორმაციით სარგებლობის კონფიდენციალურობისათვის. მას ოფისიდან გაუსვლელად შეუძლია:

- განახორციელოს გადარიცხვები ეროვნულ ვალუტაში;
- ამონაწერის ამობეჭდვა ანგარიშიდან და ა.შ.

ამონაწერში საბანკო ანგარიშიდან ფიქსირდება ნაშთი ამონაწერის პერიოდის დასაწყისისათვის, ბანკის მიერ განხორციელებული ჩამოწერები ანუ სადებეტო ბრუნვა, ბანკის მიერ განხორციელებული ჩარიცხვები და შენატანები, ანუ საკრედიტო ბრუნვა და საბოლოო ნაშთი პერიოდის ბოლოსათვის. **გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიში საბანკო ოპერაციებში პასიურია, რადგან ბანკის მოზიდული სახსრები აღირიცხება, როგორც კრედიტორული დავალიანება.**

ანგარიშსწორება საგადახდო დავალებით. სამეურნეო ოპერაციების დიდი უმრავლესობა ხორციელდება საგადახდო დავალებით. ანგარიშსწორებისას ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციები აისახება შემდეგი ბუღალტრული მუხლებით:

1. ანგარიშსწორებისას ანგარიშზე შეტანილია ინკასირებული თანხა 12000 ლარი			
	დ-ტი 1210 ევრბ		12000
	კ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		12000
2. ჩარიცხულია დებიტორული დავალიანების დასაფარავდ 25000 ლარი			
	დ-ტი 1210 ევრბ		25000
	კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით		25000
3. აღებულია ბანკის მოკლევადიანი სესხი 30000 ლარი			
	დ-ტი 1210 ევრბ		30000
	კ-ტი 3210 მოკლევადიანი სესხი		30000
4. ჩარიცხულია	საპირგამტეხლო	სახელშეკრულებო	პირობების
შეუსრულებლობისათვის 1500 ლარი			
	დ-ტი 1210 ევრბ		1500
	კ-ტი 8130 არასაოპერაციო მოგება		1500
5. ჩარიცხულია დივიდენდი 18000 ლარი			
	დ-ტი 1210 ევრბ		18000
	კ-ტი 1810 მისაღები დივიდენდები		18000
6. ჩარიცხულია პროცენტები 1000 ლარი			
	დ-ტი 1210 ევრბ		1000
	კ-ტი 1820 მისაღები პროცენტები		1000

7. გამოტანილია საბანკო ანგარიშიდან 2000 ლარი სალაროს შესავსებად		
დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		2000
კ-ტი 1210 ევრბ		2000
8. გადარიცხულია ბიუჯეტის სასარგებლოდ მოგების გადასახადი 3000 ლარი		
დ-ტი 3310 გადასახდელი მოგების გადასახადი		3000
კ-ტი 1210 ევრბ		3000
9. გადარიცხულია ბიუჯეტის სასარგებლოდ საშემოსავლო გადასახადი 4000 ლარი, ხოლო 16000 ლარი ჩაირიცხა პერსონალის სახელფასო ანგარიშებზე		
დ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი		16000
დ-ტი 3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		4000
კ-ტი 1210 ევრბ		20000
10. ჩამოიჭრა ბანკის მომსახურების საკომისიო 1300 ლარი		
დ-ტი 7490 სხვა საერთო ხარჯები		1300
კ-ტი 1210 ევრბ		1300
<u>ანგარიშსწორება აკრედიტივებით.</u> აკრედიტივის გახსნა შესაძლებელია საკუთარი ფულით და ბანკის კრედიტით.		
11. გახსნილია 7000 ლარის აკრედიტივი საკუთარი სახსრებით		
დ-ტი 1250 აკრედიტივები		7000
კ-ტი 1210 ევრბ		7000
12. გახსნილია 4000 ლარის აკრედიტივი ბანკის კრედიტით		
დ-ტი 1250 აკრედიტივები		4000
კ-ტი 3210 მოკლევადიანი სესხი		4000
13. აკრედიტივით გადარიცხულია 2500 ლარი (აკრედიტივის გამოყენება)		
დ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით		2500
კ-ტი 1250 აკრედიტივები		2500
ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში აკრედიტივი იხურება.		
14. საკუთარი სახსრებით გახსნილი აკრედიტივის გამოუყენებელი თანხის 3000 ლარის დაბრუნება.		
დ-ტი 1210 ევრბ		3000
კ-ტი 1250 აკრედიტივები		3000
15. კრედიტით გახსნილი აკრედიტივის გამოუყენებელი თანხის 2400 ლარის გადარიცხვა კრედიტის დასაფარავად		
დ-ტი 3210 მოკლევადიანი სესხი		2400
კ-ტი 1250 აკრედიტივები		2400
ანგარიშსწორებისათვის აკრედიტივის ფორმა ნაკლებად ხელსაყრელია მყიდველისათვის, თუ მოხდა მოწოდების შეფერხება, ხოლო სრულიად მისაღებია მომწოდებლისათვის დაუყოვნებლივი განაღდება გამო.		
<u>ანგარიშსწორება ჩეკებით.</u> ჩეკებით ანგარიშსწორებისათვის საწარმო მომსახურე ბანკში ხსნის სპეციალურ ანგარიშს.		
16. გახსნილია 10000 ლარზე საჩეკო ანგარიში საკუთარი სახსრებით		
დ-ტი 1240 ჩეკები		10000
კ-ტი 1210 ევრბ		10000

17. საჩეკო ანგარიშზე გადარიცხა ბანკის კრედიტით აღებული 7000 ლარი	
დ-ტი 1240 ჩეკები	7000
კ-ტი 3210 მოკელვადიანი სესხი	7000
18. დაიფარა მომწოდებლის დავალიანება 5000 ლარი საჩეკო ანგარიშიდან	
დ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით	5000
კ-ტი 1240 ჩეკები	5000

ჩეკი ნაღდდება წარდნისთანავე გამოწერილი სრული თანხით, ყოველგვარი საკომისიო გადახდების გარეშე.

აკრედიტების და საჩეკო ანგარიშების გახსნისას ანგარიშსწორების ანგარიშიდან თანხების გადარიცხვა ხდება საგადახდო დავალების საფუძველზე.

ანგარიშსწორება საინკასო დავალებით. ვინაიდან კანონმდებლობა ითვალისწინებს „ურჩი“ გადამხდელის ქონებაზე, ანუ სალაროსა და საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებას, ბანკს ეძლევა უფლება კლიენტის ყადაღადადებულ ანგარიშებზე განახორციელოს ცალმხრივი, მხოლოდ ფულის ჩარიცხვის ოპერაციები, რის საფუძველზეც წარმოიქმნება ვალდებულება, რომ გადარიცხვები შესრულდეს მხოლოდ საინკასო დავალებით. ყადაღის დადება და მოხსნა რეგისტრირდება საჯარო რეესტრში, სათანადოდ მომზადებული გადაწყვეტილებების საფუძველზე.

მაგალითი

ფირმის ანგარიშზე 20000 ლარია; 2014 წლის 15 მაისს ფირმის მომსახურე ბანკს წარედგინა საინკასო დავალება, რომლის მიხედვითაც ბიუჯეტის დავალიანება საშემოსავლო გადასახადით 12000 ლარია, ხოლო მოგების გადასახადის წინასწარი გადასახდელით 16000 ლარი.

19. 15/05 საინკასო დავალებით საშემოსავლო გადასახადის 12000 ლარის და მოგების გადასახადის ნაწილობრივი თანხის 8000 ლარის გადარიცხვა

დ-ტი 3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	12000
დ-ტი 1730 წინასწარ გადასახდელი გადასახადები	8000
კ-ტი 1210 ევრბ	20000

20. 20/05 ბანკის მოკელვადიანი სესხის აღება 10000 ლარი

დ-ტი 1210 ევრბ	10000
კ-ტი 3210 მოკელვადიანი სესხი	10000

21. 20/05 საინკასო დავალებით მოგების საავანსო გადასახადის დარჩენილი ნაწილის 8000 ლარის გადარიცხვა

დ-ტი 1730 წინასწარ გადახდილი გადასახადები	8000
კ-ტი 1210 ევრბ	8000

საინკასო დავალების შესრულების მომდევნო სამუშაო დღეს იხსნება ყადაღა ქონებასა და საბანკო ანგარიშებზე.

ანგარიშსწორება საკრედიტო ბარათებით. საკრედიტო ბარათებით ანგარიშსწორება ხელსაყრელია არამართო მომხმარებლისათვის, არამედ ბიზნესის განვითარებისთვისაც. საკრედიტო ბარათებით ამონაგები რეალიზაციიდან ფირმის ანგარიშსწორების ანგარიშზე ირიცხება მხოლოდ მომდევნო სამუშაო დღეს. შესაბამისად 1410 ანგარიშს „მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით“ უნდა გაეხსნას ქვეანგარიში 1410/4 „მოთხოვნები ტერმინალით ანგარიშსწორებიდან“.

მაგალითი

1. 20 მაისს რეალიზებულია 2 ცალი მაცივარი ღირებულებით 3200 ლარი და 1 ცალი პლაზმური ტელევიზორი ღირებულებით 2500 ლარი. მთლიანი თანხა გადახდილია საკრედიტო ბარათით. ოპერაცია ბუღალტრულად შემდეგნაირად გატარდება:

დ-ტი 1410/4 მოთხოვნები ტერმინალით ანგარიშსწორებიდან 5700
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 5700

2. ხელშეკრულების თანახმად ტერმინალით მომსახურების საკომისიო გადახდების 2%-ია. ამრიგად, 21 მაისს ანგარიშსწორების ანგარიშზე ბანკის მიერ ამონაგების ჩარიცხვა და მომსახურების საკომისიოს ხარჯად აღიარება შემდეგნაირად გატარდება:

დ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 5700
57000×0,98
დ-ტი 7490 სხვა საერთო ხარჯები 5700
57000×0,02
კ-ტი 1410/4 მოთხოვნები ტერმინალით ანგარიშსწორებიდან 5700

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა. უცხოური ვალუტით ოპერაცია განხორციელდება, თუ ფირმა:

- ყიდულობს ან ყიდის უცხოური ვალუტით შეფასებულ საქონელსა და მომსახურებას;

- იღებს ან გასცემს სესხს უცხოური ვალუტით;

- იძენს ან ყიდის აქტივებს შეფასებულს უცხოური ვალუტით, იღებს ან ფარავს ვალდებულებებს ასევე შეფასებულს უცხოური ვალუტით.

პირი, რომელიც ახორციელებს საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას, ხსნის სავალუტო ანგარიშს ნებისმიერ ბანკში, რომელსაც აქვს ეროვნული ბანკის ლიცენზია სავალუტო ოპერაციების განხორციელებაზე. ასეთ ბანკებს უფლებამოსილ ბანკებს უწოდებენ.

სავალუტო სახსრების მოძრაობის აღსარიცხავად ანგარიშთა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი ანგარიშები:

1220-უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში

1230-უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში

ვალუტის სახეების მიხედვით იხსნება ქვეანგარიშები:

1220/1-უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში/დოლარი;

1220/2-უვრბ/ფუნტსტერლინგი;

1220/3-უვრბ/ევრო და ა.შ.

1220/9- ევრბ/კონვერტაცია.

როგორც უკვე ვიცით, უცხოური ვალუტის აღრიცხვა წარმოებს ორი შეფასებით: უცხოურ ვალუტაში - ნომინალით და ეროვნულ ვალუტაში - თავისუფალი გასაცვლელი კურსით.

მაგალითი

1. 2014 წლის 25 ნოემბერს განხორციელდა \$20000 ღირებულების საქონლის რეალიზაცია შემდგომი გადახდის პირობით. ვალუტის გასაცვლელი კურსი \$1=1,50 ლარი.

ოპერაცია შემდეგნაირად გატარდება.

დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით 30000
\$20000×1,50

კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 30000

2. ვინაიდან საბოლოო ანგარიშსწორება უნდა მოხდეს 2015 წლის 25 იანვარს, 2014 წლის 31/XII მდგომარეობით უნდა მოხდეს მოთხოვნის კორექტირება (გადაფასება) კურსით \$1=1,80 ლარი, კურსის ზრდა 0,30 ლარით გაზრდის მოთხოვნას და წარმოქმნის მოგებას ვალუტის კურსთა შორის სხვაობით, რაზეც შედგება შემდეგი ბუღალტრული მუხლი:

დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებითა და მომსახურებით 6000
\$20000×0,30

კ-ტი 8140 მოგება ვალუტის კურსთა შორის სხვაობით 6000

შესაბამისად, 2014 წლის 31/XII მდგომარეობით შედგენილ ბუღალტრულ ბალანსში მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით იქნება 36000 ლარი (30000+6000), ხოლო მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მიმდინარე პერიოდის შემოსავლად აღიარდება 600 ლარი ვალუტის კურსთა შორის სხვაობით მოგებიდან.

3. 2015 წლის 25 იანვარს ფირმის სავალუტო ანგარიშზე ბანკში ჩაირიცხა \$20000, კურსით \$1=1,78 ლარი. ვინაიდან ვალუტის კურსი შემცირდა 0,02 ლარით, ეს წარმოქმნის ზარალს ვალუტის კურსთა შორის სხვაობით. საქონლის ღირებულების განადღება გატარდება შემდეგნაირად:

დ-ტი 1220/1 უვრბ/დოლარი 35600
\$20000×1,78

დ-ტი 8240 ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობით 400
\$20000×0,02

კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით 36000

1. 2014 წლის 25 ნოემბერს განხორციელდა \$ 20000 ღირებულების საქონლის შესყიდვა შემდგომი გადახდის პირობით. ვალუტის გასაცვლელი კურსი \$1=1,50 ლარი, რაზეც შედგა შემდეგი ბუღალტრული მუხლი:

დ-ტი 1610 საქონელი 30000
\$20000×1,50

კ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით 30000

2. ვინაიდან საბოლოო ანგარიშსწორება უნდა მოხდეს 2015 წლის 25 იანვარს, 2014 წლის 31/XII მდგომარეობით უნდა მოხდეს ვალდებულების კორექტირება (გადაფასება) კურსით \$1=1,80 ლარი. კურსის ზრდა 0,30 ლარით გაზრდის ვალდებულებას და წარმოქმნის ზარალს ვალუტის კურსთა შორის სხვაობით, რაზეც შედგება შემდეგი ბუღალტრული მუხლი:

დ-ტი 8240 ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობით 6000
\$20000×0,30

კ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით 6000

შესაბამისად 2014 31/XII მდგომარეობით შედგენილ ბუღალტრულ ბალანსში ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით იქნება 36000 ლარი (30000+6000), ხოლო მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარდება 6000 ლარი ვალუტის კურსთა შორის სხვაობით ზარალიდან.

3. 2015 წლის 25 იანვარს ფირმის სავალუტო ანგარიშიდან განაღდდა კრედიტორული დავალიანება \$20000 კურსით \$1=1,78, ვინაიდან ვალუტის კურსი შემცირდა 0,02 ლარით, ეს წარმოქმნის მოგებას ვალუტის კურსთა შორის სხვაობით. საქონლის ღირებულების განაღდება გატარდება შემდეგნაირად:

დ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით	36000
კ-ტი 1220/1 უვრბ/დოლარი	35600
\$20000×1,78	
კ-ტი 8140 მოგება ვალუტის კურსთა შორის სხვაობით	400
\$20000×0,02	

ორი მაგალითის ჩანაწერი განვაზოგადოთ სქემაში კანონზომიერების დასადგენად:

კრედიტით გაყიდვა 2014 წელი	კრედიტით შესყიდვა 2014 წელი
25/XI, \$20000 საქონელი, \$1=1,50 ლარი დ-ტი 1410 მოთხ. მიწოდებით 30000 \$20000×1,50 კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ. 30000	25/XI, \$20000 საქონელი, \$1=1,50 ლარი დ-ტი 1610 საქონელი 30000 \$20000×1,50 კ-ტი 3110 ვალდ. მოწოდებით 30000
მოთხოვნების გადაფასება (კორექტირება)	ვალდებულებების გადაფასება (კორექტირება)
31/XII, \$1=1,80 ლარი, დ-ტი 1410 მოთხ. მიწოდებით 6000 \$20000×0,30 კ-ტი 8140 მოგება ვალ. კ. შ. ს. 6000 ბალანსში მოთხ. მიწოდებით 36000 ლარი მ/ზ ანგარიშგებაში შემოსავალი 6000 ლარი	31/XII, \$1=1,80 ლარი, დ-ტი 8240 ზარალი ვალ. კ. შ. ს. 6000 \$20000×0,30 კ-ტი 3110 ვალდ. მოწ. 6000 ბალანსში ვალდებ. მოწოდებით 36000 ლარი მ/ზ ანგარიშგებაში ხარჯი 6000 ლარი
დებიტორული დავალ. განაღდება (2015წ.)	კრედიტორული დავალ. განაღდება (2015წ.)
25/I, \$1=1,78 ლარი, \$20000 საქონელი დ-ტი 1220/1 უვრბ/დოლარი 35600 \$20000×1,78 დ-ტი 8240 ზარალი ვალ. კ. შ. ს. 400 \$20000×0,02 კ-ტი 1410 მოთხ. მიწოდებით 36000	25/I, \$1=1,78 ლარი, \$20000 საქონელი დ-ტი 3110 ვალდ. მოწ. 36000 კ-ტი 1220/1 უვრბ/დოლარი 35600 \$20000×1,78 კ-ტი 8140 მოგება ვალ. კ. შ. სხვ. 400 \$20000×0,02


უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების აღრიცხვა. ფირმა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს სავალუტო ბაზარზე ახორციელებს დამოუკიდებლად ან უფლებამოსილი ბანკების მეშვეობით. ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს ვალუტის კონვერტაცია ეწოდება. უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები ხორციელდება თავისუფალი გასაცვლელი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავებულია ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსისაგან. ვალუტის კონვერტაციისათვის გამოიყენება 1220/9 ანგარიში უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში/კონვერტაცია, რომელსაც უცხოური ვალუტის სახეების მიხედვით ეხსნება მეორე დონის ქვეანგარიშები. უცხოური ვალუტის კონვერტაცია შეიძლება მოხდეს როგორც საბანკო ანგარიშიდან, ისე სალაროს მეშვეობით.

კონვერტაცია კლიენტის ბანკის მეშვეობით	კონვერტაცია სალაროს მეშვეობით
ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული თანხით \$10000 შეძენა; თავისუფალი კურსი \$1=1,75 ლარი; ოფიციალური კურსი \$1=1,8ლ.	ფირმის დღიური ამონაგები 20000 ლარია; €10000 შეძენის დავალება; თავისუფალი კურსი €1=2,5ლ; ოფიციალური კურსი €1=2,60
1.ანგარიშსწორების ანგარიშიდან თანხის ჩამოწერა კონვერტაციის ანგარიშზე თავისუფალი კურსით დ-ტი 1220/9 უვრბ/კონ. 17500 \$10000×1,75 კ-ტი 1210 ევრბ 17500	1.სალაროდან თანხის გაცემა ანგარიშვალდებულ პირზე დ-ტი 1430 მოთხ. საწ. პერს. 20000 კ-ტი 1110 ნაღდი ფული ერ. ვალ. 20000
2.კონვერტირებული ვალუტის ჩარიცხვა ფირმის სავალუტო ანგარიშზე ოფიციალური კურსით დ-ტი 1220/1 უვრბ/დოლარი 18000 \$10000×1,80 კ-ტი 1290/9 უვრბ/კონვერტ. 18000	2. შეძენილია კონვერტაციის ქვითრით €8000 (20000:2,5),შესაბამისად მოთხოვნის ჩამოწერა აისახება დ-ტი 1220/9 უვრბ/კონვერტაცია 20000 კ-ტი 1430 მოთხ. საწ. პერს. 20000
3.დადებითი საკურსო სხვაობით (0,05 ლარი) მიღებულია მოგება ვალუტის კურსთა შორის სხვაობით დ-ტი 1220/9 უვრბ/კონვერტაცია 500 \$10000×0,05 კ-ტი 8140 მოგება ვალ. კ. შ. ს. 500	3. კონვერტირებული ვალუტის შეტანა ბანკში ფირმის სავალუტო ანგარიშზე დ-ტი 1220/3 უვრბ/ევრო 20800 €8000×2,6 კ-ტი 1220/9 უვრბ/კონვერ. 20800
	4. დადებითი საკურსო სხვაობით (0,10 ლარი) მიღებულია მოგება ვალუტის კურსთა შორის სხვაობით. დ-ტი 1220/9 უვრბ/კონვერ 800 €8000×0,10 კ-ტი 8140 მოგება ვალ. კ.შ.ს 800

უარყოფითი საკურსო სხვაობა მოგვეცემა ზარალს ვალუტის კურსთა შორის სხვაობით.

ფულის დროითი ღირებულება. ფულის მფლობელი მოგების მიღების მიზნით ახდენს მის ინვესტირებას, ანუ დაბანდება. ფულის მიერ გამოძუშავებულ შემოსავალს საპროცენტო შემოსავალი ეწოდება. მისი სიდიდე დამოკიდებულია ინვესტირებული ფულის სიდიდეზე, დაბანდების ვადებსა (n) და საპროცენტო განაკვეთზე (r).

ვინაიდან ფულის ფასზე ზემოქმედებას ახდენს ინფლაციის დონე ფული აწმყოში უფრო მეტი ღირს, ვიდრე მისი იგივე რაოდენობა მომავალში. აქედან გამომდინარე, საფინანსო ინსტიტუტები იყენებენ ფულის დროში შეფასების კონცეფციას.



PV-არის ფულის ერთეულის ინვესტირებით მომავალში მისაღები თანხები;
 FV-არის მომავალში მისაღები თანხების დღეს ინვესტირებული ფულის ერთეული.

PV = FV - საპროცენტო შემოსავალი

ე. ი. მიმდინარე ღირებულება (PV) რომ მივიღოთ, მომავალი ღირებულება (FV) უნდა შევამციროთ საპროცენტო შემოსავლით. ამ შემცირებას დისკონტირებას უწოდებენ. შესაბამისად, PV იგივე დისკონტირებული ღირებულებაა.

საპროცენტო შემოსავალი გაიანგარიშება მარტივი და რთული პროცენტით. მარტივი საპროცენტო განაკვეთი ისეთი საპროცენტო განაკვეთია, როდესაც პროცენტის დარიცხვა ხდება მხოლოდ ძირითად, ანუ ინვესტირებულ თანხაზე მთელი პერიოდის განმავლობაში.

მაგალითი

ინვესტირებულია 1000 ლარი 5 წლით 17%-იანი მოგების განაკვეთით:

ინვესტირებული თანხა PV	1000
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი $1000 \times 5 \times 0,17$	850
მომავალი ღირებულება FV	1850
ყოველწლიური საპროცენტო შემოსავალი $850:5$	170

რთული საპროცენტი განაკვეთი ისეთი საპროცენტო განაკვეთია, როდესაც პროცენტის დარიცხვა არა მხოლოდ ინვესტირებულ თანხაზე, არამედ წინა პერიოდში პროცენტების სახით დაგროვილ დარიცხულ თანხაზეც ხორციელდება.

წელი	მიმდინარე ღირებულება PV	მისაღები საპროცენტო შემოსავალი	მომავალი ღირებულება FV
1	1000	$1000 \times 0,17 = 170$	$1000 + 170 = 1170$
2	1170	$1170 \times 0,17 = 198,9$	$1170 + 198,9 = 1368,9$
3	1368,9	$1368,9 \times 0,17 = 232,71$	$1368,9 + 232,71 = 1601,61$
4	1601,61	$1601,61 \times 0,17 = 272,27$	$1601,61 + 272,27 = 1873,88$
5	1873,88	$1873,88 \times 0,17 = 318,56$	$1873,88 + 318,56 = \text{color: red; } 2192,44$
ჯამი	1000	1192,44	2192,44

ე. ი. ინვესტირებული თანხის (PV) 1000 ლარის მომავალი ღირებულება (FV) 5წლიანი ვადით (n) რთული 17%-იანი განაკვეთით (r) იქნება 2192,44 ლარი, ხოლო საპროცენტო შემოსავალი 1192,44 ლარი (2192,44-1000).

მათემატიკურად სპეციალური ცხრილების გამოყენებით (იხილეთ დანართები) გაანგარიშებები ხორციელდება ფორმულებით:

$$FV_{(n/r)} = PV \times (1+r)^n$$

$$PV_{(n/r)} = FV \times \frac{1}{(1+r)^n}$$

$\frac{1}{(1+r)^n}$ არის დისკონტირების კოეფიციენტი, რომლის მეშვეობითაც ხდება FV შეკვეცა და PV-ზე დაყვანა.

თუ ფულის ინვესტირება ხდება სხვადასხვა სიდიდით, ანუ რამდენიმე ძირითადი თანხით, რომელიც გადაიხდება რამდენიმე თანაბარი პერიოდის განმავლობაში, მაშინ ყოველ გადასახდელ ნაწილს დაერიცხება რთული პროცენტი. აქედან გამომდინარე, საპროცენტო თანხის გადახდა ან მიღება მოხდება ერთჯერადად ან მრავალჯერადად განსხვავებული პერიოდის განმავლობაში. თანხები, რომელთა გადახდაც ხდება ერთნაირი პერიოდულობით ანუიტეტად, ანუ ფინანსურ რენტად არის წოდებული. ყოველ გადასახდელ ნაწილს დაერიცხება პროცენტი ანუ ანუიტეტის გადასახდელი.

$$PVA = (1 - 1/(1+r)^n) : r$$

$$FVA = ((1+r)^n - 1) : r$$

ფულის დროითი ღირებულების კონცეფცია მრავალი ეკონომიკური ამოცანის გადასაწყვეტად გამოიყენება. ბუღალტრულ აღრიცხვაში ის საჭიროა აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად, საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღსარიცხავად.

მაგალითი

1. PV=1000 ლარი, n=3 წელი, r=15%

რამდენი იქნება სამი წლის საპროცენტო შემოსავალი?

ა) $FV(3,15) = PV \times (1+r)^n = 1000 \times 1,5209 = 1520,9$ ლარი

ბ) სამი წლის საპროცენტო შემოსავალი = $1520,9 - 1000 = 520,9$ ლარი

2. FV=7000 ლარი, n=5 წელი, r=17%

რას უდრის ხუთი წლის საპროცენტო შემოსავალი?

ა) $PV(5,17) = FV \times \frac{1}{(1+r)^n} = 7000 \times 0,4561 = 3192,7$ ლარი

ბ) ხუთი წლის საპროცენტო შემოსავალი = $7000 - 3192,7 = 3807,3$ ლარი.

3. ყოველთვე საიჯარო გადასახადი 600 ლარი, n=5 წელი, r=17%

რას უდრის მომავალში გადასახდელი თანხის მიმდინარე ღირებულება?

ა) ერთი წლის საიჯარო ქირა = $600 \times 12 = 7200$ ლარი

ბ) ხუთი წლის საიჯარო ქირა = $7200 \times 5 = 36000$

გ) $PVA(5,17) = 7200 \times 3,19935 = 23035$ ლარი

ე. ი. 36000 ლარის დისკონტირებული ღირებულება 23035 ლარია. აქედან გამომდინარე, მოიჯარის საპროცენტო ხარჯი 5 წლის განმავლობაში იქნება 12965 ლარი (36000-23035).

განმარტებითი შენიშვნები. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ფულისა და მათი ექვივალენტებისათვის უნდა აისახოს:

- ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შემადგენლობა;
- ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების ნაშთები, რომელიც ეკუთვნის ფირმას, მაგრამ მათი გამოყენება არ შეიძლება;
- საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგებში ვალუტის საკურსო სხვაობის სიდიდე;
- ინფომაცია საკონპენსაციო ნაშთების შესახებ.

თვითშეფასების კითხვარი:

1. განმარტით ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების არსი;
2. განმარტით როგორ ხდება სალაროს ოპერაციების ასახვა ბუღალტრულად;
3. განმარტით როგორ ხდება ანგარიშსწორება საკონტროლო-სალარო აპარატით;
4. განმარტით როგორ ხდება ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირთან;
5. განმარტით უნაღლო ანგარიშსწორების ფორმების არსი;
6. განმარტით როგორ ხდება ანგარიშსწორების ანგარიშზე ოპერაციების აღრიცხვა;
7. განმარტით როგორ ხდება ანგარიშსწორება საგადახდო დავალებით;
8. განმარტით როგორ ხდება ანგარიშსწორება აკრედიტივებით;
9. განმარტით როგორ ხდება ანგარიშსწორება ჩეკებით;
10. განმარტით როგორ ხდება ანგარიშსწორება საინკასო დავალებით;
11. განმარტით როგორ ხდება ანგარიშსწორება საკრედიტო ბარათებით;
12. განმარტით როგორ ხდება უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა;
13. განმარტით როგორ ხდება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების აღრიცხვა;
14. განმარტით რისთვის და როგორ გამოიყენება აღრიცხვაში ფულის დროითი ღირებულების კონცეფცია;
15. განმარტით რა აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ფულადი საშუალებების აღრიცხვასთან მიმართებაში.

ამოცანები

1. სავაჭრო ცენტრში ანგარიშსწორება შესაძლებელია საკრედიტო ბარათებით. ბანკის საკომისიო შედაგნს 2%-ს. ოპერაციები:
5/IV გაყიდვები ნაღდი ანგარიშსწორებით 12000 ლარი,
პლასტიკური ბარათებით 35200 ლარი.
6/IV ფირმის ანგარიშსწორების ანგარიშზე ბანკის მიერ ამონაგების ჩარიცხვა.
ასახეთ ოპერაციები ბურალტრულად.
2. 2014 წლის 15/XII შექმნილია \$35000 საქონელი ერთ თვეში განაღდების პირობით. უცხოური ვალუტის გასაცვლელი კურსი 15/XII \$1=1,80 ლარი; 31/XII \$1=2 ლარი, 2015 წლის

15/I \$1=1,75 ლარი.

ასახეთ ოპერაციები ბურალტრულად.

3. შესყიდვების მენეჯერის მივლინებაში გამგზავრებისას მისცეს \$4500 დოლარი. მივლინებიდან ჩამოსვლისას მან წარმოადგინა ანგარიში, რომლითაც დასტურდება \$4800 ხარჯის გაწევა. უცხოური ვალუტის გასაცვლელი კურსი გამგზავრებისას \$1=2,00 ლარი, დაბრუნებისას \$1=1,90 ლარი.

ასახეთ ოპერაციები ბურალტრულად და განსაზღვრეთ შესყიდვების მენეჯერთან საბოლოო ანგარიშსწორების მდგომარეობა.

4. 2014 წლის 20/XII გაიყიდა \$5000 საქონელი ერთ თვეში განადგობის პირობით. უცხოური ვალუტის გასაცვლელი კურსი 20/XII \$1=2,00 ლარი; 31/XII \$1=1,75 ლარი; 2015 წლის 20/I \$1=1,78 ლარი.

ასახეთ ოპერაციები ბულალტრულად.

5. ფირმამ ბანკს წარუდგინა ვალუტის კონვერტაციის დავალება: ანგარიშსწორების ანგარიშზე რიცხული თანხიდან შეიძინა \$1000 და ჩაერიცხა ფირმის სავალუტო ანგარიშზე. უცხოური ვალუტის თავისუფალი გასაცვლელი კურსი იმ მომენტისათვის იყ \$1=1,70 ლარი, ხოლო ოფიციალური გასაცვლელი კურსი \$1=1,90 ლარი.

ასახეთ ბულალტრულად ვალუტის კონვერტაციის ოპერაცია.

6. $PV=2000$ ლარი, $n=5$ წელი, $r=12\%$.

განსაზღვრეთ ხუთი წლის საპროცენტო შემოსავალი.

7. $FV=10000$ ლარი, $n=6$ წელი, $r=13\%$.

განსაზღვრეთ ექვსი წლის საპროცენტო შემოსავალი.


8. ფირმამ სადეპოზიტო ანგარიშზე ბანკში განათავსა 12670 ლარი და სამი წლის შემდეგ მიიღებს 17800 ლარს.

განსაზღვრეთ დისკონტირების კოეფიციენტი და ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი.

1.7 მოთხოვნების აღრიცხვა

მოთხოვნის წარმოქმნის საფუძვლები და კლასიფიკაცია. მოთხოვნა წარმოიქმნება საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის, სესხების გაცემის, გადახდილი ავანსებისა და სხვა ოპერაციების შედეგად, როდესაც ისინი ხორციელდება კრედიტით, ანუ შემდგომი გადახდის პირობით. სხვაგვარად მოთხოვნას დებიტორულ დავალიანებას უწოდებენ.

მოთხოვნის წარმოქმნის ციკლის სქემა



დაფარვის ვადების მიხედვით განასხვავებენ გრძელვადიან და მოკლევადიან, ანუ მიმდინარე მოთხოვნებს.

მოკლევადიანია მოთხოვნა თუ მისი დაფარვის ვადა არ აღემატება ერთ წელს ბალანსის შედგენიდან.

გრძელვადიანია მოთხოვნა, როდესაც მისი დაფარვის ვადა ბალანსის შედგენიდან აღემატება ერთ წელს.


ანგარიშთა გეგმაში მოთხოვნები დაჯგუფებულია შემდეგი ჯგუფების მიხედვით:

- 1400-მოკლევადიანი მოთხოვნები;
- 1500-მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები;
- 1800-დარიცხული მოთხოვნები;
- 2300-გრძელვადიანი მოთხოვნები.

მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა. მოკლევადიანი მოთხოვნები გამოირჩევა მრავალფეროვნებით. დარიცხვის მეთოდის შინაარსიდან გამომდინარე შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება პროდუქციის გაყიდვისთანავე ან მომსახურების გაწევისთანავე, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება მისი განაღდება. შესაბამისად, **კრედიტით რეალიზაცია და მომსახურების გაწევა** შეიძლება განხორციელდეს:

- ჩვეულებრივი წესით;
- ფასდათმობით;
- განვადებით;
- თამასუქით.

მოთხოვნების აღრიცხვის საპროცედურო სქემა



დებიტორული დავალიანების საკონტროლო ანგარიში

მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით

ანგარიში N1410

დებიტი	ლარი	კრედიტი	ლარი
01.01. საწყისი ნაშთი	X	2. ბანკი ან ნაღდი ფული (განაღდება)	x
1. რეალიზაცია	X	3. გაცემული ფასდათმობა	x
7. უიმედო ვალის აღდგენა	X	4. გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	x
		5. კრედიტორული დავალიანების ჩათვლა (კონტრა)	x
		6. უიმედო ვალის ხარჯად აღიარება	x
ბრუნვა	X	ბრუნვა	x
31.12 საბოლოო ნაშთი	X		

ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით მიწოდება ბუღალტრულად აისახება შემდეგნაირად:

დ-ტი 1210 ევრბ

ან

დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში

კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით

სავაჭრო მოთხოვნა შეიძლება წარმოიქმნას უცხოურ ვალუტაშიც, თუ ფირმა ყიდის უცხოური ვალუტით შეფასებულ საქონელსა და მომსახურებას, გასცემს სესხს უცხოურ ვალუტაში და ყიდის აქტივებს შეფასებულს უცხოური ვალუტით. ამასთან დაკავშირებით მასალა განხილულია **ნაწილში 1.6.**

მიწოდება ფასდათმობით გულისხმობს, რომ თუ მყიდველი ვადაზე ადრე გაანაღდებს დებიტორულ დავალიანებას, გამყიდველი შესთავაზებს მას ფასდათმობას. ანგარიშგაქტურაში ეს შეიძლება აისახოს შემდეგნაირად: 3/10, n/30, ანუ 10 დღეში განაღდებისას 3%-იანი ფასდათმობა; 30 დღეში განაღდებისას ფასდათმობის გარეშე.

ფასდათმობის პირობით განხორციელებული მიწოდება და მომსახურება აისახება **მთლიანი და წმინდა თანხების მეთოდით**. საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი.

2014 წლის 20 სექტემბერს კლიენტს მიეწოდა 10000 ლარის საქონელი 3/10, n/30 პირობით	
მთლიანი თანხის მეთოდით	წმინდა თანხის მეთოდით
1. საქონლის მიწოდება, ანუ მოთხოვნის (დებიტორული დავალიანების) წარმოქმნა	
დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწ. და მომს. 10000	დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწ. და მომს. 9700
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ. 10000	10000×0,97
	კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ. 9700
2. მოთხოვნის დაფარვა, ანუ დებიტორული დავალიანების განაღდება	
ა) ფასდათმობის გარეშე	ა) ფასდათმობით
დ-ტი 1210 ევრბ 10000	დ-ტი 1210 ევრბ 9700
კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწ. და მომს. 10000	კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწ. და მომს. 9700
ბ) ფასდათმობით	ბ) ფასდათმობის გარეშე
დ-ტი 1210 ევრბ 9700	დ-ტი 1210 ევრბ 10000
10000×0,97	კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწ. და მომს. 9700
დ-ტი 6120 გაყიდული საქ. დაბ. და ფას. 300	კ-ტი 6125 გამოუყენებელი ფასდ. 300
10000×0,03	10000×0,03
კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწ. და მომს. 1000	
3. რეალიზაციიდან შემოსავლის კორექტირება	
შემცირება	ზრდა
დ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ. 300	დ-ტი 6125 გამოუყენებელი ფასდათ. 300
კ-ტი 6120 გაყიდ. საქ. დაბრ. და ფასდ. 300	კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ. 300

მიწოდება უკან დაბრუნების პირობით. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საქონლის უკან დაბრუნება, მაშინ რეალიზაციიდან შემოსავლის (ამონაგების) აღიარება მოხდება ამ პირობის გათვალისწინებით.

ვთქვათ, გაიყიდა შემდგომი გადახდის პირობით 5000 ლარის საქონელი. მყიდველმა ხელშეკრულების თანხმად დაფარა დებიტორული დავალიანება, მაგრამ უკან დააბრუნა 100 ლარის საქონელი. აღნიშნული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულად მოხდება შემდეგნაირად:

1. საქონლის მიწოდება:

დ-ტი 1410 მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით	5000
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან	5000

2. დებიტორული დავალიანების განაღდება და საქონლის უკან დაბრუნება

დ-ტი 1210 ევრბ	4000
დ-ტი 6120 გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა	1000
კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	5000

3. შემოსავლის (ამონაგების) დაზუსტება (კორექტირება) კონტრა ჩანაწერით (შემცირება)

დ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან	1000
კ-ტი 6120 გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა	1000

გაყიდვა განვადებით. ამ შემთხვევაში მყიდველი იხდის პირველადი შესატანის სახით ღირებულების 20-25%-ს, ხოლო დანარჩენ თანხაზე ხდება გადავადება, რაც უნდა დაიფაროს დათქმულ ვადაში გარკვეული თანმიმდევრობით. გადავადებისათვის მყიდველი იხდის პროცენტს, რომელიც გამყიდველისათვის წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალს.

მაგალითი

განვადებით გაიყიდა 1000 ლარის ღირებულების ტელეფონი. პირველი შესატანი 25%-ია. დარჩენილი თანხა გადანაწილდება 5 თვეზე 10%-იანი განაკვეთით. ავსახოთ ოპერაციები ბურალტრულად.

1. საქონლის გაყიდვა განვადებით:

დ-ტი 1110 ნაღდი ფული სალაროში	250
1000×0,25	
დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	750
1000-250	
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან	1000

2. ყოველთვე მისაღები საპროცენტო თანხის შემოსავლად აღიარება:

დ-ტი 1820 მისაღები პროცენტები	15
750×0,10×1/5	
კ-ტი 8110 საპროცენტო შემოსავალი	15

3. ყოველთვე პროცენტის თანხისა და ძირითადი თანხის ნაწილის დაფარვა მყიდველის მიერ:

დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნული ვალუტით	165
კ-ტი 1820 მისაღები პროცენტები	15
კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	180
750:5	

ე. ი. მყიდველმა ხუთი თვის განმავლობაში უნდა გაანაღდოს 825 ლარი (165x5), მ. შ. ხუთი თვის პროცენტი 75 ლარი (15x5) და ძირითადი თანხა 750 ლარი.

დებიტორული-კრედიტორული დავალიანების ურთიერთჩათვლა. როდესაც ერთი საწარმო მეორისაგან კრედიტით ყიდულობს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს და იმავდროულად ყიდის მასზე სხვა სახის ფასეულობებს ან უწევს მომსახურებას წარმოიშვება როგორც დებიტორული, ისე კრედიტორული დავალიანება. თუ მათ შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებს ასეთი დავალიანებების ურთიერთჩათვლას ანუ კონტრას, მაშინ ბუღალტრულად ეს აისახება შემდეგნაირად:

დ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით

კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით

მაგალითი

ელექტრონული საქონლის სავაჭრო ცენტრმა ელექტრო გამანაწილებელ კომპანიას მიაწოდა 2000 ლარის ღირებულების კაბელი. სავაჭრო ცენტრს აქვს გადასახდელი კომპანიისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური 500 ლარი. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

1. სავაჭრო ცენტრის მიერ კაბელის გაყიდვა	
დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	2000
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან	2000
2. კომუნალური მომსახურების ხარჯის აღიარება:	
დ-ტი 7330 კომუნალური მომსახურება და კომუნიკ. ხარჯები	500
კ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით	500
3. შეთანხმებით დავალიანებების ურთიერთჩათვლა	
დ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით	500
კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	500
4. სავაჭრო ცენტრისათვის დარჩენილი თანხის განაღდება ელენერჯის გამანაწილებელი კომპანიის მიერ	
დ-ტი 1210 ევრბ	1500
კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	1500

უიმედო და საექვო მოთხოვნების აღრიცხვა. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც მყიდველი ვერ ანაღდებს გამყიდველის დებიტორულ დავალიანებას. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება ვალი, რომელიც შეიძლება იყოს უიმედო და საექვო.

უიმედო ვალი (მოთხოვნა), რომლის დაფარვის პირობები აღარ არსებობს და მისი მიღება შეუძლებელია სხვადასხვა გარემოებების გამო (მყიდველის გარდაცვალება, ქვეყნიდან გაქცევა და ა.შ.). უიმედო დებიტორული დავალიანება აღიარდება ხარჯად და ჩამოიწერება მოგება/ზარალის ანგარიშზე:

1. დ-ტი 7460 საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯები

კ-ტი 1410 მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით

2. დ-ტი 5330 საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი

კ-ტი 7460 საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯები

საექვო ვალი (მოთხოვნა), რომელსაც ფირმა ელოდება, მაგრამ მისი მიღება საექვოა. საექვო დებიტორული დავალიანება უნდა აღიარდეს ხარჯად, რითაც შემცირდება მოთხოვნების სიდიდე. ამისათვის, კრედიტით გაყიდული საქონლის დაუფარავი ნაწილისათვის გაინაგარიშება ანარიცხი, ანუ მოთხოვნის კორექტირების თანხა. ანარიცხი ორი სახისაა: კონკრეტული და საერთო.

კონკრეტული ანარიცხი დადგენილია ინდივიდუალურად, თითოეული მყიდველის გადახდისუნარიანობიდან გამომდინარე.

საერთო ანარიცხი, ანუ დებიტორული დავალიანების პროცენტი გვიჩვენებს გასული წლების მონაცემებზე დაყრდნობით მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში დებიტორული დავალიანების რამდენი % არ დაიფარება.

საექვო მოთხოვნის გაანგარიშება შესაძლებელია ორი მეთოდით:

ა) ნეტო რეალიზაციიდან პროცენტის გამოთვლით. ნეტო რეალიზაციაში არ შედის ფასდათმობა და უკან დაბრუნებული საქონლის ღირებულება.

ბ) დებიტორული დავალიანების ანალიზის ანუ გადახდის ვადების მიხედვით ანგარიშების დაჯგუფების მეთოდით. აშშ-ში ამ მეთოდს უწოდებენ გადახდის ვადების მიხედვით მისაღები ანგარიშების რანჟირების მეთოდს.

ნეტო რეალიზაციიდან პროცენტი გამოითვლება შემდეგნაირად:

თუ ვიცით წლების მიხედვით ვალის გადაუხდელობით დანაკარგების %-ი, შესაძლებელია საშუალო %-ის გაანგარიშება.

მაგალითი

2011 წლის ვალის გადაუხდელობით დანაკარგების პროცენტი 3,33

2012 წელს - 2,38%

2013 წელს - 2,00%.

მაშინ საშუალოდ ნეტო კრედიტით რეალიზაციის 2,6%-ია გადაუხდელი - $(3,33+2,38+2,00)/3$.

თუ ნეტო სარეალიზაციო ღირებულება 395000 ლარია, მაშინ საექვო მოთხოვნა 10270 ლარია ($395000 \times 2,6$). მიღებული თანხა 10270 ლარი შევა მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, როგორც საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი, ხოლო ბალანსში მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით იქნება 384730 ლარი ($395000 - 10270$).

რანჟირების მეთოდის დროს ანგარიშების დაჯგუფების ანალიზი გადაუხდელობის ვადების მიხედვით გვიჩვენებს, რომ რაც მეტად არის გადახდის ვადა გადაცილებული, მით უფრო მაღალია ანგარიშების გაუნაღდელობის ალბათობა.

საექვო მოთხოვნების აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიში 1415 საექვო მოთხოვნების ანარიცხები (კორექტირება), რომელიც მარეგულირებელი კონტრაქტიური ანგარიშია, თავისი ბუნებით პასიური. ეს ანგარიში კონტრაქტიურია ანგარიშისა 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით.

1. თუ ანარიცხები პირველად იქმნება, მაშინ, კორექტირების საწყისი ნაშთის წარმოქმნა აისახება გატარებით:

დ-ტი 7460 საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯები

კ-ტი 1415 საექვო მოთხოვნების ანარიცხები

2. ხოლო, უიმედო ვალის ჩამოწერა ანარიცხების ანგარიშზე გატარდება:

დ-ტი 1415 საექვო მოთხოვნების ანარიცხები

კ-ტი 1410 მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით.

მაგალითი

2013 წლის 1/I ფირმას დებიტორული დავალიანების ანგარიშზე ჰქონდა 10000 ლარის ნაშთი, ხოლო საექვო მოთხოვნების ანარიცხების ანგარიშზე 800 ლარი.

2013 წელს ფირმამ კრედიტით გაყიდა 40000 ლარის ღირებულების საქონელი, მყიდველისაგან ვალის დასაფარავდ მიიღო 20000 ლარი. მოთხოვნების ნაშთის 4% საექვოა.

2014 წელს ფირმამ კრედიტით გაყიდა 50000 ლარის ღირებულების საქონელი, მყიდველისაგან კი მიიღო 55000 ლარი, მოთხოვნის ნაშთის 4% საექვოა.

მოახდინეთ საექვო მოთხოვნების გაანგარიშება და მათი ბუღალტრულად ასახვა.

მოთხ. მიწ. და მომს. N1410				საექვო მოთხ. ანარიცხები N1415			
დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი	დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
2013წ. 01/I	10000	განაღდება	20000			2013წ. 01/I	800
რეალიზაცია	40000					უიმედო საექვ. მოთხ. ხარჯები	400
ბრუნვა	40000	ბრუნვა	20000	ბრუნვა	-	ბრუნვა	400
2013წ.31/XII	30000					2013წ.31/XII	1200

$30000 \times 0,04$

როგორც ვხედავთ, საექვო მოთხოვნების ანარიცხების ნაშთი 1415 ანგარიშზე 2013 წლის 31/XII მდგომარეობით გაიზარდა 400 ლარით (1200-800), რაც წარმოადგენს ხარჯს და ამ ანგარიშიდან უნდა ჩამოიწეროს 7460 ანგარიშზე გატარებით:

- დ-ტი 7460 საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯები 400
- კ-ტი 1415 საექვო მოთხოვნების ანარიცხები (კორექტორება) 400

შესაბამისად, 2013 წლის 31/XII მდგომარეობით მომზადებულ ბუღალტრულ ბალანსში მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით იქნება 28800 ლარი (30000-1200), ხოლო მოგება/ზარალის ანგარიშგებაში საექვო და უიმედო მოთხოვნების ხარჯი-400 ლარი.

ანგარიში 1410 (გაგრძელება)				ანგარიში 1415 (გაგრძელება)			
დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი	დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
2014წ. 01/I	30000	განაღდება	55000	სხვა საოპ. შემ.	200	2014წ. 01/I	1200
რეალიზაცია	50000						
ბრუნვა	50000	ბრუნვა	55000	ბრუნვა	200	ბრუნვა	-
2014წ. 31/XII	25000					2014წ. 31/XII	1000

$25000 \times 0,04$

როგორც ვხედავთ, საექვო მოთხოვნების ანარიცხების ნაშთი 1415 ანგარიშზე 2014 წლის 31/XII მდგომარეობით შემცირდა 200 ლარით (1000-1200), რაც წარმოადგენს სხვა საოპერაციო შემოსავალს და ამ ანგარიშიდან უნდა ჩამოიწეროს 6190 ანგარიშზე გატარებით:

დ-ტი 1415 საექვო მოთხოვნების ანარიცხები	200
კ-ტი 6190 სხვა საოპერაციო შემოსავალი	200

შესაბამისად, 2014 წლის 31/XII მდგომარეობით მომზადებულ ბუღალტრულ ბალანსში მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით 24000 ლარია (25000-1000), ხოლო მოგება/ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო შემოსავალი 200 ლარი.

ჩამოწერილი უიმედო დებიტორული დავალიანება შესაძლოა გადახდილ იქნეს სრულად ან ნაწილობრივ. ამისათვის საჭიროა მოხდეს დებიტორული დავალიანების აღდგენა და მისი დაფარვის ასახვა. დებიტორული დავალიანების აღდგენა მოხდება ფულის მიღების შემდეგ და გატარდება შემდეგნაირად:

- ა) დ-ტი 1210 ევრბ
 - კ-ტი 1410 მოთხოვნები მიწოდებით და მომსახურებით (აღდგენილი მოთხოვნა)
- ბ) დ-ტი 1410 მოთხოვნები მიწოდებით და მოსამხურებით (აღდგენილი მოთხოვნა)
 - კ-ტი 1415 საექვო მოთხოვნების ანარიცხები

სათამასუქო და სასესხო მოთხოვნების აღრიცხვა. მოთხოვნის განსაკუთრებული სახეა სათამასუქო მოთხოვნა. **თამასუქი გადამხდელის წერილობითი ვალდებულებაა მოთხოვნისთანავე ან დათქმულ ვადაში გადაიხადოს განსაზღვრული თანხა.** მარტივი (სოლო) თამასუქი გადახდის დაპირებაა, რომელშიც მონაწილეობს ორი მხარე თამასუქის გამცემი და თამასუქის მიმღები, ანუ მფლობელი. გადასაპირებელი ანუ ტრატა თამასუქი არის საგადასახადო დავალება, რომელსაც ადგენს კრედიტორი (თამასუქის მფლობელი) გადამხდელისადმი (თამასუქის გამცემი) დათქმულ ვადაში გადაუხადოს განსაზღვრული თანხა მესამე პირს-თამასუქის წარმომდგენს.

თამასუქის რეკვიზიტებია: დასახელება, ნომინალი, გაცემის და დაფარვის თარიღები, საპროცენტო განაკვეთი, რემიტენტი (მესამე პირი), თამასუქის გამცემი და მისი ხელმოწერა, თამასუქის ვადა, დაფარვის თანხა, აღრიცხულ თამასუქზე გასანაღდებელი თანხა, სააღრიცხვო ანუ დისკონტის განაკვეთი, სესხის პროცენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ პროცენტთან თამასუქთან ერთად არსებობს **უპროცენტო თამასუქიც.** თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მასზე პროცენტის გადახდა არ წარმოებს. უბრალოდ პროცენტი თამასუქის ნომინალშია გათვალისწინებული. ამიტომ, უპროცენტო თამასუქს დისკონტირებულ თამასუქსაც უწოდებენ.

მაგალითი

1. მიღებულია თამასუქი სამი თვის ვადით, ნომინალი 3000 ლარია, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 12%.

მისაღები პროცენტი, ანუ საპროცენტო შემოსავალი = $3000 \times 0,12 \times 3 / 12 = 90$ ლარი.

ე. ი. პროცენტის სიდიდე დამოკიდებულია: თამასუქის ნომინალზე, საპროცენტო განაკვეთსა და ვადაზე.

თამასუქზე გასანაღდებელი თანხა = $3000 + 90 = 3090$ ლარი.

2. თუ თამასუქის ვადა 60 დღეა, მაშინ

მისაღები პროცენტები = $3000 \times 0,12 \times 60 / 365 = 59$ ლარი

თამასუქზე გასანაღდებელი თანხა = $3000 + 59 = 3059$ ლარი.

სათამასუქო მოთხოვნების აღრიცხვა წარმოებს ანგარიშებზე:
 1510-მიღებული მოკლევადიანი თამასუქი;
 1520-მიღებული გრძელვადიანი თამასუქის მიმდინარე ნაწილი;
 1820-მისაღები პროცენტები.

მაგალითი

თამასუქის მიმღებმა მოახდინა თამასუქის აღრიცხვა ბანკში (გადაპირება). ნომინალი 4000 ლარია, დაფარვის ვადა 50 დღე, საპროცენტო განაკვეთი 12%, დისკონტის განაკვეთი 15%. დისკონტირება მოხდა თამასუქის გაცემიდან 18 დღის შემდეგ.

ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

1. თამასუქზე გასანადღებელი თანხა= $4000+(4000 \times 0,12 \times 50/365)=4000+66=4066$ ლარი

2. დისკონტის თანხა= $4066 \times 0,15 \times 50 - 18/365=53$ ლარი (რჩება ბანკს)

3. აღრიცხულ თამასუქზე გადასახდელი თანხა= $4066-53=4013$ ლარი (ეკუთვნის თამასუქის წარმომდგენს, ანუ მფლობელს)

4. აღნიშნული ოპერაცია ანგარიშებზე აისახება შემდეგნაირად:

დ-ტი 1210 ევრბ	4013
დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი(თამასუქის სააღრიცხვო ფასი)	53
კ-ტი 8110 საპროცენტო შემოსავალი	66
$4066-4000$	
კ-ტი 1510 მიღებული მოკლევადიანი თამასუქი	4000
ე. ი. თამასუქზე მიღებული რეალური შემოსავალი 13 ლარია (66-53)	

თამასუქი შეიძლება მიღებულ იქნეს გაცემული სესხის ან აქტივების სანაცვლოდ. ამით მოხდება ჩვეულებრივი დებიტორული დავალიანების სათამასუქო მოთხოვნად გარდაქმნა.

მაგალითი

მყიდველისაგან 2014 წლის 1/VII მიღებულია თამასუქი 5000 ლარის დებიტორული დავალიანების დასაფარავად. საპროცენტო განაკვეთი 10%. პროცენტი გადაიხდება ყოველი თვის ბოლოს, ხოლო თამასუქის დაფარვის ვადაა 2014 წლის 31/XII.

ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

1. დებიტორული დავალიანების გარდაქმნა სათამასუქო მოთხოვნად.

დ-ტი 1510 მიღებული მოკლევადიანი თამასუქი	5000
კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	5000

2. ივლისის თვის საპროცენტო შემოსავლის აღიარება.

დ-ტი 1820 მისაღები პროცენტები	42
$5000 \times 0,10 \times 1/12$	
კ-ტი 8110 საპროცენტო შემოსავალი	42

3. ივლისის ბოლოს საპროცენტო თანხის ჩარიცხვა

დ-ტი 1210 ევრბ	42
კ-ტი 1820 მისაღები პროცენტები	42

და ა.შ. ყოველთვე წლის ბოლომდე

4. წლის ბოლოს 31/XII თამასუქის განადგება და დეკემბრის საპროცენტო თანხის მიღება

დ-ტი 1210 ევრბ	5042
კ-ტი 1510 მიღებული მოკლევადიანი თამასუქი	5000
კ-ტი 1820 მისაღები პროცენტები	42

თუ თამასუქი მიიღება გაცემული აქტივისათვის, მაშინ თამასუქის მიმღები ოპერაციას ასახავს როგორც აქტივის რეალიზაციას

დ-ტი 1510 მიღებული მოკლევადიანი თამასუქი

კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან

ამ შემთხვევაში აქტივის ღირებულება თამასუქის ნომინალური ღირებულების ტოლია, ხოლო საპროცენტო შემოსავლის აღიარება გატარდება

დ-ტი 1820 მისაღები პროცენტები

კ-ტი 8110 საპროცენტო შემოსავალი

დარიცხული და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა. დარიცხული მოთხოვნა ნიშნავს **გამომუშაებულ, მაგრამ მიუღებელ შემოსავალს.** დარიცხული მოთხოვნების აღრიცხვა ხორციელდება შემდეგ ანგარიშებზე:

1810-მისაღები დივიდენდები;

1820-მისაღები პროცენტები;

1890-სხვა დარიცხული მოთხოვნები.

მისაღები პროცენტების აღრიცხვა ჩვენ უკვე განვიხილეთ ამ გვერდზე მოცემულ ამოცანაში.

სხვა დანარჩენი დარიცხული მოთხოვნების ასახვა მოხდება შემდეგნაირად:

1. ა) დივიდენდის დარიცხვა გატარდება:

დ-ტი 1810 მისაღები დივიდენდები

კ-ტი 8120 დივიდენდები

ბ) დივიდენდის მიღება გატარდება:

დ-ტი 1210 ევრბ

კ-ტი 1810 მისაღები დივიდენდები

2. ა) პარტნიორებზე სესხის გაცემა გატარდება:

დ-ტი 1450 მოთხოვნები გაცემულ სესხებზე

კ-ტი 1210 ევრბ

ბ) სესხის დაბრუნება გატარდება:

დ-ტი 1210 ევრბ

კ-ტი 1450 მოთხოვნები გაცემულ სესხებზე

3. ა) მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი გატარდება:

დ-ტი 1480 გადახდილი ავანსები

კ-ტი 1210 ევრბ

ბ) მომწოდებლის მიერ ვალდებულების სრულად შესრულება გატარდება:

დ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კ-ტი 1480 გადახდილი ავანსები

4. ა) ფირმის მუშაკებზე საქონლის განვადებით მიყიდვა გატარდება:

დ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ

კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან

ბ) მუშაკის მიერ დავალიანების დაფარვა გატარდება:

დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში

კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ.

გრძელვადიანი მოთხოვნების აღრიცხვა. გრძელვადიანი მოთხოვნების ჯგუფს მიეკუთვნება შემდეგი ძირითადი ანგარიშები:

2310-მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე/თამასუქებზე;

2330-მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე;

2390-სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები.

გრძელვადიანი თამასუქების აღრიცხვა ხორციელდება მოკლევადიანის მსგავსად.

მაგალითი

2014 წლის 1/I მიღებულია მარტივი (სოლო) თამასუქი პარტნიორზე გაცემულ სესხებზე. თამასუქის ნომინალი 60000 ლარია, საპროცენტო განაკვეთი 12%, ვადა 3 წელი. საპროცენტო თანხა მისაღებია ყოველი წლის ბოლოს.

ავსახოთ ბუღალტრულად პირველი წლის ოპერაციები:

1. თამასუქის მიღება

დ-ტი 2310 მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე/თამასუქებზე 60000

კ-ტი 1210 ევრბ 60000

2. ყოველთვე საპროცენტო შემოსავლის აღიარება

დ-ტი 1820 მისაღები პროცენტები 600
 $60000 \times 0,12 \times 1/12$

კ-ტი 8110 საპროცენტო შემოსავალი 600

3. პირველი წლის ბოლოს საპროცენტო თანხის მიღება

დ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 7200
 600×12

კ-ტი 1820 მისაღები პროცენტები 7200

მაგალითი

2014 წლის 1/I მიღებულია მარტივი (სოლო) თამასუქი 25000 ლარის ნომინალით, 10%-იანი განაკვეთით, 2 წლის ვადით. 200 დღის შემდეგ თამასუქის მიმღებმა (მფლობელმა) მოახდინა თამასუქის აღრიცხვა ბანკში სესხის მისაღებად. ბანკის სარგებელი, ანუ დისკონტირებული თანხა გასანადღებელი თანხის 12%-ია.

ავსახოთ გადაპირების ოპერაცია ბუღალტრულად:

1. თამასუქის მფლობელის კუთვნილი გასანადღებელი თანხა 2 წლის შემდეგ გადაპირებამდე = $25000 \times (1+0,1)^2 = 25000 \times 1,21 = 30250$ ლარი;

2. დისკონტის თანხა = $30250 \times 0,12 \times 730 - 200/365 \times 2 = 2636$ ლარი.

3. ბანკის მიერ თამასუქის მფლობელზე გადასახდელი თანხა = $30250 - 2636 = 27614$ ლარი;

4. თამასუქის გადაპირების ასახვა

დ-ტი 1210 ევრბ	27614
დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი (თამასუქის სააღრიცხვო ხარჯი)	2636
კ-ტი 8110 საპროცენტო შემოსავალი 30250-25000	5250
კ-ტი 2310 მოთხოვნები გრძელვადიან სესხებზე/თამასუქებზე	25000
ე. ი. თამასუქზე მიღებული რეალური შემოსავალი 2614 ლარია (5250-2636)	

გრძელვადიანი მოთხოვნებიდან უმნიშვნელოვანესია მოთხოვნები **საწესდებო კაპიტალის შევსებაზე**, რომელიც წარმოიქმნება საწესდებო კაპიტალში **პარტნიორების მიერ შეუტანელი წილით**. ოპერაცია ბუღალტრულად აისახება შემდეგნაირად:

1. დ-ტი 2330 მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე

კ-ტი 5150 საწესდებო კაპიტალი

2. მოთხოვნის დაფარვა შესაძლებელია ფულით ან აქტივების შეტანით:

დ-ტი 1210 ევრბ

დ-ტი 2100 ძირითადი საშუალებები

კ-ტი 2330 მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე.

განმარტებითი შენიშვნები. მოთხოვნების განმარტებებში დეტალურად უნდა აისახოს:

- სავაჭრო მისაღები ანგარიშები, მათ შორის სათამასუქო მოთხოვნები;
- საწარმოთა ჯგუფის სხვა წევრებისაგან მისაღები მოთხოვნები;
- შვილობილი და მეკავშირე საწარმოების მოთხოვნები;
- დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები მოთხოვნები;
- გადახდილი ავანსები;
- დანარჩენი მოთხოვნები.

თვითშეფასების კითხვარი:

1. განმარტეთ მოთხოვნის წარმოქმნის საფუძვლები და მათი კლასიფიკაცია;
2. განმარტეთ როგორ ხორციელდება მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა;
3. განმარტეთ დებიტორული დავალიანების საკონტროლო ანგარიშის აგებულება;
4. განმარტეთ როგორ ხდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით მიწოდების აღრიცხვა;
5. განმარტეთ როგორ ხდება ფასდათმობით მიწოდების აღრიცხვა;
6. განმარტეთ როგორ ხდება უკან დაბრუნების პირობით მიწოდების აღრიცხვა;
7. განმარტეთ როგორ ხდება განვადებით გაყიდვის აღრიცხვა;
8. განმარტეთ როგორ ხდება დებიტორული-კრედიტორული დავალიანების ურთიერთჩათვლა;
9. განმარტეთ უიმედო და საეჭვო მოთხოვნების არსი;
10. განმარტეთ როგორ ხდება უიმედო მოთხოვნის აღიარება და ჩამოწერა;
11. განმარტეთ კონკრეტული და საერთო ანარიცხების არსი;
12. განმარტეთ საეჭვო მოთხოვნების გაანგარიშების მეთოდების არსი;
13. განმარტეთ როგორ აისახება საეჭვო მოთხოვნების თავდაპირველი საწყისი ნაშთი;

14. განმარტეთ როგორ ხდება სათამასუქო და სასესხო მოთხოვნების აღრიცხვა;
15. განმარტეთ როგორ ხდება დარცხული და მოკლევადიანი მოთხოვნების აღრიცხვა;
16. განმარტეთ როგორ ხდება გრძელვადიანი მოთხოვნების აღრიცხვა;
17. განმარტეთ რა აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მოთხოვნების აღრიცხვასთან მიმართებაში.

ამოცანები

1. დებიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი 25700 ლარია. კრედიტით გაყიდვები 57300 ლარი, გაცემული ფასდათმობა 2700 ლარი, უიმედო დებიტორული დავალიანების ჩამოწერა 1650 ლარი, 900 ლარის საქონლის უკან დაბრუნება. დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი 27750, რომლის 2% საექვოა.

განსაზღვრეთ დებიტორებისაგან მისაღები თანხა.

2. 31/X ფირმამ კრედიტით გაყიდა 25000 ლარის საქონელი 4/10, n/60 პირობით.

ასახეთ ოპერაცია ბუღალტრულ ანგარიშებზე მთლიანი და წმინდა თანხის მეთოდით.

3. 25/XII კრედიტით გაყიდულია \$20000 საქონელი ერთ თვეში განაღდების პირობით. ვალუტის გასაცვლელი კურსი:

25/XII \$1=1,40 ლარი;

31/XII \$1=1,50 ლარი;

25/I \$1=1,45 ლარი.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრულად.

4. 2013 წლის 1/I დებიტორული დავალიანების ნაშთი 32000 ლარია, საექვო მოთხოვნების ანარიცხებისა 960 ლარი.

2013 წლის ოპერაციები:

- კრედიტით რეალიზაცია 55000 ლარი;
- განაღდება 71000 ლარი;
- გაცემული ფასდათმობა 15000 ლარი;
- საექვოა მოთხოვნების 3%.

2014 წლის ოპერაციები:

- კრედიტით რეალიზაცია 76000 ლარი;
- განაღდება 62000 ლარი;
- კონტრათი დაფარულია 2000 ლარი;
- უკან დაბრუნებულია 8500 ლარის საქონელი;
- საექვოა მოთხოვნების 4%.

ასახეთ ბუღალტრულად ოპერაციები.

5. თამასუქის მფლობელმა მოახდინა თამასუქის აღრიცხვა ბანკში, თამასუქის გადაცემიდან 26 დღის შემდეგ. თამასუქის ნომინალი 8000 ლარი, საპროცენტო განაკვეთი 14%, დისკონტის განაკვეთი 16%.

ასახეთ თამასუქის გადაპირების ოპერაცია.

6. შესყიდვების მენეჯერს მივლინებაში გამგზავრების წინ ჩაერიცხა პირად ანგარიშზე €1500. მივლინებიდან დაბრუნების შემდგომ მან წარმოადგინა დოკუმენტურად დადასტურებული €1300 ხარჯის საბუთები. ვალუტის გაცვლითი კურსი გამგზავრებისას €1=3,0 ლარი, დაბრუნებისას €1=3,30 ლარი.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრულად.

7. 2014 წლის 1/X ფირმამ ბანკში სადეპოზიტო (ანაბარი) ანგარიშზე შეიტანა 30000 ლარი 6 თვის ვადით 12%-იანი წლიური განაკვეთით. ფირმამ პროცენტი უნდა მიიღოს ყოველთვე, ხოლო 2015 წლის 30/III-ძირითადი თანხა.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრულად.

8. 2014 წლის 1/V ფირმამ პარტნიორზე გასცა სამწლიანი სესხი 27000 ლარი, წლიური 18%-იანი განაკვეთით. სესხის დაფარვა დაიწყება 2015 წლის 1/V-დან თანაბარი ნაწილებით.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრულად.

1.8 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა


სასაქონლო მატერიალური ფასეულობების არსი და კლასიფიკაცია. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა წარმოებს ბასს-2 „სასაქონლო მატერიალური ფასეულობების“ მიხედვით. ბასს-2-ის თანახმად, სასაქონლო მატერიალური ფასეულობები ისეთი მიმდინარე აქტივებია, რომლებიც:

- გათვალისწინებული გასაყიდად-საქონელი, მზა პროდუქცია;
- მონაწილეობენ წარმოების პროცესში და გათვალისწინებულია გასაყიდად-დაუმთავრებელი წარმოება, საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები;
- გათვალისწინებულია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად-ნედლეული და მასალა, სათბობი, სათადარიგო ნაწილები, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები, მცირეფასიანი და სწრაფგვეთადი საგნები, ტარა და ტარამასალები და სხვ.

ჩამოთვლილი მუხლების არსი განხილული გვაქვს **ნაწილში 1.2.**

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოადგენს ფირმის საკუთრებას (ქონებას) მატერიალური აქტივების სახით და გათვალისწინებულია შემოსავლების მისაღებად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება. ბასს-2-ის მიხედვით სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შეფასება შემენის დროს ხდება თვითღირებულებით პირველადი დოკუმენტების საფუძველზე (ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, და სხვ) მომწოდებელსა და მყიდველს შორის დადებული გარიგების თანახმად.



სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემენის დანახარჯებში არ შეიტანება:

- უკან დაბრუნებადი გადასახადები (აქციზი, დღგ);
- სავაჭრო დათმობა;
- სავაჭრო დანამატი;
- და სხვა.

მაგალითი

ფირმამ შეიძინა 8000 ლარის აქციური საქონელი. აქციზი შეადგენს 1200 ლარს. დღგ-1440 ლარს. ფირმა რეგისტრირებულია ამ გადასახადების გადამხდელად.

ვინაიდან აქციზი და დღგ უკან დასაბრუნებელი გადასახადებია, მათი სიდიდე არ შევა შემენილი საქონლის თვითღირებულებაში. ე. ი. საქონლის თვითღირებულება იქნება 8000 ლარი, თუმცა ფირმას საქონლის შემენაში გადასახდელი აქვს 10640 ლარი (8000+1200+1440).

უცხოელი მომწოდებლისაგან შემენილია \$2000 საქონელი, ტრანსპორტირების ხარჯებმა 900 ლარი შეადგინა, განბაჟების დღეს \$1=2,3 ლარი იყო, საბაჟო გადასახადი 12%.

შემენილი საქონლის თვითღირებულება=\$2000×2,3+900+(4600+900)×0,12=6160 ლარი

პროდუქციის წარმოებისას შემენის დანახარჯებს (პირვანდელ თვითღირებულებას) ემატება გადამუშავების, ანუ კონვერსიის დანახარჯები და წარმოიქმნება მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება. პირდაპირი მასალა და პირდაპირი ხელფასი ჩაირთვება მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებაში პირდაპირი გზით, განაწილების გარეშე. ხოლო საწარმოო ზედნადები დანახარჯები (მუდმივი და ცვლადი) დაეწერება მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებას განაწილების გზით არჩეული ბაზის პროპორციულად (დახარჯული კვტსთ, მანქანასაათები, ფართობი და სხვა). საწარმოო ზედნადები დანახარჯების შემადგენლობაში შედის:

- არაპირდაპირი მასალა და არაპირდაპირი ხელფასი. ისინი ცვლადი ხარჯებია, ვინაიდან მათი სიდიდე იცვლება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის ცვლილების პროპორციულად;

- ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები, წარმოების მართვისა და შენახვის ხარჯები, საწარმოო შენობებისა და მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის ხარჯები. ისინი მუდმივი ხარჯებია, ვინაიდან მათი სიდიდე არ იცვლება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თუ პროდუქციის რაოდენობა იზრდება მთლიანი მუდმივი ხარჯი უცვლელი რჩება, მაგრამ პროდუქციის ერთეულზე მცირდება და პირიქით.

მაგალითი

ფირმაში წარმოებულია ერთი სახის 3000 ერთეული პროდუქცია. გაწეული დანახარჯები საანგარიშგებო პერიოდში შეადგენს:

	ლარი
პირდაპირი დანახარჯები:	
პირდაპირი მასალა	6200
პირდაპირი ხელფასი	10000
სულ პირდაპირი დანახარჯები	16200
ცვლადი საწარმოო ზედნადები დანახარჯები:	
არაპირდაპირი მასალა	1000
არაპირდაპირი ხელფასი	3000
მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯები:	
საწარმოო შენობებისა და მოწყ. ცვეთა	1500
მოწყობილობის ექსპლუატაციის დანახარჯები	2000
სხვა საწარმოო ზედნადები დანახარჯები	800
სულ საწარმოო ზედნადები დანახარჯები	8300
მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება	24500
პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება	8,17
24500:3000	

ბუღალტრულ ბალანსში ასახვის მიზნით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, ბასს 2-ის თანახმად, უნდა შეფასდეს თვითღირებულებასა და ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც ფირმა მოელის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაყიდვის შემდეგ, ანუ შეფასებით გასაყიდ ფასს აკლდება მარკეტინგის, გაყიდვისა და დისტრიბუციის დანახარჯები.

მაგალითი

ფირმა აწარმოებს და ყიდის ორი დასახელების პროდუქტს A პროდუქტსა და B პროდუქტს. საანგარიშგებო პერიოდის ინფორმაცია:


მარაგი	A	B
ერთეულის საწარმოო თვითღირებულება (ლარი)	11	18
ერთეულის შეფასებითი გასაყიდი ფასი (ლარი)	15	22
რეალიზაციის ხარჯები (ლარი)	2	6
მარაგის სიდიდე (ცალი)	80	120

განვსაზღვროთ რა თანხით აისახება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ბალანსში.

მარაგი	შეფასება საწარმოო თვითღირებულებით	შეფასება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით	ბალანსში აისახება
A	$80 \times 11 = 880$	$80 \times (15 - 2) = 1040$	880
B	$120 \times 18 = 2160$	$120 \times (22 - 6) = 1920$	1920
ჯამი	3040	2960	2800

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდები. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები მუდმივ მოძრაობაშია. აქედან გამომდინარე, პრაქტიკაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გასული (დახარჯული) და ნაშთად დარჩენილი მარაგის თვითღირებულების განსაზღვრას.

ბასს 2-ით დადგენილია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრის სამი მეთოდი:



იდენტიფიცირებული ფასების მეთოდი გამოიყენება სპეციალური დანიშნულების საქონლისა და მომსახურების, გარდა ამისა იმ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გასაანგარიშებლად, რომლებიც არ არიან ურთიერთშემცვლელნი (საიუველირო ნაწარმი, ანტიკვრიატი). ამ შემთხვევაში ფირმა თვითონ ირჩევს რომელი ფასეულობა გაყიდოს თვითღირებულებაზე მაღალი ფასით და პირიქით, რაც გავლენას მოახდენს მის შემოსავალზე.

საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი ემყარება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შეძენილი ან წარმოებული მარაგის საშუალო შეწონილ თვითღირებულებას და გაინაგარიშება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned}
 &\text{მარაგის ერთეულის საშუალო შეწონილი ღირებულება} = \frac{\text{მარაგის ღირებულება პერიოდის დასაწყისში}}{\text{მარაგის რაოდენობა პერიოდის დასაწყისში}} + \frac{\text{შესყიდული მარაგის ღირებულება}}{\text{შესყიდული მარაგის რაოდენობა}}
 \end{aligned}$$

საშუალო შეწონილი ღირებულება იძლევა მარაგის მდგომარეობისა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ობიექტურ სურათს.

ფიფო მეთოდი (პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში) გამოიყენება დაბალი ინფლაციის პირობებში და ემყარება კონცეფციას: გაყიდული (დახარჯული) მარაგი ფასდება თავდაპირველი შესყიდვებით ამოწურვამდე(↓), ხოლო ნაშთად დარჩენილი ფასდება ბოლო შესყიდვებით(↑). ფასების მუდმივი ზრდის პირობებში ფიფო მეთოდი იძლევა მაღალი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, ვინაიდან პირველად შეძენილ ფასეულობებს აქვთ უფრო დაბალი ფასი. შესაბამისად, ამით რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დაბალია, ხოლო შემოსავალი რეალიზაციიდან მაღალი.

მაგალითი

ფირმაში 2014 წლის 1/V მდგომარეობით საქონლის ნაშთი შეადგენს 100 კგ→2,20 ლარი/კგ.

მაისის თვეში განხორციელდა:

შესყიდვები:

5/V - 300კგ → 2,00 ლარი/კგ;

10/V – 500კგ → 2,50 ლარი/კგ;

25/V – 200კგ → 3,00 ლარი/კგ;

გაიყიდა:

8/V 320 კგ;

11/V 370 კგ

შემოსავალი რეალიზაციიდან განისაზღვრა 4000 ლარით.

განსაზღვრეთ დაარჯული და ნაშთად დარჩენილი მარაგის თვითღირებულება ფიფო და საშუალო შეწონილი მეთოდებით. დაადგინეთ მათი გავლენა ფირმის ფინანსურ შედეგზე.

1. საქონლის თვითღირებულების გაანგარიშება ფიფო მეთოდით:

თარიღი 2014		მარაგის მოძრაობა	თვითღირებულების გაანგარიშება ფიფო მეთოდით	ლარი
თვე	რიცხვი			
V	01	საწყისი ნაშთი 100	100×2,20	220
V	05	შესყიდვა 300	300×2,00	600
V	05	ნაშთი 400		820
V	08	გაყიდვა (320)	100×2,20+220×2,00	(660) ↓
V	08	ნაშთი 80	80×2,00 →	160 ↓
V	10	შესყიდვა 500	500×2,50	1250
V	10	ნაშთი 580		1410
V	11	გაყიდვა (370)	80×2,00+290×2,5	(885) ↓
V	11	ნაშთი 210	210×2,50 →	525 ↓
V	25	შესყიდვა 200	200×3,00	600
V	25	ნაშთი 410		1125

ე. ი. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 1545 ლარია (660+885),
ნაშთად დარჩენილი საქონლის თვითღირებულება კი 1125 ლარია.

2. საქონლის თვითღირებულების გაანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით:

თარიღი 2014		მარაგის მოძრაობა	თვითღირებულების გაანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით	ლარი	საშუალო შეწონილი ღირებულების გაანგარიშება
თვე	რიცხვი				
V	01	საწყისი ნაშთი 100	100×2,20	220	
V	05	შესყიდვა 300	300×2,00	600	
V	05	ნაშთი 400		820	820/400=2,05
V	08	გაყიდვა (320)	320×2,05	(656)	
V	08	ნაშთი 80	80×2,05	→ 164↓	
V	10	შესყიდვა 500	500×2,50	1250	
V	10	ნაშთი 580		1414	1414/580=2,4379
V	11	გაყიდვა (370)	370×2,4379	(902)	
V	11	ნაშთი 210	210×2,4379	→ 512↓	
V	25	შესყიდვა 200	200×3,00	600	
V	25	ნაშთი 410		1112	

ე. ი. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 1558 ლარია (656+902), ნაშთად დარჩენილი საქონლის თვითღირებულება კი 1112 ლარია.

3. საქონლის თვითღირებულების შეფასების მეთოდების გავლენა ფირმის ფინანსურ შედეგებზე:

N	მაჩვენებლები	ფიფო მეთოდი	საშუალო შეწონილი მეთოდი
1	შემოსავალი რეალიზაციიდან	4000	4000
2	საქონლის საწყისი ნაშთი	220	220
3	შესყიდვები (600+1250+600)	2450	2450
4	საქონლის საბოლოო ნაშთი	1125	1112
5	რეალიზებული საქონლის თვით-ბა (სტრ2-სტრ3-სტრ4)	1545	1558
6	საერთო მოგება (სტრ1-სტრ5)	2455	2442

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ფიფო მეთოდით რეალიზებული საქონლის თვითღირებულება უფრო დაბალია, მოგება კი მაღალი საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით გაანგარიშებულ მაჩვენებლებთან შედარებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის მეთოდები. მასალის ოპერატიული კონტროლისა და მართვისათვის საჭიროა მარაგის სიდიდის ცოდნა არა მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, არამედ ნებისმიერი თარიღისათვის. აქედან გამომდინარე, მარაგის აღრიცხვა წარმოებს უწყვეტი (მუდმივი) და პერიოდული აღრიცხვის მეთოდებით.

უწყვეტი (მუდმივი) აღრიცხვის მეთოდით მარაგის მოძრაობა, ანუ შესყიდვა და გასვლა (ხარჯვა) აღრიცხება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ამსახველ ანგარიშებზე მუდმივად, ყოველდღიურად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. აქედან გამომდინარე, მარაგის საბოლოო ნაშთი განისაზღვრება აღრიცხვის მონაცემებით, როგორც თანხობრივად, ისე რაოდენობრივად შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$\text{მარაგის საბოლოო ნაშთი} = \text{მარაგის საწყისი ნაშთი} + \text{შესყიდვები} - \text{მარაგის გასვლა(ხარჯვა)}$$

უწყვეტი მეთოდით მარაგის მოძრაობის აღსარიცხავად გამოიყენება შემდეგი ანგარიშები:

- 1610-საქონელი;
- 1620-წედლეული და მასალა;
- 1630-დაუმთავრებელი წარმოება;

1640-მზა პროდუქცია;

1690-სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ჩამოწერა კი ხდება 7210 გაყიდული/შემენილი საქონლის ანგარიშზე. ამ ანგარიშს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ანგარიშსაც უწოდებენ.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის ასახვა უწყვეტი მეთოდით:

1. შესყიდვა ჩვეულებრივი წესით

დ-ტი 1600 სასაქონლო მატერიალური მარაგი

კ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით

2. ფასდათმობის პირობით მარაგის შეძენა

დ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

კ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით

კ-ტი 8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ფასდათმობის თანხა)

3. მარაგის შეძენა წინასწარ გადახდილი ავანსის საფუძველზე ან ანგარიშვალდებული პირის მიერ

დ-ტი 1610 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

კ-ტი 1480 მომწოდებლისათვის გადახდილი ავანსები

ან

კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რეალიზაციის ასახვა:

1. რეალიზაცია ფულზე ან კრედიტით

დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში

ან

დ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

ან

დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით

კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან

2. რეალიზებული მარაგის თვითღირებულების ჩამოწერა

დ-ტი 7210 რეალიზებული პროდუქციის (საქონლის) თვითღირებულება

კ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთი გადაიტანება ბალანსში მიმდინარე აქტივებში ცალკე სტრიქონზე.

პერიოდული აღრიცხვის მეთოდით მარაგის მოძრაობა აღირიცხება მარაგის ამსახველ ანგარიშებზე არა ყოველდღიურად, არამედ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური ანგარიშგების შედგენისას.

პერიოდის ბოლოს მარაგის სიდიდე დგინდება ინვენტარიზაციით, ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი წლის ბოლომდე უცვლელი რჩება, შესაბამისად, წლის ბოლოს საბოლოო ნაშთი შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები საწყისს ნაშთთან შედარებით. აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს საბოლოო ნაშთის განსაზღვრა საწყისი ნაშთის კორექტირებით შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

მარაგის საბოლოო ნაშთი = მარაგის საწყისი ნაშთი ± კორექტირების თანხა

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მარაგის შექმნა აღიარდება ხარჯად, ანუ ითვლება დახარჯულად, რეალიზებულად. ამიტომ, პერიოდის ბოლოს ხდება მისი დაზუსტება ჩვენთვის უკვე ნაცნობი ფორმულით:

რეალიზებული პროდუქციის(საქონლის) თვითღირებულება = მარაგის საწყის ნაშთი + შესყიდვები - მარაგის საბოლოო ნაშთი

ამ მეთოდის დროს, წლის განმავლობაში ჩანაწერები 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგის ანგარიშებზე არ წარმოებს. მათ ნაცვლად გამოიყენება საოპერაციო ხარჯების ამსახველი ანგარიშები:

- 7110-ძირითადი მარაგის დანახარჯი;
- 7130-ნედლეულისა და მასალის დანაკარგები ნორმის ფარგლებში;
- 7180-სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება;
- 7210-გაყიდული/შემძენილი საქონლი
- 7220-შემძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა;
- 7230-საქონლის დანაკარგები ნორმის ფარგლებში;
- 7280-სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექმნის ასახვა პერიოდული მეთოდით:

1. შესყიდვა ჩვეულებრივი წესით

დ-ტი 7110 ძირითადი მარაგის დანახარჯები/შემქმნა
ან

დ-ტი 7210 გაყიდული/შემძენილი საქონელი

კ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით

2. ინვენტარიზაციის გზით დაფიქსირებული საბოლოო მარაგის ზრდის შემთხვევაში გაკეთდება მაკორექტირებელი გატარება

დ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

კ-ტი 7180, 7280 სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება

3. ინვენტარიზაციის გზით დაფიქსირებული საბოლოო მარაგის შემცირების შემთხვევაში გაკეთდება მაკორექტირებელი გატარება

დ-ტი 7180, 7280 სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება

კ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

4. სასაქონლო მატერიალური მარაგის კორექტირების ანგარიშები იხურება 5330 საანგარიშგებო პერიოდის მ/ზ ანგარიშით:

ა) საბოლოო მარაგის შემცირების შემთხვევაში

დ-ტი 5330 საანგარიშგებო პერიოდის მ/ზ

კ-ტი 7180, 7280 სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება

ბ) საბოლოო მარაგის ზრდის შემთხვევაში

დ-ტი 7180, 7280 სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება

კ-ტი 5330 საანგარიშგებო პერიოდი მ/ზ

5. შემძენილი მარაგის უკან დაბრუნება გატარდება

დ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით

კ-ტი 7220 შემძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა

საქართველოში გამოიყენება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღროცხვის უწყვეტი (მუდმივი) მეთოდი.

მარაგის აღრიცხვისას აუცილებელია მარაგის აღრიცხვა თითოეული დასახელების მიხედვით როგორც რაოდენობრივად, ისე თანხობრივად.

მარაგის ანალიზური აღრიცხვისათვის მის თითოეულ დასახელებას ეხსნება ანალიზური აღრიცხვის ბარათი (ფაილი), რომელშიც მოძრაობის შესახებ ინფორმაცია შეიტანება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით პირველადი დოკუმენტების საფუძველზე. ბარათში ყოველი ასეთი ჩანაწერის შემდეგ გამოიყვანება ნაშთი.

ყოველი თვის ბოლოს ანალიზური აღრიცხვის მონაცემებით ივსება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნაშთების უწყისი. ანალიზური აღრიცხვის საბარათო მონაცემების ჯამი ტოლი უნდა იყოს შესაბამის სინთეზურ ანგარიშზე არსებული ნაშთისა.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გადაფასება. მარაგის ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელია მათი გადაფასება. გადაფასების შედეგი მოგება ან ზარალი აისახება მარაგის კორექტირების ანგარიშზე.

აფასების შემთხვევაში ოპერაცია გატარდება შემდეგნაირად:

დ-ტი 1600 სასაქონლო მატერიალური მარაგი

კ-ტი 7180, 7280 სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება

ჩამოფასების შემთხვევაში გვექნება საპირისპირო გატარება:

დ-ტი 7180, 7280 სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება

კ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

მარაგის გადაფასება შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალურად მარაგის თითოეული ერთეულისათვის, ჯგუფურად-მარაგის სახეების ან მთლიანად მარაგის საერთო რაოდენობის მიხედვით. უმჯობესია გადაფასება მოხდეს მარაგის თითოეული ერთეულის მიხედვით.

მაგალითი

საწყობში ინახება სხვადასხვა ჯიშის ხის მასალა. 2013 წლის 31/XII მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 20000 ლარი, ხოლო ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამ 18600 ლარი, 2014 წლის 31/XII მარაგის ღირებულება გაიზარდა და გახდა 19100 ლარი.

1. 2013 წელს მოხდება მარაგის ჩამოფასება გატარებით

დ-ტი 7180 სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება 1400

კ-ტი 1620 ნედლეული და მასალა(20000-18600) 1400

2. 2014 წელს მარაგი აფასდება გატარებით

დ-ტი 1620 ნედლეული და მასალა (19100-18600) 500

კ-ტი 7180 სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება 500

საბოლოო ჯამში, მარაგი ჩამოფასდა 900 ლარით (1400-500).

განმარტებითი შენიშვნები. ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის კუთხით განმარტებული უნდა იქნეს:

- მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშების ფორმულა;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საერთო საბალანსო თანხა და საბალანსო თანხები საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად;

- მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის თანხები, რომლებიც ასახულია მიმდინარე პერიოდის ხარჯებში;
- ნებისმიერი ჩამოფასების თანხა;
- გირაოს სახით ვალდებულებების დასაფარავად გაცემული მატერიალური ფასეულობების ამსახველი თანხა.

თვითშეფასების კითხვარი

1. განმარტეთ მარაგის არსი და კლასიფიკაცია;
2. განმარტეთ როგორ ხდება მარაგის შეფასება?
3. განმარტეთ მარაგის თვითღირებულების გაანგარიშების ფიფო მეთოდის არსი;
4. განმარტეთ მარაგის თვითღირებულების გაანგარიშების საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის არსი;
5. განმარტეთ მარაგის თვითღირებულების გაანგარიშების იდენტიფიცირებული მეთოდის არსი;
6. განმარტეთ მარაგის აღრიცხვის უწყვეტი მეთოდის არსი;
7. განმარტეთ მარაგის აღრიცხვის პერიოდული მეთოდის არსი;
8. განმარტეთ როგორ ხდება მარაგის ინვენტარიზაცია;
9. განმარტეთ მარაგის ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვის არსი;
10. განმარტეთ როგორ ხდება მარაგის გადაფასების აღრიცხვა.

ამოცანები

1. შემდეგი მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ მარაგის ღირებულება

მაჩვენებლები	პროდუქცია		
	A	B	C
ერთეულის საწამოო თვითღირებულება (ლარი)	28	33	19
ერთეულის გასაყიდი ფასი (ლარი)	31	38	
ერთეულის გაყიდვის ხარჯები (ლარი)	5	7	6
მარაგის სიდიდე (ერთეული)	120	190	250
2. შემდეგი მონაცემების მიხედვით განსაზღვრეთ გაყიდული და ნაშთად დარჩენილი მარაგის თვითღირებულება ფიფო და საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდებით და დაადგინეთ მათი ზეგავლენა ფირმის ფინანსურ შედეგზე
 2014 წლის 1/IX მარაგის საწყისი ნაშთი 50კგ→10,0 ლარი/კგ
 შესყიდვები 5/IX 70კგ→12,0 ლარი/კგ
 10/IX 80კგ→15,0 ლარი/კგ
 18/IX 100კგ→18,0 ლარი/კგ
 გაყიდვა 8/IX 65კგ
 15/IX 90კგ
 20/IX 75კგ
3. საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში საწყობში 32000 ლარის საქონელი იყო, წლის განმავლობაში შესყიდვებმა შეადაგინა 116000 ლარი. რეალიზაციიდან მიღებული

შემოსავალი 128000 ლარია, სავაჭრო ფასნამატი 25%.

გაიანგარიშეთ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, საერთო მოგება და ნაშთად დარჩენილი მარაგის თვითღირებულება.

4. შეძენილია 54000 ლარის საქონელი. ერთეულის შესყიდვის ფასი 9 ლარი. რეალიზებულია 60000 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით. ერთეულის გასაყიდი ფასი 16 ლარი.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრულად უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით და გაიანგარიშეთ საბოლოო ფინანსური შედეგი.

5. მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში 1800 ლარი, შესყიდვები წლის განმავლობაში 41000 ლარი, რეალიზაცია კრედიტით 76000 ლარი, საქონლის ნაშთი წლის ბოლოს 3800 ლარი.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრულად პერიოდული აღრიცხვის მეთოდით და გაიანგარიშეთ საბოლოო ფინანსური შედეგი.

6. მარაგის საწყისი ნაშთი 24300 ლარი, შესყიდვები 29000 ლარი, მარაგის საბოლოო ნაშთი 8520 ლარი, გაყიდვები 27135 ლარი, შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება 7300 ლარი. ძლიერი წვიმის გამო დაიტბორა საწყობი და განადგურდა საქონლის გარკვეული ნაწილი. ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა მარაგის საბოლოო ნაშთი 8520 ლარის ოდენობით. მოგების ნორმა გაყიდვებში 26%-ია.

განსაზღვრეთ განადგურებული მარაგის სიდიდე.

7. მასალების საწყობში ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩნდა 1500 ლარის მასალის დანაკლისი. საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილებით 300 ლარის დანაკლისი ბუნებრივ დანაკარგებს მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენის ანაზღაურება დაეკისრა მატერიალურად პასუხისმგებელ პირს თვითღირებულებით, როგორც გამონაკლისი, რაც დაკავდება ხელფასიდან.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრული გატარებებით.

1.9 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი საშუალებების ცნება, კლასიფიკაცია, აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალებების აღრიცხვას არეგულირებს ბასს 16 „ძირითადი საშუალებები“. სტანდარტის შესაბამისად, ძირითადი საშუალებები არის გრძელვადიანი მატერიალური აქტივები, რომლებიც წარმოადგენს ფირმის ქონებას და გამოიყენება საქონლის ან მომსახურების საწარმოებლად ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

როგორც უკვე ვიცით, ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში შედიან: მიწა, დაუმთავრებელი მშენებლობა, შენობები, ნაგებობები, მანქანა/დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები.

სტანდარტი ძირითად საშუალებად აღიარებს ისეთ გრძელვადიან მატერიალურ აქტივებს, რომლებიც ერთდროულად აკმაყოფილებენ აღიარების შემდეგ კრიტერიუმებს:

- მათი გამოყენებით მოსალოდნელია, რომ ფირმა მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

- ფირმას შეუძლია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

აღიარება ნიშნავს ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმებას და შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში მის აღრიცხვას კონკრეტულ ანგარიშებზე.

დროის მონაკვეთი, რომელშიც ძირითად საშუალებებს შეუძლია მოიტანოს ეკონომიკური სარგებელი, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ეწოდება.

სტანდარტით, ერთად შეძენის შემთხვევაშიც კი, მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღიარდება ცალ-ცალკე. მიწას შეუზღუდავი მომსახურების ვადა აქვს, ხოლო შენობებს-შეზღუდული მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში შედის:

- მისი შესყიდვის ფასი, საბაჟო და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათების გარეშე;

- ტრანსპორტირებისა და მონტაჟის დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯები თავდაპირველი შეფასებით (დისკონტირებული ღირებულებით), რის ვალდებულებასაც ფირმა იღებს შეძენის მომენტში, ან შემდგომ.

მაგალითი

მიწის შეძენაში გადახდილია 20000 ლარი, ბროკერის საკომისიო ანაზღაურებამ შეადგინა 250 ლარი, იურისტისა 150 ლარი, მიწის მოსწორებასა და დასუფთავებას დასჭირდა 500 ლარი.

ე. ი. მიწის თვითღირებულება იქნება 20900 ლარი (20000+250+150+500)

ფირმამ შეიძინა მანქანა/დანადგარი, რომელშიც გადაიხადა 15000 ლარი, საბაჟო გადასახადი 1500 ლარი, დანადგარის ადგილის მომზადებაზე დაიხარჯა 200 ლარი, მონტაჟზე დასაქმებული პერსონალის ხელფასმა შეადგინა 400 ლარი, გამოცდის ხარჯებმა 120 ლარი, საცხებ-საპოხი მასალის ღირებულებამ 150 ლარი.

ე. ი. მანქანა/დანადგარის თვითღირებულება იქნება 17370 ლარი (15000+1500+200+400+120+150).


ფირმამ შეიძინა მოწყობილობა 60000 ლარად, ტრანსპორტირებასა და დამონტაჟებაზე დაიხარჯა 8000 ლარი, მოწყობილობის გამოყენების ვადა განისაზღვრა 10 წლით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა 20000 ლარად. იმავდროულად ფირმა იღებს

ვალდებულებას მოწყობილობის დემონტაჟსა და ადგილმდებარეობის აღდგენაზე, რაც დიკონტრირებული ღირებულებით შეფასდა 5000 ლარად.

ე. ი. მოწყობილობის თვითღირებულება იქნება 73000 ლარი (60000+8000+5000).

ძირითადი საშუალებების მიღების აღრიცხვა. ძირითადი საშუალებების შეძენა დასტურდება ანგარიშგაქტურის, სასაქონლო ზედნადების, შესყიდვის აქტის საფუძველზე და ფორმდება „ძირითადი საშუალებების მიღება-ჩაბარების აქტით“, რომელშიც მითითებულია აქტივის ღირებულება და ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები. აქედან გამომდინარე, ძირითადი საშუალება არის დამოუკიდებელი სააღრიცხვო ერთეული, ანუ **საინვენტარო ობიექტი**, რომელსაც მინიჭებული აქვს **საინვენტარო ნომერი**. საინვენტარო ობიექტზე იზსნება **საინვენტარო ბარათი**, სადაც მითითებულია:

- ობიექტის დასახელება ტექნიკური მახასიათებლების ჩვენებით;
- მწარმოებლის დასახელება;
- წარმოების წელი;
- საქარხნო ნომერი;
- ცვეთის ნორმა;
- ადგილმდებარეობა;
- შენახვაზე პასუხისმგებელი პირი.



შემენის გზის მიუხედავად ძირითადი საშუალებების თავდაპირველი შეფასება ხდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებების აღსარიცხავად გამოიყენება 2100 „ძირითადი საშუალებების“ ჯგუფის ანგარიშები.

ძირითადი საშუალებების შემენას ნაღდი ფულით ახორციელებს ანგარიშვალდებული პირი. აქედან გამომდინარე, 5000 ლარის ღირებულების საოფისე აღჭურვილობის ნაღდი ფულით შემენის ოპერაცია გატარდება:

დ-ტი 2160 საოფისე აღჭურვილობა	5000
კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	5000

ძირითადი საშუალებების შემენა შემდგომი გადახდის პირობით შესაძლებელია **სავაჭრო კრედიტით**, ანუ დამატებითი სარგებლის გადახდის გარეშე, და **განვადებით**, ანუ დამატებითი სარგებლის გადახდით. სავაჭრო კრედიტის პერიოდი 30-60 დღეა, ხოლო განვადების პერიოდი დგინდება შეთანხმების საფუძველზე.

მაგალითი

2014 წლის 15/III კრედიტით შეძენილია 6000 ლარის ღირებულების მანქანა/დანადგარი, ტრანსპორტირების ხარჯი 200 ლარი, დამონტაჟებაზე დანახარჯი 150 ლარის დამხმარე მასალა და მუშებს დაერიცხა 250 ლარი ხელფასი. ვალდებულება უნდა დაიფაროს 31/III. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

1. 15/III დანადგარის შეძენა

დ-ტი 2150 მანქანა/დანადგარები	6600
$6000+200+150+250$	
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	6200
$6000+200$	
კ-ტი 1690 სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	150
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი	250

2. 31/III ვალდებულებების დაფარვა

დ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	6200
კ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6200

2014 წლის 3/1 ფორმამ განვადებით შეიძინა 3000 ლარის ღირებულების საოფისე აღჭურვილობა. პირველი შესატანი შეადგენს ღირებულების 40%, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდილი იქნება 2 წლის განმავლობაში წლიური 15%-იანი განაკვეთით. პირველი წლის ბოლოს გადასახდელი იქნება ღირებულების 25%, მეორე წლი ბოლო დარჩენილი 35%. საოფისე აღჭურვილობის დამონტაჟებაზე დაინახარჯი 200 ლარი. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

3/1 საოფისე აღჭურვილობის შეძენა

დ-ტი 2160 საოფისე აღჭურვილობა (3000+200)	3200
კ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (3000×0,40)	1200
კ-ტი 1690 სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	200
კ-ტი 3210 მოკლევადიანი სესხი (3000×0,25)	750
კ-ტი 4140 გრძელვადიანი სესხი (3000×0,35)	1050

2. 2014 წლის 31/III, ანუ პირველი წლის ბოლოს საპროცენტო ხარჯის აღიარება

დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი	270
$(3000-1200) \times 0,15$	
კ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	270

3. 2014 წლის ბოლოს საოფისე აღჭურვილობის ღირებულების 750 ლარისა და პროცენტის 270 ლარის გადახდა

დ-ტი 3210 მოკლევადიანი სესხი	750
დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	270
კ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1020

4. 2015 წლის 31/XII, ანუ მეორე წლის ბოლოს საპროცენტო ხარჯის აღიარება

დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი	158
$1050 \times 0,15$	
კ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	158

5. 2015 წლის ბოლოს საოფისე აღჭურვილობის ღირებულების 1050 ლარისა და პროცენტის 158 ლარის გადახდა

დ-ტი 4140 გრძელვადიანი სესხი	1050
დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	158
კ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1208

პროცენტის თანხა, როგორც წესი არ შედის აქტივის თითღირებულებაში და წარმოადგენს საპროცენტო ხარჯს.

გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როდესაც სესხი დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შეძენასთან.

განსაკუთრებული აქტივები ისეთი აქტივებია, რომლის გამოსაყენებლად ან გასაყიდად მომზადებისათვის დროის გარკვეული პერიოდია საჭირო.

მაგალითი

2014 წლის იანვარში ფირმამ შეიძინა 100000 ლარად შეფასებული საწარმოო დანიშნულების მოწყობილობა, რაზეც გასცა თამასუქი. თამასუქზე გადასახდელი საპროცენტო თანხა განისაზღვრა 40000 ლარით. ძირითადი თანხა და პროცენტი გადახდილი იქნება თამასუქის ვადის ამოწურვისას. **მოწყობილობის მონტაჟს და საექსპლუატაციოდ მომზადებას ესაჭიროება 30000 ლარი და 10 თვე.** აქტივზე სამუშაოების განხორციელება დაიწყება მოწყობილობის საწარმოში მოტანისთანავე.

ავსახოთ ბულალტრულად მოწყობილობის შეძენა იანვარში:

დ-ტი 2150 მანქანა-დანადგარები	134000
100000+30000+40000:10	
კ-ტი 3140 გასანადღებელი თამასუქი	104000
100000+4000	
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	30000

აქედან გამომდინარე, ყოველთვე დარჩენილი 9 თვის განმავლობაში საპროცენტო თანხა 4000 ლარი (40000:10) ჩაირთვება აქტივისა და თამასუქის თვითღირებულებაში. როდესაც დამთავრდება კაპიტალიზების პერიოდი (10 თვი შემდეგ), აქტივის თვითღირებულება იქნება 170000 ლარი (100000+40000+30000), ხოლო თამასუქის ღირებულება გაუტოლდება დასაფარავ თანხას 140000 ლარს (100000+40000).

ძირითადი საშუალებების წარმოება საკუთარი ძალებით და აქტივის ღირებულების განსაზღვრა სტანდარტის შესაბამისად ხდება შეძენილი აქტივების ანალოგიურად, ანუ ყველა პირდაპირი ხარჯის გათვალისწინებით, მაგრამ გამოყენებული რესურსების ზენორმატიული დანახარჯები აქტივის თვითღირებულებაში არ შევა.

მაგალითი

ავეჯის ფირმა 3 თვის განმავლობაში აშენებდა საწყობის შენობას, რაზეც დაიხარჯა 6000 ლარის მასალა და 10000 ლარის ხელფასი. სამუშაოების ჩაბარებისას აღმოჩნდა პროექტთან

შეუსაბამობა, რის გამოც საჭირო გახდა არამზიდი კედლების დანგრევა და თავიდან აშენება, რაზეც დაიხარჯა 2000 ლარის მასალა და 3500 ლარის ხელფასი. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

1. მშენებლობის პროცესის ასახვა

დ-ტი 2120 დაუმთავრებელი მშენებლობა	16000
6000+10000 (შენობის თვითღირებულება)	
დ-ტი 8220 არასაოპერაციო ზარალი	5500
2000+3500 (ზენორმატიული დანახარჯები)	
კ-ტი 1620 ნედლეული და მასალა	8000
6000+2000	
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი	13500
10000+3500	

2. მშენებლობის დამთავრების შემდეგ შენობის შემოსავალში აღება:

დ-ტი 2130 შენობები	16000
კ-ტი 2120 დაუმთავრებელი წარმოება	16000

მიღება სხვა აქტივზე გაცვლით აისახება რეალური ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

- გაცვლის ოპერაციას არა აქვს კომერციული ხასიათი;
- მიღებული და გაცემული აქტივების რეალური ღირებულება არ არის საიმედოდ შეფასებული.

რეალური ღირებულება კი არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივების გაცვლა საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“, ანუ ღირებულება წარმოქმნილი შეთანხმების საფუძველზე ბაზრის მონაცემების გათვალისწინებით.

მაგალითი

აქტივები გაცვლამდე	კომპანია A	კომპანია B
	პრინტერი	პროექტორი
თვითღირებულება	1200	1800
დაგროვილი ცვეთა	240	840
საბალანსო ღირებულება	960	960
რეალური ღირებულება	800	1300
ფულადი კომპენსაცია	იხდის 500 (1300-800)	მიიღებს 500

გაცვლას კომერციული ხასიათი აქვს, რადგან აქტივების რეალური ღირებულება მკვეთრად განსხვავებულია. ეს კი წარმოქმნის ფინანსურ შედეგს (მოგება/ზარალი). ამ შემთხვევაში შემოსული აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, ხოლო გასულზე თვითღირებულების და დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა ხდება:

1. A კომპანიაში გაცვლასთან დაკავშირებით გაკეთდება გატარება:

დ-ტი 2160 ოფისის აღჭურვილობა (პროექტორი)	1300
დ-ტი 2260 ოფისის აღჭურვილობის ცვეთა (პრინტერი)	240

დ-ტი 8220 არასაოპერაციო ზარალი	160
კ-ტი 2160 ოფისის აღჭურვილობა (პრინტერი)	1200
კ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	500
2. B კომპანიაში გაცვლასთან დაკავშირებით გაკეთდება გატარება:	
დ-ტი 2160 ოფისის აღჭურვილობა (პრინტერი)	800
დ-ტი 2260 ოფისის აღჭურვილობის ცვეთა (პროექტორი)	840
დ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	500
კ-ტი 2160 ოფისის აღჭურვილობა (პროექტორი)	1800
კ-ტი 8130 არასაოპერაციო მოგება	340

თუ გაცვლის ოპერაციას კომერციული შინაარსი არა აქვს, მაშინ მიღებული აქტივის თვითღირებულება ფასდება გაცემულის საბალანსო ღირებულებით.

მაგალითი

მონაცემები ავიღოთ ზევით განხილული შემთხვევის შესაბამისად შემდეგი განსხვავებით: პრინტერის (კომპანია A) რეალური ღირებულება იგივეა 800 ლარი, ხოლო პროექტორისა (კომპანია B) 750 ლარი. ფულად კომპენსაციას ადგილი არ ჰქონია.

1. A კომპანიაში გაცვლასთან დაკავშირებით გაკეთდება გატარება:

დ-ტი 2160 ოფისის აღჭურვილობა (პროექტორი)	960
დ-ტი 2260 ოფისის აღჭურვილობის ცვეთა (პრინტერი)	240
კ-ტი 2160 ოფისის აღჭურვილობა (პრინტერი)	1200

2. B კომპანიაში გაცვლასთან დაკავშირებით გაკეთდება გატარება:

დ-ტი 2160 ოფისის აღჭურვილობა (პრინტერი)	960
დ-ტი 2260 ოფისის აღჭურვილობის ცვეთა (პროექტორი)	240
კ-ტი 2160 ოფისის აღჭურვილობა (პროექტორი)	1800

ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ მიღება ხდება იურიდიული ან ფიზიკური პირების მიერ ჩუქებით და სახელმწიფო გრანტით, რომელიც უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. სტანდარტის თანახმად, უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები ფასდება რეალური ღირებულებით, მაგრამ თუ ამ ღირებულების დადგენა შეუძლებელია ძირითადი საშუალება ფასდება ნომინალური ღირებულებით.

მაგალითი

საბავშვო სახლმა გრანტით მიიღო საოფისე აღჭურვილობა, რომელიც შეფასდა 8000 ლარად, ხოლო სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრა 4 წლით. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

1. საოფისე აღჭურვილობის მიღება:

დ-ტი 2160 საოფისე აღჭურვილობა	8000
კ-ტი 4410 გადავადებული შემოსავალი	8000

2. 4 წლის განმავლობაში ყოველწლიურად არასაოპერაციო შემოსავლის აღიარება:

დ-ტი 4410 გადავადებული შემოსავალი	2000
კ-ტი 8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	2000


8000:4

ძირითადი საშუალებების ცვეთის აღრიცხვა. ცვეთა არის აქტივის ცვეთადი ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური განაწილება, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთადი ღირებულება არის აქტივის თვითღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც ფირმა ამჟამად მიიღებდა მისი რეალიზაციიდან, რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით ე. ი. ნარჩენ ღირებულებას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთის გაანგარიშებისას უნდა აისახოს აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მიღების ხასიათი. სტანდარტით გათვალისწინებულია:



ცვეთის დარიცხვის წრფივი, ანუ თანაბარზომიერი მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ აქტივების მიმართ, რომლებსაც სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში მეტნაკლებად თანაბარი ეკონომიკური სარგებელი მოაქვთ. ამ მეთოდის გამოყენებისას ყოველწლიური ცვეთის თანხა გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{წლიური ცვეთის თანხა} = \frac{\text{თვითღირებულება} - \text{ნარჩენი ღირებულება}}{\text{სასარგებლო მომსახურების ვადა}}$$

ცვეთის ნორმა გვიჩვენებს აქტივის თვითღირებულების რა პროცენტი აღიარდება ცვეთის წლიურ ხარჯად და გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{ცვეთის ნორმა \%} = \frac{\text{წლიური ცვეთის თანხა}}{\text{თვითღირებულება} - \text{ნარჩენი ღირებულება}} \times 100\%$$

მაგალითი

ფირმის მანქანა/დანადგარების ღირებულება 30000 ლარია, ნარჩენი ღირებულება შეფასდა 6000 ლარით, სასარგებლო გამოყენების ვადა 6 წელია. განვსაზღვროთ წლიური ცვეთის თანხა **წრფივი მეთოდით**.

წლები	წლიური ცვეთის თანხის განგარიშების ბაზა (30000-6000) ლარი	წლიური ცვეთის თანხა	დაგროვილი ცვეთა	აქტივის საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს
1	24000/6	4000	4000	26000 (30000-4000)
2	24000/6	4000	8000 (4000×2)	22000 (30000-8000)
3	24000/6	4000	12000 (4000×3)	18000 (30000-12000)
4	24000/6	4000	16000 (4000×4)	14000 (30000-16000)
5	24000/6	4000	20000 (4000×5)	10000 (30000-20000)
6	24000/6	4000	24000 (4000×6)	6000 (30000-24000)

$$\text{ცვეთის ნორმა} = 4000 / 24000 \times 100\% = 17\%$$

ცვეთის თანხის განგარიშება **შემცირებადი ნაშთის, ანუ დაჩქარებული ცვეთის მეთოდით** გულისხმობს, რომ პირველ წელს ცვეთა ერიცხებათ აქტივებს **თვითღირებულებით**, ხოლო შემდგომ წლებში-საბალანსო ღირებულებით. ამ მეთოდის გამოყენების დროს ცვეთის დარიცხვისას გამოიყენება ყველაზე გავრცელებული ცვეთის გაორმაგებული ნორმა, რაც აქტივის საბალანსო ღირებულების გაორმაგებულ შემცირებას ნიშნავს. იგივე მონაცემებით, მანქანა/დანადგარს დავარიცხოთ ცვეთა **შემცირებადი ნაშთის მეთოდით**.

წლები	წლიური ცვეთის თანხის განგარიშების ბაზა	წლიური ცვეთის თანხა	დაგროვილი ცვეთა	აქტივის საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს
				30000 ლარი
1	30000×0,34	10200	10200	19800 (30000-10200)
2	19800×0,34	6732	16932 (10200+6732)	13068 (30000-16932)
3	13068×0,34	4443	21375 (16932+4443)	8625 (30000-21375)
4	24000-21375	2625	24000 (21675+2625)	6000 (30000-24000)
5				
6				

როგორც ვხედავთ, აქტივის გამოყენების ვადა შემცირდა 2 წლით. უნდა აღინიშნოს, რომ ცვეთის დაჩქარების კოეფიციენტი მერყეობს 100%-200%. აქედან გამომდინარე, თუ ნორმას გავზრდიდით არა 2-ით, არამედ 1,5 კოეფიციენტით, მაშინ მანქანა/დანადგარის ექსპლუატაცია შესაძლებელი იქნებოდა 6 წლის განმავლობაში, ანუ მთელი სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში.

წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი არის შემცირებადი ნაშთის მეთოდის ნაირსახეობა, რომლის დროსაც აქტივების გამოყენების პირველ წლებში ცვეთის მეტი თანხის დარიცხვა ხდება, ვიდრე შემდგომ წლებში. „ერთეული“ შეიძლება იყოს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მაჩვენებელი ან წარმადობის მაჩვენებელი.

წლების ციფრთა ჯამის მეთოდით ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგნაირად: ჯერ გაიანგარიშება წლების ციფრთა ჯამი, შემდგომ ცვეთა ერიცხება აქტივის ცვეთად ღირებულებას. ჩვენს მაგალითში წლების ციფრთა ჯამი $= 6 \times (6+1) / 2 = 21$ წელი. ფორმულით ამის წარმოდგენა შეიძლება შემდეგნაირად:

წლების ციფრთა ჯამი $= n \times (n+1) / 2$, სადაც
n-არის აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა

წლები	წლიური ცვეთის თანხის გაანგარიშების ბაზა	წლიური ცვეთის თანხა	დაგროვილი ცვეთა	აქტივის საბალანსო ღირებულება წლის ბოლო
	(30000-6000) ლარი			30000
1	24000×6/21	6857	6857	23143
2	24000×5/21	5714	12571	17429
3	24000×4/21	4571	17142	12858
4	24000×3/21	3429	20571	9429
5	24000×2/21	2286	22857	7143
6	24000×1/21	1143	24000	6000

მწარმოებლურობის პროპორციულად ცვეთის დარიცხვის მეთოდი ეყრდნობა პრინციპს-რაც უფრო მეტია აქტივის გამოიმუშავება, ანუ წარმადობა, მით უფრო მეტი ეკონომიკური სარგებელი შემოდის მისი გამოყენებით. ამ მეთოდის გამოყენების დროს ცვეთის ნორმა გაიანგარიშება ფორმულით:

$$\text{წლიური ცვეთის თანხა} = \frac{\text{თვითღირებულება} - \text{ნარჩენი ღირებულება}}{\text{აქტივის მწარმოებლურობა მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში}}$$

მწარმოებლურობა შეიძლება გაიზომოს დროით, პროდუქციით და სხვა.

თუ ჩვენს მაგალითში მანქანა/დანადგარები 6 წლის განმავლობაში გამოიმუშავებს 60000 დაზგა/საათს, მ.შ. 1 წელი-15000 დაზგასაათს; 2 წელი-13000 დს; 3 წელს-11000 დს; 4 წელს-9000 დს; 5 წელს-7000 დს; 6 წელს-5000 დს; მაშინ წლიური ცვეთის თანხა 0,4 ლარია $[(30000-6000)/60000]$ და გვიჩვენებს აქტივის ღირებულების რა ნაწილი იხარჯება მწარმოებლურობის ერთეულზე.

წლები	წლიური ცვეთის თანხის განგარიშების ბაზა	წლიური ცვეთის თანხა	დაგროვილი ცვეთა	აქტივის საბალანსო ღირებულება წლის ბოლოს
	60000 დაზგასაათი			30000 ლარი
1	15000×0,4	6000	6000	24000
2	13000×0,4	5200	11200	18800
3	11000×0,4	4400	15600	14400
4	9000×0,4	3600	19200	10800
5	7000×0,4	2800	22000	8000
6	5000×0,4	2000	24000	6000

ძირითადი საშუალებების ცვეთის აღსარიცხავად გამოიყენება 2200 „ძირითადი საშუალებების ცვეთა“ ჯგუფის ანგარიშები. ცვეთის თანხის ხარჯად აღიარება, ანუ ცვეთის დარიცხვა აისახება გატარებით:


დ-ტი 7170, 7370, 7455 ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები

კ-ტი 2200 ძირითადი საშუალებების ცვეთა

აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება, თუ იგი გამიზნულია გასაყიდად, ან მას შემდეგ, რაც წყდება ამ აქტივის აღიარება.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, მაგრამ სტანდარტით თუ მიწის ღირებულება მოიცავს მოედნის კონსტრუქციების დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და აღდგენის დანახარჯებს, მაშინ მიწას თვითონ შეიძლება ჰქონდეს შეზღუდული მომსახურების ვადა (სპორტული მოედნები, პარკები ატრაქციონებით). შესაბამისად მის ღირებულებაზე მოხდება ცვეთის დარიცხვა.

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯების აღრიცხვა. ძირითადი საშუალებების შეძენის შემდეგ იწყება მათი გამოყენება, ანუ ექსპლუატაცია, რისთვისაც საჭიროა მათი მოვლა, შენახვა, დაზიანებული ნაწილების შეცვლა და ა.შ. მუშა მდგომარეობის შესანარჩუნებლად.



სტანდარტის შესაბამისად, ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების დანახარჯები მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება პერიოდის ხარჯად და აისახება, როგორც „რემონტი და მომსახურება“, ხოლო ძირითად საშუალებებში გაფუჭებული ან ამორტიზირებული ნაწილების შეცვლა გულისხმობს აქტივის საბალანსო ღირებულებაში მათი ღირებულების ჩართვას (კაპიტალიზება), ხოლო შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარების შეწყვეტას.

შეცვლილი ნაწილის ჩამოწერა და შემცვლელი ნაწილის კაპიტალიზების ბურალტრული ასახვა ხდება 8290 „სხვა არასაოპერაციო ხარჯების“ ამსახველ ანგარიშზე.

მაგალითი

მაცივრების მწარმოებელი ქარხნის საამწყო საამქროში მოწყობილობის გაუფუჭდა ნაწილი, რომელიც შექმენისას აღიარებული იყო დამოუკიდებელ სააღრიცხვო ერთეულად. ნაწილის თვითღირებულება 1500 ლარია, ხოლო დაგროვილი ცვეთა 1200 ლარი. ამ ნაწილის შემცვლელი ნაწილის თვითღირებულება კი 1800 ლარია, რომელიც ასევე აღიარებულია დამოუკიდებელ სააღრიცხვო ერთეულად. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრული გატარებებით.

1. ძველი ნაწილის თვითღირებულების ჩამოწერა:

დ-ტი 8290 სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1500
კ-ტი 2150 მანქანა/დანადგარები	1500

2. ძველი ნაწილის დაგროვილი ცვეთის ჩამოწერა:

დ-ტი 2250 მანქანა/დანადგარების ცვეთა	1200
კ-ტი 8290 სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1200

3. ახალი ნაწილის ღირებულების კაპიტალიზება, ანუ შემოსავალში აღება:

დ-ტი 2150 მანქანა/დანადგარები	1800
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	1800

4. ძველი ნაწილის არაამორტიზებული (გაუცვეთავი) თანხის ზარალად აღიარება:

დ-ტი 8220 არასაოპერაციო ზარალი 1500-1200	300
კ-ტი 8290 სხვა არასაოპერაციო ხარჯები	300

სხვა არასაოპერაციო ხარჯები		ანგარიში N8290	
დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
1. მანქანა/დანადგარები	1500	2. მანქანა/დანადგარის ცვეთა	1200
		4. არასაოპერაციო ზარალი	300
ბრუნვა	1500	ბრუნვა	1500


ოფისის შენობაში გამოცვალეს დაზიანებული ონკანები, რაზეც დაიხარჯა 200 ლარი. ფირმის სააღრიცხვო პოლიტიკით ონკანები მიეკუთვნება მცირეფასიან სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს. შესაბამისად, 200 ლარის დანახარჯი გაწვევითანავე აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად შემდეგი ბუღალტრული მუხლით:

დ-ტი 7480 რემონტის ხარჯი	200
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	200

თუ რემონტი და ტექნიკური მომსახურება განხორციელდება ფირმის რეალიზაციასთან ან ძირითად წარმოებასთან დაკავშირებულ სტრუქტურებში, მაშინ ოპერაციებზე შედგებოდა შემდეგი გატარება:

დ-ტი 7180 რემონტის ხარჯი	
ან	
დ-ტი 7380 რემონტის ხარჯი	
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	

ძირითადი საშუალებების გადაფასების აღრიცხვა. როგორც ვიცით, ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ფირმა სააღრიცხვო პოლიტიკით ირჩევს ძირითადი საშუალებების შეფასების ორი მოდელიდან ერთ-ერთს.




თვითღირებულების მოდელის მიხედვით აქტივად აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შემდეგ მიღებული თანხით. ამ მიზნით აქტივებს უნდა ჩაუტრდეს ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივი გაუფასურებულია, თუ მისი საბალანსო ღირებულება მეტია, ვიდრე ანაზღაურებადი ღირებულება. ანაზღაურებადი ღირებულება კი არის უდიდესი თანხა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და გამოყენებით ღირებულებას შორის, ანუ სარგებელი, რომლის მოტანაც შეუძლია აქტივს.

მაგალითი

მანქანა/დანადგარების საბალანსო ღირებულება 400000 ლარია, მ. შ. არის რამდენიმე ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი მოწყობილობა. სპეციალისტების შეფასებით მათი გამოყენებით მომავალში შეიძლება მიღებული იქნეს 300000 ლარის ღირებულების სარგებელი ე. ი. მოწყობილობები გაუფასურდა 100000 ლარით, რაზეც უნდა შედგეს შემდეგი სახის ბუღალტრული გატარება

დ-ტი 8220 არასაოპერაციო ზარალი	100000
კ-ტი 2250 მანქანა/დანადგარების ცვეთა	100000

გადაფასების მოდელის მიხედვით თუ აქტივის რეალური ღირებულება სწრაფად და მნიშვნელოვნად იცვლება უნდა მოხდეს მისი ყოველწლიური გადაფასება, ხოლო სტაბილური საბაზრო ფასების მქონე აქტივებისათვის საკმარისია 3-5 წელიწადში ერთხელ გადაფასების ჩატარება.



გადაფასების ორივე მეთოდის გამოყენების დროს მიიღება ერთნაირი შედეგი.

მაგალითი

ფირმამ მოახდინა მანქანა/დანადგარის გადაფასება. მ/დ რეალური ღირებულება განისაზღვრა 225000 ლარით. აქტივის თვითღირებულება 200000 ლარია, დაგროვილი ცვეთა 50000 ლარი. ავსახოთ გადაფასების შედეგები ორივე მეთოდით:

გადაფასება პროპორციული, ანუ ინდექსაციის მეთოდით

მაჩვენებლები	ღირებულება გადაფასებამდე	გადაფასების კოეფიციენტი	ღირებულება გადაფასების შემდეგ	სხვაობა (გადაფასების შედეგი)
თვითღირებულება	200000	(225000/150000) 1,5	(200000×1,5) 300000	+100000
დაგროვილი ცვეთა	(50000)	1,5	(50000×1,5) (75000)	(+25000)
საბალანსო ღირებულება	150000	უნდა გაუტოლდეს	→ 225000	(225000-150000) +75000 ავასდა

ე. ი. მანქანა/დანადგარის საბალანსო ღირებულება გაიზარდა 75000 ლარით.

ავსახოთ გადაფასება ანგარიშებზე:

დ-ტი 2150 მანქანა/დანადგარები	100000
კ-ტი 2250 მანქანა/დანადგარების ცვეთა	25000
კ-ტი 5420 ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	75000

გადაფასება ელიმინირების მეთოდით:

ამ მეთოდით ხდება ცვეთის ელიმინირება ანუ იგნორირება (მხედველობაში არ მიიღება) და მიღებული საბალანსო ღირებულება გატოლდება აქტივის რეალურ ღირებულებასთან.

1. დაგროვილი ცვეთის ელიმინირების ასახვა:

დ-ტი 2250 მანქანა/დანადგარების ცვეთა	50000
კ-ტი 2150 მანქანა/დანადგარები	50000

ამ ოპერაციის შემდეგ მანქანა/დანადგარის საბალანსო ღირებულება გახდა 15000 ლარი, რომელიც უნდა გაუტოლდეს რეალურ ღირებულებას ანუ 225000 ლარს მანქანა/დანადგარის ავსების თანხით 75000 ლარით.

2. დაზგის ავსების ასახვა:

დ-ტი 2150 მანქანა/დანადგარები	75000
კ-ტი 5420 ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	75000


როგორც ვხედავთ ორივე შემთხვევაში მანქანა/დანადგარი ავასდა 75000 ლარით, ხოლო მისი საბალანსო ღირებულება ისევ 150000 ლარი დარჩა.

თუ გადაფასების შემდეგ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა 5 წლით, მაშინ ყოველწლიურად 15000 ლარი (75000/5) გადაიტანება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე გატარებით:

დ-ტი 5420 ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	15000
კ-ტი 5310 გაუნაწილებელი მოგება	15000

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის აღრიცხვა. ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება:

- გაყიდვის შემთხვევაში;
- ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი არც გაყიდვიდან, არც გამოყენებიდან.



ძირითადი საშუალებების რეალიზაციის ბუღალტრული ასახვა.

მაგალითი

25000 ლარად გაიყიდა ფირმის საამწყოზო საამქროს მოწყობილობა, რომლის თვითღირებულება 18000 ლარია, ხოლო დაგროვილი ცვეთა 5000 ლარი. მოწყობილობის დემონტაჟზე ხელფასის სახით დაირიცხა 200 ლარი.

1. განვსაზღვროთ შემდგომი გადახდის პირობით რეალიზაციის შედეგი:

$$25000 - (18000 - 5000) - 200 = 11800 \text{ ლარი}$$

ვინაიდან შედეგი დადებითია, ე. ი. მიღებულია არასაოპერაციო მოგება.

2. ავსახოთ ოპერაცია ანგარიშებზე:

დ-ტი 1490 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნა	25000
დ-ტი 2250 მანქანა/დანადგარების ცვეთა (ცვეთის ჩამოწერა)	5000
კ-ტი 2150 მანქანა/დანადგარები (თვითღირებულების ჩამოწერა)	18000
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი	200
კ-ტი 8130 არასაოპერაციო მოგება	11800

რეალიზაციის შედეგი შეიძლება იყოს ზარალიც, რაც ასახვას ჰპოვებს 8220 არასაოპერაციო ზარალის ანგარიშზე. ამ შემთხვევას ადგილი ექნება მაშინ, თუ რეალიზებული აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია გაყიდვიდან მისაღებ თანხაზე.

ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციის ბუღალტრული ასახვა. ძირითადი საშუალებების ლიკვიდაცია, ანუ ფიზიკური განადგურება და ჩამოწერა ხორციელდება ფირმის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი სალიკვიდაციო კომისიის მიერ და დასტურდება „ძირითადი საშუალებების ლიკვიდაციის აქტით“, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები. აქტში აისახება ლიკვიდირებული ობიექტის ტექნიკური საპასპორტო მონაცემები, ლიკვიდაციის მიზეზები, ღირებულება, ლიკვიდაციის სედეგად მიღებული სასარგებლო ნარჩენები.

მაგალითი

ფიზიკური ცვეთის გამო მოხდა საოფისე აღჭურვილობის ლიკვიდაცია. აქტივის თვითღირებულება და დაგროვილი ცვეთა ერთმანეთის ტოლია და შეადგენს 10000 ლარს. ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ხელფასის სახით დაიხარჯა 200 ლარი, სათადარიგო ნაწილები (მარაგი) შეფასდა 150 ლარად, ხოლო ჯართი 300 ლარად. ავსახოთ ოპერაცია ანგარიშებზე.

დ-ტი 1690 სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი (150+300)	450
დ-ტი 2260 საოფისე აღჭურვილობის ცვეთა(ცვეთის ჩამოწერა)	10000
კ-ტი 2260 საოფისე აღჭურვილობა (თვით-ზის ჩამოწერა)	10000
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი	200
კ-ტი 3130 სხვა არასაოპერაციო მოგება	250

ვინაიდან სასარგებლო ნარჩენის ღირებულება აღემატება ხარჯს ოპერაციის შედეგად მიღებულია 250 ლარის მოგება (450-200). წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებდით არასაოპერაციო ზარალს.

ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ გაცემა. უსასყიდლოდ გაცემა ნიშნავს აქტივზე საკუთრების უფლების სხვა პირზე გადაცემას-ჩუქებას.

მაგალითი

ფირმამ სკოლას აჩუქა მიკროავტობუსი, რომლის თვითღირებულება 15000 ლარია, დაგროვილი ცვეთა 9000 ლარი. მიკროავტობუსის იურიდიულ გაფორმებში გადახდილი 300 ლარი. ავსახოთ ოპერაცია ანგარიშებზე:

დ-ტი 2280 სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	9000
დ-ტი 8220 არასაოპერაციო ზარალი (15000-9000+300)	6300
კ-ტი 2180 სატრანსპორტო საშუალებები	15000
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	300

ე. ი. უსასყიდლოდ გადაცემის დროს მიკროავტობუსის გაუცვეთავი თანხა 6000 ლარი (15000-9000) და იურიდიული მომსახურების ხარჯი 300 ლარი აღიარდა, როგორც არასაოპერაციო ზარალი.

ძირითადი საშუალებების დემონტაჟის ასახვა. როგორც უკვე ვიცით, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციიდან გასვლა შესაძლებელია საჭიროებდეს მათ დემონტაჟს და ადგილმდებარეობის აღდგენას. ეს ფაქტი გაითვალისწინება აქტივის შეძენისას, ფასდება მოსალოდნელი ხარჯების დისკონტირებული ღირებულებით და ჩაირთვება მის თვითღირებულებაში.

მაგალითი

შეძენილია 100000 ლარის ღირებულების მანქანა/დანადგარი, ტრანსპორტირებისა და მონტაჟის ხარჯებმა შეადგინა 10000 ლარი, სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრა 5 წლით, რის შემდეგაც ფირმა ვარაუდობს ამ აქტივის გაყიდვას 25000 ლარად (ნარჩენი ღირებულება). შეძენისთანავე ფირმამ აიღო ვალდებულება მანქანა/დანადგარების დემონტაჟსა და ადგილმდებარეობის აღდგენაზე, რაც დისკონტირებული ღირებულებით შეფასდა 5000 ლარად. ავსახოთ დემონტაჟისა და რეალიზაციის ოპერაციები ბუღალტრულად:

1. მანქანა/დანადგარის შეძენის ასახვა:

დ-ტი 2150 მანქანა/დანადგარები	115000
100000+10000+5000	
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	110000
100000+10000	
კ-ტი 4390 სხვა ანარიცხები	5000

ვთქვათ, 5 წლის შემდეგ აქტივი გაიყიდა 20000 ლარად, ხოლო მის დემონტაჟსა და ადგილმდებარეობის აღდგენაზე დაიხარჯა 8000 ლარი.

2. ავსახოთ დემონტაჟისა და რეალიზაციის ოპერაციები:

დ-ტი 1490 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნა	20000
დ-ტი 2250 მანქანა/დანადგარის ცვეთა	90000
115000-25000	
დ-ტი 4390 სხვა ანარიცხები	5000
დ-ტი 8220 არასაოპერაციო ზარალი	8000
კ-ტი 2150 მანქანა/დანადგარი	115000
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	8000

ვინაიდან აქტივი გაიყიდა 20000 ლარად, ნაცვლად 25000 ლარისა, ხოლო დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯები 8000 ლარია, ნაცვლად 5000 ლარისა, ე. ი. ოპერაციის შედეგად მიღებულია არასაოპერაციო ზარალი 8000 ლარი (5000+3000).

განმარტებითი შენიშვნები. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ძირითადი საშუალებების ყოველი ჯგუფისათვის უნდა აისახოს:

- საბალანსო ღირებულების შეფასების საფუძველი;
- ცვეთის დარიცხვის გამოყენებული მეთოდი;
- აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ან ცვეთის ნორმა;
- მთლიანი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ცვეთა წლის დასაწყისში

და წლის ბოლოს;

- საბალანსო ღირებულების ზრდა ან შემცირება
- ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგების განსაზღვრა, თუ ამ ფაქტს

ადგილი ჰქონდა.

თვითშეფასების კითხვარი

1. განმარტეთ ძირითადი საშუალებების არსი, აღიარების კრიტერიუმები და შეფასების კომპონენტები;
2. განმარტეთ რა გზით ხდება ძირითადი საშუალებების მიღების აღრიცხვა;
3. განმარტეთ როგორ ხდება ძირითადი საშუალებების ფულის გადახდით და კრედიტით შეძენის აღრიცხვა;
4. განმარტეთ როგორ ხდება საკუთარი ძალით წარმოებული ძირითადი საშუალებების მიღების აღრიცხვა;
5. განმარტეთ როგორ ხდება სხვა აქტივებზე გაცვლით ძირითადი საშუალებების მიღების აღრიცხვა;
6. განმარტეთ როგორ ხდება ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ მიღების აღრიცხვა;
7. განმარტეთ ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის მეთოდების თავისებურებები;
8. განმარტეთ როგორ ხდება ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯების აღრიცხვა;
9. განმარტეთ ძირითადი საშუალებების გადაფასების მეთოდების არსი;
10. განმარტეთ როგორ ხდება ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის აღრიცხვა;
11. განმარტეთ რა აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ძირითადი საშუალებების აღრიცხვასთან მიმართებაში.

ამოცანები

1. ფირმის ძირითად საამქროში მანქანა/დანადგარების ყოველდღიური მოვლა პატრონობის მიმდინარე თვის ხარჯებია: ხელფასი 10200 ლარი, მცირეფასიანი ნაწილების თვითღირებულება (მარაგი) 560 ლარი, ძველი დეტალის ახლით შეცვლა 3300 ლარი, ძველი დეტალის თვითღირებულება 2200 ლარი, დაგროვილი ცვეთა 1900 ლარი.
ასახეთ ბუღალტრულად საამქროს მიერ გაწული დანახარჯები
2. საოფისე აღჭურვილობის ღირებულება 70000 ლარი, განბაჟების, ტრანსპორტირების, ინსტალირების ხარჯები 25000 ლარი. ცვეთის ნორმა 20%. დარიცხვა წარმოებს შემცირებადი ნაშთის მეთოდით.
განსაზღვრეთ საოფისე აღჭურვილობის საბალანსო ღირებულება მეორე წლის ბოლოსათვის.
3. ავეჯის ღირებულება 45000 ლარი, გამოყენების ვადა 8 წელი, ცვეთის დარიცხვა ხდება წლების ციფრთა ჯამის მეთოდით.
განსაზღვრეთ საოფისე აღჭურვილობის საბალანსო ღირებულება მეორე წლის ბოლოსათვის.
4. შეძენილია 36000 ლარად მანქანა/დანადგარი, რომლის ნარჩენი ღირებულება განისაზღვრა 1000 ლარით, გამოყენების ვადა 5 წელი, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

განსაზღვრეთ მანქანა/დანადგარის საბალანსო ღირებულება მეოთხე წლის ბოლოსათვის

5. შეძენილია ავტომობილი 23000 ლარად, საბაჟო და ტრანსპორტირების ხარჯებმა შეადგინა 3000 ლარი, ნარჩენი ღირებულება განისაზღვრა 6000 ლარით, გამოყენების ვადა 5 წლით. წარამადობა წლების მიხედვით შემდეგია: 1 წელი - 18000 კმ; 2 წელი - 16000 კმ; 3 წელი - 15000 კმ; 4 წელი - 12000 კმ; 5 წელი - 9000 კმ. სულ 70000 კმ.

განსაზღვრეთ ყოველწლიური ცვეთის თანხა მწარმოებლურობის პროპორციული მეთოდით.

6. დაიშალა საწყობის შენობა, თვითღირებულება 180000 ლარი, დაგროვილი ცვეთა 160000 ლარი, სასარგებლო ნაღჩენი 500 ლარი.

განსაზღვრეთ ფინანსური შედეგი და ასახეთ ოპერაცია ბუღალტრულად

7. 16000 ლარად გაიყიდა მოწყობილობა, რომელიც შეძენილია ორი წლის წინ 40500 ლარად, ნარჩენი ღირებულება განისაზღვრა 500 ლარით, გამოყენების ვადა 4 წლით. ცვეთის დარიცხვა ხდება წლების ციფრთა ჯამის მეთოდით.

განსაზღვრეთ დანადგარის გაყიდვიდან მიღებული ფინანსური შედეგი

8. ლიკვიდირებულია შენობა. თვითღირებულება 45000 ლარი, დაგროვილი ცვეთა 43950 ლარი, დემონტაჟზე დარიცხული ხელფასი 300 ლარი, მიღებული სასარგებლო ნარჩენი 2137 ლარი, ამწე მექანიზმის საწვავის ხარჯი 150 ლარი.

შეადგინეთ შენობის ლიკვიდაციის ამსახველი ბუღალტრული მუხლი და განსაზღვრეთ ლიკვიდაციიდან მიღებული ფინანსური შედეგი

1.10 ამატერიალური აქტივების აღრიცხვა

არამატერიალური აქტივების ცნება, კლასები, აღიარება და შეფასება. ბასს 38 თანახმად, არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი ფიზიკური ფორმის გარეშე. არამატერიალური აქტივების შემადგენლობაში შედის:

- ლიცენზია და ფრანშიზი;
- კონცესია;
- პატენტები, საავტორო და სხვა უფლებები;
- გუდვილი;
- კომპიუტერული პროგრამები;
- სავაჭრო და სასაქონლო ნიშნები;
- რეცეპტები (ფორმულები, ტექნოლოგიები, პროექტები);
- საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები;
- სხვა არამატერიალური აქტივები.

აქტივი აღიარდება არამატერიალურ აქტივად, თუ ის აკმაყოფილებს იდენტიფიცირებადობისა და აღიარების კრიტერიუმებს.

აღიარების კრიტერიუმებია:

- აქტივზე მოსალოდნელია მიკუთვნებადი ეკონომიკური სარგებლის ფორმაში შემოსვლა;
- შესაძლებელია აქტივის თვითღირებულების საიმედო შეფასება.

აქტივი არის იდენტიფიცირებადი, თუ:

- განცალკევებადია, ე.ი. შეიძლება მისი გამოყოფა ფირმიდან და გაყიდვა, გადაცემა, ლიცენზირება, გაქირავება ან გაცვლა;
- წარმოიქმნება სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებით.

აღიარებული არამატერიალური აქტივი ფასდება თვითღირებულებით.

არამატერიალური აქტივის თვითღირებულებაში შედის: შესყიდვის ფასი, იმპორტის მოსაკრებელი, შესყიდვის არადაბრუნებადი გადასახადები შეღავათისა და ფასდათმობის გამოკლებით, აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეული პირდაპირი დანახარჯები.

არამატერიალური აქტივების მიღების აღრიცხვა. არამატერიალური აქტივების მიღების აღსარიცხავად გამოიყენება 2500 „არამატერიალური აქტივები“ ჯგუფის ანგარიშები. **მიღება შეიძლება განხორციელდეს:**

- ცალკე შეძენით;
- გრანტით;
- გაცვლით;
- შეძენით, როგორც საწარმოთა გაერთიანების ნაწილი;
- საკუთარი ძალებით წარმოებით.

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივის შესყიდვისათვის გადახდილი თანხა არის ამ აქტივის რეალური ღირებულება. ამ ღირებულებას დამატებული აქტივის მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეული პირდაპირი დანახარჯები წარმოადგენს მის თვითღირებულებას.

მაგალითი

ფირმის მიერ 10 წლიანი ვადით შეძენილია შოკოლადის ნაწარმის წარმოების ფრანშიზი 45000 ლარად, აქტივის იურიდიულ გაფორმებაზე დაიხარჯა 4000 ლარი. ოპერაცია აისახება:

დ-ტი 2510 ლიცენზია და ფრანშიზი	49000
45000+4000	
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	49000

მიღება გრანტით. სახელმწიფო გრანტით მიღებული არამატერიალური აქტივი (საჰაერო გადაზიდვების განხორციელების ლიცენზია, მაუწყებლობის ლიცენზია და სხვა) აღიარდება რეალური ღირებულებით ან აქტივის ნომინალურ ღირებულებას დამატებული ნებისმიერი დანახარჯი.

მაგალითი

გრანტის სახით მიღებულია საჰაერო გადაზიდვების განხორციელების ლიცენზია 10 წლით, რომლის ნომინალური ღირებულება 200000 ლარია, ლიცენზიის გაფორმებას დასჭირდა 400 ლარი. ოპერაცია აისახება:

დ-ტი 2510 ლიცენზია და ფრანშიზი	200400
200000+400	
კ-ტი 4410 გადავადებული შემოსავალი	200000
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	400

მიღება გაცვლით. გაცვლის ოპერაციები აღირიცხება იმის შესაბამისად აქვს თუ არა ოპერაციას კომერციული ან არაკომერციული ხასიათი. ოპერაციების ასახვა ხდება ძირითადი საშუალებების გაცვლის ოპერაციების მსგავსად:

თუ გაცვლას აქვს კომერციული ხასიათი და არამატერიალურ აქტივზე რეალური ღირებულების დადგენა შესაძლებელია, მაშინ შემოსული არამატერიალური აქტივი ფასდება გასულის რეალური ღირებულებით, ხდება გასული აქტივის ამორტიზაციისა და თვითღირებულების ჩამოწერა და ფინანსური შედეგის დადგენა;

თუ შეუძლებელია არამატერიალურ აქტივზე რეალური ღირებულების დადგენა, ოპერაციის კომერციული შინაარსის მიუხედავად, შემოსული აქტივი ფასდება გასული აქტივის საბალანსო ღირებულებით, ხდება გასული აქტივის ამორტიზაციისა და თვითღირებულების ჩამოწერა.

იგივე ხდება, თუ გაცვლის ოპერაციას არა აქვს კომერციული ხასიათი.

მაგალითი

შემოთავაზებულია საკონდიტრო ნაწარმის რეცეპტების გაცვლა. გაცვლის ოპერაციას აქვს კომერციული ხასიათი. რეცეპტი „A“-ს რეალური ღირებულება 60000 ლარია, დაგროვილი ამორტიზაცია 10000 ლარი. უნდა მოხდეს მისი გაცვლა „B“ რეცეპტზე, რომელშიც ითხოვენ 55000 ლარს. ოპერაცია აისახება შემდეგნაირად:

დ-ტი 2570 რეცეპტი („B“)	55000
დ-ტი 2670 რეცეპტი („A“ ამორტიზაციის ჩამოწერა)	10000
კ-ტი 2570 რეცეპტი („A“ თვით-ბის ჩამოწერა)	60000
კ-ტი 8130 არასაოპერაციო მოგება	5000

თუ გამოვიყენებთ ამოცანის პირობას და დავუშვებთ, რომ „B“ რეცეპტზე ვერ დგინდება რეალური ღირებულება, მაშინ გაცვლის ოპერაცია კომერციული შინაარსის მიუხედავად შემდეგნაირად გატარდება:

დ-ტი 2570 რეცეპტი („B“)	50000
60000-10000 „A“ რეცეპტის საბალანსო ღირ.	
დ-ტი 2670 რეცეპტი („A“ ამორტიზაციის ჩამოწერა)	10000
კ-ტი 2570 რეცეპტი („A“ თვით-ბის ჩამოწერა)	60000

შეძენა, როგორც საწარმოს გაერთიანების ნაწილი. ფირმების გაერთიანება არის ცალკეული სამეურნეო ერთეულების გაერთიანება ერთ ანგარიშვალდებულ სამეურნეო ერთეულად. საწარმოთა გაერთიანების შედეგში იგულისხმება, რომ მყიდველი საწარმო იძენს სხვა საწარმოების კონტროლის უფლებას კეთილი ნების საფუძველზე (goodwill).

ფასს 3 თანახმად გუდვილი არის საწარმოთა გაერთიანების ღირებულების ნამეტი თანხა მყიდველი საწარმოს წილზე იდენტიფიცირებადი აქტივების და ვალდებულებების წმინდა ღირებულებაში.

გუდვილი = საწარმოს შეძენის ღირებულება - შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება
მაგალითი

„A“ კომპანიამ 100000 ლარად შეიძინა „B“ კომპანიის კაპიტალის 100%-იანი წილი შეძენილი აქტივები შეფასდა რეალური ღირებულებით: შენობები 50000 ლარად, სატრანსპორტო საშუალებები 10000 ლარად, მარაგი 35000 ლარად, ხოლო საგადასახადო ვალდებულებები 15000 ლარად. წარმოქმნილი გუდვილიდან გამოყოფილია შემდეგი იდენტიფიცირებადი აქტივები: სავაჭრო ნიშანი 8000 ლარი და პროდუქციის წარმოების რეცეპტი 5000 ლარი. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულ ანგარიშებზე.

1. გუდვილი=100000-(50000+10000+35000-15000)-(8000+5000)=7000 ლარი.

2. შეძენი საწარმოს ბუღალტრული ჩანაწერი:

დ-ტი 2130 შენობები	50000
დ-ტი 2180 სატრანსპორტო საშუალებები	10000
დ-ტი 2560 სავაჭრო და სასაქონლო ნიშნები	8000
დ-ტი 2570 რეცეპტები	5000
დ-ტი 2540 გუდვილი	7000
დ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი	35000
კ-ტი ევრბ	100000
კ-ტი 3300 საგადასახადო ვალდებულებები	15000

იშვიათად ხდება, როდესაც შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება აღემატება შეძენის ღირებულებას. მაშინ ადგილი აქვს ხელსაყრელ შესყიდვას, ანუ „უარყოფით გუდვილს“. ამ შემთხვევაში გამყიდველი იძულებით მოქმედებს, ხოლო მყიდველმა უნდა აღიაროს არასაოპერაციო შემოსავალი.

მაგალითი

წინა ამოცანის პირობით, თუ მყიდველმა წმინდა აქტივებში გადაიხადა 70000 ლარი, მაშინ შეძენილი გუდვილი=70000-(50000+10000+35000-15000)= -10000 ლარი, რაც ბუღალტრულად შემდეგნაირად აისახება:

დ-ტი 2130 შენობები	50000
დ-ტი 2180 სატრანსპორტო საშუალებები	10000
დ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი	35000
კ-ტი 1210 ევრბ	70000
კ-ტი 3300 საგადასახადო ვალდებულებები	15000
კ-ტი სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	10000

ფირმაში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივის წარმოქმნა შესაძლებელია ფირმაშიც. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ფირმაში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის აღიარება, უნდა მოხდეს აქტივის წარმოქმნის პროცესის კლასიფიცირება:

- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფაზად;
- საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოების ფაზად.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო არის ორგინალური და დაგეგმილი გამოკვლევები, რათა განხორციელდეს ახალი სამეცნიერო ან ტექნიკური ცოდნის მიღება. **სამეცნიერო კვლევით სამუშაოზე გაწეული დანახარჯები გაწევისთანავე აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად.**

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოს ფაზაზე სამეცნიერო კვლევის სამუშაოზე დაყრდნობით ხდება არსებითად გაუმჯობესებული მასალების, მოწყობილობების, საქონლის, პროცესების, სისტემების წარმოების დაგეგმვა, პროგნოზირება და საცდელი ნიმუშების დამზადება-ტესტირება.

მაგალითი

დანახარჯები	N 1 პროექტი	N 2 პროექტი	
		დანახარჯები I-IX	დანახარჯები IX-XII
მასალა	80000	100000	30000
ხელფასი	50000	60000	15000
ჯამი	130000	160000	45000

მიმდინარე წლის სექტემბერში (IX) N 2 პროექტის მიხედვით შექმნილ ახალ მოწყობილობაზე მიღებული იქნება რწმუნება, რომ N 2 პროექტის სამუშაოები აკმაყოფილებს არამატერიალურ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და რომ სექტემბრიდან წლის ბოლომდე მის წარმოებაზე დაიხარჯება 45000 ლარი. ავსახოთ ოპერაციები:

1. სამეცნიერო კვლევითი სამუშაოს დანახარჯების მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარება:

დ-ტი 9220 სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები	290000
130000+160000	
კ-ტი 1620 ნედლეული და მასალა	180000
80000+100000	
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი	110000
50000+60000	

2. საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების არამატერიალურ აქტივებად აღიარების ასახვა:

დ-ტი 2580 საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები	45000
30000+15000	
კ-ტი 1620 მასალები	30000
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი	15000

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის აღრიცხვა. არამატერიალურ აქტივებს, როგორც ფიზიკური ფორმის არმქონე გრძელვადიან აქტივებს ერიცხება ამორტიზაცია, თუ აქვთ **შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა.**

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება (სამაუწყებლო ლიცენზია, საჰაერო გადაზიდვების უფლება, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი და სხვა.)

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აღირიცხება 2600 „არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია“ ჯგუფის ანგარიშებზე. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, იშვიათად წლების ციფრთა ჯამის მეთოდით.

მაგალითი

შემენილია ფილმის ჩვენების უფლება 5 წლით. კონტრაქტი შეფასდა 15000 ლარად. ვინაიდან მენეჯერების სეფასებით მიჩნეულ იქნა, რომ პირველ წლებში ჩვენებიდან ეკონომიკური სარგებელი მეტი იქნება, ვიდრე მომდევნო წლებში ამორტიზაციის დარიცხვა წლების ციფრთა ჯამის მეთოდით განსაზღვრა.

1. წლების ციფრთა ჯამი = $5 \times 6 / 2 = 15$ წელი

2. ცვეთის დარიცხვა

I წელი	$15000 \times 5 / 15$	5000 ლარი
II წელი	$15000 \times 4 / 15$	4000 ლარი
III წელი	$15000 \times 3 / 15$	3000 ლარი
IV წელი	$15000 \times 2 / 15$	2000 ლარი
V წელი	$15000 \times 1 / 15$	1000 ლარი
სულ		15000 ლარი

ფირმამ ლიცენზიაში გადაიხადა 600 ლარი, მოქმედების ვადა განისაზღვრა 4 წლით. გარდა ამისა, შეიძინა ახალი ტექნოლოგიები 6000 ლარად. მენეჯერის გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი გამოყენების ვადა 3 წლიანი პერიოდით. **ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:**

დ-ტი 7170 ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი (ტექნოლოგია)	2000
6000/3	
დ-ტი 7455 ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი (ლიცენზია)	150
600/4	
კ-ტი 2610 ლიცენზიისა და ფრანშიზის ამორტიზაცია	150
კ-ტი 2630 პატენტების, სავტორო და სხვ. უფლებების ამორტიზაცია	2000

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების მქონე არამატერიალურ აქტივებს, რომელსაც მიეკუთვნება გუდვილი, ამორტიზების ნაცვლად უტარდებათ ტესტირება გაუფასურებაზე ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

მაგალითი

ფირმის შემენის დროს გუდვილმა შეადგინა 80000 ლარი. აქტივის გაუფასურებაზე ტესტირების შედეგად დადგინდა, რომ გუდვილი გაუფასურდა 60000 ლარით.

გაუფასურდება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო გუდვილის საბალანსო ღირებულება გახდება 20000 ლარი.

გუდვილის გაუფასურება გატარდება:

დ-ტი 8220 არასაოპერაციო ზარალი	60000
კ-ტი 2540 გუდვილი	60000

არამატერიალური აქტივების გადაფასების აღრიცხვა. არამატერიალური აქტივების გადაფასება ხდება ძირითადი საშუალებების გადაფასების მსგავსად თვითღირებულების და გადაფასების მოდელის შესაბამისად. ფირმა სააღრიცხვო პოლიტიკით ირჩევს გადაფასების მოდელს.

თვითღირებულების მოდელის არჩევსას არამატერიალური აქტივი საწყისი აღიარების შემდეგ აისახება თვითღირებულებით, რომელსაც უნდა გამოკალდეს აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის სიდიდეები.

მაგალითი

ფირმა სასაწყობო მეურნეობაში მარაგის აღრიცხვას ახორციელებს კომპიუტერული პროგრამით, რომლის თვითღირებულება 6000 ლარია, დაგროვილი ამორტიზაცია 3000 ლარი. მენეჯერის შეფასებით პროგრამის გამოყენებით მისაღები სარგებელი არის 2000 ლარი. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად.

დ-ტი 8220 არასაოპერაციო ზარალი	1000
(6000-3000)-2000	
კ-ტი 2650 კომპიუტერული პროგრამების ამორტიზაცია	1000

როგორც ვხედავთ, დაგროვილი ამორტიზაცია გაიზარდა 1000 ლარით და გახდა 4000 ლარი, ხოლო აქტივის საბალანსო ღირებულება გაუტოლდა მოსალოდნელი სარგებლის სიდიდეს 2000 ლარს.

გადაფასების მოდელი გულისხმობს ორი მეთოდის გამოყენებას: პროპორციული და ელიმინირების მეთოდებს.

მაგალითი

ავიაკომპანიას აქვს ბილეთების გაყიდვის კომპიუტერული პროგრამა, რომლის თვითღირებულება 50000 ლარია, დაგროვილი ამორტიზაცია 10000 ლარი. განხორციელდა პროგრამის აფასება და რეალურ ღირებულებად მიჩნეულ იქნა 150000 ლარი. ავსახოთ გადაფასების შედეგები ორივე მეთოდით.

გადაფასება პროპორციული მეთოდით:

მაჩვენებლები	ღირებულება გადაფასებამდე	გადაფასების კოეფიციენტი K	ღირებულება გადაფასების შემდეგ	სხვაობა (გადაფასების შედეგი)
თვითღირებულება	50000	(150000/40000)	(50000×3,75)	+ 137500

		3,75	187500	
ამორტიზაცია	(10000)	3,75	(10000×3,75) (37500)	+ (27500)
საბალანსო ღირებულება	40000	უნდა გაუტოლდეს	150000	+ 110000 აფასდა

დ-ტი 2550 კომპიუტერული პროგრამები	137500
კ-ტი 2650 კომპიუტერული პროგრამების ამორტიზაცია	27500
კ-ტი 5410 არამატერიალური აქტივების გადაფასების რეზერვი	110000

გადაფასება ელიმინირების მეთოდით:

1. ამორტიზაციის ელიმინირება

დ-ტი 2650 კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაცია	10000
კ-ტი 2550 კომპიუტერული პროგრამები	10000

2. ამ ოპერაციის შემდეგ კომპიუტერული პროგრამის საბალანსო ღირებულება გახდა 40000 ლარი. აქტივის საბალანსო ღირებულების გატოლება რეალურ ღირებულებასთან გამოიწვევს აქტივის აფასებას 110000 ლარით.

დ-ტი 2250 კომპიუტერული პროგრამები	110000
კ-ტი 5410 არამატერიალური აქტივის გადაფასების რეზერვი	110000

არამატერიალური აქტივების გასვლის აღრიცხვა. არამატერიალური აქტივების აღიარება უნდა შეწყდეს:

- მისი გასვლისა; ან
- როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შედეგად.

აქტივის გასვლის გზებია:

- გაყიდვა;
- ფინანსური იჯარა;
- უსასყიდლოდ გადაცემა.

მაგალითი

კომპიუტერული პროგრამის თვითღირებულება 8000 ლარია, დაგროვილი ამორტიზაცია 5000 ლარი. ფირმის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ახალი პროგრამის შექმნა და ძველის გაუქმება. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:

დ-ტი 2650 კომპიუტერული პროგრამების ამორტიზაცია	5000
დ-ტი 8220 არასაოპერაციო ზარალი	3000
კ-ტი 2550 კომპიუტერული პროგრამები	8000

არქტიტექტორული პროექტი გაიყიდა 30000 ლარად, მისი თვითღირებულება 45000 ლარია, დაგროვილი ამორტიზაცია 18000 ლარი. ასახეთ ოპერაცია ბუღალტრულად და დაადგინეთ რეალიზაციიდან მიღებული ფინანსური შედეგი.

1. ფინანსური შედეგი=30000-(45000-18000)=3000 ლარი→მოგება

2. ოპერაციის ასახვა ბუღალტრული მუხლით:

დ-ტი 1490 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნა	30000
დ-ტი 2670 რეცეპტის (პროექტის) ამორტიზაცია	18000
კ-ტი 2570 რეცეპტი (პროექტი)	45000
კ-ტი 8130 არასაოპერაციო მოგება	3000

განმარტებითი შენიშვნები. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მატერიალური აქტივების ყოველი კლასისათვის უნდა აისახოს:

- სასარგებლო მომსახურების ვადები ან გამოყენებული ამორტიზაციის ნორმები;
- გამოყენებული ამორტიზაციის მეთოდები;
- საბალანსო ღირებულება და აკუმულირებული ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში და ბოლოს;
- საბალანსო ღირებულების ზრდა ან შემცირება;
- გაუფასურებული არამატერიალური აქტივები;
- ხარჯის სახით აღიარებული სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯები;
- და სხვა.

თვითშეფასების კითხვარი

1. განმარტეთ არამატერიალური აქტივების ცნება, კლასები, აღიარება და შეფასება;
2. განმარტეთ როგორ ხდება არამატერიალური აქტივების მიღების აღრიცხვა;
3. განმარტეთ ცალკე შეძენის, გრანტით და გაცვლით მიღების აღრიცხვის თავისებურებები;
4. განმარტეთ შეძენის, როგორც საწარმოთა გაერთიანების ნაწილის არსი;
5. განმარტეთ საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების აღრიცხვის თავისებურებები;
6. განმარტეთ როგორ ხდება არამატერიალურ აქტივზე ამორტიზაციის დარიცხვა;
7. განმარტეთ არამატერიალური აქტივების გადაფასების აღრიცხვის არსი;
8. განმარტეთ როგორ ხდება არამატერიალური აქტივების გასვლის აღრიცხვა.

ამოცანები

1. 280000 ლარად შეძენილია მადნის მოპოვების კონცესია, მის იურიდიულ გაფორმებაში გადასახდელია 1000 ლარი, სპეციალისტების მომზადებაში კი 4000 ლარი.
განსაზღვრეთ კონცესიის თვითღირებულება და ასახეთ ოპერაცია ბუღალტრულად
2. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის დანახარჯები: ხელფასი 12000 ლარი, საკანცელარიო-2000 ლარი, კომპიუტერული და პოლიგრაფიული მომსახურება 3000 ლარი.
ასახეთ გაწეული დანახარჯები ბუღალტრული მუხლით
3. A საწარმომ 680000 ლარად შეიძინა B საწარმოს აქციების 100%. შეძენილი კაპიტალის ღირებულება შემდეგია: მანქანა/დანადგარები 180000 ლარი, მარაგი 120000 ლარი, კრედიტორული დავალიანება 80000 ლარი, საგადასახადო ვალდებულებები 20000 ლარი.
განსაზღვრეთ გუდვილი და ასახეთ ოპერაცია ბუღალტრულად

4. ფირმამ ღვინის წარმოების რეცეპტში გადაიხადა 10000 ლარი, ამორტიზაციის ვადა განისაზღვრა 4 წლით. არადამაკმაყოფილებელი რეალიზაციის გამო მესამე წელს გადაწყდა მისი ჩამოწერა.

განსაზღვრეთ მესამე წელს რეცეპტის ჩამოწერით მიღებული ფინანსური შედეგი

5. 25000 ლარად გაიყიდა კონიაკის დამზადების ტექნოლოგია, მისი თვითღირებულება 45000 ლარია, დაგროვილი ამორტიზაცია 23000 ლარი.

შეადგინეთ ტექნოლოგიის გაყიდვის ბუღალტრული მუხლი და განსაზღვრეთ ფინანსური შედეგი


6. ფარმაცევტულმა საწარმომ რეცეპტში გადაიხადა 18000 ლარი, ამორტიზაციის ვადა განისაზღვრა 6 წლით. ორი წლის შემდეგ გადაწყდა მისი ამოღება რეალიზაციიდან სერიოზული უკუჩვენებების გამო.

განსაზღვრეთ და ასახეთ ბუღალტრული გატარებით წამლის ჩამოწერით მიღებული ფინანსური შედეგი

1.11 ვალდებულებების აღრიცხვა

ვალდებულებების წარმოქმნის საფუძვლები, აღიარება და კლასიფიკაცია. ვალდებულება არის მიმდინარე პერიოდის მოვალეობა წარმოქმნილი წარსულში მომხდარი სამეურნეო ოპერაციების შედეგად, რაც მოითხოვს ფირმის ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ფირმიდან გასვლას. ე. ი. ვალდებულება არის სავაჭრო, სასესხო და საგადასახადო ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ვალი, რომელიც მომავალში უნდა დაიფაროს.

სტანდარტის მიხედვით ბუღალტრულ ბალანსში ვალდებულებების ასახვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი დაფარვა მომავალში გამოიწვევს სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას და შესაძლებელია მისი საიმედო რაოდენობრივი შეფასება-განსაზღვრა. მოკლევადიანი ვალდებულება ბალანსში ფასდება რეალური (საკომპენსაციო) ღირებულებით, ხოლო გრძელვადიანი სესხები და ანარიცხები დისკონტირებული ღირებულებით.




გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის ვადები, მათი დახასიათება შინაარსისა და წარმოქმნის მიხედვით განხილულია სახელმძღვანელოს **ნაწილში 1.2.**

ფაქტიური ვალდებულება წარმოიქმნება კონტრაქტების ან კანონმდებლობის საფუძველზე და მათი გამომწვევით შეიძლება აბსოლუტური სიზუსტით-ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით, დარიცხული ხელფასი, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), აქციზი, მიღებული ავანსები, გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი, გასანაღდებელი თამასუქები და დივიდენდები.

შეფასებითი ანუ მოსალოდნელი ვალდებულება არის ისეთი ვალდებულება, რომლის ზუსტი თანხის გამოთვლა შეუძლებელია ფინანსური ანგარიშგების შედგენამდე-მოგებისა და ქონების გადასახადი, საგარანტიო ვალდებულება და სხვ.

პირობითი ვალდებულება სტანდარტის შესაბამისად არის ვალდებულება, რომელსაც ფირმა ვალდებულებად არ აღიარებს. ასეთი სახის ვალდებულებების წარმოქმნის საფუძველი ხშირ შემთხვევაში არის სასამართლო სარჩელი, რომელიც აღიძვრება ფირმის წინააღმდეგ ამა თუ იმ გარიგების შესრულების შემდეგ. ინფორმაცია პირობითი ვალდებულებების შესახებ ასახვას პოულობს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.



მოკლევადიანი ვალდებულებების აღსარიცხავად განოიყენება შემდეგი ჯგუფების ანგარიშები:

- 3100-მოკლევადიანი ვალდებულებები;
- 3200-მოკლევადიანი სესხები;
- 3300-საგადასახადო ვალდებულებები;
- 3400-დარიცხული ვალდებულებები.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა. სავაჭრო ვალდებულება ანუ, სავაჭრო კრედიტორული დავალიანება წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ხდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან მომსახურების კრედიტით ე. ი. შემდგომი გადახდის პირობით შესყიდვა (შემენა).

კრედიტორული დავალიანების საკონტროლო ანგარიში

დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
		საწყისი ნაშთი	X
განაღდება-ფული	X		
შესყიდული საქ. უკან დაბრუნება	X	შესყიდვები	X
მიღებული ფასდათმობა			
დებიტორული დავალიანების ურთიერთჩათვლა (კონტრა)	X		
ბრუნვა	X	ბრუნვა	X
		საბოლოო ნაშთი	X

მაგალითი

მომწოდებლისაგან კრედიტით შეძენილია 6000 ლარის საქონელი. დღგ 1080 ლარია. კრედიტორული დავალიანების დაფარვა უნდა მოხდეს 30 დღეში. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

1. საქონლის შეძენა და ვალდებულების აღიარება

დ-ტი 1610 საქონელი (უწყვეტი მეთოდით)	6000
ან	
დ-ტი 7210 გაყიდული/შეძენილი საქონელი (პერიოდული მეთოდით)	6000
დ-ტი 3340 გადახდილი/ ჩასათვლელი დღგ	1080
კ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით	7080

2. კრედიტორული დავალიანების განაღდება

დ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით	7080
კ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	7080

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება შეიძლება წარმოიქმნას უცხოურ ვალუტაშიც, როდესაც ფირმა:

- ყიდულობს უცხოური ვალუტით შეფასებულ საქონელსა და მომსახურებას;
- იღებს სესხს უცხოურ ვალუტაში;
- მონაწილეობს საგარეო გაცვლით ურთიერთობებში;
- იძენს აქტივებს, იღებს ან ფარავს ვალდებულებებს უცხოური ვალუტით.

საილუსტრაციოდ გამოვიყენოთ **ნაწილში 1.6** ცხრილში მოცემული მაგალითი.

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება ფასდათმობის პირობით წარმოიქმნება ვალდებულებების ვადაზე ადრე განაღდების სტიმულირებისათვის. მომწოდებელი მყიდველს ამ შემთხვევაში სთავაზობს ჩვენთვის მოთხოვნების აღრიცხვიდან უკვე ნაცნობ პირობას, მაგალითად 3/10, n/30 ანუ კრედიტორული დავალიანების დაფარვას 10 დღეში 3%-იანი ფასდათმობით და 30 დღეში ფასდათმობის გარეშე. ამ შემთხვევაშიც ფასდათმობის პირობით წარმოებულ ოპერაციები შეიძლება აისახოს მთლიანი ან წმინდა თანხის მეთოდით.

მაგალითი

მომწოდებლისაგან კრედიტით შეძენილია 4000 ლარის საქონელი პირობით 3/10, n/30. დღგ 720 ლარი. ავსახოთ ოპერაციები მთლიანი და წმინდა თანხის მეთოდით.

მთლიანი თანხის მეთოდი	წმინდა თანხის მეთოდი
1. საქონლის შეძენა და ვალდებულების წარმოქმნა	
დ-ტი 1610 საქონელი 4000	დ-ტი 1610 საქონელი 4000
დ-ტი 3340 გადახდილი/ჩასათვლელი დღგ 720	დ-ტი 3340 გადახდილი/ჩასათვლელი დღგ 720
კ-ტი 3110 ვალდებულება მოწ. და მომს. 4720	კ-ტი 3110 ვალდებულება მოწ. და მომს. 4578
	4720×0,97
	კ-ტი 8190 სხვა არასაოპ. შემოსავალი 142
2. კრედიტორული დავალიანების დაფარვა (განაღდება)	
ა)ფასდათმობის გარეშე	ა)ფასდათმობით
დ-ტი 3110 ვალდებულება მოწ. და მომს. 4720	დ-ტი 3110 ვალდებულება მოწ. და მომს. 4578
კ-ტი 1210 ევრბ 4720	კ-ტი 1210 ევრბ 4578
ბ)ფასდათმობით	ბ)ფასდათმობის გარეშე
დ-ტი 3110 ვალდებულება მოწ. და მომს. 4720	დ-ტი 3110 ვალდებულება მოწ. და მომს. 4578
კ-ტი 1210 ევრბ 4578	დ-ტი 8190 სხვა არასაოპ. შემოსავალი 142
4720×0,97	კ-ტი 1210 ევრბ 4720
კ-ტი 8190 სხვა არასაოპ. შემოსავალი 142	
4720×0,03	
3. არასაოპერაციო შემოსავლის ჩამოწერა მ/ზ ანგარიშზე (ანგარიშის დახურვა)	
დ-ტი 8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები 142	
კ-ტი 5330 საანგ. პერიოდის მ/ზ 142	

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების პირობით ხორციელდება დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუ მოწოდებული მარაგი უხარისხია, დაზიანებული, ნომენკლატურასთან შეუსაბამო და სხვა.

დავალიანების დაფარვამდე შეძენილი მარაგის ნაწილის დაბრუნებით ვალდებულება მცირდება და ამ შემთხვევაში ადგილი ექნება შემდეგ ბუღალტრულ გატარებას:

დ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით
კ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი (უწყვეტი მეთოდით)
ან

კ-ტი 7220 შეძენილი საქონლის დაბრ. და ფასდათმობა (პერიოდული მეთოდით)

მიღებული ავანსის აღრიცხვა ხორციელდება ბასს 18 „ამონაგების“ შესაბამისად და გულისხმობს, რომ საქონლის გაყიდვამდე მიღებული ნებისმიერი ანაზღაურების თანხა აისახება როგორც ვალდებულება. აქედან გამომდინარე, მომწოდებელსა და მყიდველს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად შესაძლებელია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენა და მომსახურების გაწევა წინასწარი გადახდით, ანუ ავანსად. ავანსად მიღებული თანხა არის გამოუმუშავებელი შემოსავალი და აღირიცხება ანგარიშზე 3120 „მიღებული ავანსები“.

მაგალითი

2014 წლის 1/VIII შემკვეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 30/XI შესასრულებელია 140000 ლარის სამუშაო. ავანსის სახით მიღებულია თანხის 25%. სამუშაოს ჩაბარება მოხდა დროულად, ხოლო შემკვეთისაგან დარჩენილი თანხა ჩაირიცხა საბანკო ანგარიშზე 1/XII. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად.

1. 2014 წლის 1/VIII ავანსის მიღება:

დ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 35000
140000×0,25

კ-ტი 3120 მიღებული ავანსები 35000

2. 2014 წლის 30/XI შესრულებული სამუშაოს ჩაბარება, მიღებული ავანსის ჩათვლა და შესრულებულ სამუშაოზე რეალიზაციიდან შემოსავლის აღიარება:

დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით 140000-35000	105000
დ-ტი 3120 მიღებული ავანსი	35000
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან	140000

3. 2014 წლის 1/XII შემკვეთისაგან დარჩენილი თანხის ჩარიცხვა

დ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	105000
კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	105000

სასესხო და სათამასუქო ვალდებულებების აღრიცხვა. საბრუნავი სახსრების შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა სესხები. მოკლევადიანი სესხი გაიცემა ერთ წლამდე ვადით, ხოლო გრძელვადიანი-ერთ წელზე მეტი პერიოდით.

ოვერდრაფტი მოკლევადიანი სესხის თანამედროვე ფორმაა და გაიცემა მოკლე ვადის განმავლობაში მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისათვის.

მოკლევადიანი სესხების აღრიცხვა ხორციელდება 3200 „მოკლევადიანი სესხები“ ჯგუფის ანგარიშებზე.

ფულის სესხება შესაძლებელია ბანკიდან და თამასუქით, გარდა ამისა, თამასუქით შეიძლება აქტივის შეძენაც.

მაგალითი

ფორმამ ბანკიდან 2014 წლის 1/IX აიღო მოკლევადიანი სესხი 10000 ლარი წლიური 12%-იანი განაკვეთით. პროცენტის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვე გრაფიკის თანახმად, ხოლო ძირითადი თანხა დაიფარება სასესხო ვადის ამოწურვისას. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად.

1. 2014 წლის 1/IX სესხის აღება

დ-ტი 1210 ევრბ	10000
კ-ტი 3210 მოკლევადიანი სესხი	10000

2. სექტემბრის ბოლოს საპროცენტო ხარჯის აღიარება

დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი $10000 \times 0,12 \times 1/12$	100
კ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	100

3. სექტემბრის ბოლოს პროცენტის დაფარვა

დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	100
კ-ტი 1210 ევრბ	100

2-3 ოპერაცია განხორციელდება ყოველთვე 2015 წლის 1/IX-მდე (კიდევ თერთმეტჯერ)

4. სასესხო ვადის გასვლის შემდეგ სესხის ძირითადი თანხის გადახდა

დ-ტი 3210 მოკლევადიანი სესხი	10000
კ-ტი 1210 ევრბ	10000

ფირმის მიერ 2014 წლის 1/VII აღებულია სესხი 12000 ლარი წლიური 10%-იანი განაკვეთით, რაზეც გაცემულია თამასუქი 6 თვის ვადით. თამასუქის განაღდება მოხდება ვადის ამოწურვისას 25/XII. ასახეთ ოპერაციები ბუღალტრულად.

ამ შემთხვევაში წარმოიქმნება ვალდებულება „გასანაღდებელი თამასუქი“. გასანაღდებელი თამასუქი შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პროცენტის და უპროცენტო, სავაჭრო და სასესხო. პროცენტიან თამასუქზე გამოცხადებული საპროცენტო განაკვეთი მითითებულია ნომინალთან ერთად, ხოლო უპროცენტო თამასუქზე საპროცენტო განაკვეთი მითითებული არ არის, თუმცა იგი შედის მის ნომინალურ ღირებულებაში საბაზრო განაკვეთით.

1. 2014 წლის 1/VII სესხის აღება თამასუქით

დ-ტი 1210 ევრბ	12000
კ-ტი 3140 გასანაღდებელი თამასუქი	12000

2. ყოველთვე საპროცენტო ხარჯის აღიარება

დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯები 12000×0,10×1/12	100
კ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	100

3. 2014 წლის 25/XII თამასუქის განაღდება

დ-ტი 3140 გასანაღდებელი თამასუქი	12000
დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები (12000×0,10×6/12) ან (100×6)	600
კ-ტი 1210 ევრბ	12600

სავაჭრო გასანაღდებელი თამასუქით შესაძლებელია მომწოდებლებისაგან აქტივების შეძენა და მომსახურების მიღება.

მაგალითი

2014 წლის 1/VII ფირმამ შეიძინა 20000 ლარად შეფასებული საოფისე ავეჯი თამასუქის სანაცვლოდ. თამასუქის დაფარვის ვადა 1 წელია, საპროცენტო განაკვეთი 15%, პროცენტის გადახდა მოხდება 6 თვეში ერთხელ. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად.

1. 2014 წლის 1/VII ავეჯის შეძენა თამასუქით

დ-ტი 2170 ავეჯი და სხვა ინვენტარი	20000
კ-ტი 3140 გასანაღდებელი თამასუქი	20000

2. ყოველთვე საპროცენტო ხარჯის აღიარება

დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი 20000×0,15×1/12	250
კ-ტი 3410 გასანაღდებელი თამასუქი	250

ასე გაგრძელდება ყოველთვე თამასუქის ვადის ამოწურვამდე.

3. 2014 წლის 31/XII 6 თვის პროცენტის გადახდა

დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები 250×6	1500
კ-ტი 1210 ევრბ	1500

ფინანსურ ანგარიშგებაში 2014 წლის 31/XII მდგომარეობით მოგება/ზარალის ანგარიშგებაში შევა 1500 ლარი როგორც ფინანსური (საპროცენტო) ხარჯი, ხოლო ბალანსში იქნება ორი ვალდებულება გასანაღდებელი თამასუქი 20000 ლარი და გადასახდელი პროცენტები 1500 ლარი (დარჩენილი).

4. 2015 წლის 30/VI თამასუქის განაღდება და დარჩენილი პროცენტის გადახდა

დ-ტი 3410 გასანაღდებელი თამასუქი	20000
დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	1500
კ-ტი 1210 ევრბ	21500

საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა. საგადასახადო ვალდებულებების განგარიშების და გადახდის წესები, ვადები და სხვა განსაზღვრულია საგადასახადო კანონმდებლობით (საგადასახადო კოდექსი). ამ ვალდებულებების შესრულებად ითვლება გადასახადის თანხის დაფარვა დადგენილ ვადაში. საგადასახადო ვალდებულებები აღირიცხება 3300 ჯგუფის ანგარიშებზე.

დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვა. დღგ არის არაპირდაპირი უკანდაბრუნებადი გადასახადი, რომლის განაკვეთის ნორმა 18%-ია. დღგ-ის გადამხდელი არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სავალდებულო წესით ან ნებაცოფლობით რეგისტრირებულნი არიან დღგ-ს გადამხდელად. დღგ-ს იხდის მყიდველი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დღგ-ის აღსარიცხავად გამოიყენება ორი ანგარიში:

- 3330 გადასახდელი დღგ
- 3340 გადახდილი/ჩასათვლელი დღგ

მაგალითი

შესყიდვის ოპერაციები	გაყიდვის ოპერაციები																				
<p>1. ნაღდი ფულით 5000 ლარის საქონელი, მ. შ. დღგ 763 ლარი</p> <table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td>დ-ტი 1610 საქონელი</td> <td style="text-align: right;">4237</td> </tr> <tr> <td style="padding-left: 20px;">5000×100/118</td> <td></td> </tr> <tr> <td>დ-ტი 3340 გადახდილი/ჩასათ. დღგ</td> <td style="text-align: right;">763</td> </tr> <tr> <td style="padding-left: 20px;">5000×18/118</td> <td></td> </tr> <tr> <td>კ-ტი 1430 მოთხ. საწ. პერს.</td> <td style="text-align: right;">5000</td> </tr> </table>	დ-ტი 1610 საქონელი	4237	5000×100/118		დ-ტი 3340 გადახდილი/ჩასათ. დღგ	763	5000×18/118		კ-ტი 1430 მოთხ. საწ. პერს.	5000	<p>3. ნაღდი ანგარიშსწორებით 7000 ლარის საქონელი, მ. შ. დღგ 1068 ლარი</p> <table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td>დ-ტი 1210 ევრბ</td> <td style="text-align: right;">7000</td> </tr> <tr> <td>კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ.</td> <td style="text-align: right;">5932</td> </tr> <tr> <td style="padding-left: 20px;">7000×100/118</td> <td></td> </tr> <tr> <td>კ-ტი 3330 გადასახდელი დღგ</td> <td style="text-align: right;">1068</td> </tr> <tr> <td style="padding-left: 20px;">7000×18/118</td> <td></td> </tr> </table>	დ-ტი 1210 ევრბ	7000	კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ.	5932	7000×100/118		კ-ტი 3330 გადასახდელი დღგ	1068	7000×18/118	
დ-ტი 1610 საქონელი	4237																				
5000×100/118																					
დ-ტი 3340 გადახდილი/ჩასათ. დღგ	763																				
5000×18/118																					
კ-ტი 1430 მოთხ. საწ. პერს.	5000																				
დ-ტი 1210 ევრბ	7000																				
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ.	5932																				
7000×100/118																					
კ-ტი 3330 გადასახდელი დღგ	1068																				
7000×18/118																					
<p>2. კრედიტით 10000 ლარის საქონელი დღგ-ს გარეშე</p> <table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td>დ-ტი 1610 საქონელი</td> <td style="text-align: right;">10000</td> </tr> <tr> <td>დ-ტი 3340 გადახდილი/ჩას. დღგ</td> <td style="text-align: right;">1800</td> </tr> <tr> <td style="padding-left: 20px;">10000×18/100</td> <td></td> </tr> <tr> <td>კ-ტი 3110 ვალდ. მოწ. და მომს</td> <td style="text-align: right;">11800</td> </tr> </table>	დ-ტი 1610 საქონელი	10000	დ-ტი 3340 გადახდილი/ჩას. დღგ	1800	10000×18/100		კ-ტი 3110 ვალდ. მოწ. და მომს	11800	<p>4. კრედიტით 12000 ლარის საქონელი დღგ-ს გარეშე</p> <table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td>დ-ტი 1410 მოთხოვნები მიწ. და მომს.</td> <td style="text-align: right;">14160</td> </tr> <tr> <td style="padding-left: 20px;">12000×118/100</td> <td></td> </tr> <tr> <td>კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ.</td> <td style="text-align: right;">12000</td> </tr> <tr> <td>კ-ტი 3330 გადასახდელი დღგ</td> <td style="text-align: right;">2160</td> </tr> <tr> <td style="padding-left: 20px;">12000×0,18</td> <td></td> </tr> </table>	დ-ტი 1410 მოთხოვნები მიწ. და მომს.	14160	12000×118/100		კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ.	12000	კ-ტი 3330 გადასახდელი დღგ	2160	12000×0,18			
დ-ტი 1610 საქონელი	10000																				
დ-ტი 3340 გადახდილი/ჩას. დღგ	1800																				
10000×18/100																					
კ-ტი 3110 ვალდ. მოწ. და მომს	11800																				
დ-ტი 1410 მოთხოვნები მიწ. და მომს.	14160																				
12000×118/100																					
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზ.	12000																				
კ-ტი 3330 გადასახდელი დღგ	2160																				
12000×0,18																					
<p>5. დღგ-ს დეკლარირებისას, ანუ დღგ-ს დეკლარაციის წარდგენის შემდეგ საგადასახადო ანგარიშფაქტურებში ასახული დღგ-ს ჩათვლა</p> <table border="0" style="width: 100%;"> <tr> <td>დ-ტი 3330 გადასახდელი დღგ</td> <td style="text-align: right;">2563</td> </tr> <tr> <td>კ-ტი 3340 გადახდილი/ჩას. დღგ</td> <td style="text-align: right;">2563</td> </tr> <tr> <td style="padding-left: 20px;">763+1800</td> <td></td> </tr> </table>	დ-ტი 3330 გადასახდელი დღგ	2563	კ-ტი 3340 გადახდილი/ჩას. დღგ	2563	763+1800																
დ-ტი 3330 გადასახდელი დღგ	2563																				
კ-ტი 3340 გადახდილი/ჩას. დღგ	2563																				
763+1800																					

6. ბიუჯეტის კუთვნილი დღგ-ს გადახდა			
დ-ტი 3330 გადასახდელი დღგ		665	
(1068+2160)-2563			
კ-ტი 1210 ევრბ		665	

ილუსტრირებისათვის თანხები გადავიტანოთ 3330 და 3340 ანგარიშებზე

გადახდილი/ჩასათვლელი დღგ		ანგარიში N3340		გადასახდელი დღგ		ანგარიში N3330	
დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი	დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
1. მოთხ. პერსონალზე საქონელი	763	5.გადასახდელი დღგ	2563	5.გადახდილი/ჩასათვლელი დღგ	2563	3. ევრბ შემ. რეალიზ.	1068
2. ვალდ. მოწ. და მომს. საქონელი	1800			6. ევრბ (ბიუჯეტში გადარიცხვა)	665	4. მოთხოვნა შემ.რეალზ	2160
ბრუნვა	2563	ბრუნვა	2563	ბრუნვა	3328	ბრუნვა	3328

აქციზის აღრიცხვა ხდება დღგ-ს აღრიცხვის მსგავსად საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული განაკვეთებით 3350 „გადასახდელი აქციზი“ და 3360 „გადახდილი/ჩასათვლელი აქციზი“ ანგარიშებზე.

საგადასახადო კოდექსის თანახმად, დაქირავებულ მუშაკებს-ფიზიკურ პირებს **დარიცხული ხელფასიდან უკავდებათ საშემოსავლო გადასახადი 20%-იანი განაკვეთით.**

1. საშემოსავლო გადასახადის დარიცხვა გატარდება:

დ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი
დარიცხული ხელფასი×0,20

კ-ტი 3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი

2. ბიუჯეტისათვის საშემოსავლო გადასახადის გადარიცხვა გატარდება:

დ-ტი 3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი
კ-ტი 1210 ევრბ

მოგების გადასახადის აღრიცხვა. მოგების გადასახადი ბიუჯეტის შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. საგადასახადო კოდექსით მოგების გადასახადი დასაბეგრი მოგების 15%-ია და მისი დაფიქსირება ხდება მ/ზ ანგარიშგებაში საანგარიშგებო წლის ბოლოს, შესაბამის ანგარიშებზე თანხების გამოანგარიშების შემდეგ.

როგორც უკვე ვიცით, საანგარიშგებო წლის განმავლობაში ხდება მოგების გადასახადის გადახდა წინა წლის მონაცემებიდან გამომდინარე მიმდინარე გადასახდელის სახით. წლის ბოლოს კი ბიუჯეტში გადარიცხება სხვაობა.

მაგალითი

2014 წლის 31/XII დასაბეგრი მოგება 25000 ლარია. გასული წლის წმინდა მოგებიდან გამომდინარე 2014 წლის განმავლობაში მიმდინარე გადასახდელის სახით გადახდილია 2000 ლარი. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

1. 2014 წლის გაზაფხულზე მიმდინარე გადასახდელის გადახდა:

დ-ტი 1730 წინასწარ გადახდილი გადასახადები	2000
კ-ტი 1210 ევრბ	2000

2. 2014 წლის 31/XII მოგების გადასახადის დარიცხვა:

დ-ტი 9210 მოგების გადასახადის ხარჯი 25000×0,15	3750
კ-ტი 3310 გადასახდელი მოგების გადასახადი	3750
3. 2014 წლის 31/XII წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა:	
დ-ტი 3310 გადასახდელი მოგების გადასახადი	2000
კ-ტი 1730 წინასწარ გადახდილი გადასახადები	2000
4. დარჩენილი მოგების გადასახადის გადახდა მოხდება მომავალ საანგარიშგებო პერიოდში გატარებით:	
დ-ტი 7465 სხვა საგადასახადო ხარჯები 3750-2000	1750
კ-ტი 1210 ევრბ	1750

სხვა სახის გადასახადები (ქონების, სათამაშო ბიზნესის და სხვა) ფირმისათვის საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად უნდა აღიარდეს.

დ-ტი 7465 სხვა საგადასახადო ხარჯები

კ-ტი 3390 სხვა საგადასახადო ვალდებულებები

აღნიშნული გადასახადებიც გადაიხდება დადგენილ ვადებში შემდეგი გატარებით:

დ-ტი 3390 სხვა საგადასახადო ვალდებულებები

კ-ტი 1210 ევრბ

საგადასახადო ვალდებულებების რეგულირება ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის N1226 ბრძანებით „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო დამტკიცების შესახებ“.

დარიცხული ვალდებულებების აღრიცხვა. ამ სახის ვალდებულებების წარმოქმნას განაპირობებს შრომითი კანონმდებლობა, კონტრაქტები, კოდექსი და სხვა საკანონმდებლო აქტები. **დარიცხულ ვალდებულებების მიეკუთვნება:** დარიცხული ხელფასი, გადასახდელი პროცენტები, გადასახდელი დივიდენდები, საგარანტიო და საიჯარო ვალდებულებები. **მოგება/ზარალის ანგარიშგებაში** დარიცხული ვალდებულებები შეიტანება როგორც ხარჯი, ხოლო **ბალანსში-როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.**

სახელფასო ვალდებულებების აღრიცხვა.

მაგალითი

2014 წლის ივნისში დაირიცხა ხელფასი:

ძირითადი მუშების-40000 ლარი;

დამხმარე მუშების-18000 ლარი;

ადმინისტრაციის მუშაკების-25000 ლარი

დისტრიბუტორების-რეალიზაციიდან ამონაგების 3%.

რეალიზაციიდან ამონაგები 250000 ლარია. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი 20%.

ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად.

1. 2014 წლის 30/VI ხელფასის დარიცხვა:

დ-ტი 7120 პირდაპირი ხელფასი 40000

დ-ტი 7150 არაპირდაპირი ხელფასი 18000

დ-ტი 7320 შრომის ანაზღაურება და საკომ. გასამრ. 7500

	250000×0,03	
დ-ტი 7410 შრომის ანაზღაურების ხარჯები		25000
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი		90500
2. დარიცხული ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება (დარიცხვა):		
დ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი		18100
	90500×0,20	
კ-ტი 3320 გადასახდელი საშ. გადასახადი		18100
3. ხელფასის გაცემა და საშემოსავლო გადასახადის გადარიცხვა:		
დ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი		72400
	(90500×0,80) ან (90500-18100)	
დ-ტი 3320 გადასახდელი საშ. გადასახადი		18100
კ-ტი 1210 ევრბ		90500

ვალდებულება გადასახდელი პროცენტებით. საპროცენტო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს სესხებზე, თამასუქებზე, ობლიგაციებზე და სხვა. მისი სიდიდე დამოკიდებულია სახელშეკრულებო პირობებზე. გადასახდელი პროცენტი ფირმისათვის წარმოადგენს ხარჯს. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია **ამავე ნაწილში** განხილულ მაგალითებში.

ვალდებულება გადასახდელი დივიდენდებით. დივიდენდი წმინდა მოგების ნაწილია, რომელიც ფირმის პაერტნიორებზე (აქციონერებზე) ნაწილდება საანაგარიშგებო წლის ბოლოს.

მაგალითი

2014 წლის 31/XII მოხდა დივიდენდის გამოცხადება 20000 ლარის ოდენობით. დივიდენდი იბეგრება 5%. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:

1. დივიდენდის გამოცხადება, ანუ ვალდებულების წარმოქმნა პარტნიორების ან დამფუძნებლების მიმართ გატარდება:

დ-ტი 5310 გაუნაწილებელი მოგება	20000
კ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები	20000

2. დივიდენდიდან გადასახადის დაკავება:

დ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები	1000
	20000×0,05
კ-ტი 3390 სხვა საგ. ვალდებულებები	1000

3. დივიდენდის გადახდა ფულით:

დ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები	19000
	20000×0,95
კ-ტი 1210 ევრბ	19000

გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები აღირიცხება 4100 ჯგუფის ანგარიშებზე.

სასესხო და სათამასუქო ვალდებულებების აღრიცხვა. გრძელვადიანი სესხების გაცემისა და დაფარვის პირობები განისაზღვრება სასესხო ან სათამასუქო ხელშეკრულებით. გრძელვადიანი სესხების უზრუნველყოფა ხდება მოძრავი და უძრავი ქონების გირაოთი. ეს ფორმა განსაკუთრებით გამოიყენება არასტაბილური ფირმების მიმართ.

გრძელვადიანი სასესხო და სათამასუქო ვაკლდებულებების არსი იგივეა, რაც მოკლევადიანისა.

მაგალითი

ფირმის 2014 წლის 1/1 ბანკიდან აიღო სესხი 40000 ლარი 2 წლის ვადით, წლიური 10%-იანი განაკვეთით. პირველი წლის ბოლოს გადასახდელი იქნება ძირითადი თანხის 20%, ხოლო სესხზე დარიცხული პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის ბოლოს. დარჩენილი ძირითადი თანხის ნაწილის გადახდა მოხდება სესხის ვადის ამოწურვისას. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

1. 2014 წლის 1/1 გრძელვადიანი სესხის აღება:

დ-ტი 1210 ევრბ	40000
კ-ტი 4140 გრძელვადიანი სესხი	40000

2. 2014 წლის დეკემბერში წლიური საპროცენტო ხარჯის აღიარება:

დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი 40000×0,10	4000
კ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	4000

3. 2014 წლის დეკემბერში გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის ასახვა:

დ-ტი 4140 გრძელვადიანი სესხი 40000×0,20	8000
კ-ტი 3230 გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	8000

4. 2014 წლის ბოლოს გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილისა და პროცენტის გადახდა:

დ-ტი 3230 გრძელვადიანი სესხი მიმდინარე ნაწილი	8000
დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	4000
კ-ტი 1210 ევრბ	12000

5. 2015 წლის დეკემბერში წლიური საპროცენტო ხარჯის აღიარება:

დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი (40000-8000)×0,10	3200
კ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	3200

6. 2015 წლის დეკემბერში პროცენტისა და ძირითადი თანხის დარჩენილი ნაწილის გადახდა:

დ-ტი 4140 გრძელვადიანი სესხი (40000×0,80) ან (40000-8000)	32000
დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	3200
კ-ტი 1210 ევრბ	35300

ფირმამ 2014 წელს 1/1 25000 ლარად შეიძინა პრდუქტების შესაფუთი დანადგარი, რაზეც გასცა თამასუქი 2 წლის ვადით, წლიური საპროცენტო განაკვეთი 12%-ია. ძირითადი თანხა გადახდილი იქნება თამასუქის ვადის ამოწურვისას, ხოლო პროცენტი ყოველი წლის ბოლოს. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

1. 2014 წლის 1/1 დანადგარის შეძენა გრძელვადიანი თამასუქით:	
დ-ტი 2150 მანქანა/დანადგარები	25000
კ-ტი 4150 გასანაღდებელი თამასუქი	25000
2. 2014 წლის დეკემბერში საპროცენტო ხარჯის აღიარება:	
დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი	3000
25000×0,12	
კ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტი	3000
3. 2014 წლის დეკემბერში პირველი წლის პროცენტის დაფარვა:	
დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	3000
კ-ტი 1210 ევრბ	3000
4. 2015 წლის დეკემბერში საპროცენტო ხარჯის აღიარება:	
დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი	3000
25000×0,12	
კ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	3000
5. 2015 წლის დეკემბერში გრძელვადიანი თამასუქის განაღდება და მეორე წლის პროცენტის დაფარვა:	
დ-ტი 4150 გასანაღდებელი თამასუქი	25000
დ-ტი 3410 გადასახდელი პროცენტები	3000
კ-ტი 1210 ევრბ	28000

თუ შეუძლებელია თამასუქით შეძენილი აქტივის რეალური ღირებულების დადგენა, მაშინ აქტივი ფასდება დისკონტირებული ღირებულებით, ვალდებულება კი მენეჯმენტის გადაწყვეტილებით ან მთლიანი, ან წმინდა თანხის მეთოდით.

მაგალითი

ფირმამ 100000 ლარად შეიძინა დაუმთავრებელი მშენებარე სახლი თამასუქით, რომლის ვადა 2 წელია. თამასუქის განაღდება მოხდება ვადის ამოწურვისას.

ვინაიდან ადგილი აქვს უპროცენტო თამასუქს, ხოლო აქტივის რეალური ღირებულების შეფასება საიმედოთ ვერ ხერხდება და ბაზარზე სესხებზე მოქმედებს 12%-იანი განაკვეთი, აქტივის შეფასება მოვახდინოთ დისკონტირებული ღირებულებით:

დისკონტირებული, ანუ პირვანდელი ღირებულება→ $PV(2,12)=100000 \times 0.7885=78850$ ლარი.

1. აქტივის შეძენა და გრძელვადიანი სათამასუქო ვალდებულების წარმოქმნა:

დ-ტი 2120 დაუმთავრებელი მშენებლობა	78850
დ-ტი 4160 გასანაღდებელი თამასუქის დისკონტი	21150
100000-78850	
კ-ტი 4150 გასანაღდებელი თამასუქი	100000

2. პირველ წელს საპროცენტო ხარჯის აღიარება:

დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი	10575
21150/2	
კ-ტი 4160 გასანაღდებელი თამასუქის დისკონტი	10575
(შინაარსით იგივე გადასახდელი პროცენტია)	

3. მეორე წელს საპროცენტო ხარჯის აღიარება:

დ-ტი 8210 საპროცენტო ხარჯი	10575
21150/2	
კ-ტი 4160 გასანაღდებელი თამასუქის დისკონტი	10575

4. მეორე წლის ბოლოს თამასუქის განაღდება:

დ-ტი 4150 გასანაღდებელი თამასუქი	100000
კ-ტი 1210 ევრბ	100000

საგარანტიო ანარიცხების აღრიცხვა. ანარიცხები პირობითი ვალდებულებაა, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. გარანტია პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებელია და მოქმედებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ფირმას აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება პროდუქციის მიწოდების შემდეგ.

მაგალითი

გაიყიდა 1000 ცალი საქონელი გარანტიით, თითოეული 50 ლარად, საიდანაც შესაკეთებლად და შესაცვლელად ბრუნდება 5%. საგარანტიო ვალდებულების შესრულებაზე გაწეულია დანახარჯები: ხელფასი 1500 ლარი, ნედლეული და მასალა 1000 ლარი. აგსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:

1. საგარანტიო მომსახურების ანარიცხების შექმნა:

დ-ტი 7380 საგარანტიო მომსახურების ანარიცხ. ხარჯი	2500
(1000×50)×0,05	
კ-ტი 4320 საგარანტიო მომსახურების ანარიცხები	2500

2. საგარანტიო ვალდებულების შესრულება:

დ-ტი 4320 საგარანტიო მომსახურების ანარიცხები	2500
კ-ტი 1620 ნედლეული და მასალა	1000
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი	1500

თუ ფაქტიური დანახარჯები აღმატება ანარიცხების სიდიდეს (მასალა 1200 ლარი, ხელფასი 2000 ლარი) სხვაობაზე დამატებით ერთჯერადად წარმოიქმნება საგარანტიო მომსახურების ანარიცხების ხარჯები, რაზეც შედგება შემდეგი სახის გატარება:

დ-ტი 4320 საგარანტიო მომსახურების ანარიცხები	2500
დ-ტი 7380 საგარანტიო მომსახ. ანარიცხების ხარჯები	800
კ-ტი 1620 ნედლეული და მასალა	1200
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი	2000

განმარტებითი შენიშვნები. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა იქნეს მოცემული ინფორმაცია მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებების შესახებ. კერძოდ:

- სავაჭრო ვალდებულებები;
- დარიცხული ვალდებულებები;
- დარიცხული ხელფასები უნდა გამოიყოს ცალკე;
- სასესხო და საგადასახადო ვალდებულებები;
- გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი;
- გრძელვადიანი სესხების შედგენილობა, საპროცენტო განაკვეთები, სესხის აღებისა და დაფარვის ვადები, გადახდის რიგითობა;
- გასანაღდებელი თამასუქები
- და სხვა.

თვითშეფასების კითხვარი

1. განმარტეთ ვალდებულებების წარმოქმნის საფუძვლები, აღიარება და კლასიფიკაცია;
2. განმარტეთ კრედიტორული დავალიანების საკონტროლო ანგარიშის აგებულება;
3. განმარტეთ როგორ ხდება სავაჭრო კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა უცხოურ ვალუტაში;
4. განმარტეთ როგორ ხდება სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ფასდათმობის პირობით აღრიცხვა;
5. განმარტეთ როგორ ხდება სავაჭრო კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა შეძენილი საქონლის უკან დაბრუნების პირობით;
6. განმარტეთ როგორ ხდება მიღებული ავანსის აღრიცხვა;
7. განმარტეთ როგორ ხდება ბანკიდან ფულის სესხის აღების აღრიცხვა;
8. განმარტეთ როგორ ხდება თამასუქით ფულის სესხების აღრიცხვა;
9. განმარტეთ როგორ ხდება თამასუქით აქტივის შეძენის აღრიცხვა;
10. განმარტეთ როგორ ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვა;
11. განმარტეთ როგორ ხდება საშემოსავლო, მოგების და სხვა გადასახადების აღრიცხვა;
12. განმარტეთ როგორ ხდება გადასახდელი ხელფასის, პროცენტებისა და დივიდენდების აღრიცხვა;
13. განმარტეთ როგორ ხდება გრძელვადიანი სასესხო და სათამასუქო ვალდებულებების აღრიცხვა;
14. განმარტეთ როგორ ხდება საგარანტიო ანარიცხების აღრიცხვა.

ამოცანები

1. მომწოდებლისაგან შეძენილია 52000 ლარის საქონელი 5/10, n/30 პირობით. ასახეთ ოპერაცია მთლიანი და წმინდა თანხის მეთოდებით
2. უცხოელი მომწოდებლისაგან 2014 წლის 25 დეკემბერს ორ თვეში განაღდების პირობით შეძენილია \$4000 საქონელი. ვალუტის გასაცვლელი კურსი 25/XII \$1=1,60 ლარი, 31/XII \$1=1,52 ლარი, 2015 წლის 20/I \$1=1,62 ლარი. ასახეთ ოპერაცია ბუღალტრული გატარებებით

3. შემკვეთისათვის შესასრულებელია 100000 ლარის სამუშაო. 2014 წლის 1/I ავანსის სახით მიღებულია მთლიანი თანხის 30%. სამუშაო დასრულდა 2014 წლის 25/XII, მომდევნო დღეს მწარმოებლის საბანკო ჩაირიცხა დარჩენილი თანხა.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრული გატარებებით

4. 2014 წლის 1/IX აღებულია სესხი 10000 ლარი 3 თვის, 12%-იანი წლიური განაკვეთით, რაზეც გაცემულია თამასუქი. პროცენტის და ძირითადი თანხის გადახდა მოხდება თამასუქის ვადის ამოწურვისას.

ასახეთ ოპერაცია ბუღალტრული მუხლით

5. შეძენილია 73000 ლარის საქონელი დღგ-ის გარეშე, რეალიზებულია ნაღდი ანგარიშსწორებით 59000 ლარის საქონელი, კრედიტით 37000 ლარის საქონელი დღგ-ის ჩათვლით.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრული მუხლით და განსაზღვრეთ ბიუჯეტის კუთვნილი დღგ

6. დაირიცხა ხელფასი ძირითადი მუშების 45000 ლარი, დამხმარე მუშების 15000 ლარი, ადმინისტრაციის 17000 ლარი, დისტრიბუტორების ამონაგების 2,5%. ამონაგები რეალიზაციიდან 185000 ლარი.

ასახეთ ხელფასთან დაკავშირებული ოპერაციები ბუღალტრული მუხლებით

7. 2014 წლის 1/V აღებულია გრძელვადიანი სესხი 120000 ლარი 4 წლის ვადით, წლიური 13%-იანი განაკვეთით. პირველი წლის ბოლოს გადასახდელია ძირითადი თანხის 25%, ხოლო საპროცენტო თანხა ყოველი წლი ბოლოს.

ასახეთ ბუღალტრული მუხლით სესხის აღება, საპროცენტო თანხის დარიცხვა და გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილის ასახვა


8. გარანტიით გაიყიდა 450000 ლარის პროდუქცია, რომლის 5% ბრუნდება შესაკეთებლად და გამოსაცვლელად. წუნის გამოსწორებაზე საგარანტიო ვადაში შესაკეთებლად დაიხარჯა 15000 ლარის მასალა და 7500 ლარის ხელფასი.

ასახეთ ოპერაციები ბუღალტრული მუხლით

1.12 საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

საკუთარი კაპიტალის არსი და სტრუქტურა. სტანდარტის შესაბამისად, საკუთარი კაპიტალი არის ფირმის წმინდა აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა სახის ვალდებულების დაფარვის შემდეგ. საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას განაპირობებს ფირმის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. განვიხილოთ სააქციო საზოგადოებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა.

საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა



როგორც ვიცით, **საწესდებო კაპიტალი** არის ფირმის დამფუძნებელთა თავდაპირველი შენატანები, ხოლო **რეზერვები** იქმნება წარმატებული საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან.

სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაყოფილია ერთი და იმავე ნომინალური ღირებულების მქონე აქციებად. აქცია არის **სახელობითი ფასიანი ქაღალდი**, რომელიც ადასტურებს აქციონერის საკუთრების უფლებას კაპიტალზე და ვალდებულებას პარტნიორების, ანუ აქციონერების მიმართ.

აქციების შეფასება ხდება: ნომინალური, გამოცხადებული, საბალანსო, საბაზრო და რეალური ფასით.

ნომინალური ფასი აღნიშნულია აქციაზე, სერთიფიკატზე ან რეესტრიდან ამონაწერში და ასახავს საწესდებო კაპიტალის სიდიდეს ერთ აქციაზე. აქცია უნდა გაიყიდოს არანაკლება ნომინალური ღირებულებისა. ნომინალურზე მაღალ ფასში აქციების გაყიდვით მიღებული სხვაობა წარმოქმნის **საემისიო კაპიტალს**, რომელიც აქციონერთა შორის არ ნაწილდება და გამოიყენება აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და მეორად ბაზარზე აქციების გაყიდვით მიღებული ზარალის დასაფარავად.

გამოცხადებული ფასით აქცია ფასდება დირექტორთა საბჭოს მიერ, როდესაც აქციების გამოშვება ხდება ნომინალური ღირებულების გარეშე. ამ შემთხვევაშიც გამოცხადებული ფასის ზევით მიღებული თანხები არის საემისიო კაპიტალი.

ნომინალური და გამოცხადებული ფასი არის აქციის იურიდიული ფასი, რომელიც დგინდება სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის დროს.

საბალანსო, ანუ სააღრიცხვო ფასი გაიანგარიშება ბუღალტრული ბალანსის მონაცემების საფუძველზე წმინდა აქტივების გაყოფით გამოშვებული აქციების რაოდენობასთან და ასახავს ს/ს საკუთარი კაპიტალის სიდიდეს ერთ აქციაზე. სააღრიცხვო

ფასის განსაზღვრისას აქციები შეფასებულია ნომინალური ან გამოცხდებული ღირებულებით.

საბაზრო ფასი არის აქციის ფასი, რომელსაც იხდის ინვესტორი ღია ბაზარზე შემოსავლების მიღების მიზნით. ე. ი. ეს ფასი დგინდება ბაზარზე და დამოკიდებულია აქციის კურსზე. საბაზრო ფასის დადგენის საჭიროება გამოწვეულია იმით, რომ აქციის სააღრიცხვო ფასი არ შეესაბამება მის რეალურ ფასს.

რეალური ღირებულება იგივე გარიგების ღირებულებაა, როდესაც აქციები აქტიურ ბაზარზე არ არის კოტირებული.

საკუთარი კაპიტალის აღსარიცხავად გამოიყენება 5100 „საწესდებო კაპიტალი“ ჯგუფის ანგარიშები.

აქციების ემისია (გამოშვება-გაყიდვა) შეიძლება განხორციელდეს:

- აქციების ფულზე გაყიდვით;
- აქციების არაფულად აქტივებზე გაყიდვით;
- აქციების ხელმოწერით გაყიდვით;
- აქციების უფასო გამოშვებით (ბონუსური ემისია);
- აქციების ოფიციონით გაყიდვით.

აქციების გაყიდვა ფულზე. აქციების ემისიით ს/ს იღებს ფულს და ამით ზრდის თავის კაპიტალს. ასეთ შემთხვევაში აქტივები ფასდება ნომინალური ღირებულებით.

მაგალითი

ს/ს-მ გამოუშვა 2 ლარის ნომინალური ღირებულების 100000 ცალი ჩვეულებრივი აქცია. აქციები ბაზარზე გაიყიდა 5 ლარად. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

დ-ტი 1210 ევრბ		500000
	100000×5	
კ-ტი 5110 ჩვეულებრივი აქციები		200000
	100000×2	
კ-ტი 5140 საემისიო კაპიტალი		300000
	(500000-200000) ან (100000×3)	

აქციების გაყიდვა არაფულად აქტივებზე. რიგ შემთხვევაში შესაძლებელია აქციები გაიყიდოს არაფულადი აქტივების სანაცვლოდ ან გამოყენებული იქნეს გადახდის საშუალებად. ასეთ დროს გაყიდული აქციები ფასდება რეალური, საბაზრო ფასით ან აქციაზე გაცვლილი აქტივის საბაზრო ფასით. ამას განაპირობებს ის თუ რომელი შეფასებაა უფრო საიმედო.

მაგალითი

ს/ს კომპიუტერული პროგრამების ცენტრს კომპიუტერული პროგრამის სანაცვლოდ სთავაზობს წილს კაპიტალში. კომპიუტერული პროგრამისა და აქციების საბაზრო ფასი ვერ დგინდება. აქციის ნომინალური ღირებულება კი 2 ლარია. მოლაპარაკების შედეგად კომპიუტერული პროგრამა გახდება ს/ს საკუთლება, თუ ცენტრი მიიღებს 7000 ცალი ჩვეულებრივი აქციის წილს კაპიტალში, რომლის ფასიც გარიგების შედეგად განისაზღვრა 10 ლარად. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:

დ-ტი 2550 კომპიუტერული პროგრამები 7000×10	70000
კ-ტი 5110 ჩვეულებრივი აქციები 7000×2	14000
კ-ტი 5140 საემისიო კაპიტალი 7000×8	56000

აქციების გაყიდვა ხელმოწერით. აქციების გაყიდვა შესაძლებელია ხელშეკრულების საფუძველზე, ანუ ხელმოწერით. დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს რა რაოდენობის აქციები იქნება შესყიდული, განაღდების პირობები და ვადები. განაღდება შეიძლება მოხდეს ერთჯერადად ან რამდენიმე გადახდევინებით, ზოგ შემთხვევაში განვაღებთაც.

მაგალითი

2014 წლის 1/X ს/ს-მ დადო ხელშეკრულება საკონდიტრო ფაბრიკასთან, რომელიც ითვალისწინებს ფაბრიკის მიერ 100000 ლარად 1 ლარის ნომინალური ღირებულების 70000 ცალი ჩვეულებრივი აქციის შესყიდვას. ხელშეკრულების თანახმად, თანხა მთლიანად გადახდილი იქნება 2014 წლის 25/XII. ავსახოთ ოპერაციები ბუღალტრულად:

1. 2014 წლის 1/X კონტრაქტის გაფორმება:

დ-ტი 1490 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნა	100000
კ-ტი 5160 აქციების ხელმოწერით 70000×1	70000
კ-ტი 5140 საემისიო კაპიტალი 100000-70000	30000

2. 2014 წლის 25/XII აქციების ღირებულების გადახდა:

დ-ტი 1210 ევრბ	100000
დ-ტი 5160 აქციები ხელმოწერით	70000
კ-ტი 1490 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნა	100000
კ-ტი 5110 ჩვეულებრივი აქციები	70000

აქციების ბონუსური ემისია. აქციების ბონუსური ემისია, ანუ გამოშვება უფასოდ ხდება საემისიო კაპიტალის ხარჯზე. ამ ქმედების ძირითად მიზანს წარმოადგენს აქციის საბაზრო ფასის შემცირება, ვინაიდან აქციების ემისიით იზრდება აქციების რიცხვი და პროპორციულად მცირდება ერთი აქციის საბაზრო ფასი.

მაგალითი

ს/ს 2014 წლის 1/I ბრუნვაში ჰქონდა 2 ლარის ნომინალური ღირებულების 1000000 ცალი ჩვეულებრივი აქცია. გადაწყვეტილების თანახმად ყოველ ხუთ აქციაზე გამოშვებული უნდა იქნეს ერთი დამატებითი აქცია. ემისია მოხდება საემისიო კაპიტალის ხარჯზე ნომინალური ღირებულებით. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:

დ-ტი 5140 საემისიო კაპიტალი (1000000:5)×2	400000
კ-ტი 5110 ჩვეულებრივი აქციები	400000

აქციების გაყიდვა ოფციონით(სახელობითი ემისია). ს/ს წესდების ან საერთო კრების გადაწყვეტილებით შეუძლია აქციების გაყიდვა აქციონერებზე ან თანამშრომლებზე ოფციონით, ანუ საბაზრო ფასზე დაბალ ფასში წახალისების ან დაჯილდოების მიზნით.

მაგალითი

ს/ს თანამშრომლებმა შეიძინეს 10 ლარის ნომინალური ღირებულების 10000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, თითო 18 ლარად. აქციის საბაზრო ფასი 25 ლარია. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:

დ-ტი 1210 ევრბ (ოფციონის ფასი) 10000×18	180000
კ-ტი 5110 ჩვეულებრივი აქცია 10000×10	100000
კ-ტი 5140 საემისიო კაპიტალი 10000×8	80000

აქციების კონვერტირება. ზოგჯერ ხელშეკრულება ითვალისწინებს პრივილეგიური აქციების კონვერტირებას ჩვეულებრივ აქციებად განსაზღვრულ ვადებში და ფასებით. ამის მიზეზია აქციების დაბრუნება და ამოღება.

მაგალითი

ს/ს ხელშეკრულების თანახმად 1 ლარის ნომინალური ღირებულების 2000 ცალი პრივილეგიური აქცია უნდა დააკონვერტიროს 5 ლარის ნომინალური ღირებულების 2000 ცალ ჩვეულებრივ აქციაზე. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:

დ-ტი 5120 პრივილეგიური აქციები 2000×1	2000
დ-ტი 5310 გაუნაწილებელი მოგება 10000-2000	8000
კ-ტი 5110 ჩვეულებრივი აქციები 2000×5	10000

ს/ს ხელშეკრულების თანახმად 5 ლარის ნომინალური ღირებულებით 2000 ცალი პრივილეგიური აქცია უნდა დააკონვერტიროს 3 ლარის ნომინალური ღირებულების 2000 ცალ ჩვეულებრივ აქციაზე. ავსახოთ ბუღალტრულად ოპერაცია:

დ-ტი 5120 პრივილეგიური აქციები 2000×5	10000
კ-ტი 5110 ჩვეულებრივი აქციები 2000×3	6000
კ-ტი 5140 საემისიო კაპიტალი 10000-6000	4000

აქციების დანაწევრება. აქციების დანაწევრება ნიშნავს ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვის ზრდას, რაც გამოიწვევს ნომინალური ან გამოცხადებული ღირებულების პროპორციულ შემცირებას. ამით იზრდება აქციების ბრუნვადობა და საზოგადოების ფართო წრეებისათვის მათზე ხელმისაწვდომობა.

მაგალითი

ს/ს ბრუნვაში აქვს 200000 ცალი 2 ლარის ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივი აქცია, საემისიო კაპიტალი 40000 ლარია, ხოლო გაუნაწილებელი მოგება 120000 ლარი. დირექტორთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აქციების დანაწევრების შესახებ 2/2 პროპორციით, ანუ 2-ჯერ უნდა გაიზარდოს ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვი და 2-ჯერ უნდა შემცირდეს მათი ნომინალური ღირებულება. ავსახოთ ოპერაცია.

საკუთარი კაპიტალი	აქციების დანაწევრებამდე	აქციების დანაწევრების შემდეგ
ჩვეულებრივი აქციები	$200000 \times 2 = 400000$	$400000 \times 1 = 400000$
საემისიო კაპიტალი	40000	40000
გაუნაწილებელი მოგება	120000	120000
სულ საკუთარი კაპიტალი	560000	560000

ე. ი. აქციების დანაწევრებით საკუთარი კაპიტალის სიდიდე არ იცვლება, ამიტომ ეს ოპერაცია არ ტარდება ბუღალტრულად, მასზე ჟურნალში კეთდება ჩანაწერი.

საკუთარი აქციების გამოსყიდვა და მეორადი გაყიდვა. აქციების გამოსყიდვის მიზანია აქციების კურსის სტაბილიზება და ამაღლება, გაყიდვა ოფციონით, გადახდის საშუალებად გამოყენება სხვა ფასიანი ქაღალდების შესყიდვის დროს, ერთ აქციაზე შემოსავლების გაზრდა, აქციათა რიცხვის შემცირებით დივიდენდების შემცირება, სხვა კომპანიების მიერ საკონტროლო პაკეტის ხელში ჩაგდების თავიდან აცილება. **აქციების გამოსყიდვით მცირდება კომპანიის საკუთარი კაპიტალი, აქტივები და ბრუნვაში არსებული აქციების რიცხვი.** გამოსყიდულ აქციას არა აქვს:

- ხმის;
- დივიდენდის მიღების;
- ლიკვიდაციის შემთხვევაში ქონებრივი პრეტენზიის უფლება.

გამოსყიდული აქციები ფასდება ფაქტიური ღირებულებით, რომელიც ნომინალურზე მაღალი ან დაბალია. მომავალში მათი გაყიდვა შესაძლებელია, თუ გაუქმება არ არის მოთხოვნილი სამეწარმეო კანონმდებლობით. გამოსყიდული აქციების აღსარიცხავად გამოიყენება ანგარიში 5130 „გამოსყიდული საკუთარი აქციები“. ის კონტრპასიური ანგარიშია სააქციო კაპიტალის ანგარიშის მიმართ, თავისი ბუნებით აქტიური და მისი სადებეტო ნაშთი ბალანსის შედგენის დროს გამოიწვევს სააქციო კაპიტალის შემცირებას.

მაგალითი

ს/ს 27000 ლარად გამოსყიდა 5 ლარის ნომინალური ღირებულების 3000 ცალი აქცია. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:

დ-ტი 5310 გამოსყიდული აქციები 27000
 კ-ტი 1210 ევრბ 27000

ამ ოპერაციის შემდეგ გამოსყიდული აქციის ღირებულება არის 9ლარი (27000:3000).

აქციების მეორადი გაყიდვის დროს ადგილი ექნება შემდეგ გატარებებს:

1. გაყიდვა გამოსყიდული ფასით:

დ-ტი 1210 ევრბ 27000
 კ-ტი 5130 გამოსყიდული საკუთარი აქციები 27000

2. გაყიდვა გამოსყიდულზე დაბალი ფასით:

დ-ტი 1210 ევრბ (3000×8)	24000
დ-ტი 5140 საემისიო კაპიტალი	1500
დ-ტი 5310 გაუნაწილებელი მოგება	1500
კ-ტი 5130 გამოსყიდული საკუთარი აქციები	27000

3. გაყიდვა გამოსყიდულზე მაღალი ფასით:

დ-ტი 1210 ევრბ (3000×10)	30000
კ-ტი 5130 გამოსყიდული საკუთარი აქციები	27000
კ-ტი 5140 საემისიო კაპიტალი	3000

სააქციო საზოგადოების რეზერვების აღრიცხვა. რეზერვების შემადგენლობა მოცემულია **ამავე ნაწილში** რის შესაბამისადაც:

საემისიო კაპიტალი არის ნომინალურზე მაღალ ფასად აქციების გაყიდვით მიღებული თანხა.

გაუნაწილებელი მოგება არის ბალანსის შედგენის თარიღისათვის დაგროვილი მოგება, რომელიც მცირდება დივიდენდებით და რეზერვებში გადატანილი მოგებით. გაუნაწილებელი მოგება გვიჩვენებს, მიღებული მოგების რა სიდიდე იქნა ინვესტირებული ბიზნესში. მოგების განაწილების შესახებ წინადადებას ამზადებს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო (შპს შემთხვევაში დირექტორები) და ამტიკიცებს საერთო კრება.

საემისიო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება გამოიყენება დივიდენდების გასაცემად, ხოლო მიზნობრივი დანიშნულების რეზერვების შექმნა ხორციელდება გაუნაწილებელი მოგებიდან.

ფირმის რეზერვების აღსარიცხავად გამოიყენება 5400 „რეზერვები და დაფინანსება“ ჯგუფის ანგარიშები.

მაგალითი

გამოცხადდა 20000 ცალი ჩვეულებრივი აქციის დივიდენდების სახით გაცემა (არსებული აქციების 5%). აქციის ნომინალური ღირებულება 2 ლარია, ხოლო აქციის საბაზრო ღირებულება დივიდენდების გამოცხადებისას 5 ლარი. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად.

1. დივიდენდის გამოცხადების ანუ დარიცხვის ასახვა:

დ-ტი 5310 გაუნაწილებელი მოგება 20000×5	100000
კ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები	100000

2. აქციების გაცემის, ანუ დივიდენდის გაცემის ასახვა:

დ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები	100000
კ-ტი 5110 ჩვეულებრივი აქციები 20000×2	40000
კ-ტი 5140 საემისიო კაპიტალი 100000-40000	60000

აქციებით დივიდენდების გაცემა არ ცვლის საკუთარი კაპიტალის სიდიდეს. ამიტომ ეს არ არის „დივიდენდი“, ვინაიდან აქციონერი მხოლოდ ვარაუდობს, რომ მომავალში ის მეტ დივიდენდს მიიღებს ფულად, რადგან მეტი აქციების რაოდენობას ფლობს.

ს/ს გამოშვებული აქვს 20000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, ნომინალით 10 ლარი. გამოცხადდა დივიდენდი ერთ აქციაზე 4 ლარი. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად:

1. დივიდენდის დარიცხვის ასახვა:

დ-ტი 5310 გაუნაწილებელი მოგება 80000
20000×4

კ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები 80000

2. დივიდენდის გაცემის (დაფარვა) ასახვა:

დ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები 80000

კ-ტი 1210 ევრბ 80000

ვინაიდან დივიდენდი არ არის ხარჯი, მისი სიდიდით დასაბეგრი მოგება არ მცირდება.

ს/ს საანგარიშგებო წელი დაასრულა 200000 ლარის მოგებით. სადამფუძნებლო კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება მოგების 20% გაეცათ დივიდენდის სახით, 30%-ით მოეხდინათ ძირითადი საშუალებების განახლება, 10%-ით კორპორაციის თანამშრომელთა მატერიალურ და სოციალური სტიმულირება. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად.

დ-ტი 5310 გაუნაწილებელი მოგება 120000
200000×0,60

კ-ტი 5440 ძირითადი საშუალებების განახლების რეზერვი 60000
200000×0,30

კ-ტი 5450 მატერი. და სოც. სტიმულირების რეზერვი 20000
200000×0,10

კ-ტი 3420 გადასახდელი დივიდენდები 40000
200000×0,20

ე. ი. საანგარიშგებო წელს მიღებული 200000 ლარის მოგებიდან გაუნაწილებელი დარჩა 40%, ანუ 80000 ლარი (200000×0,4).

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გადაფასების რეზერვის წარმოქმნა ხორციელდება გრძელვადიანი აქტივების აფასების შედეგად, რის საფუძველზეც ხდება აქტივის აღიარება და შესაბამისად კაპიტალის ზრდა. ვრცლად მასალა ამასთან დაკავშირებით მოცემულია **ნაწილში 1.10 და ნაწილში 1.11.**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა.

შპს-ს დაფუძნებისათვის საჭიროა წესდების რეგისტრირება, რომელშიც ნაჩვენებია საზოგადოების საქმიანობა, დამფუძნებლები, მათი წილები, წილების გასხვისების პირობები, წესდების შესაბამისად შესატანი ფულადი თანხა და სხვა აქტივები.

მაგალითი

შეიქმნა შპს, რომელსაც ჰყავს სამი დამფუძნებელი, კაპიტალში თანაბარი წილით. კაპიტალის სიდიდე 12000 ლარია. ერთმა მეწილემ შემოიტანა საოფისე აღჭურვილობა ღირებულებით 4000 ლარი, მეორემ ნაღდი ფული 4000 ლარი, ხოლო მესამემ აიღო ვალდებულება, რომ 2 თვეში შემოიტანს 4000 ლარის ღირებულების საოფისე ავეჯს. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად.

1. შპს-ს რეგისტრაციის დროს კაპიტალის შექმნა გატარდება:

დ-ტი 1110 ნადდი ფული ეროვნულ ვალუტაში	4000
დ-ტი 2160 საოფისე აღჭურვილობა	4000
დ-ტი 1490 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნა	4000
კ-ტი 5150 საწესდებო კაპიტალი	12000
2. ორი თვის შემდეგ მეწილის მიერ საოფისე ავეჯის შემოტანის ასხვა:	
დ-ტი 2170 ავეჯი და სხვა ინვენტარი	4000
კ-ტი 1490 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნა	4000

საწესდებო კაპიტალში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება აუცილებლად უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში.

თუ ხდება წილების შეცვლა, რითაც კაპიტალის სიდიდე არ იცვლება, ეს უნდა დარეგისტრირდეს წესდებაში და ბუღალტრულად ასახვას არ ექვემდებარება. პარტნიორის გასვლის შემთხვევაში შესაძლებელია კაპიტალის სიდიდის შემცირება, რაც აუცილებლად უნდა აისახოს ბუღალტრულად.

მაგალითი

დაფუძნებიდან რამოდენიმე წლის შემდეგ ერთ-ერთი პარტნიორი გადის შპს-დან დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით მას დაუბრუნდება მისი წილი ფულით 4000 ლარი. წილი არ გადანაწილდება დარჩენილ პარტნიორებზე და ახალი არ იქნება მიღებული გასულის სანაცვლოდ. ავსახოთ ოპერაცია ბუღალტრულად.

1. კაპიტალის შემცირების ასხვა:

დ-ტი 5150 საწესდებო კაპიტალი	4000
კ-ტი 1210 ევრბ	4000

კაპიტალის გაზრდა შეიძლება მოხდეს ახალი მეწილის მიღებით, დამატებითი შენატანებით. ეს აუცილებლად რეგისტრირდება და შემდეგ კეთდება ბუღალტრული გატარება კაპიტალის გადიდებაზე:

დ-ტი სხვადასხვა სახის აქტივები
კ-ტი 5150 საწესდებო კაპიტალი

რეზერვები შპს-ში აისახება ს/ს-ის მსგავსად, მხოლოდ რეზერვებში არ შედის საემისიო კაპიტალი.

განმარტებითი შენიშვნები. საკუთარი კაპიტალის შესახებ განმარტებით შენიშვნებში თავსდება შემდეგი ინფორმაცია:

- ნებადართული აქციების რაოდენობა;
- აქციის ნომინალური ღირებულება, ან ის ფაქტი, რომ აქციას ნომინალური ღირებულება არ გააჩნია;
- მიმოქცევაში არსებული აქციების რაოდენობა წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს;
- უფლებები, პრივილეგიები და შეზღუდვები, მათ შორის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით;
- საკუთარში კაპიტალში ასახული თითოეული რეზერვის შინაარსის და დანიშნულების აღწერა.

თვითშეფასების კითხვარი


1. განმარტეთ საკუთარი კაპიტალის არსი და სტრუქტურა;
2. განმარტეთ როგორ ხდება აქციების შეფასება;
3. განმარტეთ როგორ ხდება აქციების გაყიდვა ფულზე;
4. განმარტეთ როგორ ხდება აქციების გაყიდვა არაფულად აქტივებზე;
5. განმარტეთ როგორ ხდება აქციების გაყიდვა ხელმწიფრით;
6. განმარტეთ როგორ ხდება აქციების ბონუსური ემისია;
7. განმარტეთ როგორ ხდება აქციების გაყიდვა ოფციონით;
8. განმარტეთ როგორ ხდება აქციების კონვერტირება;
9. განმარტეთ როგორ ხდება აქციების დანაწევრება;
10. განმარტეთ როგორ ხდება აქციების გამოსყიდვა და მეორადი გაყიდვა;
11. განმარტეთ როგორ ხდება ს/ს რეზერვების აღრიცხვა;
12. განმარტეთ როგორ ხდება საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა შპს-ში.
13. განმარტეთ განმარტებითი შენიშვნების მუხლები საკუთარი კაპიტალის აღრიცხვასთან მიმართებაში.

ამოცანები

1. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:
ა) 60000 ლარად გაიყიდა 10000 ცალი ჩვეულებრივი აქცია;
ბ) 8000 ლარად გამოისყიდეს 5000 ცალი ჩვეულებრივი აქცია;
გ) განხორციელდა 5000 ცალი აქციის ბონუსური ემისია.
აქციების ნომინალური ღირებულება 2 ლარია.
ასახეთ ოპერაციები ბუღალტრულად და განსაზღვრეთ საემისიო კაპიტალის სიდიდე
2. ს/ს 10 ლარის ნომინალური ღირებულების 10500 ცალი ჩვეულებრივი აქცია გაცვალა 12500 ლარად შეფასებულ მანქანა/დანადგარში.
ასახეთ ოპერაცია ბუღალტრულად
3. გაიყიდა 5000 ცალი 9 ლარის ნომინალური ღირებულების აქცია ხელმწიფრით. აქციის სახელშეკრულებო ღირებულება 10 ლარია.
ასახეთ ოპერაცია ბუღალტრულად
4. წლის დასაწყისში გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 520890 ლარი იყო. მიმდინარე წლის დასაწყისში მოგებამ 77800 ლარი შეადგინა, საიდანაც დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით დივიდენდის გაცემა განისაზღვრა 29000 ლარის ოდენობით, ხოლო 30000 ლარი ქველმოქმედების გასაწევად.
განსაზღვრეთ გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის ბოლოს და ასახეთ ოპერაცია ბუღალტრულად.
5. გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი 545800 ლარია. მიმდინარე წლის მოგება დაბეგრამდე 145700 ლარი, მოგების გადასახადი 15%-ია, დივიდენდის ნეტო თანხა 54000 ლარია (95%), დივიდენდი იბეგრება 5%-ით.
განსაზღვრეთ გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი და ასახეთ ბუღალტრულად დივიდენდის დარიცხვა და გაცემა

1.13 შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა

შემოსავლების ცნება, კლასიფიკაცია, აღიარება და შეფასება. ბასს 18 თანახმად, შემოსავალი არის ფირმის ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის ზრდას, მაგრამ არ მოითხოვს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებს.




ამონაგები წარმოიქმნება საოპერაციო და არასაოპერაციო საქმიანობის შედეგად და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსულობა ფინანსურ ანგარიშგებაში ფასდება მათ მისაღებად გაწეული დანახარჯების გამოკლებით, ანუ ნეტო თანხით.

სტანდარტის თანახმად, შემოსავლის აღიარება ხდება მხოლოდ დარიცხვის მეთოდით, თუმცა არსებობს აღიარების საკასო მეთოდიც, როდესაც შემოსავალი აღიარდება მხოლოდ ფულის გადახდის მომენტში.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღრიცხვა. საქონლის გაყიდვიდან შემოსავლის აღიარება დამოკიდებულია საქონლის მიწოდების პირობებზე.



შემოსავლის აღიარება საქონლის მიწოდების მომენტში აისახება შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დ-ტი 1110, 1210 ფულადი საშუალებები
ან

დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან

მაგალითი ამასთან დაკავშირებით განხილულია **ნაწილში 1.8.**

შემოსავლის აღიარება საქონლის მიწოდებამდე აისახება ორი ბუღალტრული მუხლით:

1. ავანსის სახით თანხის მიღება

დ-ტი 1110, 1210 ფულადი საშუალებები
კ-ტი 3120 მიღებული ავანსები

2. ვალდებულების შესრულება და შემოსავლის აღიარება

დ-ტი 3120 მიღებული ავანსები
კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან

მაგალითი ამასთან დაკავშირებით განხილულია **ნაწილში 1.12.**

საქონლის გაყიდვა განვადებით და შემოსავლის აღიარება განხილულია **ნაწილში 1.8.**

რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ჩამოწერა გატარდება:

დ-ტი 7210 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება
კ-ტი 1610 საქონელი
ან

კ-ტი 1640 მზა პროდუქცია

შემოსავლის აღიარება საქონლის მიწოდების შემდეგ აისახება შემდეგი გატარებებით:
ა) შემოსავლის აღიარება საქონლის უკან დაბრუნების პირობით

<p>1. რეალიზებულია 30000 ლარის პროდუქცია უკან დაბრუნების პირობით</p> <p>დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით 30000</p> <p>კ-ტი 6120 გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა 30000</p>	
<p>2. დებიტორული დავალიანების დაფარვა (განაღდება)</p> <p>დ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში 30000</p> <p>კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით 30000</p>	
<p>3. 3000 ლარის საქონლის უკან დაბრუნება</p> <p>დ-ტი 6120 საქ. დაბრ. და ფასდათმობა 3000</p> <p>კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწ. და მომს. 3000</p>	<p>3. პროდუქციის უკან დაბრუნებას ადგილი არ ჰქონია, ამიტომ უკან დაბრუნების ვადის ამოწურვის დღეს შემოსავლის აღიარება</p> <p>დ-ტი 6120 საქ. დაბრ. და ფასდათმობა 30000</p> <p>კ-ტი 6110 შემოს. რეალიზაციიდან 30000</p>
<p>4. დაბრუნებული საქონლის კომპენსაციისათვის 3000 ლარის გადარიცხვა</p> <p>დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწ. და მომს. 3000</p> <p>კ-ტი 1210 ევრბ 3000</p>	
<p>5. პროდუქციის უკან დაბრუნების ვადის ამოწურვის შემდეგ შემოსავლის აღიარება</p> <p>დ-ტი 6120 საქ. დაბრ. და ფასდათმობა 27000</p> <p>კ-ტი 6110 შემოს. რეალიზაციიდან 27000</p>	

ბ) შემოსავლის აღიარება კონსიგნაციის პირობით შუამავლის მეშვეობით. კონსიგნაცია ანუ წერილობითი დასტური არის საქონლის გაყიდვის საკომისიო ფორმა, როდესაც

შუამავალი (კონსოგნატორი) ყიდის საქონლის მფლობელის (კონსიგნანტი) საქონელს თავისი საწყობიდან.

1. საქონლის გაყიდვა კონსიგნაციით:

დ-ტი 1650 საქონელი კონსიგნაციით

კ-ტი 1610 საქონელი

2. საქონლის კონსიგნაციით რეალიზაციიდან შემოსავლის აღიარება:

დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით

კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან

3. კონსიგნაციით გაყიდული საქონლის თვითღირებულების ჩამოწერა:

დ-ტი 7210 გაყიდული/შემქნილი საქონელი (რეალიზებული საქონლის თვით-ბა)

კ-ტი 1650 საქონელი კონსიგნაციით

4. კონსიგნაციით გაცემული საქონლის ღირებულების განაღება:

დ-ტი 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

კ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით

პროცენტის, როიალტებისა და დივიდენდების აღრიცხვა. მისაღები პროცენტებისა და მისაღები დივიდენდების აღრიცხვა განხილულია **ნაწილში 1.8.**

როიალტი, ანუ სალიცენზიო მოსაკრებელი მიიღება ფირმის კუთვნილი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების უფლების გადაცემისათვის. როიალტი აღიარდება დარიცხვის მეთოდის არსის შესაბამისად, შეთანხმების შინაარსის მიხედვით. **როიალტის აღიარება** ამონაგების სახით ხდება თანაბარზომიერად სალიცენზიო უფლებით სარგებლობის მთელ პერიოდში. თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია უფლების გაყიდვა, მაშინ ამონაგები აღიარებული უნდა იქნეს გაყიდვის მომენტში.

ხარჯების ცნება და მათი კლასიფიკაცია. სტანდარტის თანახმად, ხარჯები არის ფირმის ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების შემცირების ან ვალდებულებების ზრდის გზით, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის შემცირებას, მაგრამ არ მოითხოვს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებს.

ხარჯები ჯგუფდება საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებად:

საოპერაციო ხარჯებში შედის:

- რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (სამრეწველო საწარმოებში);
- რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (სავაჭრო საწარმოებში);
- მიწოდების ანუ კომერციული ხარჯები;
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

საოპერაციო ხარჯების აღსარიცხავად გამოიყენება 7100, 7200, 7300 და 7400 ჯგუფის ანგარიშები.

არასაოპერაციო ხარჯებში შედის:

- ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისები და ზენორმატიული დანაკარგები;
- საპროცენტო ხარჯები და ა.შ.

არასაოპერაციო ხარჯების აღსარიცხავად გამოიყენება 7200 და 8200 ჯგუფის ანგარიშები.

სტანდარტი ასევე ითხოვს ხარჯების კლასიფიკაციას ეკონომიკური შინაარსისა და ფუნქციური ნიშნის მიხედვით.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაცია იძლევა პასუხს შეკითხვაზე: „რა დაიხარჯა და რამდენი“?

ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაცია იძლევა პასუხს შეკითხვაზე „სად რა დაიხარჯა და რამდენი?“

გარდა ამისა, ხარჯების კლასიფიცირება შეიძლება მოხდეს საანგარიშგებო პერიოდთან დამოკიდებულების მიხედვით:

- მიმდინარე პერიოდის ხარჯები-პირდაპირი მასალის ხარჯი, პირდაპირი ხელფასის ხარჯი, ზედნადები დანახარჯები და სხვა;
- წინასწარ გაწეული ხარჯები-წინასწარ გადახდილი იჯარა, დაზღვევა და სხვა;
- მოსალოდნელი ხარჯები-ანარიცხები საგარანტიო მომსახურებაზე და სხვა.

მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება = პირდაპირი მასალის ხარჯი + პირდაპირი შრომითი ხარჯი + საწარმოო ზედნადები დანახარჯები (ცვალდი და მუდმივი ნორმატივის ფარგლებში) ± დაუმთავრებელი წარმოების ნაშთების ცვლილება

ეს მაჩვენებელი არის მზა პროდუქციის ერთეულის საწარმოო თვითღირებულების გაანგარიშების საფუძველი (თვითღირებულების კალკულაცია)

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება = მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება ± მზა პროდუქციის ნაშთების ცვლილება

კომერციული და ადმინისტრაციული ხარჯები კი პერიოდის ხარჯებად იწოდება და მათი ჩამოწერა ხდება მოგება/ზარალის ანგარიშზე. გარდა ამ ხარჯებისა, მოგება/ზარალის ანგარიშზე ჩამოიწერება მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯების ფაქტიურ და ნორმატიულ სიდიდეებს შორის სხვაობა. შესაბამისად ეს დანახარჯები რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება.

მაგალითი

ოქტომბერში ადგილი ჰქონდა შემდეგი სახის ოპერაციებს:

1. შემდგომი გადახდის პირობით შეძენილია 10000 ლარის ნედლეული და მასალა		
დ-ტი 1620 ნედლეული და მასალა		10000
კ-ტი 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით		10000
2. საწყობიდან გაცემულია ძირითად წარმოებაში 8000 ლარის ძირითადი მასალა და 1200 ლარის დამხმარე მასალა		
დ-ტი 1630 დაუმთავრებელი წარმოება		8000
დ-ტი 7190 სხვა საწარმოო ზედნადები დანახარჯები		1200
კ-ტი 1620 ნედლეული და მასალა		9200
3. დარიცხულია ხელფასი ძირითადი მუშებისათვის 13400 ლარი, დამხმარე მუშებისათვის 2600 ლარი		
დ-ტი 1630 დაუმთავრებელი წარმოება		13400
დ-ტი 7190 სხვა საწარმოო ზედნადები დანახარჯები		2600
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი		16000

4. დარიცხულია საწარმოო მოწყობილობის ცვეთა 1800 ლარი (მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯი)

დ-ტი 7170 ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი 1800
 კ-ტი 2250 მანქანა/დანადგარების ცვეთა 1800

5. დარიცხულია საწარმოო მოწყობილობის ოქტომბრის თვის დაზღვევის ხარჯი 1300 ლარი (მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯი)

დ-ტი 7190 სხვა საწარმოო ზედნადები დანახარჯები 1300
 კ-ტი 1735 წინასწარ გადახდილი დაზღვევა 1300

6. რეალიზებულია 55000 ლარის პროდუქცია, რომლის 5% გადახდილია შეძენის მომენტში, ხოლო დანარჩენზე გაცემულია სავაჭრო კრედიტი (დებიტორული დავალიანება)

დ-ტი 1210 ევრბ 2750
 $55000 \times 0,05$

დ-ტი 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით 52250
 $55000 \times 0,95$

კ-ტი 6110 შემოსავალი რეალიზაციიდან 55000

როგორც ვიცით, პირდაპირი (ძირითადი) დანახარჯები პირდაპირ ჩაირთვება მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებაში, ხოლო საწარმოო ზედნადები დანახარჯები თვითღირებულებაში შეიტანება განაწილების გზით განაწილების ბაზის პროპორციულად.

7. ვთქვათ, მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯები თვითღირებულებაში უნდა შევიდეს გამოშვებული პროდუქციის ყოველ ერთეულზე 0,18 ლარის ოდენობით, ცვლადი კი-ერთეულზე 0,20 ლარის ოდენობით. მიმდინარე თვეში გამოშვებულია პროდუქციის 15000 ერთეული. შესაბამისად:

- თვითღირებულებაზე მიკუთვნილი ცვლადი საწარმოო ზედნადები დანახარჯები 3000 ლარია ($15000 \times 0,20$);

- თვითღირებულებაზე მიკუთვნილი მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯები 2700 ლარია ($15000 \times 0,18$), ჯამში 5700 ლარი

საწარმოო ზედნადები დანახარჯების მიკუთვნება თვითღირებულებაზე გატარდება:

დ-ტი 1630 დაუმთავრებელი წარმოება 5700
 კ-ტი 7190 სხვა საწარმოო ზედნადები დანახარჯები 5700

ვინაიდან, მიკუთვნილი მუდმივი ზედნადები დანახარჯები, 2700 ლარი, ნაკლებია ფაქტიურად გაწეულ მუდმივ საწარმოო ზედნადებ დანახარჯებზე 3100 ლარზე ($1800+1300$) 400 ლარით, ეს თანხა არის ზედნადები ხარჯების მიკუთვნების დანაკლისი, ამიტომ უნდა აღიარდეს ხარჯად და ჩამოიწეროს მოგება-ზარალის ანგარიშზე შემდეგი გატარებით:

დ-ტი 5330 საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი 400
 კ-ტი 7190 სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები 400

თუ ადგილი ექნება მიკუთვნების მეტობას, მაშინ გვექნება შემდეგი გატარება:

დ-ტი 7190 სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები

კ-ტი 5330 საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი

მიკუთვნების დანაკლისი ამცირებს მოგებას, მეტობა კი პირიქით-მას ზრდის.

მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება გაიანგარიშება

მაჩვენებლები	ლარი
დაუმთავრებელი წარმოების საწყისი ნაშთი 1/X (პირობითად)	13000
პირდაპირი მასალა	8000
პირდაპირი ხელფასი	13400

საწარმოო ზედნადები ხარჯები: ცვლადი	3000
მუდმივი	2700
სულ საწარმოო ხარჯები	27100
დაუმთავრებელი წარმოების საბოლოო ნაშთი 31/X (პირობითად)	(10000)
მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება	30100

ე. ი. 15000 ერთეულის საწარმოო თვითღირებულებამ 30100 ლარი შეადგინა, რაც ბუღალტრულად შემდეგნაირად აისახება:

დ-ტი 1640 მზა პროდუქცია	30100
კ-ტი 1630 დაუმთავრებელი წარმოება	30100

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება

მაჩვენებლები	ლარი
მზა პროდუქციის საწყისი ნაშთი 1/X (პირობითად)	5000
მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება	30100
მზა პროდუქციის საბოლოო ნაშთი 31/X (პირობითად)	25000
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	32600

რეალიზებულია 18500 ერთეული, რომლის თვითღირებულებამ 32600 ლარი შეადგინა. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება ჩამოვწერთ შემდეგი ბუღალტრული გატარებით:

დ-ტი 7210 რეალიზებული პროდუქციის თვით-ბა	32600
კ-ტი 1640 მზა პროდუქცია	32600

პერიოდის საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯების აღრიცხვა. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების აღრიცხვა წარმოებს 7400 „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები“ ჯგუფის ანგარიშზე. ავსახოთ ამ ჯგუფის ანგარიშებზე ტრადიციული ოპერაციები.

8. დარიცხულია ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასი 1500 ლარი

დ-ტი 7410 შრომის ანაზღაურება	1500
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი	1500

9. დარიცხულია ოფისის მენეჯერის მივლინების ხარჯი 500 ლარი

დ-ტი 7470 მივლინების ხარჯი	500
კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	500

10. დარიცხულია მიმდინარე თვის იჯარის ხარჯი 100 ლარი

დ-ტი 7420 იჯარის ხარჯი	100
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	100

11. დარიცხულია ოფისის აღჭურვილობის ცვეთა 300 ლარი

დ-ტი 7455 ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	300
კ-ტი 2260 ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	300

12. 200 ლარის უიმედო მოთხოვნა აღიარდა ხარჯად

დ-ტი 7460 უიმედო მოთხოვნის ხარჯი	200
კ-ტი 1415 საეჭვო მოთხოვნების ანარიცხები	200

13. დარიცხულია ქონების გადასახადი 1000 ლარი

დ-ტი 7465 სხვა საგადასახადო ხარჯები	1000
კ-ტი 3390 გადასახადელი ქონების გადასახადი	1000

14. ჩამოჭრილია ბანკის მომსახურების საკომისიო 200 ლარი

დ-ტი 7490 სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	200
--	-----

კ-ტი 1210, 1220 ფული საბანკო ანგარიშზე	200
კომერციული ხარჯების აღრიცხვა წარმოებს 7300 „მიწოდების ხარჯები“ ჯგუფის ანგარიშზე. ავსახოთ ამ ჯგუფის ანგარიშებზე ტრადიციული ოპერაციები:	
15. წარმოდგენილია ფირმის ინვოისის პროდუქციის ტრანსპორტირებაზე 900 ლარი	
დ-ტი 7390 მიწოდების სხვა ხარაჯები	900
კ-ტი 3110 ვალდებულებები მოწოდებით და მომს.	900
16. დარიცხულია გაყიდვების მენეჯერის ხელფასი 330 ლარი	
დ-ტი 7320 შრომის ანაზ. და საკომისიო გასამრჯელო	330
კ-ტი 3130 გადასახდელი ხელფასი	330
17. განთავსებულია რეკლამა 600 ლარი	
დ-ტი 7310 რეკლამის ხარჯი	600
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	600
18. გაყიდვების მენეჯერის კორპორაციულ ნომრებზე საკომუნიკაციო მომსახურების მიმდინარე თვის ხარჯი 130 ლარია	
დ-ტი 7330 კომუნალური მომს. და კომუნიკაციის ხარჯები	130
კ-ტი 3190 სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	130

არასაოპერაციო ხარჯები აღირიცხება 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“ ჯგუფის ანგარიშზე. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების აღრიცხვა განხილულია **ნაწილში 1.12.**

განმარტებითი შენიშვნები. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში შემოსავლებისა და ხარჯების ცალკეული სახისათვის უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

- ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა;
- საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული ამონაგები ჯგუფების მიხედვით (საქონლის გაყიდვა, მომსახურების გაწევა, პროცენტები, როლიალტები, დივიდენდები);
- სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების მიმართ გატარებული სააღრიცხვო პოლიტიკა;
- მოცემული საანგარიშგებო თარიღისათვის გაწეული დანახარჯების მთლიანი თანხა და აღიარებული მოგების სიდიდე;
- მიღებული ავანსების თანხები;
- დარიცხული გადაუხდელი თანხები.

თვითშეფასების კითხვარი

1. განმარტეთ შემოსავლების ცნება, კლასიფიკაცია, აღიარება და შეფასება;
2. განმარტეთ როგორ ხდება გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღრიცხვა;
3. როგორ ხდება პროცენტების, როლიალტების და დივიდენდების აღრიცხვა;
4. განმარტეთ ხარჯების ცნება და კლასიფიკაცია;
5. განმარტეთ როგორ ხდება ხარჯების აღიარება და შეფასება;
6. განმარტეთ რას ნიშნავს მუდმივი საწარმოო ზედნადები დანახარჯების მიკუთვნების დანაკლისი ან მიკუთვნების მეტობა?
7. განმარტეთ როგორ ხდება საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯების აღრიცხვა;
8. განმარტეთ როგორ ხდება სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების აღრიცხვა?
9. განმარტეთ შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვასთან მიმართებაში განმარტებითი შენიშვნების ინფორმაციის არსი.

ამოცანები

1. ფირმამ 2014 წლის 1/X შემდგომი გადახდის პირობით გაყიდა 10000 ლარის საქონელი 30 დღის განმავლობაში საქონლის უკან დაბრუნების პირობით. 24/X ფირმის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა მოწოდებული საქონლის ღირებულების ნაწილი 8000 ლარი. ოქტომბრის ბოლოსათვის საქონლის უკან დაბრუნებას ადგილი არ ჰქონია.

ასახეთ ბუღალტრულად:

ა) საქონლის მიწოდება უკან დაბრუნების პირობით;

ბ) დებიტორული დავალიანების დაფარვა 24/X;

გ) მიწოდებული საქონლის უკან დაბრუნების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება და დარჩენილი თანხის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხვა.

2. ფირმამ 2014 წლის 1/III დადო \$10000 ხელშეკრულება საპროექტო სამუშაოებზე ორი თვის ვადით. ხელშეკრულების თანახმად 5/III ავანსის სახით ჩაირიცხა \$5000. მიღება-ჩაბარების აქტი შედგა 2/VI, ხოლო 3/VI ფირმის საბანკო ანგარიშზე ჩაირიცხა დარჩენილი \$5000. ვალუტის გასაცვლელი კურსი: 5/III \$1=1,90 ლარი; 2-3/VI \$1=2,00 ლარი.

ასახეთ ბუღალტრულად:

ა) 5/III ავანსის ჩაირიცხვა;

ბ) 2/VI შემოსავლის და მოთხოვნის აღიარება, ავანსის ჩათვლა;

გ) 3/VI დარჩენილი თანხის ჩაირიცხვა ფირმის საბანკო ანგარიშზე.

3. ფირმამ 2014 წლის 1/VIII სხვა ფირმაზე გასცა სესხი 450000 ლარი ცხრა თვის ვადით წლიური 10%-იანი განაკვეთით. პროცენტი მიღებულ იქნება ყოველი თვის ბოლოს.

ასახეთ ბუღალტრულად:

ა) სესხის გაცემა;

ბ) ყოველთვე საპროცენტო შემოსავლის აღიარება და მიღება

4. მომწოდებლისაგან კრედიტით შეძენილია 120000 ლარის საქონელი პირობით 2/10, n/30. ფირმამ ვალდებულება აღიარა მთლიანი თანხის მეთოდით და ისარგებლა ფასდათმობით.

ასახეთ ბუღალტრულად:

ა) საქონლის შესყიდვა;

ბ) კრედიტორული დავალიანების დაფარვა ფასდათმობის პირობით.

5. ფირმის საანგარიშგებო პერიოდის დანახარჯებია: პირდაპირი მასალა 7800 ლარი, პირდაპირი ხელფასი 6900 ლარი, საწარმოო ზედნადები დანახარჯები: ცვლადი 2000 ლარი, მუდმივი 2600 ლარი (ნორმატივის ფარგლებში 2000 ლარი), დაუმთავრებელი წარმოება შემცირდა 4300 ლარით, მზა პროდუქციის ნაშთი გაიზარდა 500 ლარით, ადმინისტრაციული ხარჯები 2500 ლარია, მიწოდების ხარჯები 3000 ლარი.

განსაზღვრეთ მზა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, პერიოდის ხარჯები

6. ფირმის საანგარიშგებო პერიოდის მონაცემებია:

ა) საწყობის ერთი თვის იჯარის გადასახადი 2000 ლარი (ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 1/XI).

ბ) სადისტრიბუციო ავტომანქანის ცვეთის ხარჯი 9900 ლარი;

გ) დისტრიბუტორებზე დარიცხული ხელფასი 23900 ლარი;

დ) საწყობის ელექტროენერჯიის ხარჯი 1200 ლარი;

ე) რეკლამის ხარჯი 2200 ლარი.

ასახეთ ბუღალტრულად კომერციული ხარჯების გაწევა


7. ფირმის საანგარიშგებო პერიოდის მონაცემებია:
- ა)შემენილია 3540 ლარის საკანცელარიო ნივთები;
 - ბ)ოფისის თანამშრომლების დაზღვევის ხარჯი 5800 ლარია;
 - გ)მენეჯერების ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი (საწვავი) 2900 ლარია;
 - დ)ვებ-გვერდის მომზადების ხარჯი 2100 ლარი;
 - ე)მენეჯერების გადამზადების ხარჯი 1900 ლარი;
 - ვ)ბანკის მომსახურების საკომისიო 325 ლარი.
- ასახეთ ბუღალტრულად ადმინისტრაციული ხარჯების გაწევა**

1.14 ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების განზოგადება (ნაწილი I)

სააღრიცხვო ციკლი და მისი ეტაპები. სააღრიცხვო ციკლი ხუთი ფაზისაგან შედგება:

- მომხდარი სამეურნეო ოპერაცია თავდაპირველად აისახება პირველად დოკუმენტში;
- პირველადი დოკუმენტის ინფორმაცია აისახება ოპერაციების რეგისტრაციის მთავარ ჟურნალში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით;
- რეგისტრაციის ჟურნალიდან ინფორმაცია გადადის მთავარ ბუღალტრულ წიგნში (რეგისტრში) გახსნილ ანგარიშებზე;
- ანგარიშებზე მოთავსებული ინფორმაციის საფუძველზე დგება თავდაპირველი საცდელი ბალანსი, ანუ საცდელი ბალანსი კორექტირებამდე;
- ხორციელდება კორექტირებებისა და დახურვის ოპერაციები, რის საფუძველზეც დგება კორექტირებული საცდელი ბალანსი;
- საცდელი ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე მზადდება ფინანსური ანგარიშგება.

სააღრიცხვო ციკლის სქემა



კრებსითი დოკუმენტების მონაცემების განზოგადება ჟურნალებსა და მთავარ წიგნში. ჟურნალებსა და მთავარ წიგნში ინფორმაციის გადატანა განვიხილოთ პრაქტიკულ მაგალითზე.

2014 წლის 1/12 დაფუძნდა ბავშვის ტანსაცმლის რეალიზაციის ფირმა.

დეკემბრის თვეში ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:

01/12. ბიზნესში ინვესტირებულია 20000 ლარი. თანხა შეტანილია ფირმის საბანკო ანგარიშზე

- 20000 ლარით გაიზარდა ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში (აქტივი ↑);
- 20000 ლარით გაიზარდა საწესდებო კაპიტალი (საკუთარი კაპიტალი ↑)

- 02/12. ბანკიდან გამოტანილია 3000 ლარი ნაღდი ფული სალაროს შესავსებად**
- 3000 ლარით შემცირდა ევრბ (აქტივი ↓);
 - 3000 ლარით გაიზარდა ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში (აქტივი ↑)
- 03/12. შეძენილია 1000 ლარის საქონელი ნაღდი ფულით**
- 1000 ლარით გაიზარდა საქონელი (აქტივი ↑);
 - 1000 ლარით შემცირდა ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში (აქტივი ↑)
- 04/12. შეძენილია 15000 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით**
- 15000 ლარით გაიზარდა საქონელი (აქტივი ↑);
 - 15000 ლარით გაიზარდა ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით, ანუ კრედიტორული დავალიანება (ვალდებულება ↑)
- 05/12. აღებულია ბანკი მოკლევადიანი სესხი 30000 ლარი წლიური 15%-იანი განაკვეთით. სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა მოხდება სესხის ვადის ამოწურვისას.**
- 30000 ლარით გაიზარდა ევრბ (აქტივი ↑);
 - 30000 ლარით გაიზარდა ბანკის მოკლევადიანი სესხი (ვალდებულება ↑)
- 06/12. გაიყიდა 25000 ლარის საქონელი. თანხა ჩაირიცხა საბანკო ანგარიშზე**
- 25000 ლარით გაიზარდა ევრბ (აქტივი ↑);
 - 25000 ლარით გაიზარდა შემოსავალი რელიზაციიდან(↑)
- 07/12. შეძენილია 12000 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით**
- 12000 ლარით გაიზარდა საქონელი (აქტივი ↑);
 - 12000 ლარით გაიზარდა ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით (↑)
- 08/12. დაფარულია 20000 ლარის კრედიტორული დავალიანება გადარიცხვით**
- 20000 ლარით შემცირდა ევრბ (აქტივი ↓);
 - 20000 ლარით შემცირდა კრედიტორული დავალიანება (ვალდებულება ↓)
- 09/12. გაიყიდა 18000 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით**
- 18000 ლარით გაიზარდა მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით, ანუ დებიტორული დავალიანება (აქტივი ↑);
 - 18000 ლარით გაიზარდა შემოსავალი რელიზაციიდან (↑)
- 10/12. დაფარულია 10000 ლარის მოკლევადიანი სესხი**
- 10000 ლარით შემცირდა ევრბ (აქტივი ↓);
 - 10000 ლარით შემცირდა მოკლევადიანი სესხი (ვალდებულებები ↓)
- 11/12. დაფარულია 15000 ლარის დებიტორული დავალიანება საბანკო გადმორცხვით**
- 15000 ლარით გაიზარდა ევრბ (აქტივი ↑);
 - 15000 ლარით შემცირდა დებიტორული დავალიანება (აქტივი ↓)
- 12/12. სალაროდან გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე 1500 ლარი ნედლეულისა და მასალის შესაძენად**
- 1500 ლარით შემცირდა ნაღდი ფული ეროვნული ვალუტაში (აქტივი ↓);
 - 1500 ლარით გაიზარდა მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ (აქტივი ↑)
- 13/12. შეძენილია 10000 ლარის ღირებულების სატრანსპორტო საშუალებები, რაზეც გაიცა თამასუქი. მათი სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრა 5 წლით**
- 10000 ლარით გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებები(აქტივი ↑);
 - 10000 ლარით გაიზარდა გასანაღდეველი თამასუქი (ვალდებულება ↑)

14/12. ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძინა 1400 ლარის ნედლეული და მასალა, ხოლო 100 ლარი დააბრუნა სალაროში

- 1400 ლარით გაიზარდა ნედლეული და მასალა (აქტივი ↑);
- 100 ლარით გაიზარდა ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში (აქტივი ↑);
- 1500 ლარით შემცირდა მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ (აქტივი ↓)

16/12. საბანკო გადარიცხვით წინასწარ გადახდილია სამი თვის საიჯარო ქირა 300 ლარი

- 300 ლარით გაიზარდა წინასწარ გადახდილი იჯარა (აქტივი ↑);
- 300 ლარით შემცირდა ევრბ (აქტივი ↓)

17/12. საბანკო გადარიცხვით წინასწარ გადახდილია ორი თვის დაზღვევა 400 ლარი

- 400 ლარით გაიზარდა წინასწარ გადახდილი დაზღვევა (აქტივი ↑);
- 400 ლარით შემცირდა ევრბ (აქტივი ↓)

18/12. შეძენილია საბანკო გადარიცხვით 4000 ლარის საქონელი

- 4000 ლარით გაიზარდა საქონელი (აქტივი ↑);
- 4000 ლარით შემცირდა ევრბ (აქტივი ↓)

19/12. ნაღდი ფულით დაფარულია 400 ლარის კომუნალური გადასახადი

- 400 ლარით გაიზარდა კომუნალური მომსახურების ხარჯი(↑);
- 400 ლარით შემცირდა ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში (აქტივი ↓)

20/12. დარიცხულია ფირმის პერსონალზე ხელფასი 2000 ლარი

- 2000 ლარით გაიზარდა ხელფასის ხარჯი(↑);
- 2000 ლარით გაიზარდა გადასახდელი ხელფასი (ვალდებულება ↑)

21/12. დარიცხული ხელფასიდან დაკავდა საშემოსავლო გადასახადი 400 ლარი (20%), ანუ მოხდა საშემოსავლო გადასახადის დარიცხვა

- 400 ლარით შემცირდა გადასახდელი ხელფასი (ვალდებულება ↓);
- 400 ლარით გაიზარდა გადასახდელი საშ. გადასახადი(ვალდებულება ↑)

22/12. ფირმის მიერ ავანსის სახით მიღებულია 6000 ლარი ოთხი თვის მანძილზე თანაბარი ღირებულების საქონლის მიწოდებაზე. თანხა ჩაირიცხა საბანკო ანგარიშზე

- 6000 ლარით გაიზარდა ევრბ (აქტივი ↑);
- 6000 ლარით გაიზარდა მიღებული ავანსი (ვალდებულება ↑)

23/12. პარტნიორზე გაცემულია სესხი 20000 ლარი 12%-იანი განაკვეთით. თანხა გადაირიცხა საბანკო ანგარიშიდან. სესხის ძირითადი თანხისა და მისაღები პროცენტების განაღდება მოხდება სესხის ვადის ამოწურვისას

- 20000 ლარით გაიზარდა პარტნიორზე გაცემული სესხი (მოთხოვნა ↑);
- 20000 ლარით შემცირდა ევრბ (აქტივი ↓)

24/12. მფლობელის მიერ საკუთარი საჭიროებისათვის ბიზნესიდან ამოღებულია 1000 ლარი. თანხა გატანილია საბანკო ანგარიშიდან

• 1000 ლარით შემცირდა მოგება (საკუთარი კაპიტალი ↓), ანუ მოხდა კაპიტალის ამოღება;

- 1000 ლარით შემცირდა ევრბ (აქტივი ↓)

ჩანაწერი, რომელიც ერთ სამეურნეო ოპერაციას შეესაბამება საყურნალო ჩანაწერად იწოდება.

**შ.პ.ს. „ანაზნია“
მთავარი ჟურნალი**

ქ. 1

თარიღი 2014		ანგარიშის დასახელება და კომენტარი	აღნიშვნა გადატანა ზე	დებეტი	კრედიტი
თვე	რიცხვი				
XII	01	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში საწესდებო კაპიტალი საბანკო ამონაწერი (ავიზო)	1210 5150	20000	20000
XII	02	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში ევრბ ჩეკი, სალაროს შემოსავლის ორდერი	1110 1210	3000	3000
XII	03	საქონელი ნაღდი ფული ერ. ვალუტაში სალაროს გასავლის ორდერი, ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები	1610 1110	1000	1000
XII	04	საქონელი ვალდებულება მოწოდებით და მომ. ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები	1610 3110	15000	15000
XII	05	ევრბ მოკლევადიანი სესხი საბანკო ამონაწერი (ავიზო)	1210 3210	30000	30000
XII	06	ევრბ შემოსავალი რეალიზაციიდან ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები	1210 6110	25000	25000
XII	07	საქონელი ვალდებულება მოწოდებით და მომ. ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები	1610 3110	12000	12000
XII	08	ვალდებულება მოწოდებით და მომსახურ. ევრბ საგადახდო დავალება, საბანკო ამონაწერი	3110 1210	20000	20000
XII	09	მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით შემოსავალი რეალიზაციიდან ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები	1410 6110	18000	180000
XII	10	მოკლევადიანი სესხი ევრბ საბანკო ამონაწერი, საგადახდო დავალება	3210 1210	10000	10000
XII	11	ევრბ მოთხოვნა მიწოდებით და მომსახ. საბანკო ამონაწერი	1210 1410	15000	15000
XII	12	მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში სალაროს გასავლის ორდერი	1430 1110	1500	1500
XII	13	სატრანსპორტო საშუალებები გასანადღებელი თამასუქი ანგარიშფაქტურა, თამასუქი	2180 3140	10000	10000

შ.პ.ს. ანაგნია
მთავარი ჟურნალი

ქ. 2

თარიღი 2014		ანგარიშის დასახელება და კომენტარი	აღნიშვნა გადატანა ზე	დებეტი	კრედიტი
თვე	რიცხვი				
XII	14	ნედლეული და მასალა ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში მოთხოვნები საწ. პერს. მიმართ სალაროს შემოსავლი ორდერი, ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები	1620 1110 1430	1400 100	1500
XII	16	წინასწარ გადახდილი იჯარა ევრბ ბანკის ამონაწერი (ავიზო)	1720 1210	300	300
XII	17	წინასწარ გადახდილი დაზღვევა ევრბ ბანკის ამონაწერი (ავიზო)	1735 1210	400	400
XII	18	საქონელი ევრბ ანგარიშფაქტურა, საბანკო ამონაწერი	1610 1210	4000	4000
XII	19	კომუნალური მომსახურების ხარჯები ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში სალაროს გასავლის ორდერი, ქვითრები კომუნალურ გადახდებზე	7430 1110	400	400
XII	20	შრომის ანაზღაურების ხარჯები გადასახდელი ხელფასი ხელფასის უწყისი, ტაბელი	7410 3130	2000	2000
XII	21	გადასახდელი ხელფასი გადასახდელი საშემოსავლო გადას. ხელფასის უწყისი	3130 3320	400	400
XII	22	ევრბ მიღებული ავანსი ბანკის ამონაწერი, ხელშეკრულება	1210 3120	6000	6000
XII	23	მოთხ. პარტ. გაცემულ სესხებზე ევრბ საბანკო ამონაწერი	1450 1210	20000	20000
XII	24	კაპიტალის ამოღება ევრბ ბანკის ამონაწერი, ჩევი ფულის განაღდებაზე	5151 1210	1000	1000

საჟურნალო ჩანაწერები გადავიტანოთ მთავარ ბუღალტრულ წიგნში, ანუ მთავარ რეგისტრში გახსნილ ანგარიშებზე.

შ.პ.ს. „ანაგნია“
მთავარი ბუღალტრული წიგნი (რეგისტრი)

ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში

ანგარიში N 1210

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	01	საწესდებო კაპიტალი	ქ. 1	20000		20000
XII	02	ნაღდი ფული ეროვნული ვალუტით	ქ. 1		3000	17000
XII	05	მოკლევადიანი სესხი	ქ. 1	30000		47000
XII	06	შემოსავალი რეალიზაციიდან	ქ. 1	25000		72000
XII	08	ვალდებულება მოწოდებით	ქ. 1		20000	52000
XII	10	მოკლევადიანი სესხი	ქ. 1		10000	42000
XII	11	მოთხოვნა მიწოდებით და მომსახ.	ქ. 1	15000		57000
XII	16	წინასწარ გადახდილი იჯარა	ქ. 2		300	56700
XII	17	წინასწარ გადახდილი დაზღვევა	ქ. 2		400	56300
XII	18	საქონელი	ქ. 2		4000	52300
XII	22	მიღებული ავანსი	ქ. 2	6000		58300
XII	23	მოთხოვნა პარტ. გაცემულ სესხზე	ქ. 2		20000	38300
XII	24	კაპიტალის ამოღება	ქ. 2		1000	37300

საწესდებო კაპიტალი

ანგარიში N 5150

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	01	ევრბ	ქ. 1		20000	20000

ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში

ანგარიშის N 1110

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	1	საწყისი ნაშთი				—
XII	2	ევრბ	ქ. 1	3000		3000
XII	3	საქონელი	ქ. 1		1000	2000
XII	12	მოთხოვნა საწარმოს პერს. მიმართ	ქ. 1		1500	500
XII	14	ნედ. და მასალა; მოთხ. საწ. პერს.	ქ. 2	100		600
XII	19	კომუნალური მომსახურების ხარჯები	ქ. 2		400	200

საქონელი

ანგარიში N1610

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	03	ნაღდი ფული ერ. ვალუტაში	ქ. 1	1000		1000
XII	04	ვალდებულება მოწოდებით და მომ.	ქ. 1	15000		16000
XII	07	ვალდებულება მოწოდებით და მომ.	ქ. 1	12000		28000
XII	18	ევრბ	ქ. 2	4000		32000
XII	31	გაყიდული/შემენილი საქონელი	ქ. 1 (კ)		29000	3000

ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით

ანგარიში N3110

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	04	საქონელი	ქ.1		15000	15000
XII	07	საქონელი	ქ. 1		12000	27000
XII	08	ევრბ	ქ. 1	20000		7000

მოკლევადიანი სესხი

ანგარიში N3210

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	05	ევრბ	ქ. 1		30000	30000
XII	10	ევრბ	ქ. 1	10000		20000

შემოსავალი რეალიზაციიდან

ანგარიში N6110

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	06	ევრბ	ქ. 1		25000	25000
XII	09	მოთხოვნა მიწოდებით და მომ.	ქ. 1		18000	43000
	31	მიღებული ავანსი	ქ. 1 (კ)		1500	44500
XII	31	მოგება/ზარალი	ქ. 2(დ)	44500		—

მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით

ანგარიში N1410

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	09	შემოსავალი რეალიზაციიდან	ქ. 1	18000		18000
XII	11	ევრბ	ქ. 1		15000	3000

მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ

ანგარიში N1430

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	საღდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	12	ნაღდი ფული ერ. ვალუტაში	ჟ. 1	1500		1500
XII	14	ნედ. და მასალა, მოთხ. საწ. პერს.	ჟ. 2		1500	—

სატრანსპორტო საშუალებები

ანგარიში N2180

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	საღდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	13	გასანაღდებელი თამასუქი	ჟ. 1	10000		10000

გასანაღდებელი თამასუქი

ანგარიში N3140

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	საღდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	13	სატრანსპორტო საშუალებები	ჟ. 1		10000	10000

ნედლეული და მასალა

ანგარიში N1620

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	საღდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	14	მოთხოვნა საწ. პერ. მიმართ	ჟ. 2	1400		1400

წინასწარ გადახდილი იჯარა

ანგარიში N1720

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	საღდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	16	ევრბ	ჟ. 2	300		300
XII	31	იჯარის ხარჯი	ჟ. 1 (კ)		100	200

წინასწარ გადახდილი დაზღვევა

ანგარიში N1735

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	საღდო
თვე	რიცხვი					
XII	1	საწყისი ნაშთი				—
XII	17	ევრბ	ჟ. 2	400		400
XII	31	დაზღვევის ხარჯი	ჟ. 1 (კ)		200	200

კომუნალური მომსახურების ხარჯები

ანგარიში N 7430

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	19	ნალდი ფული ეროვნულ ვალუტაში	ქ. 2	400		400
XII	31	საანგ. პერ. მოგება-ზარალი	ქ. 1 (დ)		400	—

შრომის ანაზღაურების ხარჯები

ანგარიში N7410

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	20	გადასახდელი ხელფასი	ქ. 2	2000		2000
XII	31	საანგ. პერ. მოგება/ზარალი	ქ. 1 (დ)		2000	—

გადასახდელი ხელფასი

ანგარიში N3130

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	20	შრომის ანაზღაურების ხარჯები	ქ. 2		2000	2000
XII	21	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	ქ. 2	400		1600

გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი

ანგარიში N3320

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	21	გადასახდელი ხელფასი	ქ. 2		400	400

მიღებული ავანსი

ანგარიში N3120

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	22	ევრბ	ქ. 2		6000	6000
XII	31	შემოსავალი რეალიზაციიდან	ქ. 1(კ)	1500		4500

მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემულ სესხებზე

ანგარიში N1450

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	23	ევრბ	ქ. 2	20000		20000

კაპიტალის ამოღება

ანგარიში N5151

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	საღდო
თვე	რიცხვი					
XII	24	ევრბ	ქ. 2	1000		1000
XII	31	გაუნაწილებელი მოგება	ქ. 2 (დ)		1000	—

როგორც ვიცით, ნებისმიერი სამეურნეო ფაქტი(ოპერაცია) იწვევს ცვლილებას, როგორც აქტივებში, ისე ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალში.

სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებები ოთხ ტიპად (ჯგუფად) შეიძლება დაიყოს:

I ტიპის ცვლილება ეხება მხოლოდ აქტივებს, როდესაც აქტივის ერთი მუხლი იზრდება, ხოლო მეორე მცირდება, ბალანსის ვალუტა არ იცვლება, საბალანსო ტოლობა ურღვევია.

$$\uparrow \text{ აქტივები } \downarrow = \text{ ვალდებულებები } + \text{ საკუთარი კაპიტალი }$$

II ტიპის ცვლილება ეხება ან ვალდებულებებს, ან საკუთარ კაპიტალს, როდესაც მათი ამსახველი ერთი რომელიმე მუხლი იზრდება, ხოლო მეორე მცირდება, ბალანსის ვალუტა არ იცვლება, საბალანსო ტოლობა ურღვევია.

$$\text{ აქტივები } = \uparrow \text{ ვალდებულებები } \downarrow + \uparrow \text{ საკუთარი კაპიტალი } \downarrow$$

III ტიპის ცვლილება ეხება როგორც აქტივებს, ისე ვალდებულებებს ან საკუთარ კაპიტალს, როდესაც ტოლობის ორივე მხარეს მუხლის სიდიდე იზრდება, შესაბამისად ბალანსის ვალუტა იზრდება, საბალანსო ტოლობა ურღვევია.

$$\uparrow \text{ აქტივები } = \uparrow \text{ ვალდებულებები } + \uparrow \text{ საკუთარი კაპიტალი }$$

IV ტიპის ცვლილება ეხება ასევე როგორც აქტივებს, ისე ვალდებულებებს ან საკუთარ კაპიტალს, როდესაც ტოლობის ორივე მხარეს მუხლის სიდიდე მცირდება, აქედან გამომდინარე, ბალანსის ვალუტა მცირდება, საბალანსო ტოლობა ურღვევია.

$$\downarrow \text{ აქტივები } = \downarrow \text{ ვალდებულებები } + \downarrow \text{ საკუთარი კაპიტალი }$$

ჩვენს მაგალითში: 2, 3, 11, 12, 14, 16, 17, 18, 23 დეკემბერს განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შედეგად მოხდა I ტიპის ცვლილება; 15, 21-ში ოპერაციებმა გამოიწვია II ტიპის ცვლილება; 1, 4, 5, 7, 13 22, 24-ში ოპერაციებმა - III ტიპის ცვლილება; 8, 10-ში ოპერაციებმა - IV ტიპის ცვლილება.

თვითშეფასების კითხვარი:

1. ჩამოთვალეთ სააღრიცხვო ციკლის ფაზები;
2. განმარტეთ მთავარ ჟურნალში ჩანაწერების არსი;
3. განმარტეთ მთავარ ბუღალტრულ წიგნში ჩანაწერების არსი;
4. განმარტეთ სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების ტიპები.

ამოცანები

განსაზღვრეთ სამეურნეო ოპერაციით გამოწვეული ცვლილების ტიპი და მიუსადაგეთ ოპერაციებს ბუღალტრული მუხლები:

1. მფლობელის მიერ ბიზნესში ინვესტირებულია ნაღდი ფული 2000 ლარი;
2. საბანკო ანგარიშიდან გადახდილია რეკლამის გამოცხადებისათვის 180 ლარი;
3. მოგების ხარჯზე შექმნილია რეზერვი 500 ლარი;
4. გაცემულია სალაროდან ხელფასი 15000 ლარი;
5. გაიყიდა 5000 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით.
6. ნაღდ ფულზე შექმნილია 1000 ლარის საქონელი;
7. შექმნილია 4000 ლარის ოფისის ავეჯი და ინვენტარი შემდგომი გადახდის პირობით;
8. დარიცხული ხელფასიდან დაკავდა საშემოსავლო გადასახადი 1000 ლარის;
9. საბანკო ანგარიშიდან დაფარულია მოგების გადასახადი 500 ლარი და მომწოდებლის დავალიანება 4500 ლარი;
10. ნაღდ ფულზე გაიყიდა 3000 ლარის საქონელი.

მოდული II „საადრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში 2“
 2.1 ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების განზოგადება (ნაწილი II)

მაკორექტირებელი და დროებითი ანგარიშების დახურვის გატარებები. კორექტირებას ექვემდებარება წინასწარ გაწეული ხარჯები, მიღებული ავანსი და სასესხო ვალდებულებები, მოთხოვნა პარტნიორებზე გაცემულ სესხებზე, ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულება. აქედან გამომდინარე, კორექტირებისას მიმდინარე პერიოდის ხარჯად ვალიარებთ იჯარის, დაზღვევის, ცვეთის, საპროცენტო ხარჯებს, საპროცენტო და რეალიზაციიდან შემოსავლებს, ვახორციელებთ რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ჩამოწერას.

დახურვას ექვემდებარება ნომინალური, ანუ დროებითი ანგარიშები, ე. ი. შემოსავლებისა და ხარჯების ამსახველი ანგარიშები. ისინი იხურება საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშით, რომელიც აქტიურ-პასიური ანგარიშია, არა აქვს საწყისი და საბოლოო ნაშთი და იხურება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშით. გარდა ამისა, დახურვას საჭიროებს კაპიტალის ამოღების, მოგების გადასახადის ხარჯის ანგარიშებიც. ისინი იხურება პირდაპირ გაუნაწილებელი მოგების ანგარიშის მეშვეობით.

შემოსავლების ამსახველი ანგარიშები

ანგარიშის დასახელება		ანგარიშის კოდი	
დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
შემოსავლების შემცირება(ჩამოწერა)	X	შემოსავლების ზრდა(ალიარება)	X
ბრუნვა	X	ბრუნვა	X

ხარჯების ამსახველი ანგარიშები

ანგარიშის დასახელება		ანგარიშის კოდი	
დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
ხარჯების ზრდა(ალიარება)	X	ხარჯების შემცირება (ჩამოწერა)	X
ბრუნვა	X	ბრუნვა	X

საანგ. პერიოდის მ/ზ N5330

დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
ხარჯების ჩამოწერა	X	შემოსავლების ჩამოწერა	X
მოგება დაბეგვრამდე	X	ზარალი	X
ბრუნვა	X	ბრუნვა	X

დაუფარავი ზარალი ანგარიში N 5320

დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
ზარალი	X	ზარალის ჩამოწერა	X
ბრუნვა	X	ბრუნვა	X

გაუნაწილებელი მოგება ანგარიში N5310

დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
კაპიტალის ამოღება	X	საწყისი ნაშთი	X
მოგების გადასახადი			
რეზერვები	X	მოგება დაბეგვრამდე	X
დივიდენდები			
ზარალი	X		
ბრუნვა	X	ბრუნვა	X
		საბოლოო ნაშთი	X

კაპიტალის ამოღება ანგარიში N5151

დებეტი	ლარი	კრედიტი	ლარი
კაპიტალის ამოღება	X	კაპიტალის ამოღების ანგ. დახურვა	X
ბრუნვა	X	ბრუნვა	X

შ.პ.ს. „ანაზნია“
მაკორექტირებელი და დახურვის გატარებების ჟურნალი
კორექტირებები

ქ. 1

თარიღი 2014		ანგარიშის დასახელება და კომენტარი	აღნიშვნა გადატანაზე	დებეტი	კრედიტი
თვე	რიცხვი				
XII	31	ერთი თვის იჯარის ხარჯის აღიარება იჯარის ხარჯი 300:3×1 წინასწარ გადახდილი იჯარა	7420 1720	100	100
XII	31	ერთი თვის დაზღვევის ხარჯის აღიარება დაზღვევის ხარჯი 400:2×1 წინასწარ გადახდილი დაზღვევა	7435 1735	200	200
XII	31	ერთი თვის რეალიზაც. შემოსავლის აღიარ. მიღებული ავანსი 6000:4×1 შემოსავალი რეალიზაციიდან	3120 6110	1500	1500
XII	31	ერთი თვის საპროც. შემოსავლის აღიარება მისაღები პროცენტები 20000×0,12×1/12 საპროცენტო შემოსავალი	1820 8110	200	200
XII	31	სატრ. საშ. ცვეთის ხარჯის აღიარება ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები სატრ. საშ. ცვეთა 10000:5	7455 2280	2000	2000
XII	31	ერთი თვის საპროცენტო ხარჯის აღიარება საპროცენტო ხარჯი 20000×0,15×1/12 გადასახდელი პროცენტები	8210 3410	250	250
XII	31	რეალიზ. საქ. თვითღირებულების ჩამოწერა გაყიდული/შემქნილი საქონელი საქონელი	7210 1610	29000	29000
XII	31	მოგების გადასახადის დარიცხვა მოგების გადასახადის ხარჯი 10750×0,15 გადასახდელი მოგების გადასახ.	9210 3310	1613	1613
XII	31	სარეზერვო კაპიტალში თანხის აკუმულირება გაუნაწილებელი მოგება სარეზერვო კაპიტალი	5310 5490	5000	5000

დახურვის ოპერაციები

ქ. 2

თარიღი 2014		ანგარიშის დასახელება და კომენტარი	აღნიშვნა გადატანაზე	დებეტი	კრედიტი
თვე	რიცხვი				
XII	31	შემოსავალი რეალიზაციიდან ანგარიშის დახურვა შემოსავალი რეალიზაციიდან საანგარიშ. პერ. მოგება/ზარალი	6110 5330	44500	44500
XII	31	საპროცენტო შემოსავ. ანგარიშის დახურვა საპროცენტო შემოსავალი საანგარიშ. პერ. მოგება/ზარალი	8110 5330	200	200
XII	31	კომუნ. მომსახ. ხარჯების ანგ. დახურვა საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი კომ. მომსახ. ხარჯები	5330 7430	400	400

XII	31	შრომის ანაზღ. ხარჯების ანგ. დახურვა საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი შრომის ანაზღაურების ხარჯები	5330 7410	2000	2000
XII	31	იჯარის ხარჯის ანგარიშის დახურვა საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი იჯარის ხარჯი	5330 7420	100	100
XII	31	დაზღვევის ხარჯის ანგარიშის დახურვა საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი დაზღვევის ხარჯი	5330 7435	200	200
XII	31	ცვეთისა და ამორტ. ხარჯის ანგ. დახურვა საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი ცვეთისა და ამორტ. ხარჯი	5330 7455	2000	2000
XII	31	საპროცენტო ხარჯი ანგარიშის დახურვა საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი საპროცენტო ხარჯი	5330 8210	250	250
XII	31	გაყიდული/შეძენილი საქონ. ანგ. დახურვა საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი გაყიდული/შეძენილი საქონელი	5330 7210	29000	29000
XII	31	საანგ. პერ. მოგება/ზარალის ანგ. დახურვა საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი გაუნაწილებელი მოგება	5330 5310	10750	10750
XII	31	მოგების გადასახადის ხარჯის ანგ. დახურვა გაუნაწილებელი მოგება მოგების გადასახადის ხარჯი	5310 9210	1613	1613
XII	31	კაპიტალის ამოღების ანგარიშის დახურვა გაუნაწილებელი მოგება კაპიტალის ამოღება	5310 5151	1000	1000

მაკორექტირებელი და დახურვის გატარებების ჟურნალის ინფორმაცია გადავიტანოთ მთავარი ბუღალტრული წიგნის ადრე და დამატებით გახსნილ ანგარიშებზე.

შ.პ.ს. „ანაზნია“

მთავარი ბუღალტრული წიგნი (რეგისტრი)

(გაგრძელება)

იჯარის ხარჯი

ანგარიში N7420

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	31	წინასწარ გადახდილი იჯარა	ჟ. 1 (კ)	100		100
XII	31	საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი	ჟ. 2 (დ)		100	—

დაზღვევის ხარჯი

ანგარიში N7435

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	31	წინასწარ გადახდილი დაზღვევა	ჟ. 1 (კ)	200		200
XII	31	საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი	ჟ. 2 (დ)		200	—

მისაღები პროცენტები

ანგარიში N1820

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	01	საწყისი ნაშთი				—
XII	31	საპროცენტო შემოსავალი	ქ. 1(კ)	200		200

საპროცენტო შემოსავალი

ანგარიში N8110

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	31	მისაღები პროცენტები	ქ. 1 (კ)		200	200
XII	31	საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი	ქ. 2 (დ)	200		—

ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი

ანგარიში N7455

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	31	სატრანსპორტო საშ. ცვეთა	ქ. 1 (კ)	2000		2000
XII	31	საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი	ქ. 2(დ)		2000	—

სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა

ანგარიში N2280

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	1	საწყისი ნაშთი				—
XII	31	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	ქ. 1 (კ)		2000	2000

საპროცენტო ხარჯი

ანგარიში N8210

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	31	გადასახდელი პროცენტები	ქ. 1 (კ)	250		250
XII	31	საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი	ქ. 2 (დ)		250	—

გადასახდელი პროცენტები

ანგარიში N3410

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	1	საწყისი ნაშთი				—
XII	31	საპროცენტო ხარჯი	ქ. 1 (კ)		250	250

გაყიდული/შემძენილი საქონელი

ანგარიში N7210

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	31	საქონელი	ქ. 1 (კ)	29000		29000
XII	31	საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი	ქ. 2 (დ)		29000	—

მოგების გადასახადის ხარჯი

ანგარიშის N9210

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	31	გადასახდელი მოგების გადასახადი	ქ. 1 (კ)	1613		1613
XII	31	გაუნაწილებელი მოგება	ქ. 2 (დ)		1613	—

გადასახდელი მოგების გადასახადი

ანგარიშის N3310

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	1	საწყისი ნაშთი				—
XII	31	მოგების გადასახადის ხარჯი	ქ. 1 (კ)		1613	1613

საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი

ანგარიშის N5330

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	31	შემოსავალი რეალიზაციიდან	ქ. 2 (დ)		44500	44500
XII	31	საპროცენტო შემოსავალი	ქ. 2 (დ)		200	44700
XII	31	კომუნალური მომსახურების ხარჯები	ქ. 2 (დ)	400		44300
XII	31	შრომის ანაზღაურების ხარჯები	ქ. 2 (დ)	2000		42300
XII	31	იჯარის ხარჯი	ქ. 2 (დ)	100		42200
XII	31	დაზღვევის ხარჯები	ქ. 2 (დ)	200		42000
XII	31	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	ქ. 2 (დ)	2000		40000
XII	31	საპროცენტო ხარჯი	ქ. 2 (დ)	250		39750
XII	31	გაყიდული/შემძენილი საქონელი	ქ. 2 (დ)	29000		10750
XII	31	გაუნაწილებელი მოგება	ქ. 2 (დ)		10750	—

გაუნაწილებელი მოგება

ანგარიში N5310

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	საღდო
თვე	რიცხვი					
XII	1	საწყისი ნაშთი				—
XII	31	საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი	ქ. 2 (დ)		10750	10750
XII	31	მოგების გადასახადის ხარჯი	ქ. 2 (დ)	1613		9137
XII	31	კაპიტალის ამოღება	ქ. 2 (დ)	1000		8137
XII	31	სარეზერვო კაპიტალი	ქ. 1 (კ)	5000		3157

სარეზერვო კაპიტალი

ანგარიში N 5490

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	საღდო
თვე	რიცხვი					
XII	1	საწყისი ნაშთი				—
XII	31	გაუნაწილებელი მოგება	ქ. 1 (კ)		5000	5000

მთავარი ბუღალტრული წიგნის ზოგიერთი ანგარიში ნაერთი ანუ სინთეზური ანგარიშია. კერძოდ, 1410 ანგარიში „მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით“ და 3110 ანგარიში „ვალდებულება მიწოდებით და მომსახურებით“. ამ ანგარიშებზე ასახული სამეურნეო ფაქტების შესახებ დეტალური ინფორმაცია თავსდება დამხმარე რეგისტრებში, სადაც თითოეულ დებიტორზე და კრედიტორზე იხსნება ქვეანგარიშები მათივე სახელწოდებით. აქედან გამომდინარე, ნაერთი ანგარიშის საბოლოო ნაშთი (საღდო) შესაბამისი დამხმარე რეგისტრის ყველა ქვეანგარიშის საღდოების ჯამს უნდა უდრიდეს.

მაგალითის მიხედვით ფირმას ჰყავს საქონლის ორი მომწოდებელი (კრედიტორი) და საქონლის ორი მყიდველი(დებიტორი) ფირმა. მოვათავსოთ თითოეული დებიტორისა და კრედიტორის ინფორმაცია დამხმარე რეგისტრში გახსნილ ანგარიშებზე.

შ.პ.ს „ანაზნია“

დამხარე რეგისტრი

ანგარიში 1410 მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით

ფირმა „ელე“

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	საღდო
თვე	რიცხვი					
XII	09	მიწოდება (რეალიზაცია)	ქ. 1	10000		10000
XII	11	განაღდება	ქ. 1		8000	2000

ფირმა „ლიკ-ლიკ“

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	საღდო
თვე	რიცხვი					
XII	09	მიწოდება (რეალიზაცია)	ქ. 1	8000		8000
XII	11	განაღდება	ქ. 1		7000	1000

შ.პ.ს „ანა&ნია“
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნის
ანგარიშების ნაერთი

	ლარი
1. ფირმა „ელე“	2000
2. ფირმა „ლიკ-ლიკ“	1000
სულ	3000

შ.პ.ს „ანა&ნია“
დამხმარე რეგისტრი
ანგარიში 3110 ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით

ფირმა „მარი&რუსო“

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	04	მოწოდება (შესყიდვა)	ქ. 1		15000	15000
XII	08	განაღდება	ქ. 1	12000		3000

ფირმა „ლილუ“

თარიღი 2014		შინაარსი	მინიშნება	დებეტი	კრედიტი	სალდო
თვე	რიცხვი					
XII	07	მოწოდება (შესყიდვა)	ქ. 1		12000	12000
XII	08	განაღდება	ქ. 1	8000		4000

შ.პ.ს „ანა&ნია“
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების
ანგარიშების ნაერთი

	ლარი
3. ფირმა „მარი&რუსო“	3000
4. ფირმა „ლილუ“	4000
სულ	7000

ბრუნვათა უწყისის არსი, ელემენტები და დანიშნულება. ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების განზოგადების ტრადიციულ ხერხს ბრუნვათა უწყისების გამოყენება წარმოადგენს. ბრუნვათა უწყისი რვასვეტიანია და ასახავს სინთეზური და ანალიზური ანგარიშების ჩანაწერებს. სინთეზური ანგარიშების ბრუნვათა უწყისის პირველ სვეტში ფიქსირდება ანგარიშების კოდი, მეორეში-ანგარიშების დასახელება, მესამესა და მეოთხეში-დებეტისა და კრედიტის საწყისი ნაშთები, მეხუთესა და მეექვსეში-დებეტისა და კრედიტის ბრუნვები, მეშვიდესა და მერვეში-დებეტისა და კრედიტის საბოლოო ნაშთები. ორადი ჩაწერის არსის შესაბამისად დებეტისა და კრედიტის ჯამები თითოეული წყვილი სვეტის მიხედვით ერთმანეთის ტოლია.

ბუღალტრული აღრიცხვის მიმდინარე მონაცემების ბრუნვათა უწყისში განზოგადებას საკონტროლო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მისი გამოყენება საშუალებას გვაძლევს

გამოვავლინოთ მთავარი ბუღალტრული წიგნის ანგარიშებზე თანხების გადატანისა და საბოლოო ნაშთების გაანგარიშებისას დაშვებული შეცდომები. **ბრუნვათა უწყისის საბოლოო ნაშთების საფუძველზე ვადგენთ ბუღალტრულ ბალანსს.**

ბრუნვათა უწყისის წარმოება არ არის სავალდებულო, თუმცა საწარმოთა უმრავლესობა დღემდე იყენებს მას.

**შ.პ.ს. „ანაგნია“
ბრუნვათა უწყისი 2014 წლის 31/XII**

N	ანგარიშის დასახელება	2014წ. 1/XII		XII-ის ბრუნვა		2014წ. 31/XII	
		დ-ტი	კ-ტი	დ-ტი	კ-ტი	დ-ტი	კ-ტი
1210	ევრბ	-		96000	58700	37300	
5150	საწესდებო კაპიტალი		-		20000		20000
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-		3100	2900	200	
1610	საქონელი	-		32000	29000	3000	
3110	ვალდებულება მოწოდებით და მომს		-	20000	27000		7000
3210	მოკლევადიანი სესხი		-	10000	30000		20000
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან			44500	44500		
1410	მოთხოვნა მიწოდებით და მომსახ.	-		18000	15000	3000	
1430	მოთხოვნა საწ. პერს. მიმართ	-		1500	1500		
2180	სატრანსპორტო საშუალებები	-		10000		10000	
3140	გასანადღებელი თამასუქი		-		10000		10000
1720	წინასწარ გადახდილი იჯარა	-		300	100	200	
1735	წინასწარ გადახდილი დაზღვევა	-		400	200	200	
7430	კომუნალური მომს. ხარჯები			400	400		
7410	შრომის ანაზღაურების ხარჯები			2000	2000		
3130	გადასახდელი ხელფასი		-	400	2000		1600
3320	გადასახდელი საშემოსავლო გადას.		-		400		400
3120	მიღებული ავანსი		-	1500	6000		4500
1450	მოთხ. პარტნ. გაცემულ სესხებზე	-		20000		20000	
5151	კაპიტალის ამოღება			1000	1000		
1620	ნედლეული და მასალა	-		1400		1400	
7420	იჯარის ხარჯი			100	100		
7435	დაზღვევის ხარჯი			200	200		
1820	მისაღები პროცენტები	-		200		200	
8110	საპროცენტო შემოსავალი			200	200		
7455	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი			2000	2000		
2280	სატრანსპორტო საშ. ცვეთა		-		2000		2000
8210	საპროცენტო ხარჯი			250	250		
3410	გადასახდელი პროცენტები		-		250		250
7210	გაყიდული/შეძენილი საქონელი			29000	29000		
9210	მოგების გადასახადის ხარჯი			1613	1613		
3310	გადასახდელი მოგების გადასახადი		-		1613		1613
5330	საანგარიშგებო პერიოდის მ/ზ			44700	44700		
5490	სარეზერვო კაპიტალი		-		5000		5000
5310	გაუნაწილებელი მოგება		-	7613	10750		3137
	სულ			348376	348376	75500	75500

თვითშეფასების კითხვარი

1. განმარტეთ რა ოპერაციები ექვემდებარება კორექტირებას;
2. განმარტეთ რომელი ანგარიშები ექვემდებარება დახურვას;
3. განმარტეთ ბრუნვათა უწყისის არსი, ელემენტები და დანიშნულება;

ამოცანები

1. ფირმამ 2014 წლის 1 ოქტომბერს გადაიხადა 9 თვის საიჯარო ქირა 900 ლარი საბანკო გადარიცხვით.

ასახეთ ბუღალტრულად:

- ა) საიჯარო ქირის გადახდა;
- ბ) მიმდინარე წლის იჯარის ხარჯის აღიარება;

2. ფირმამ 2014 წლის 1 ივნისს საბანკო გადარიცხვით შეიძინა დაზღვევის პოლისი ერთი წლის ვადით 1200 ლარად.

ასახეთ ბუღალტრულად:

- ა) პოლისის შეძენა;
- ბ) მიმდინარე წლის დაზღვევის ხარჯის აღიარება;

3. ფირმამ 2014 წლის 6 იანვარს საბანკო გადარიცხვით შეიძინა 30000 ლარის ღირებულების საოფისე შენობა, რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრა 9 წლით, ხოლო ნარჩენი ღირებულება 3000 ლარით.

ასახეთ ბუღალტრულად:

- ა) შენობის შეძენა;
- ბ) მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯის აღიარება.

შენიშვნა: ამ შემთხვევაში ცვეთა უნდა დაერიცხოს 27000 ლარს, ანუ ცვეთად ღირებულებას, რომელიც არის სხვაობა შენობის პირვანდელ ღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის.

4. ნედლეულისა და მასალი შესყიდვა ნაღდ ფულზე 2000 ლარია. მიმდინარე პერიოდის ბოლოს დაუხარჯავი დარჩა 600 ლარის მარაგი.

ასახეთ ბუღალტრულად:

- ა) ნედლეულისა და მარაგის შეძენა;
- ბ) მიმდინარე წლის მარაგის ხარჯი.

5. ფირმამ 2014 წლის 1 სექტემბერს ერთი წლის ვადით აიღო ბანკი მოკლევადიანი სესხი 12000 ლარი წლიური 10%-იანი განაკვეთით. სესხის ძირითადი თანხა და პროცენტი უნდა იქნეს გადახდილი სესხის ვადის ამოწურვისას.

ასახეთ ბუღალტრულად:

- ა) სესხის აღება;
- ბ) მიმდინარე წლის საპროცენტო ხარჯის აღიარება;

6. ფირმამ 2014 წლის 1 ნოემბერს მომხმარებლისაგან წინასწარ მიიღო 5000 ლარი, ხუთი თვის განვალლობაში ერთი და იგივე ღირებულების მომსახურების გაწევაზე.

ასახეთ ბუღალტრულად:

- ა) ავანსის მიღება;
- ბ) მიმდინარე წლის რეალიზაციიდან შემოსავლის აღიარება;

7. ფირმამ 2014 წლის 1 მაისს გასცა პარტნიორზე 1 წლის ვადით სესხი 20000 ლარი წლიური 12%-იანი განაკვეთით. სესხის ძირითადი თანხა და პროცენტები დაიფარება სესხის ვადის ამოწურვისას.

ასახეთ ბუღალტრულად:

- ა) სესხის გაცემა;
- ბ) მიმდინარე წლის საპროცენტო შემოსავლის აღიარება;

8. საქონლის ნაშთი წლის დასაწყისში 7000 ლარია, საანგარიშგებო პერიოდის შესყიდვები 25000 ლარი, საქონლის ნაშთი წლის ბოლოს 4700 ლარი.

განსაზღვრეთ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.

9. ფირმის კორექტირებული საცდელი ბალანსი 2014 წლის 31/XII

კოდი	ანგარიშის დასახელება	დებიტი	კრედიტი
121	ევრბ	20000	
1410	მთხოვნა მიწოდებით და მომსახ.	18500	
2130	შენიშვნები	30000	
3110	ვალდებულებები მოწოდებით		23500
5150	საწესდებო კაპიტალი		47000
2160	საოფისე აღჭურვილობა	5000	
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან		15800
7410	შრომის ანაზრაურების ხარჯები	6200	
7310	რეკლამის ხარჯები	120	
7420	იჯარის ქარის ხარჯი	800	
7435	დაზღვევის ხარჯი	200	
7490	სხვადასხვა ხარჯები	350	
5151	კაპიტალის ამოღება	2000	
9210	მოგების გადასახადის ხარჯი	750	
3310	გადასახდელი მოგების გადასახადი		750
	სულ	87050	87050

დახურეთ შემოსავლების, ხარჯების და კაპიტალის ამოღების ანგარიშები; განსაზღვრეთ საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი და დახურეთ მოგება/ზარალი ანგარიში;

მოდული III „ფინანსური ანგარიშგების შედგენა“

3.1 ფინანსური ანგარიშგების როლი მართვის ინფორმაციულ სისტემაში


ფინანსური ანგარიშგების არსი, მნიშვნელობა, კომპონენტები, ელემენტები და მათი შეფასება. ზოგადად, ანგარიშგება ასახავს ფირმის ფუნქციონირების სხვადასხვა მხარეს და ემყარება სამეურნეო აღრიცხვის ურთიერთდამოკიდებულ სახეებს. იგი იყოფა **ოპერატიულ, ბუღალტრულ, საგადასახადო და სტატისტიკურ ანგარიშგებად.**

ბუღალტრული ანგარიშგების შედგენა ხდება ოპერატიული, ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე და აქედან გამომდინარე, მთლიანად მოიცავს ფირმის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას. ფირმის საინფორმაციო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი **ფინანსური ანგარიშგებაა**, რომელიც არის საფუძველი ფირმის ეკონომიკური რესურსების შეფასებისა და ანალიზისათვის, შემოსავლების, ხარჯების და მოსალოდნელი რისკების პროგნოზირებისათვის. ფინანსური ანგარიშგების ფორმირების ძირითადი პრინციპები განისაზღვრება **„ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლებით“** და ბასს 1-ით **„ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“.**

ფინანსური ანგარიშგება არის ფირმის ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია ინფორმაციის მიწოდება მომხმარებელთა ფართო ფენებისათვის ფირმის ეკონომიკური რესურსებისა და მათი ფორმირების წყაროების, ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ, რაც მათ დაეხმარება სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღებაში.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები იყოფა ორ ჯგუფად: **შიდა და გარე მომხმარებლები.** შიდა მომხმარებლები უშუალოდ არიან დაინტერესებული ფირმის საქმიანობით. გარე მომხმარებლები არ არიან უშუალოდ დაინტერესებული ფირმის საქმიანობით, მაგრამ მათთვის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია აუცილებელია, რათა დაიცვან შიდა მომხმარებლების ინტერესები.



ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას სავალდებულოა ბასს-ით რეკომენდირებული ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი დაშვებების, ანუ ფუნქციონირებადი საწარმოსა და დარიცხვის მეთოდის არსის გათვალისწინება.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს მიეკუთვნება:

- ბუღალტრული ბალანსი, ანუ ანგარიშგება ფირმის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- მოგება/ზარალის ანგარიშგება, ანუ ანგარიშგება ფირმის სრული შემოსავლების შესახებ;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება;
- კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება;
- განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ არის განხილული ფირმის სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.


ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს მიეკუთვნება:

- აქტივები;
- ვალდებულებები;
- საკუთარი კაპიტალი;
- შემოსავლები;
- ხარჯები.

ფირმის ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების სიტყვიერ და თანხობრივ ასახვას აღიარება ეწოდება. ასახვისას უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი კრიტერიუმები:

- ელემენტების ცვლილებით შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის ფირმაში შემოსვლა ან გასვლა;
- ელემენტების რიცხობრივი მნიშვნელობა საიმედოთ არის შეფასებული.

შეფასება არის აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების და ხარჯების ფინანსურ ანგარიშგებაში ფულადი სახით ასახვის პროცესი. ბასს-ით გათვალისწინებულია:



პირვანდელი ღირებულება, ანუ თვითღირებულება გულისხმობს, რომ აქტივები ფასდება შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრებით ან მათი ექვივალენტების ოდენობით, ხოლო ვალდებულებები ფასდება იმ აქტივის თანხით, რომელიც მიღებულია მის სანაცვლოდ.

მიმდინარე ღირებულება გულისხმობს, რომ აქტივები ფასდება იმ თანხით, რომელიც საჭირო იქნება ფირმისათვის შეფასების მომენტისათვის, ხოლო ვალდებულებები ფასდება არა დისკონტირებული ფულადი თანხით, რომელიც საჭიროა მის დასაფარავად მიმდინარე პერიოდში.

სარეალიზაციო ღირებულება გულისხმობს, რომ აქტივები ფასდება იმ თანხით, რომელიც შეიძლება მიღებული იქნას ამ აქტივების გაყიდვიდან მიმდინარე პერიოდში, ხოლო ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებული ფულადი თანხით, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი მის დასაფარავად ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დისკონტირებული ღირებულება გულისხმობს, რომ აქტივები ფასდება მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების თანხით, რომელიც მომავალში მისაღები წმინდა ფულადი სახსრების ტოლია, ხოლო ვალდებულებები ფასდება მიმდინარე დისკონტირებული ღირებულების თანხით, რომელიც საჭიროა ამ ვალდებულებების დასაფარავად და მომავალში ამ მიზნით გასასვლელი ფულადი სახსრების ტოლია.

ბასს ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველად აღიარებს პირვანდელ ღირებულებას, ანუ თვითღირებულებას, რომელიც შედარებით ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივებსა და პასივებში მომხდარ ცვლილებებს.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები. როგორც ვიცით, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას ჰყავს შიდა და გარე მომხმარებლები, რომელთა მთხოვნებიც ანგარიშგების შემდეგნა უნდა გაითვალისწინოს. ბასს-ით ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივ მახასიათებლებს მიეკითვნება:

- აღქმადობა;
- შესაბამისობა;
- საიმედოობა;
- შესადაარისობა.

აღქმადობა ფინანსური ანგარიშგების ძირითადი თვისებაა. მასში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს გასაგები მომხმარებლისათვის, რომელსაც გარკვეული ცოდნა გააჩნია ბიზნესსა და ბუღალტრულ აღრიცხვაში.

შესაბამისობა განსაზღვრავს ინფორმაციის სარგებლიანობას, რის საფუძველზეც ამ ინფორმაციის მომხმარებელი სწორ ეკონომიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია არსებით ხასიათს უნდა ატარებდეს. **არსებითია ინფორმაცია**, რომლის გამოტოვება ან დამახინჯება არ შეიძლება. **არსებითობა წარმოადგენს ზღვარს, რომლის გადალახვის შემდეგ ინფორმაცია მომხმარებლისათვის უსარგებლო ხდება.** საერთაშორისო პრაქტიკაში არსებითობა განისაზღვრება ფირმის მიერ, მასში ტექნიკურ-ეკონომიკური თავისებურებების გათვალისწინებით და ბალანსის ელემენტებისათვის მიღებული დიაპაზონით 0,5-5%.

საიმედოობა ნიშნავს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია არ შეიცავს არსებით შეცდომებს და არ არის ტენდენციური. ე. ი. ამ ინფორმაციაზე შეიძლება

დაყრდნობა, ვინაიდან ის სრულად და მიუკერძოებლად ასახავს რეალურ სურათს. **საიმედოობაზე ზეგავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:**

- სამართლიანი წარდგენა;
- ეკონომიკური შინაარსის უპირატესობა ფორმასთან შედარებით;
- ნეიტრალობა;
- წინდახედულობა;
- სისრულე;
- დროულობა.

სამართლიანი წარდგენა ნიშნავს, რომ ყველა სამეურნეო ოპერაცია და მოვლენა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად აისახება სამართლებრივი ნორმების დაცვით.

ეკონომიკური შინაარსის უპირატესობა ფორმასთან შედარებით, ანუ შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა ნიშნავს, რომ ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ სამართლებრივი ფორმის, არამედ უპირველესყოვლისა ეკონომიკური რეალობის ამსახველ ინფორმაციას.

ნეიტრალობა ნიშნავს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში მოთავსებული ინფორმაცია საიედოა, მიკერძოების გარეშე ასახავს სამეურნეო ფაქტებს, ზეწოლას არ ახდენს ინფორმაციის მომხმარებელზე საქმიანი გადაწყვეტილებების მიღების დროს.

წინდახედულობა გადაწყვეტილებების მიღებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას ნიშნავს, რაც გამოიხატება შემდეგში: ზარალი ან დანაკარგები აისახება მათი გამოვლენისთანავე, ხოლო მოსალოდნელი მოგება რეალური მიღების შემდეგ.

სისრულე ნიშნავს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია ყოვლისმომცველია, ანუ სრული, ვინაიდან ინფორმაციის გამოტოვებამ შეიძლება საიმედოობისა და შესაბამისობის ხარისხის დაქვეითება გამოიწვიოს.

დროულობა ნიშნავს, რომ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელს ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს გარკვეულ ვადებში და შეფერხებებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ფინანსური ანგარიშგების მეოთხე ხარისხობრივი მახასიათებელია შესადარისობა, რომელიც იძლევა საშუალებას სხვადასხვა ფირმების ან ერთი და იგივე საწარმოს სხვადასხვა პერიოდის საქმიანობის და მისი შედეგების შედარება მოხდეს. ინფორმაციის შესადარისობა სამეურნეო საქმიანობის პროგნოზირების საფუძველია.

საცდელი ბალანსის არსი, მნიშვნელობა და შევსების წესი. მთავარი ბუღალტრული წიგნის (რეგისტრის) ანგარიშებზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე მზადდება თავდაპირველი საცდელი ბალანსი, რომელშიც თავსდება ინფორმაცია თანხების კორექტირებამდე და ანგარიშების დახურვამდე.

საცდელი ბალანსი არის მთავარ ბუღალტრულ წიგნში (რეგისტრში) გახსნილი ანგარიშების ნაშთების არასისტემატიზირებული ჩამონათვალი, ანუ მემორანდუმი. ანგარიშები, რომლებსაც აქვთ ნულოვანი სალდო, საცდელ ბალანსში არ შეიტანება.

საცდელი ბალანსის მიზანია ორადი ჩაწერის სისწორის შემოწმება. **იგი წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების პირველ ნაბიჯს.** საცდელი ბალანსის დებეტისა და კრედიტის ნაშთების ტოლობა მეტყველებს ბუღალტრულ ანგარიშებზე წარმოებული ჩანაწერების სისწორეზე. თუმცა, ნაშთების ტოლობა ყოველთვის არ ნიშნავს აღრიცხვის

უტყუარობასა და სამეურნეო ფაქტის სწორად ასახვას ჩანაწერებში დაშვებული შეცდომების გამო. მაგალითად, ოპერაციის ამსახველი ბუღალტრული მუხლის გამოტოვება, მუხლში არასწორი თანხის მითითება, ოპერაციის სხვა ანგარიშზე ჩაწერა, საპირისპირო ბუღალტრული გატარების შედგენა, ანუ დებეტის ნაცვლად კრედიტში და პირიქით ჩანაწერის გაკეთება.

საცდელი ბალანსის საფუძველზე მზადდება ფინანსური ანგარიშგება, ამიტომ **საცდელი ბალანსი ფინანსური ანგარიშგების კომპონენტს არ წარმოადგენს.**

განხილული მაგალითის მიხედვით საცდელ ბალანსს კორექტირებამდე ექნება შემდეგი სახე:

შ. პ. ს. „ანაზნია“
საცდელი ბალანსი კორექტირებამდე
2014 წლის 24/XII

ანგ. კოდი	ანგარიშის დასახელება	დებეტი	კრედიტი
1210	ევრბ	37300	
5150	საწესდებო კაპიტალი		20000
1110	ნაღდი ფული ეროვნული ვალუტით	200	
1610	საქონელი	32000	
3110	ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით		7000
3210	მოკლევადიანი სესხი		20000
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან		43000
1410	მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	3000	
2180	სატრანსპორტო საშუალებები	10000	
3140	გასანადღებელი თამასუქი		10000
1620	ნედლეული და მასალა	1400	
1720	წინასწარ გადახდილი იჯარა	300	
1735	წინასწარ გადახდილი დაზღვევა	400	
7430	კომუნალური მომსახურების ხარჯები	400	
7410	შრომის ანაზღაურების ხარჯები	2000	
3130	გადასახდელი ხელფასი		1600
3320	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		400
3120	მიღებული ავანსი		6000
1450	მოთხ. პარტ. გაცემულ სესხებზე	20000	
5151	კაპიტალის ამოღება	1000	
	სულ	108000	108000

თავდაპირველი საცდელი ბალანსის შედგენის შემდეგ ივსება მაკორექტირებელი და დახურვის გატარებების ჟურნალი, რის საფუძველზეც კეთდება კორექტირებული საცდელი ბალანსი.

შ.პ.ს. „ანაზნია“
კორექტირებული საცდელი ბალანსი
2014 წლის 31/XII

კოდი	ანგარიშის დასახელება	დებიტი	კრედიტი
1210	ევრო	37300	
5150	საწესდებო კაპიტალი		20000
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	200	
1610	საქონელი	3000	
3110	ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით		7000
3210	მოკლევადიანი სესხი		20000
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან		44500
1410	მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	3000	
2180	სატრანსპორტო საშუალებები	10000	
3140	გასანაღდებელი თამასუქი		10000
1620	ნედლეული და მასალა	1400	
1720	წინასწარ გადახდილი იჯარა	200	
1735	წინასწარ გადახდილი დაზღვევა	200	
7430	კომუნალური მომსახურების ხარჯი	400	
7410	შრომის ანაზღაურების ხარჯები	2000	
3130	გადასახდელი ხელფასი		1600
3320	გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი		400
3120	მიღებული ავანსი		4500
1450	მოთხოვნები პარტ. გაცემულ სესხებზე	20000	
5151	კაპიტალის ამოღება	1000	
7420	იჟარის ხარჯი	100	
7435	დაზღვევის ხარჯი	200	
1820	მისაღები პროცენტები	200	
8110	საპროცენტო შემოსავალი		200
7170	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	2000	
2280	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა		2000
8210	საპროცენტო ხარჯი	250	
3410	გადასახდელი პროცენტები		250
7210	გაყიდული/შემძენილი საქონელი	29000	
9210	მოგების გადასახადის ხარჯი	1613	
3310	გადასახდელი მოგების გადასახადი		1613
	სულ	112063	112063

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ურთულესი პროცესია და მოითხოვს დიდი რაოდენობით ინფორმაციის დამუშავებას სააღრიცხვო ციკლის ფაზებზე. ამ ინფორმაციის თავმოყრა და ფინანსური ანგარიშგებისათვის მომზადება ხდება ბუღალტრული გაფორმების დოკუმენტში, რომელსაც **სამუშაო ფურცელი** ეწოდება. სამუშაო ფურცლიდან აღებული მონაცემებით მზადდება მოგება/ზარალის ანგარიშგება, ანგარიშგება საკუთარი კაპიტალში ცვლილებების შესახებ და ბუღალტრული ბალანსი.

შ.პ.ს. „ანაზნია“
სამუშაო ფურცელი 2014 წლის 31/XII

N	ანგარიშის დასახელება	საცდელი ბალანსი კორექტირებამდე		კორექტირებები		კორექტირებული საცდელი ბალანსი		მ/ზ ანგარიშგება		ბუღ. ბალანსი	
		დ-ტი	კ-ტი	დ-ტი	კ-ტი	დ-ტი	კ-ტი	დ-ტი	კ-ტი	დ-ტი	კ-ტი
1210	ევრბ	37300				37300				37300	
5150	საწესდებო კაპიტალი		20000				20000				20000
1110	ნაღდი ფული ეროვნული ვალუტაში	200				200				200	
1610	საქონელი	32000			29000	3000				3000	
3110	ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით		7000				7000				7000
3210	მოკლევადიანი სესხი		20000				20000				20000
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან		43000		1500		44500		44500		
1410	მოთხოვნა მიწოდებით და მომსახ.	3000				3000				3000	
2180	სატრანსპორტო საშ-ები	10000				10000				10000	
3140	გასანაღდებელი თამასუქი		10000				10000				10000
1620	ნედლეული და მასალა	1400				1400				1400	
1720	წინასწარ გადახდილი იჯარა	300			100	200				200	
1735	წინასწარ გადახდილი დაზღვევა	400			200	200				200	
7430	კომუნალური მომსახურების ხარჯები	400				400		400			
7410	შრომის ანაზღაურების ხარჯები	2000				2000		2000			
3130	გადასახდელი ხელფასი		1600				1600				1600
3320	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი		400				400				400
3120	მიღებული ავანსი		6000	1500			4500				4500
1450	მოთხ. პარტ. გაცემულ სესხებზე	20000				20000				20000	
5151	კაპიტალის ამოღება	1000				1000				1000	
7420	იჯარის ხარჯი			100		100		100			
7435	დაზღვევის ხარჯი			200		200		200			
1820	მისაღები პროცენტები			200		200				200	
8110	საპროცენტო შემოსავალი				200		200		200		
7455	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები			2000		2000		2000			
2280	სატრანსპორტო საშ-ების ცვეთა				2000		2000				2000
8210	საპროცენტო ხარჯი			250		250		250			
3410	გადასახდელი პროცენტები				250		250				250
7210	გაყიდული/შემძენილი საქონელი			29000		29000		29000			
	ჯამი	108000	108000	33250	33250	110450	110450	33950	44700	76500	65750
5330	საანგ. პერიოდის მოგება/ზარალი							10750			10750
	ჯამი							44700	44700	76500	76500

სრული შემოსავლების, ანუ მოგება/ ზარალის ანგარიშგება. ფირმის შემოსავლები და ხარჯები საბოლოოდ აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, რომლის შედგენაც შესაძლებელია ეკონომიკური შინაარსისა და ფუნქციური ნიშნის მიხედვით.

მ/ზ ანგარიშგება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციით

მაჩვენებლები	ლარი	ლარი
ამონაგები (შემოსავალი რეალიზაციიდან)		X
სხვა შემოსავლები		X
ცვლილებები მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი წარმოების მარაგებში		X
ნედლეულისა და მასალის ხარჯი	X	
პერსონალის შენახვის ხარჯები	X	
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	X	
სხვა ხარჯები	X	
სულ ხარჯები		(X)
მოგება დაბეგვრამდე		X
მოგების გადასახადი		(X)
წმინდა მოგება		X

მ/ზ ანგარიშგება ფუნქციური ნიშნის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციით

მაჩვენებლები	ლარი
ამონაგები (შემოსავალი რეალიზაციიდან)	X
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(X)
საერთო მოგება (მოგება რეალიზაციიდან)	X
სხვა შემოსავლები	X
კომერციული ხარჯები	(X)
ადმინისტრაციული ხარჯები	(X)
სხვა ხარჯები	(X)
მოგება დაბეგვრამდე	X
მოგების გადასახადი	(X)
წმინდა მოგება	X

შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით.

განხილული მაგალითის მიხედვით შევადგინოთ მოგება/ზარალის ანგარიშგება ფუნქციური ნიშნით.

შ. პ. ს. ანაზნია
მოგება/ზარალის ანუ სრული შემოსავლების ანგარიშგება
2014 წლის 31/XII მდგომარეობით

	ლარი	ლარი
შემოსავალი რეალიზაციიდან:		44500
საქონლის ნაშთი წლის დასაწყისში	—	
შესყიდვები	32000	
საქონლის ნაშთი წლის ბოლოს	(3000)	
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(29000)
მოგება რეალიზაციიდან (საერთო)		15500
საპროცენტო შემოსავალი		200
საოპერაციო ხარჯები:		
შრომის ანაზღაურების ხარჯები	2000	
იჯარის ხარჯები	100	
კომუნალური მომსახურების ხარჯები	400	
დაზღვევის ხარჯი	200	
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	2000	
ფინანსური (საპროცენტო) ხარჯი	250	
სულ ხარჯები		(4950)
მოგება დაბეგვრამდე		10750
მოგების გადასახადი		(1613)
10750×0,15		
წმინდა მოგება		9137

შენიშვნა:

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება = საქონლის საწყისი ნაშთი + შესყიდვები - საქონლის საბოლოო ნაშთი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ასახავს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა წილებში მომხდარ ყველანაირ ცვლილებას, ანუ წმინდა აქტივების სიდიდეს, რომელიც რჩება ვალდებულებების გასტუმრების შემდეგ. განხილული მაგალითის მიხედვით ანგარიშგებას აქვს შემდეგი სახე:

შ. პ. ს. ანაზნია
ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ
2014 წლის 31/XII მდგომარეობით

	ლარი
საკუთარი კაპიტალი 1.12.2014	20000
მიმდინარე წლის წმინდა მოგება (+)	9137
სულ	29137
კაპიტალის ამოღება (-)	(1000)
საკუთარი კაპიტალი 31.12.2014	28137

ეს ანგარიშგება შეიძლება წარდგენილ იქნეს სხვა ფორმატშიც.

შ. კ. ს. ანაზნია

ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ
2014 წლის 31/XII მდგომარეობით

მაჩვენებლები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
საწყისი ნაშთი 1/XII	20000	-	20000
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		9137	9137
კაპიტალის ამოღება		(1000)	(1000)
საბოლოო ნაშთი 31/XII	20000	8137	28137

სააქციო საზოგადოების ანგარიშგებას საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ აქვს შემდეგი სახე:

მაჩვენებლები	ჩვეულებრივი აქციები	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
საწყისი ნაშთი	X	X	X	X	X
აფასება			X		X
მოგება				X	X
აქციების ემისია (ჩვეულებრივი, ოფციონით)	X	X			X
ბონუსური ემისია	X	(X)			—
დივიდენდები				(X)	(X)
საბოლოო ნაშთი	X	X	X	X	X

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ანუ ბუღალტრული ბალანსი. სიტყვა ბალანსი ორი ლათინური სიტყვიდან წარმოიშვა და პირდაპირი გაგებით სასწორის ორ თეფშს ნიშნავს, ხოლო ბუღალტრულ აღრიცხვაში მისი გამოყენება წონასწორობასთან, ანუ ბალანსირებასთან ასოცირდება.

ბალანსი არის ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ერთ-ერთი ელემენტი, რომლითაც შესაძლებელია დროის გარკვეული მომენტისათვის ფირმის აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის განზოგადებულად, ფულად საზომ ერთეულში ასახვა. ვინაიდან, აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი ახასიათებს ფირმის ფინანსურ მდგომარეობას, მას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასაც უწოდებენ. ბალანსი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, ანუ 31 დეკემბრის მდგომარეობით მზადდება, ხოლო საანგარიშგებო პერიოდში 12 თვე იგულისხმება. ორმხრივობის პრინციპიდან გამომდინარე, ბალანსს ორი მხარე აქვს. ერთ მხარეს აისახება აქტივები, მეორე მხარეს- ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი. აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის თითოეულ დასახელებას ბალანსის მუხლი, ხოლო ბალანსის თითოეული მხარის ჯამს ბალანსის ვალუტა ეწოდება.

საბალანსო მუხლების შეფასების სქემა

<p>აქტივები</p> <ul style="list-style-type: none"> • თვითღირებულებით • ამორტიზებული ღირებულებით • საბაზრო მიმდინარე ღირებულებით • ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით 	<p>ვალდებულებები</p> <ul style="list-style-type: none"> • რეალური (საკომპენსაციო) ღირებ. • ამორტიზებული ღირებულებით • დისკონტირებული ღირებულებით 	<p>საკუთარი კაპიტალი</p> <ul style="list-style-type: none"> • აქტივები-ვალდებულებები
--	--	--

ფორმატის მიხედვით, ბალანსი შეიძლება მომზადდეს ჰორიზონტალურად (ორმხრივად) და ვერტიკალურად (ცალმხრივად).

ჰორიზონტალურ ფორმატში ბალანსის მარცხენა მხარეს მოცემულია აქტივები, მარჯვენა მხარეს-ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

ვერტიკალური ფორმატის ბალანსში ჯერ ჩამოითვლება აქტივები, შემდეგ კი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

ბალანსის მუხლები ლაგდება ლიკვიდურობის მიხედვით. ლიკვიდურობა ნიშნავს ფულად გადაქცევის სისწრაფეს, ანუ უნარს. ბასს-ით ბალანსში მუხლები შეიძლება განთავსდეს ლიკვიდურობის ზრდადობის ან კლებადობის პრინციპით.

შ.პ.ს. „მგრ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ჰორიზონტალური ფორმატი, ლიკვიდურობის კლებადობის მიხედვით)

აქტივები	ლარი	ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	ლარი
გრძელვადიანი აქტივები		გრძელვადიანი ვალდებულებები	
ჩამონათვალი	X	ჩამონათვალი	X
სულ გრძელვადიანი აქტივები	X	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	X
მიმდინარე აქტივები		მიმდინარე ვალდებულებები	
ჩამონათვალი	X	ჩამონათვალი	X
სულ მიმდინარე აქტივები		სულ მიმდინარე ვალდებულებები	X
		სულ ვალდებულებები	X
		საკუთარი კაპიტალი	
		ჩამონათვალი	X
		სულ საკუთარი კაპიტალი	X
სულ აქტივები	X	სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	X

შ.პ.ს. „მ&რ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ვერტიკალური ფორმატი, ლიკვიდურობის კლესადობის მიხედვით)

აქტივები	ლარი
გრძელვადიანი აქტივები	
ჩამონათვალი	X
სულ გრძელვადიანი აქტივები	X
მიმდინარე აქტივები	
ჩამონათვალი	X
სულ მიმდინარე აქტივები	X
სულ აქტივები	X
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	
გრძელვადიანი ვალდებულებები	
ჩამონათვალი	X
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	X
მიმდინარე ვალდებულებები	
ჩამონათვალი	X
სულ მიმდინარე ვალდებულებები	X
სულ ვალდებულებები	X
საკუთარი კაპიტალი	
ჩამონათვალი	X
სულ საკუთარი კაპიტალი	X
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	X

განხილული მაგალითის მიხედვით ბუღალტრულ ბალანსს აქვს შემდეგი სახე:

შ. პ. ს. ანაზნია
ბუღალტრული ბალანსი
2014 წლის 31/XII მდგომარეობით

	ლარი	ლარი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
სატრანსპორტო საშუალებები	10000	
სატრ. საშუალებების ცვეთა	(2000)	
სულ გრძელვადიანი აქტივები		8000
მიმდინარე აქტივები		
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	200	
ეროვნული ვალუტა რეზ. ბანკში	37300	
მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	3000	
მოთხოვნა პარტნიორებზე გაცემულ სესხებზე	20000	
მისაღები პროცენტები	200	
საქონელი	3000	
ნედლეული და მასალა	1400	
წინასწარ გაწეული ხარჯები (იჯარა, დაზღვევა)	400	
სულ მიმდინარე აქტივები		65500
სულ აქტივები		73500
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
გრძელვადიანი ვალდებულებები	—	
მიმდინარე ვალდებულებები		
ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით	7000	
მიღებული ავანსი	4500	
გადასახდელი ხელფასი	1600	
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	400	
გასანადღებელი თამასუქი	10000	
მოკლევადიანი სესხი	20000	
გადასახდელი პროცენტები	250	
გადასახდელი მოგების გადასახადი	1613	
სულ მიმდინარე ვალდებულებები		45363
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	20000	
გაუნაწილებელი მოგება	3137	
სარეზერვო კაპიტალი	5000	
სულ საკუთარი კაპიტალი		28137
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		73500

ფულადი ნაკადების ანგარიშგება. გადაწყვეტილების მისაღებად მომხმარებლებს სჭირდება საწარმოს ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების დროულობისა და საიმედოობის შეფასება, რაც განისაზღვრება ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე. ეს ინფორმაცია კი აისახება საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ, რომელიც მზადდება ბასს 7-ის მოთხოვნათა შესაბამისად და არის სრული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების ნაკადი ნიშნავს ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შემოსავალსა და გასავალს.

ფულად სახსრებში იგულისხმება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე.

ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალილიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებრივ გადაიცვლებიან ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა (აქციები, ობლიგაციები და სხვა). ფულადი სახსრების ნაკადი შეიძლება წარმოიშვას **საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის შედეგად.**

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებია: ფულადი სახსრების მიღება საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან, მომწოდებლებისათვის გადახდილი თანხები, როიალტების, ჰონორარების, საკომისიო გადასახდელების სახით მიღებული ფულადი სახსრები, თანამშრომლებისათვის გადახდილი ფულადი სახსრები, მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა, გადახდილი პროცენტები და დივიდენდები.

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებია: ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი და მათი რეალიზაციის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, კაპიტალიზებული დანახარჯები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებსა და საკუთარი წარმოების ძირითად საშუალებებზე, აქციების შესაძენად გადახდილი, ავანსად და სესხების სახით სხვა პირებზე გაცემიდან მიღებული ფული, მიღებული პროცენტები და დივიდენდები.

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებია: აქციების, ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები, აქციების გამოსასყიდად გადახდილი ფულადი სახსრები, თამასუქის, სესხის დასაფარავად გადახდილი ფულადი სახსრები, ფინანსური იჯარის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.

საოპერაციო, ანუ ძირითადი საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების განსაზღვრის ორი მეთოდი არსებობს: პირდაპირი და არაპირდაპირი. ბასს 7ის თანახმად, საწარმოებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება **შეადგინონ პირდაპირი მეთოდით**, რომელშიც ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები ძირითადი კატეგორიების მიხედვით. ამ მეთოდზე დაყრდნობით, ფულადი სახსრების მოძრაობის გამოთვლა შესაძლებელია **ბალანსის და მ/ზ ანგარიშგების მონაცემებით და მაკონტროლებელი ანგარიშების შექმნით გაყიდვების, შესყიდვების და გადასახდელი ხელფასების მუხლებისათვის.** გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მოთხოვნებსა და ვალდებულებებში მომხდარი ცვლილებები, არაფულადი მუხლები და სხვა მუხლები, რომლებიც გვიჩვენებს საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს.

მაგალითი

დებიტორული დავალიანების ანგარიშის საწყისი ნაშთი 34000 ლარია, ნაშთი წლის ბოლოს 66000 ლარი, შემოსავალი რეალიზაციიდან წლის განმავლობაში 95000 ლარი.

ვინაიდან დებიტორული დავალიანება, ანუ მოთოვნა მიწოდებით და მომსახურებით წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციის შედეგად შემდგომი გადახდის პირობით. ამ დავალიანების დაფარვა საწარმოსათვის დაკავშირებულია წლის განმავლობაში ფულადი ნაკადების შემოდინებასთან, აქედან გამომდინარე,

კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები = დებიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი + გაყიდვები - დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი = 34000 + 95000 - 66000 = 63000 ლარი

კრედიტორული დავალიანების ანგარიშის საწყისი ნაშთი 36000 ლარია, მარაგის შესყიდვა წლის განმავლობაში 26000 ლარი, ნაშთი წლის ბოლოს 24000 ლარი.

ვინაიდან კრედიტორული დავალიანება, ანუ ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით წარმოიქმნება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესყიდვს შედეგად შემდგომი გადახდის პირობით, ანუ კრედიტით. ამ დავალიანების დაფარვა საწარმოსათვის წლის განმავლობაში დაკავშირებულია ფულადი ნაკადის გასვლასთან, აქედან გამომდინარე,

მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები = კრედიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი + შესყიდვები - კრედიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი = 36000 + 26000 - 24000 = 38000 ლარი

გადასახდელი მოგების გადასახადის ანგარიშის საწყისი ნაშთი 4000 ლარია, საბოლოო ნაშთი 2000 ლარი, დარიცხული მოგების გადასახადი 2000 ლარი.

ბიუჯეტის სასარგებლოდ საწარმო იხდის მოგების გადასახადს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ არის დარიცხული მოგების გადასახადის ტოლი, მაგრამ ყველა შემთხვევაში დაკავშირებულია საწარმოდან ფულადი ნაკადების გასვლასთან.

გადახდილი მოგების გადასახადი = მოგების გადასახადის საწყისი ნაშთი + დარიცხული მოგების გადასახადი - მოგების გადასახადის საბოლოო ნაშთი = 4000 + 2000 - 200 = 4000 ლარი

ძირითადი საშუალებების საშუალო წლიური ღირებულება წლის ბოლოს 278000 ლარია, წლის დასაწყისში 110000 ლარი, ძირითადი საშუალებების გადაფასების თანხა 6000 ლარი.

ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა წლის ბოლოს დაკავშირებულია მათ შემენასთან. როგორც ვიცით, ეს პროცესი არის ფულადი ნაკადების გასვლა დაკავშირებული საინვესტიციო საქმიანობასთან. აქედან გამომდინარე,

ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფული = ძირითადი საშუალებები წლის ბოლოს - ძირითადი საშუალებები წლის დასაწყისში - ძირითადი საშუალებების გადაფასების თანხა = 278000 - 110000 - 6000 = 162000 ლარი

ჩვეულებრივი აქციები წლის ბოლოს 60000 ლარია, წლის დასაწყისში 32000 ლარი, საემისიო კაპიტალი წლის ბოლოს 89000 ლარი, წლის დასაწყისში 16000 ლარი.

აქციების გამოშვებით და გაყიდვით (ემისია) საწარმოში ხდება ფულადი ნაკადის შემოდინება საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, აქციების ემისიით მიღებული ფული = $(60000 - 32000) + (89000 - 16000) = 101000$ ლარი.

კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები 63000 ლარი, მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები 38000 ლარი, თანამშრომელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები 22000 ლარი, გადახდილი მოგების გადასახადი 4000 ლარი, გადახდილი %-ები 16000 ლარი, გადახდილი დივიდენდები 10000 ლარი, ძირითადი საშუალებების შეძენა 162000 ლარი, აქციების გამოშვება 101000 ლარი, გრძელვადიანი სესხი 80000 ლარი, აქციების გამოსყიდვა 40000 ლარი.

პირდაპირი მეთოდით შედგენილი ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ შემდეგი სახის იქნება:

I. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
1. კლიენტებისაგან მიღებული ფული	63000	
2. მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(38000)	
3. თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(22000)	
4. გადახდილი მოგების გადასახადი	(4000)	
5. გადახდილი პროცენტები	(16000)	
6. გადახდილი დივიდენდები	(10000)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(27000)
II. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
1. ძირითადი საშუალებების შეძენა	(162000)	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(162000)
III. ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
1. აქციების გამოშვება	101000	
2. გრძელვადიანი სესხი	80000	
3. აქციების გამოსყიდვა	(40000)	
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		141000
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება) (I+II+III)		(48000)

პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით მომზადებული **Cashflow** ერთმანეთისაგან მხოლოდ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების გაანგარიშების ნაწილით განსხვავდება.

არაპირდაპირი მეთოდის არსი იმაშია, რომ წმინდა ფულადი ნაკადების გაანგარიშება ხდება არაპირდაპირ, ანუ მოგებიდან, როდესაც ხდება მოგების ფულად საშუალებებად კონვერტაცია. აღნიშნულისათვის კი საჭიროა სათანადო გაანგარიშებების გაკეთება.

არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრების გაანგარიშება შესაძლებელია შემდეგი სქემით:

წმინდა მოგება + დარიცხული მოგების გადასახადი = მოგება დაბეგვრამდე	კორექტირება დარიცხვებით
+ ცვეთა + დარიცხული პროცენტები + გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ზარალი - გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება - საინვესტიციო შემოსავალი = მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	კორექტირება არაფულადი მუხლებით
{ + დებიტორული დავალიანების შემცირება { - დებიტორული დავალიანების ზრდა { + მარაგების შემცირება { - მარაგების ზრდა { + კრედიტორული დავალიანების ზრდა { - კრედიტორული დავალიანების შემცირება = ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	კორექტირება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებით
- გადახდილი მოგების გადასახადი - გადახდილი პროცენტები - გადახდილი დივიდენდები = წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	კორექტირება ფაქტიური გადახდებით

ეს სქემა ყველა მუხლის გამოყენებით ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ ფირმას მაჩვენებლების მიხედვით აქვს ნაშთი წლის დასაწყისში და წლის ბოლოსათვის.

განხილული მაგალითის საფუძველზე შევადგინოთ ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ არაპირდაპირი მეთოდით.

ვინაიდან ფირმის საქმიანობა დაიწყო 2014 წლის 1/XII ფულადი სახსრების წმინდა ზრდა (შემცირება) ამავე წლის 31/XII მდგომარეობით გაუტოლდება ბალანსში ასახულ თანხას, ევრბ 37300 ლარი და ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 200 ლარი, ჯამში 37500 ლარს.

შ. პ. ს. ანაზნია

**ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ
2014 წლის 31/XII მდგომარეობით**

I. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ლარი	ლარი
წმინდა მოგება	9137	
დარიცხული მოგების გადასახადი	1613	
მოგება დაბეგვრამდე	10750	
დარიცხული ცვეთა	2000	
დარიცხული პროცენტები	250	
მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	13000	
დებიტორული დავალიანების ზრდა (3000+200)	(3200)	
მარაგის ზრდა (3000+1400+400)	(4800)	
კრედიტორული დავალიანების ზრდა (7000+4500+1600+400)	13500	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		18500
II. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
კაპიტალის ამოღება	(1000)	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1000)
III. ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		

აღებული სესხი	20000
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	20000
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	37500
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	↕ —
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	↕ 37500

განმარტებითი შენიშვნები. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს:

- ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლებისა და ფირმის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ;
- ფასს-ის მოთხოვნით გათვალისწინებული განმარტებითი ინფორმაცია, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგან არ არის ასახული;
- დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული, მაგრამ სავალდებულოა ფირმის ფინანსური ანგარიშგების რომელიმე ელემენტის გასაგებად;
 - სხვა ინფორმაციასთან ერთად განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს:
 - სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები;
 - ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში;
 - წინა საანგარიშგებო პერიოდის შეცდომები.

განმარტებითი შენიშვნები და კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

განხილული მაგალითის მიხედვით განმარტებით შენიშვნებს აქვს შემდეგი სახე:

შ. პ. ს. ანაზნია

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31/XII

<p>საქმიანობა-ბავშვის ტანსაცმლის რეალიზაცია</p> <p>ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების მომზადების საფუძვლები - ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)</p> <p>სააღრიცხვო პოლიტიკა-შეფასებები და აღრიცხვის პრინციპები</p> <p>ძირითადი საშუალებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კომპანიას გრძელვადიანი აქტივების სახით გააჩნია სატრანსპორტო საშუალებები; • სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ვადა განისაზღვრა 5 წლით, ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. <p>ფულადი საშუალებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფულადი სახსრები სალაროსა და საბანკო ანგარიშზე ლარში; • ფირმას არ გააჩნია ფულადი სახსრები, რომლის გამოყენებაც არ შეუძლია; • საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავალუტო ოპერაციები არ განხორციელებულა; • ფირმას არ გააჩნია საკომპენსაციო ნაშთი. <p>მოთხოვნები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კომპანია წლის ბოლოს არ ქმნის საექვო მოთხოვნის ანარიცხებს; • უიმედო მოთხოვნად აღიარების კრიტერიუმია 3 თვით გადახდის გადაცილება.
--

მარაგი:

- მარაგის სახით არსებობს სხვადასხვა ასორტიმენტის ტანსაცმელი;
- მარაგი აღირიცხება მუდმივი მეთოდით;
- მარაგი ფასდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

მიმდინარე წლის ფინანსური შედეგების განმარტებითი შენიშვნები:

შემოსავალი რეალიზაციიდან	44500
რეალიზებულისაქონლის თითღირებულება	29000
ცვეთის ხარჯი	2000
საოპერაციო (ადმინისტრაციული) ხარჯი	2700
საპროცენტო ზარჯი	250
მოგება რეალიზაციიდან (საერთო)	15500
მოგების გადასახადი	1613
მიმდინარე წლის წმინდა მოგება	9137
კაპიტალის ამოღება	1000
რეზერვების შექმნა	5000
დივიდენდების დარიცხვა მოხდება 2015 წლის ბოლოს	

თვითშეფასების კითხვარი

1. განმარტეთ ფინანსური ანგარიშგების ცნება;
2. განმარტეთ ფინანსური ანგარიშგების მიზანი;
3. განსაზღვრეთ ფინანსური ანგარიშგების შიდა მომხმარებლები;
4. განსაზღვრეთ ფინანსური ანგარიშგების გარე მომხმარებლები;
5. განსაზღვრეთ ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი;
6. განსაზღვრეთ ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები და ელემენტები;
7. განმარტეთ რას ნიშნავს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება;
8. განმარტეთ ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასების არსი;
9. განსაზღვრეთ რომელ ღირებულებას აღიარებს ბასს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას;
10. განსაზღვრეთ და განმარტეთ ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები;
11. განმარტეთ საცდელი ბალანსის არსი და დანიშნულება;
12. განმარტეთ სამუშაო ფურცელის არსი და მისი შედგენის წესი.
13. განმარტეთ ბუღალტრული ბალანსის ცნება;
14. განმარტეთ საბალანსო მუხლის და ბალანსის ვალუტის ცნება;
15. განსაზღვრეთ ბალანსის შედგენის ფორმატი;
16. განმარტეთ ლიკვიდურობის ცნება;
17. როგორ ხდება აქტივების შეფასება ბალანსში ასახვის მიზნით;
18. როგორ ხდება ვალდებულებების შეფასება ბალანსში ასახვის მიზნით;
19. როგორ ხდება შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება;
20. რა წესით შეიძლება შევადგინოთ მოგება/ზარალის ანგარიშგება;
21. განმარტეთ საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგების არსი;
22. განმარტეთ რას მოიცავს საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შემადგენლობა;
23. რას მოიცავს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების შემადგენლობა;
24. განმარტეთ საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების

- შემადგებლობა;
25. განმარტეთ ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების არსი;
26. განმარტეთ რა უნდა აისახოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

ამოცანები

1. 2014 წლის მარტში განხორციელდა შემდეგი სამეურნეო ოპერაციები:
- 1/III აღებულია ბანკის მოკლევადიანი სესხი 10000 ლარი. თანხა ჩაირიცხა საბანკო ანგარიშზე;
 - 3/III გამოტანილია ბანკიდან და მიღებულია სალაროში 7000 ლარი;
 - 5/III შეძენილია 1600 ლარის საქონელი საბანკო გადარიცხვით;
 - 7/III სალაროდან გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე 1500 ლარი;
 - 12/III ანგარიშვალდებული პირის მიერ წარმოდგენილია 1200 ლარის მივლინების ხრჯების ამსახველი დოკუმენტაცია;
 - 13/III ანგარიშვალდებული პირის მიერ დაბრუნებულია სალაროში დაუხარჯავი 300 ლარი;
 - 25/III დარიცხულია საწარმოს პერსონალის ხელფასი 5000 ლარი;
 - 28/III გაცემულია სალაროდან 5000 ლარი ხელფასი
- მოგეთხოვებათ:**
- ა) ოპერაციების რეგისტრაცია მთავარ ჟურნალში;
 - ბ) ინფორმაციის გადატანა მთავარ ბუღალტრულ წიგნში გახსნილ ანგარიშებზე;
 - გ) საცდელი ბალანსის მომზადება
2. 2014 წლის 1/III მდგომარეობით ფირმის ნაშთები ანგარიშების მიხედვით:
- | | |
|------------------------|-------|
| | ლარი |
| ნაღდი ფულსა სალაროში | 2000 |
| ფული საბანკო ანგარიშზე | 13600 |
| საქონელი | 8000 |
| შენობები | 16000 |
| საწესდებო კაპიტალი | 40000 |
| მოკლევადიანი სესხი | 5000 |
- მარტის თვის ოპერაციები:
- 1/III შეძენილია 25000 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით;
 - 4/III გაყიდულია ნაღდ ფულზე 8000 ლარის საქონელი;
 - 7/III გაყიდულია 32500 ლარის საქონელი შემდგომი გადახდის პირობით;
 - 10/III დაფარულია 25000 ლარის დებიტორული დავალიანება;
 - 17/III ჩამოწერილია გაყიდული საქონლის თვითღირებულება 22000 ლარი;
 - 25/III გადარიცხულია 10000 ლარი ბანკის სესხის დასაფარავად.
- ასახეთ ბუღალტრულად მომზადარი სამეურნეო ოპერაციები, მოამზადეთ საცდელი ბალანსი.

3. ფირმის საცდელი ბალანსი 2014 წლის 1/XII

კოდი	ანგარიშის დასახელება	დებეტ	კრედიტი
1210	ევრბ	32300	
5050	საწესდებო კაპიტალი		50000
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	12200	
1610	საქონელი	17000	
2160	ოფისის აღჭურვილობა	4000	
1430	მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ	800	
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან		33500
7210	გაყიდული/შემძენილი საქონელი	2000	
2130	შენობები	60000	
3110	ვალდებულება მოწოდებით და მომსახ.		51300
1410	მოთხოვნა მიწოდებით და მომსახურებით	21000	
1720	წინასწარ გადახდილი იჯარა	12000	
3210	მოკლევადიანი სესხი		25000
3120	მიღებული ავანსი		3000
7190	სხვა საოპერაციო ხარჯები	1500	
	ჯამი	162800	162800

დამატებითი ინფორმაცია:

1. შენობის ცვეთა 12000 ლარი;
2. ოფისის აღჭურვილობის ცვეთა 800 ლარი;
3. საქონლის ნაშთი 31/XII 5000 ლარი, შესყიდვები წლის განმავლობაში 17000 ლარი;
4. 1/XII წინასწარ გადახდილი ერთი წლის იჯარა 12000 ლარი;
5. 1/XII აღებულია ბანკის მოკლევადიანი სესხი 30000 ლარი წლიური 12%-იანი

განაკვეთით;

6. 8/XII დამკვეთისაგან ავანსის სახით ჩაირიცხა 3000 ლარი, ექვსი თვის განმავლობაში ყოველთვე 500 ლარის საქონლის მისაწოდებლად.

დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე ასახეთ ბუღალტრულად მაკორექტირებელი გატარებები და მოამზადეთ სამუშაო ფურცელი.

4. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს შემოსავალი რეალიზაციიდან 238000 ლარია, სხვა შემოსავლები 78000 ლარი, მასალის ხარჯი 85000 ლარი, ხელფასის ხარჯი 80000 ლარი, იჯარის ხარჯი 5000 ლარი, დაზღვევის ხარჯი 2500 ლარი, ცვეთის ხარჯი 13000 ლარი, სხვა საოპერაციო ხარჯები 1500 ლარი, საპროცენტო ხარჯი 4500 ლარი, დაუმთავრებელი წარმოების ნაშთის ზრდა 1500 ლარი, მზა პროდუქციის ნაშთის ზრდა 6000 ლარი, მოგების გადასახადის განაკვეთი 15%.

შეადგინეთ მოგება/ზარალის ანგარიშგება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

5. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს შემოსავალი რეალიზაციიდან 265000 ლარი, სხვა შემოსავლები 86000 ლარი, მზა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულება 129600 ლარი, კომერციული ხარჯები 23300 ლარი, ადმინისტრაციული ხარჯები 25600 ლარი, საპროცენტო ხარჯი 3200 ლარი, მზა პროდუქციის ნაშთის ზრდა 6000 ლარი, მოგების გადასახადის განაკვეთი 15%.

შეადგინეთ მოგება/ზარალის ანგარიშგება ფუნქციური ნიშნის მიხედვით.

6. შენობები 30000 ლარი, საწესდებო კაპიტალი 5000 ლარი, მიწა 5000 ლარი, ოფისის აღჭურვილობა 5000 ლარი, მარაგი 2100 ლარი, ვალდებულება მოწოდებით 750 ლარი, წინასწარ გადახდილი იჯარა 850 ლარი, მიღებული ავანსი 9000 ლარი, საგადასახადო ვალდებულებები 8500 ლარი, ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 900 ლარი, გრძელვადიანი სესხი 8000 ლარი, გადასახდელი ხელფასი 10600 ლარი, გაუნაწილებელი მოგება 2000 ლარი.

შეადგინეთ ბუღალტრული ბალანსი

7. შენობა 10000 ლარი, საწესდებო კაპიტალი 2000 ლარი, მზა პროდუქცია 27350 ლარი, გაუნაწილებელი მოგება 12300 ლარი, მასალები 35200 ლარი, ვალდებულება მოწოდებით და მომსახურებით 27908 ლარი, მოთხოვნა მიწოდებით 5300 ლარი, გრძელვადიანი სესხი 33700 ლარი, მოთხოვნა პერსონალის მიმართ 240 ლარი, გადასახდელი ხელფასი 5100 ლარი, გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი 1632 ლარი, ოფისის აღჭურვილობა 3700 ლარი, ავეჯი და ინვენტარი 2200 ლარი, გადასახდელი ქონების გადასახადი 150 ლარი, მიღებული ავანსი 1200 ლარი.

შეადგინეთ ბუღალტრული ბალანსი

8. ფირმის მოგება 1000 ლარია, დებიტორული დავალიანება გაიზარდა 300 ლარით, კრედიტორული დავალიანება გაიზარდა 500 ლარით, დარიცხული იჯარის ხარჯი 100 ლარია, გადახდილი 500 ლარი, დარიცხული ელექტროენერჯის ხარჯი 200 ლარია, გადახდილი 300 ლარი, გაიყიდა 1000 ლარად კომპიუტერი, შედეგად მიღებულია 300 ლარის ზარალი, ცვეთა შეადგენს 400 ლარს.

გაიანგარიშეთ საანგარიშგებო პერიოდში ფირმის მიერ მიღებული ფულადი სახსრები.

9. საანგარიშგებო პერიოდში ფირმის მარაგის ნაშთი შემცირდა 800 ლარით, დებიტორული დავალიანების ნაშთი გაიზარდა 300 ლარით, კრედიტორული დავალიანების ნაშთი გაიზარდა 500 ლარით, კომპიუტერი გაიყიდა 1000 ლარად, რის შედეგადაც მიღებულია 300 ლარის ზარალი, ცვეთა შეადგენს 400 ლარს.

განსაზღვრეთ:

- ა) არაფულადი ხარჯების გავლენა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრებზე;
- ბ) საბრუნავი კაპიტალის ცვლილების გავლენა საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრებზე

10. ფირმის საწყისი საბალანსო ნაშთებია: ჩვეულებრივი აქციები 1 ლარის ნომინალით-1000000 ლარი, საემისიო კაპიტალი 7200000 ლარი, გაუნაწილებელი მოგება 450000 ლარი. საანგარიშგებო პერიოდში ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს: გაიყიდა 3000000 ცალი აქცია თითოეული 5 ლარად, აფასდა შენობა 80000 ლარით, მიღებული მოგება 250000 ლარია, გაიცა 150000 ლარის დივიდენდი.

წარადგინეთ საკუთარი კაპიტალის ცვლილების წლიური ანგარიშგება ქვემოთ მოტანილი ცხრილის შესაბამისად

მაჩვენებლები	ჩვეულებრივი აქციები	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
საწყისი ნაშთი					
აფასება					
მოგება					
აქციების ემისია					
დივიდენდები					
საბოლოო ნაშთი					

11. საწარმოს მიმდინარე წლის მონაცემები:

დებიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი 990000 ლარი, საბოლოო ნაშთი 105000 ლარი
საექვო მოთხოვნების ანარიცხების საწ. ნაშთი 3960 ლარი, საბოლოო ნაშთი 7350 ლარი

საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ოპერაციები:

ჩამოწერილია უიმედო დებიტორული დავალიანება 13500 ლარი
მარაგის საბოლოო ნაშთი შეფასებული ფიფო მეთოდით 42100 ლარი
მარაგის საბოლოო ნაშთი ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით 35000 ლარი

მოამზადეთ განმარტებითი შენიშვნები

12. ფირმის მონაცემები 2014 წლის 1/ XII ანგარიშების მიხედვით:

	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	5000
საწესდებო კაპიტალი	10000
ვალდებულება მოწოდებით და მომს.	3500
საოფისე აღჭურვილობა	8500

დეკემბრის თვის სამეურნეო ოპერაციები:

1/XII ფირმამ დაიქირავა საოფისე შენობა და წინასწარ გადაიხადა ორი თვის საიჯარო ქირა 3000 ლარი;

3/XII ნაღდი ფულზე შეძენილია 150 ლარის საკანცელარიო ნივთები;

5/XII ნაღდი ფულზე შეძენილია ერთწლიანი სადაზღვევო პოლისი 1200 ლარად;

7/XII გაწეულ მომსახურებაში მიღებულია 3200 ლარი ნაღდი ფულით;

9/XII გაიყიდა 3500 ლარის ოფისის აღჭურვილობა კრედიტით;

11/XII გაწეულია 2900 ლარის მომსახურება, ნაღდი ფულით მიღებულია 1900 ლარი, დანარჩენის გადახდა გადავადდა;

13/XII დაფარულია კრედიტორული დავალიანება 2500 ლარი;

15/XII დაფარულია 2700 ლარის დებიტორული დავალიანება;

17/XII გადახდილია 180 ლარი ნაღდი ფული კომუნალური მომსახურების ხარჯების დასაფარავად;

19/XII დარიცხულია პერსონალის ხელფასი 1000 ლარი;

31/XII ავანსად მიღებულია 1500 ლარი.

ასახეთ სამეურნეო ოპერაციები ბუღალტრული გატარებებით; შეადგინეთ სამუშაო ფურცელი; მოგება/ზარალი ანგარიშგება; ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ და ბუღალტრული ბალანსი

მოდული IV „ინვენტარიზაცია“

4.1 ინვენტარიზაცია, მისი არსი, სახეები და ჩატარების წესი

ინვენტარიზაციის არსი და სახეები. როგორც უკვე აღინიშნა, ბუღალტრული დოკუმენტები აბსოლიტური სიზუსტით უნდა ასახავდნენ აქტივებისა და კაპიტალის მდგომარეობას, საწარმოს სამეწარმეო-ეკონომიკური საქმიანობასა და მის შედეგებს. აქედან გამომდინარე, პერიოდულად საჭირო ხდება მატერიალური, არამატერიალური და ფულადი რესურსების ფაქტიური მდგომარეობის დადგენა და დოკუმენტებში არსებულ ჩანაწერებთან შედარება.

ეკონომიკური რესურსების ფაქტიური მდგომარეობის დადგენას და სააღრიცხვო ჩანაწერებში არსებულთან შედარებას **ინვენტარიზაცია ეწოდება**. ინვენტარიზაციის შედეგად ვლინდება ეკონომიკური რესურსების დატაცების, მარაგების გაფუჭების, ფულადი საშუალებების მითვისების და საანგარიშსწორებო დისციპლინის დარღვევის ფაქტები.

ინვენტარიზაცია ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთების ფაქტობრივი მდგომარეობა.

ინვენტარიზაციის პროცესის დაჯგუფება შეიძლება მოხდეს შემდეგი ნიშნებით:

- მოცულობის;
- ჩატარების დროის;
- ხასიათის მიხედვით.

მოცულობის მიხედვით ინვენტარიზაცია შეიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი.

სრული ინვენტარიზაცია ეხება საწარმოს მთელ ქონებას, ტარდება წელიწადში ერთხელ, დეკემბრის პირველ დეკადაში, წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადების წინ.

ნაწილობრივი ინვენტარიზაცია ეხება საწარმოს ქონების ნაწილს ან მის რომელიმე ერთ-ერთ ქვეჯგუფს, ამიტომ ტარდება საჭიროებისამებრ.

ჩატარების დროის მიხედვით არის პერიოდული, უეცარი და სასწრაფო ინვენტარიზაცია.

პერიოდული ინვენტარიზაცია ტარდება დროის გარკვეული მონაკვეთის პერიოდულობით. **მაგალითად**, სალაროში ყოველთვე.

უეცარი ინვენტარიზაცია ტარდება, რათა შემოწმდეს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების კეთილსინდისიერება. **მაგალითად**: ნედლეულისა და მასალის საწყობის, სალაროს ინვენტარიზაცია.


სასწრაფო ინვენტარიზაცია ტარდება განსაკუთრებულ შემთხვევაში. **მაგალითად**, მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შეცვლისას.

ხასიათის მიხედვით ინვენტარიზაცია შეიძლება იყოს გეგმიური ანუ პროგნოზირებული და შემთხვევითი ანუ მოულოდნელი.

გეგმიური ინვენტარიზაცია ტარდება წინასწარ განსაზღვრულ ვადებში.

მოულოდნელი ინვენტარიზაცია ტარდება სტიქიური უბედურებების და სხვა არაორდინალური მოვლენების შემდეგ.

ინვენტარიზაციის ჩატარების სქემა



ფორმებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი. ინვენტარიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანების შესაბამისად „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ.

ინვენტარიზაციის მიზანი. ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის მიზანს წარმოადგენს:

- ა) ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი;
- ბ) აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა;
- გ) გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა;
- დ) ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმება;
- ე) არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება;
- ვ) ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება;
- ზ) აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების პერიოდულობა. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა:

ა) ყოველწლიურად, საანგარიშგებო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და იმ აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომელთა ინვენტარიზაციაც ჩატარდა საანგარიშგებო წლის 1 ოქტომბრის შემდეგ;

ბ) უძრავი ქონების ინვენტარიზაცია – სამ წელიწადში ერთხელ მაინც;

გ) აქტივების იჯარით გადაცემისა და გამოსყიდვის დროს;

დ) ძირითადი აქტივების, რომლებიც ინვენტარიზაციის მომენტში შესაძლებელია იმყოფებოდნენ ორგანიზაციის გარეთ, ორგანიზაციიდან მათ გასვლამდე;

ე) ორგანიზაციის ლიკვიდაციის დროს – სალიკვიდაციო ბალანსის შედგენის წინ;

ვ) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლის დროს;

ზ) ორგანიზაციის მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შეცვლისას, მხოლოდ მათ პასუხისმგებლობაში არსებული აქტივებისათვის;

თ) აქტივების დატაცების, ბოროტად გამოყენების, შენახვის წესების დარღვევის შედეგად, დაზიანების ფაქტის დადგენისთანავე;

ი) ხანძრის ან სტიქიური უბედურების შემდგომ;

კ) აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების დროს;

ლ) კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

თუ აქტივებზე დადგენილია ჯგუფური პასუხისმგებლობა, ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ჯგუფის ხელმძღვანელის ან ჯგუფის ერთ-ერთი წევრის შეცვლის დროს.

სავალდებულო ინვენტარიზაციებს შორის პერიოდში, როგორც შერჩევითი, ისე აქტივებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, ტარდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი იმ მატერიალური მარაგების საინვენტარიზაციო აღწერა, რომლებიც ორგანიზაციაში შიდა აღრიცხვის წესების არარსებობის გამო საცნობარო მუხლებში არ არის აღრიცხული, ტარდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

ინვენტარიზაციის ჩატარების სარეკომენდაციო ვადები. ინვენტარიზაციის ჩატარება რეკომენდებულია შემდეგ ვადებში:

ა) ძირითადი აქტივების – საანგარიშგებო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;

ბ) სტრატეგიული მარაგების – საანგარიშგებო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;

გ) ნედლეულის და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;

დ) დაუმთავრებელი წარმოების/მომსახურების – საანგარიშგებო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;

ე) მზა პროდუქციის, შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონლის, სათადარიგო ნაწილების, სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;

ვ) ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;

ზ) საწვავის – ყოველთვიურად;

თ) სარეალიზაციო ობიექტებში არსებული საქონლის – წელიწადში ორჯერ მაინც;

ი) ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;

კ) ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

ინვენტარიზაციის ჩატარების საერთო წესები. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

საინვენტარიზაციო კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.

სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების დროს, საინვენტარიზაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან, მათ შორის, თავმჯდომარისაგან.

საინვენტარიზაციო კომისია უნდა შედგებოდეს ორგანიზაციის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პირებისგან, რომელთა შერჩევა ხდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება იყოს საინვენტარიზაციო კომისიის წევრი.

საინვენტარიზაციო კომისიის დასაკომპლექტებლად, საშტატო ერთეულების არასაკმარისი რიცხოვნობის შემთხვევაში, კომისიის შემადგენლობა მტკიცდება მათი მაქსიმალური რაოდენობიდან გამომდინარე, მაგრამ არანაკლებ სამი წევრისა.

თუ საინვენტარიზაციო კომისიის წევრს საპატიო მიზეზით არ შეუძლია ინვენტარიზაციის ჩატარებაში მონაწილეობის მიღება, ორგანიზაციის ხელმძღვანელს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე შეუძლია მისი შეცვლა.

საინვენტარიზაციო კომისიის წევრის შეცვლის დროს, ყოფილი წევრის ხელმოწერით დადასტურებული შუალედური საინვენტარიზაციო აღწერები რჩება ძალაში.

საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოწვეულ იქნეს კვალიფიციური სპეციალისტი (სერტიფიცირებული აუდიტორი/ექსპერტი).

ორგანიზაციის სავალდებულო ინვენტარიზაციებს შორის პერიოდში, რეკომენდებულ ვადებში, შერჩევითი ინვენტარიზაციის ჩატარება ხდება ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფების მიერ.

სამუშაო ჯგუფის შერჩევითი ინვენტარიზაციის ჩასატარებლად საინვენტარიზაციო ობიექტი, ჯგუფის წევრთა რაოდენობა, შემადგენლობა და ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები განისაზღვრება ხელმძღვანელის ბრძანებით.

საინვენტარიზაციო კომისია:

ა) ახორციელებს არაფინანსური და ფინანსური აქტივების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების აღწერას, ადგილმდებარეობისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით;

ბ) ინვენტარიზაციის შედეგად დადგენილ ფაქტობრივ ნაშთებს ადარებს სააღრიცხვო მონაცემებთან;

გ) ორგანიზაციის საბუღალტრო და უფლებამოსილ სამსახურთან ერთად განსაზღვრავს ინვენტარიზაციის შედეგებს;

დ) ინვენტარიზაციის შედეგების შესაბამისად შეიმუშავებს წინადადებებს აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზური აღრიცხვისა და კონტროლის გასაუმჯობესებლად;

ე) შეიმუშავებს წინადადებებს არაფინანსური აქტივების და ფინანსური აქტივების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის გასაუმჯობესებლად;

ვ) ინვენტარიზაციის პერიოდში გამოვლენილი დანაკლისის/ზედმეტობის შესახებ, წერილობითი ფორმით წარუდგენს ინფორმაციას ხელმძღვანელობას, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან შედარების დასრულებისთანავე;

ზ) ხელს აწერს ინვენტარიზაციის აქტს. იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიის წევრი არ ეთანხმება ინვენტარიზაციის შედეგებს და უარს აცხადებს ინვენტარიზაციის აქტის ხელმოწერაზე, წერილობით (მიზეზების მითითებით) მიმართავს ორგანიზაციის ხელმძღვანელს და ეს მოხსენებითი ბარათი თან დაერთვის ინვენტარიზაციის აქტს.

ინვენტარიზაციის ჩატარება საინვენტარიზაციო კომისიის წევრთა არასრული შემადგენლობით დაუშვებელია. საინვენტარიზაციო კომისიის არასრული შემადგენლობით ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები ითვლება ბათილად.

ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის საბუღალტრო და უფლებამოსილი სამსახური ვალდებულია დაასრულოს შემოსავალ-გასავლის ყველა დოკუმენტის დამუშავება, შესაბამისი ჩანაწერები შეიტანოს ანალიზური აღრიცხვის ბარათებში (წიგნებში), გამოიყვანოს ნაშთები ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის და მიაწოდოს საინვენტარიზაციო კომისიას.

ინვენტარიზაციის დაწყების წინ საინვენტარიზაციო კომისიის წევრებს გადაეცემათ ბრძანება, სადაც მიეთითება ინვენტარიზაციის დაწყებისა და დასრულების ვადები, ხოლო კომისიის თავმჯდომარეს – საკონტროლო ლუქი, რომელიც ინვენტარიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა იმყოფებოდეს საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარესთან.

საინვენტარიზაციო კომისიის პასუხისმგებლობა. საინვენტარიზაციო კომისია პასუხისმგებელია:

ა) საინვენტარიზაციო აღწერებში არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე, ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების შესახებ ჩანაწერების შეტანის სისრულესა და სიზუსტეზე;

ბ) საინვენტარიზაციო აღწერებში აქტივების განმასხვავებელი ნიშნების (ტიპი, ხარისხი, ზომა, რიგითი ნომერი და ა.შ.) სწორად შეტანაზე.

საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარე განსაზღვრავს კომისიის წევრების ფუნქციებს და პასუხისმგებელია ინვენტარიზაციის ბრძანებით დადგენილ ვადებში ჩატარებასა და წესების დაცვაზე.

საინვენტარიზაციო კომისიის წევრებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მათზე დაკისრებული ფუნქციების შეუსრულებლობაზე, ასევე, საინვენტარიზაციო აღწერებში არასწორი მონაცემების შეტანაზე, ორგანიზაციის კუთვნილი მატერიალური ფასეულობების დანაკლისის ან ზედმეტობის დაფარვაზე.

საინვენტარიზაციო კომისიის ვალდებულება. საინვენტარიზაციო კომისია ინვენტარიზაციის დაწყებამდე ვალდებულია:

ა) დალუქოს აქტივების შენახვის ადგილები, გასინჯოს ყველა საზომი ხელსაწყო ვარგისიანობა;

ბ) მიიღოს შემოსავალ-გასავლის საბუთების ბოლო რეესტრი ან ანგარიშები აქტივების მოძრაობის შესახებ;

გ) მიიღოს საინვენტარიზაციო აღწერილობებთან დაკავშირებით მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები იმის შესახებ, რომ ინვენტარიზაციის დაწყებამდე

ყველა შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტი ჩაბარებულია ბუღალტერიაში, ყველა მიღებული აქტივი ასახულია შემოსავალში, ხოლო გაცემული – გასავალში;

დ) ანალოგიური ხელმოწერები მიიღოს იმ პირებისგან, რომლებზედაც გაცემულია თანხები საქვეანგარიშოდ;

ე) აღწერით (დათვლის, აწონვის, აზომვის და სხვა ტექნიკური გაანგარიშებების გზით) განახორციელოს ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების აუცილებელი მონაწილეობით.

ფაქტობრივი ნაშთების შემოწმების პროცედურები. აღწერილი აქტივები საინვენტარიზაციო აღწერაში შეიტანება იმ საზომ ერთეულებში, რომლებშიც წარმოებს მათი აღრიცხვა.

იმ აქტივების რაოდენობა და მდგომარეობა, რომლებიც იმყოფება მიმწოდებლის მიერ შეფუთულ მდგომარეობაში დაუზიანებლად, შეიძლება განისაზღვროს არსებული დოკუმენტების საფუძველზე, მათი შერჩევითი შემოწმებით.

დასაყრელი მასალის წონის განსაზღვრა დასაშვებია აზომვისა და ტექნიკური გაანგარიშებების საშუალებით.

დიდი რაოდენობით ასაწონი მარაგების ინვენტარიზაციისას აწონვის მონაცემები შეიძლება შეტანილ იქნეს ცალკე უწყისებში, რომლებიც დღის ბოლოს ან სამუშაოს დასრულებისას დაჯამდება და გამოყვანილი ჯამი გადაიტანება საინვენტარიზაციო აღწერაში.

აზომვების და გაანგარიშების აქტი და აწონვის უწყისები თან უნდა დაერთოს საინვენტარიზაციო აღწერას.

საინვენტარიზაციო აღწერები ხელმოწერილ უნდა იქნეს კომისიის ყველა წევრისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ.

აღწერის ბოლოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირი იძლევა ხელწერილს მასზე, რომ კომისიამ აქტივები შეამოწმა მისი თანდასწრებით, კომისიის წევრებთან არა აქვს პრეტენზია და აღწერილ აქტივებს იღებს პასუხისმგებლობის ქვეშ შესანახად, ხოლო თუ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს კომისიის წევრებთან და აღწერის შედეგებთან გააჩნია პრეტენზია, ამის შესახებ უნდა მიეთითოს ინვენტარიზაციის შედეგების აქტში.

საინვენტარიზაციო კომისია ამოწმებს საინვენტარიზაციო პერიოდში მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შეცვლის დროს აქტივების მიღება-ჩაბარებაზე გაფორმებული დოკუმენტაციის სისწორესა და სისრულეს.

ორგანიზაციის ბუღალტრული ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხულ მატერიალურ ფასეულობებზე საინვენტარიზაციო კომისია ადგენს ცალკე საინვენტარიზაციო აღწერას.

შერჩევითი ინვენტარიზაციის დროს ფულადი დოკუმენტებისა და ფულადი სახსრების ინვენტარიზაცია, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს მოულოდნელად, ხოლო სხვა ფინანსური და არაფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ასევე, ბალანსის საცნობარო მუხლებისა – ინვენტარიზაციის პერიოდის თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.

თუ საინვენტარიზაციო აღწერა ერთი დღის განმავლობაში არ დასრულდა, ის უნდა დამთავრდეს მომდევნო დღეებში. ამ შემთხვევაში აქტივების შენახვის ადგილი უნდა დაილუქოს.

საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობის პერიოდში შესვენებისას საინვენტარიზაციო აღწერები უნდა ინახებოდეს დაკეტილ სათავსში, სადაც ტარდება ინვენტარიზაცია.

საინვენტარიზაციო აღწერები შეიძლება შეივსოს როგორც მექანიკური, ასევე კომპიუტერული საშუალებებით. მექანიკური საშუალებებით შედგენისას აღწერები უნდა შეივსოს ბურთულიანი კალმით, სუფთად და გარკვევით.

საინვენტარიზაციო აღწერაში ჩანაწერების ამოშლა და გადასწორება დაუშვებელია. შეცდომის დაშვებისას, აღწერილობის ყველა ეგზემპლარზე უნდა გადაიხაზოს არასწორი ჩანაწერები და იქვე გაკეთდეს სწორი ჩანაწერი. შესწორებაზე ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მატერიალურად პასუხისმგებელი პირი.

საინვენტარიზაციო აღწერის თითოეულ გვერდზე წარწერით მიეთითება მატერიალური მარაგების დასახელება, ანალიზური აღრიცხვის კოდი და საერთო რაოდენობის ჯამი ნატურალურ გამოსახულებაში, მიუხედავად იმისა, რომელ საზომ ერთეულშია ნაჩვენები ეს მარაგები (ცალობით, კილოგრამებში, მეტრებში და ა.შ.).

საინვენტარიზაციო აღწერილობაში შეუვსებელი გრაფების დატოვება დაუშვებელია. ასეთი გრაფები უნდა გადაიხაზოს Z ნიშნით.

საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობა ფორმდება ინვენტარიზაციის შედეგების აქტით, რომელსაც ხელს აწერს საინვენტარიზაციო კომისიის ყველა წევრი.

საინვენტარიზაციო კომისიამ ინვენტარიზაციის შედეგების აქტში უნდა ჩამოაყალიბოს თავისი შეხედულებები ინვენტარიზაციის შედეგებზე, შეიტანოს წინადადებები გამოვლენილ ნაკლოვანებებზე, ერთგვაროვანი აქტივების დანაკლისსა და ზედმეტობის ურთიერთთავსობაზე, ასევე ნორმის ფარგლებში დანაკლისების ჩამოწრაზე.

ერთგვაროვანი აქტივებია იდენტური, ასევე არაიდენტური, მაგრამ მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მაჩვენებლების (მახასიათებლების) ან/და ფუნქციების მქონე, ურთიერთშენაცვლებადი აქტივები.

გამოუყენებელ და არასრულფასოვან აქტივებზე კეთდება ცალკე აღწერები და ასეთი აქტივები შენახვის ადგილებზე თავსდება განცალკევებულად.

უვარგისად ქცეულ აქტივებზე შედგება ასევე ცალკე აღწერა, ხოლო ინვენტარიზაციის შედეგების აქტში მიეთითება უვარგისად ქცევის მიზეზი და პირი, რომლის ბრალეულობითაც იქცა აქტივი უვარგისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმ შემთხვევაში, თუ მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ საინვენტარიზაციო აღწერილობებში აღმოაჩენს შეცდომებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით განუცხადოს საინვენტარიზაციო კომისიას, რომელიც ვალდებულია შეამოწმოს განცხადებაში მოყვანილი ფაქტები და, დადასტურების შემთხვევაში, აღწერილობაში შეიტანოს შესწორება.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია შექმნას ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის სათანადო პირობები, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ინვენტარიზაციის დადგენილ ვადებში და სწორად ჩატარების უზრუნველყოფისათვის.

ინვენტარიზაციასთან ერთად, ორგანიზაციის ბუღალტერიამ უნდა შეამოწმოს აქტივებისა და ვალდებულებების შესაბამისი პირველადი დოკუმენტების ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის სისწორე.

ინვენტარიზაციის დასრულების შემდეგ ყველა მასალა გადაეცემა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას.

ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია. საინვენტარიზაციო კომისია ინვენტარიზაციის დაწყებამდე ამოწმებს საინვენტარო ბარათების არსებობას, ტექნიკური პასპორტების ან/და სხვა ტექნიკური დოკუმენტაციის არსებობას/მდგომარეობას.

ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციას კომისია ახორციელებს აქტივების ფიზიკურად დათვალიერების გზით და საინვენტარიზაციო აღწერილობებში შეაქვს სრული დასახელებით, დანიშნულებით, საინვენტარო ნომრითა და ძირითადი ტექნიკური ან საექსპლუატაციო მაჩვენებლებით.

ისეთი აქტივები, რომლებიც აღრიცხვაში არ არის ასახული ან სააღრიცხვო რეგისტრებში შეტანილია არასწორად, საინვენტარიზაციო კომისიამ საინვენტარიზაციო აღწერილობაში უნდა ასახოს ან შეიტანოს სწორად.

აღურიცხავი აქტივების გამოვლენის შემთხვევაში საინვენტარიზაციო კომისია ადგენს როდის ან ვისგან იქნა მიღებული აღურიცხავი ობიექტი, ამ ობიექტზე გაწეული დანახარჯები რა პერიოდში და როგორ არის ასახული ორგანიზაციის აღრიცხვა-ანგარიშგებაში და მოკვლევის შედეგებზე ინფორმაციას ასახავს ინვენტარიზაციის შედეგების აქტში.

იჯარით აღებულ და იჯარით გაცემულ (ან სარგებლობაში მიღების ან გადაცემის სხვა შემთხვევაში) ძირითად აქტივებთან დაკავშირებით, საინვენტარიზაციო კომისია ამოწმებს აქტივების შენახვისა და დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ დოკუმენტებს. აღნიშნული დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში აკეთებს შესაბამის მითითებას ინვენტარიზაციის შედეგების აქტში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი მიღება ან გაფორმება.

ინვენტარიზაციით გამოვლენილი აღურიცხავი ობიექტები უნდა შეფასდეს მათ მიღებაზე (შემენა, წარმოება და ა.შ.) გაწეული დანახარჯების ღირებულებით, ხოლო ცვეთა განისაზღვროს მიღების თარიღისა და ცვეთის დადგენილი ნორმების გათვალისწინებით. თუ არსებული დოკუმენტაციით შეუძლებელია აღურიცხავი ობიექტის ღირებულების განსაზღვრა, მისი განსაზღვრა ხდება საინვენტარიზაციო კომისიის მოთხოვნით, ორგანიზაციის მიერ მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტის საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

ობიექტის შეფასებაზე და ცვეთაზე ფორმდება შესაბამისი აქტები. აქტის შედგენის მომენტისათვის უნდა მოხდეს ძირითადი აქტივების შემოსავალში აღება, მათი ღირებულებისა და ცვეთის საბუღალტრო ანგარიშგებაზე ასახვის გზით.

თუ განხორციელდა ძირითადი აქტივების არსებითი გაუმჯობესება, რომლითაც შეცვლილია მისი დანიშნულება, აღწერაში შეიტანება იმ დასახელებით, რომელიც შესაბამისაა აქტივის ახალ დანიშნულებას.

თუ ძირითადი აქტივის არსებითი გაუმჯობესება და ღირებულების შემცირება არ არის ასახული აქტივების ღირებულებაში, შესაბამისი დოკუმენტებით უნდა განისაზღვროს აქტივის პირვანდელი ღირებულების გაზრდის ან შემცირების თანხა და აღწერაში უნდა აისახოს მომხდარი ცვლილება.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი საინვენტარიზაციო აღწერილობებში შეიტანება ინდივიდუალურად, საინვენტარო ნომრის, მწარმოებლის გამოშვების წლის, დანიშნულების, სიმძლავრის და საჭიროების შემთხვევაში, საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილებით, სხვა მონაცემების ჩვენებით.

ნარჩენი ღირებულების მქონე ხმარებისათვის უვარგისი აქტივები, რომლებიც არ ექვემდებარება აღდგენას, საერთო საინვენტარიზაციო აღწერილობებში არ შეიტანება. ამ

ობიექტებზე დგება ცალკე აღწერა, რომელშიც მიეთითება აქტივის შემენის წელი და ხმარებისათვის უვარგისად ქცევის მიზეზები (გაფუჭება, სრული ამორტიზება და ა.შ.). ასეთი ობიექტების ჩამოწერა წარმოებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სრულად ამორტიზირებული ძირითადი აქტივებისთვის, რომლებიც აღრიცხულია ორგანიზაციის საცნობარო მუხლების ანგარიშებზე, დგება ცალკე აღწერა.

ცალკე აღწერა დგება იჯარით (ან სარგებლობაში მიღების სხვა შემთხვევაში) აღებულ ძირითად აქტივებზე იჯარის ცალკეული გამცემის მიხედვით, დასახელებისა და იჯარის ვადის აღნიშვნით.

ინვენტარიზაციის აქტებში აღინიშნება ობიექტის დასახელება და შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რომელიც განისაზღვრება მისი ფიზიკური შემოწმებით, ამ ობიექტზე ცალკეული სახის სამუშაოების, კონსტრუქციული ელემენტების, მოწყობილობების და ა.შ. მიხედვით.

საინვენტარიზაციო კომისიამ უნდა შეამოწმოს:

- ხომ არ ირიცხება დაუმთავრებელი კაპიტალური მშენებლობის შემადგენლობაში მოწყობილობა, რომელიც გადაცემულია დასამონტაჟებლად, მაგრამ რომლის მონტაჟიც დაწყებული არ არის;

- დაკონსერვებული ობიექტების მდგომარეობა. კერძოდ, უნდა გაირკვეს მათი კონსერვაციის მიზეზები და საფუძველი.

დაუმთავრებელ სამშენებლო ობიექტებზე, რომლებიც ექსპლუატაციაშია შესული მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ არ არის გაფორმებული სათანადო დოკუმენტებით, აგრეთვე დამთავრებულ, მაგრამ ექსპლუატაციაში შეუყვანელ ობიექტებზე დგება აქტივი, მიზეზების მითითებით.

ობიექტებზე, რომელთა მშენებლობაც შეწყვეტილ იქნა, ასევე საპროექტო-სადიებო სამუშაოებზე, რომლებიც ექვემდებარება ბალანსიდან ჩამოწერას, დგება ცალკე აქტივი, შესრულებული სამუშაოების ღირებულების და სამუშაოების შეწყვეტის მიზეზების მითითებით.

მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია. მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია უნდა განხორციელდეს შენახვისა და გამოყენების ადგილებზე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით.

მატერიალური მარაგები აღწერილობებში შეიტანება დასახელების, სახის, რაოდენობისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. საინვენტარიზაციო კომისიის წევრები მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან ერთად ახდენენ მატერიალური მარაგების გადათვლას, გადაწონვას და გაზომვას. მატერიალურად პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი ინფორმაციისა და აღრიცხვის მონაცემების აღწერილობაში შეტანა ფაქტობრივი შემოწმების გარეშე დაუშვებელია.

ინვენტარიზაციის მსვლელობისას მიღებული მატერიალური მარაგები შეიტანება ცალკე აღწერილობაში დასათაურებით – „ინვენტარიზაციის დროს მიღებული მატერიალური მარაგები“. აღწერილობაში მიეთითება მარაგების მიღების დრო, მომწოდებელი, ასევე შემოსავლის დოკუმენტის თარიღი, ნომერი, მარაგის დასახელება, რაოდენობა, ფასი და თანხა.

სათავსები, სადაც განლაგებულია მატერიალური მარაგები, აღწერის შემდეგ, ინვენტარიზაციის დასრულებამდე, ილუქება.

დიდი სათავსებიდან, სადაც ინვენტარიზაცია დიდხანს გრძელდება, ასევე ინვენტარიზაციის პროცესში დალუქული სათავსებიდან მატერიალური მარაგების გაცემა შესაძლებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. მატერიალური მარაგების გაცემა უნდა მოხდეს ინვენტარიზაციის კომისიის წევრების თანდასწრებით. აღნიშნული ოპერაციის განხორციელება ფორმდება ამავე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული წესის ანალოგიურად.

პასუხსაგებ შენახვაზე მიღებულ მატერიალურ მარაგებზე დგება ცალკე საინვენტარიზაციო აღწერილობა, დადგენილი წესის შესაბამისად.

აღწერილობაში ჩანაწერების შეტანის საფუძველია დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მატერიალური მარაგების გადაცემას საპასუხისმგებლო შესანახად. ამ მარაგების აღწერილობებში მიეთითება დასახელება, რაოდენობა, ხარისხი, ფაქტობრივი ღირებულება (აღრიცხვის მონაცემების მიხედვით), ტვირთის შესანახად მიღების თარიღი, შენახვის ადგილი, დოკუმენტების ნომერი.

სხვა ორგანიზაციებში გადასამუშავებლად გადაცემული მატერიალური მარაგების აღწერილობებში მიეთითება გადამამუშავებელი ორგანიზაციის დასახელება, მარაგების დასახელება, ფაქტობრივი ღირებულება (აღრიცხვის მონაცემების მიხედვით), მარაგების გადასამუშავებლად გადაცემის თარიღი და შესაბამისი დოკუმენტების ნომრები და თარიღები.

ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია ტარდება ადგილმდებარეობისა და პასუხისმგებელ პირთა მიხედვით. ინვენტარიზაციისას თითოეული მარაგი უნდა იქნეს დათვალიერებული და შეტანილი საინვენტარიზაციო აღწერილობებში დასახელებითა და პირვანდელი ღირებულებით. მარაგები, რომლებიც სხვადასხვა მიზნით გაგზავნილია ორგანიზაციის მიერ სხვა ორგანიზაციაში (საწარმოში), შეიტანება ცალკე აღწერილობაში, გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

გამოსაყენებლად უვარგის მატერიალურ მარაგებზე დგება აქტი, რომელშიც მიეთითება ექსპლუატაციაში ყოფნის დრო, გაცვეთის მიზეზი, სამეურნეო საჭიროებისათვის შემდგომში მათი გამოყენების შესაძლებლობები და სხვა.

ტარა აღწერილობაში შეიტანება სახეების, მიზნობრივი დანიშნულების და ხარისხობრივი მდგომარეობის მიხედვით (ახალი, ექსპლუატაციაში ნამყოფი და ა.შ.). შემოწმების წინ ცარიელი ტარა უნდა გადაირჩეს სახეების მიხედვით, ხოლო უვარგისად ქცეულ ტარაზე საინვენტარიზაციო კომისია ადგენს აქტს, მიზეზების ჩვენებით.

ფულადი დოკუმენტების შემოწმებისას (ტალონები საწვავსა და ზეთზე, კვებაზე და ა.შ, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, ტურბაზების საგზურები, საფოსტო მარკები, აქციზური მარკები, შრომის წიგნაკების ბლანკები და მათში ჩასართები და სხვა.) ადგენენ თანხას, თითოეული დოკუმენტის უტყუარობას და გაფორმების სისწორეს. შემოწმება წარმოებს დოკუმენტების ცალკეული სახეების მიხედვით, რის საფუძველზეც აქტში შეიტანება მათი დასახელება, ნომერი, სერია, მთლიანი თანხა.

მკაცრი აღრიცხვის ბლანკების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება წარმოებს მათი სახეების მიხედვით, საწყისი და საბოლოო ნომრების მითითებით. ამ შემოწმების შედეგები ფორმდება ცალკე აღწერილობაში.

დაუმთავრებელი წარმოების ინვენტარიზაციის დროს უნდა დადგინდეს მისი ფაქტობრივი არსებობა, ასევე საბალანსო ღირებულება.

ინვენტარიზაციის დაწყების წინ საწყობში უნდა ჩაბარდეს ყველა საჭირო მასალა, ნაყიდი დეტალები და ნახევარფაბრიკატები, ასევე ყველა სხვა დეტალი, აგრეგატი და კვანძი, რომელთა დამუშავება მოცემულ ეტაპზე დასრულებულია.

ნედლეული, მასალები და ნაყიდი ნახევარფაბრიკატები, რომლებიც იმყოფება სამუშაო ადგილებზე, მაგრამ არ განუცდიათ დამუშავება, დაუმთავრებელი წარმოების აღწერილობაში არ შეიტანება, არამედ შეიტანება ცალკე აღწერილობაში.

ისეთი სახის დაუმთავრებელ წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს არაერთგვაროვან მასას ან ნარევს, საინვენტარიზაციო აღწერილობებში, ასევე, შედარების უწყისებში მოყვანილ უნდა იქნეს ორი რაოდენობრივი მაჩვენებელი: ამ მასის ან ნარევის რაოდენობა და მის შემადგენლობაში შემავალი მასალების რაოდენობა (დასახელებების მიხედვით).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ფაქტიური მდგომარეობის შესახებ ზუსტი შედეგი მიიღება მხოლოდ სრული ინვენტარიზაციით.

მარაგის ფაქტობრივი მდგომარეობის მაჩვენებლები შედარებისას უნდა დაემთხვეს ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებს. მაგრამ, პრაქტიკაში შესაძლებელია დაფიქსირდეს **დანაკლისი, დანაკარგი ან ზედმეტობა**, რაზეც კომისიამ პასუხისმგებელი პირებისაგან უნდა მიიღოს წერილობითი განმარტება დანაკლისის, დანაკარგის ან ზედმეტობის ხასიათის დასადგენად.

ინვენტარიზაციის შედეგების განხილვის შემდეგ ფორმდება ოქმი „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფაქტური მონაცემების შედარების შესახებ“ და მიიღება გადაწყვეტილება დანაკლისებისა და დანაკარგების დაფარვის თაობაზე.

დანაკარგი და დანაკლისი ორი სახისაა: ნორმირებული და არანორმირებული, ანუ ზენორამტიული.

ნორმირებული დანაკლისი განპირობებულია მარაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით (სპირტი). ამიტომ ეს დანაკარგები მოსალოდნელი ანუ ბუნებრივი დანაკარგებია. მათი ნორმა დგინდება პროცენტულად. ბასს 2-ის თანახმად, დანაკარგები **აღიარდება პერიოდის ხარჯად** შემდეგი გატარებით:

დ-ტი 7230 საქონლის დანაკარგები ნორმის ფარგლებში
ან

დ-ტი 7130 ნედლეულისა და მასალის დანაკარგები ნორმის ფარგლებში
კ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

არანორმირებული დანაკარგები გაუთვალისწინებელი დანაკარგებია, რომლებიც წარმოიქმნება მარაგის დატაცებით, გაფუჭებით და სხვა მიზეზებით. ისინი უნდა დაეწეროს **მატერიალურად პასიხსმებელ პირს საბაზრო ღირებულებით** შემდეგი გატარებით:

დ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ
კ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი
კ-ტი 8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

მატერიალურად პასუხისმგებელ პირს დანაკარგის (დანაკლისის) დაფარვა შეუძლია მარაგით ან ფულით, რაზეც შედგება გატარება:

დ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი
ან

დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ

თუ დამნაშავე პირის დადგენა ვერ მოხერხდა, არანორმირებული დანაკარგი (დანაკლისი) ხელმძღვანელის განკარგულებით ჩამოიწერება ფირმის ფინანსურ შედეგებზე გატარებით:

დ-ტი 8290 სხვა არასაოპერაციო ხარჯები

კ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

ფასულობათა ზედმეტობა აიღება შემოსავალში გატარებით:

დ-ტი 1600 სასაქონლო-მატერიალური მარაგი

კ-ტი 8130 არასაოპერაციო მოგება

ინვენტარიზაციის შედეგები აისახება იმ პერიოდის აღრიცხვასა და ანგარიშგებაში, რომელშიც დამთავრდა ინვენტარიზაცია.

მაგალითი

სუპერმარკეტში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 1000 ლარის დანაკლისი. საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილებით დადგინდა გაფუჭებული საქონლის ბუნებრივი დანაკარგი ნორმის ფარგლებში 250 ლარი, ხოლო ნორმის ზევით 750 ლარი, რაც საბაზრო ფასით 1100 ლარით დაეწერა მატერიალურად პასუხისმგებელ პირს.

ბუღალტრულად ოპერაციები აისახება შემდეგნაირად:

1. ნორმატიული დანაკარგის ჩამოწერა

დ-ტი 7230 საქონლის დანაკარგები ნორმის ფარგლებში 250

კ-ტი 1610 საქონელი 250

2. ნორმის ზევით დანაკლისის ასახვა

დ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ 1100

კ-ტი 1610 საქონელი 750

კ-ტი 8190 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 350

3. პასუხისმგებელი პირის მიერ დავალიანების დაფარვა

დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 1100

კ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ 1100

ფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია. სალაროს ინვენტარიზაციისას მოწმდება სალაროში ფაქტობრივად არსებული ფულადი ნაშთი.

არც ერთი დოკუმენტი ან ხელწერილი სალაროში ნაღდი ფულის ნაშთში არ ჩაითვლება. მოლარის განცხადება სალაროში ფულადი სახსრების არსებობის შესახებ, რომელიც არ ეკუთვნის მოცემულ ორგანიზაციას, მხედველობაში არ მიიღება.

ინვენტარიზაციის აქტში შეიტანება ნაღდი ფულის ნაშთი, რომელსაც უდარებენ ინვენტარიზაციის დაწყების დღეს საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებს და განსაზღვრავენ ინვენტარიზაციის შედეგებს.

ბანკში და ხაზინაში მიმდინარე ანგარიშსწორების ანგარიშებზე, აკრედიტივებზე და სხვა ანგარიშებზე რიცხული ფულადი სახსრების ინვენტარიზაცია წარმოებს შესაბამის საბუღალტრო ანგარიშებზე არსებული ნაშთების შედარებით საბანკო და სახაზინო ამონაწერებთან.

მოლარე მატერიალურად პასუხისმგებელი პირია. ის ამას თანამდებობაზე დანიშვნის დროს ხელმოწერით ადასტურებს. სალაროში ნაღდი ფულის გარდა ინახება მკაცრი აღრიცხვის ბლანკები (ჩეკები), სხვადასხვა სახის ტალონები, ფასიანი ქაღალდები (აქციები, თამასუქები, სადეპოზიტო სერტიფიკატები და სხვა) და ა.შ. სალაროში ინვენტარიზაცია ტარდება მოულოდნელად, ფირმის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ მოლარის თანდასწრებით.

ინვენტარიზაციის დროს სრულად უნდა შემოწმდეს ფულის, ფასიანი ქაღალდების, მკაცრი აღრიცხვის ბლანკების ფიზიკური ოდენობა და დადგინდეს მათი შესაბამისობა სააღრიცხვო მონაცემებთან. შედეგები ფორმდება „ინვენტარიზაციის აქტით“. ინვენტარიზაციის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს დანაკლისი ან ზედმეტობა.

დანაკლისი დაეწერება მატერიალურად პასუხისმგებელ პირს, ანუ მოლარეს შემდეგი გატარებით:

დ-ტი 1430 მოთხოვნა საწარმოს პერსონალის მიმართ

კ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში

ან

კ-ტი 1120 ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში

დანაკლისი დაიფარება ან ნაღდი ფულის სალაროში შემოტანით, ან ხელფასიდან დაკავებით.

ზედმეტობა აიღება შემოსავალში არასაოპერაციო მოგების სახით და გატარდება:

დ-ტი 1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში

ან

დ-ტი 1120 ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში

კ-ტი 8130 არასაოპერაციო მოგება

ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის დროს კომისია ადგენს შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით ნაშთების რეალურობას.

ხელფასების ანგარიშწორების ანგარიშებზე არსებული დავალიანებების ინვენტარიზაციის დროს უნდა გამოვლინდეს ორგანიზაციის მიერ მიღებული და მომუშავეებზე გაუცემელი ხელფასის თანხები, რომლებიც ექვემდებარება დეკონირებას, ასევე უნდა დადგინდეს ზედმეტად გაცემული თანხების ოდენობა და მიზეზები.

საქვანგარიშოდ გაცემული თანხების ინვენტარიზაციისას უნდა შემოწმდეს ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნების ანგარიშებზე არსებული ნაშთების რეალურობა, გაცემული თანხების მიხედვით.

საინვენტარიზაციო კომისია დოკუმენტური შემოწმების გზით ადგენს დანაკლისებით მოთხოვნების ანგარიშზე რიცხული თანხების სისწორეს და ამ დავალიანებათა ამოსაღებად გატარებულ ღონისძიებებს.

ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შედეგები ფორმდება ინვენტარიზაციის აქტით. აქტში ჩამოთვლილი უნდა იყოს ანგარიშები, რომლებსაც ჩაუტარდათ ინვენტარიზაცია, აგრეთვე უნდა აღინიშნოს იმ დავალიანებათა შესახებ, რომლებიც არის უიმედო, რომელთა ძიების ხანდაზმულობის ვადა გასულია და ა.შ.

დავალიანებათა ამ სახეების შესახებ ინვენტარიზაციის აქტთან ერთად დგება ცნობა, სადაც მიეთითება დებიტორებისა და კრედიტორების დასახელება და მისამართი,

საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დავალიანების თანხა, თარიღი, რისთვისაც ირიცხება დავალიანება, შესაბამისი დოკუმენტები და ა. შ.

საინვენტარიზაციო კომისია მოთხოვნების საძიებო ვადის გადაცილების შემთხვევაში ადგენს იმ პირთა ვინაობას, ვისაც ბრალი მიუძღვის სათანადო ზომების მიუღებლობაში.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ანგარიშების შედარება მომხმარებლის და მომწოდებლის ანგარიშებთან განხილულია მოდულში „სააღრიცხო მონაცემთა ბაზის შექმნა ხელით მუშაობის პირობებში 2“.

ინვენტარიზაციის შედარების უწყისების შედგენა. ინვენტარიზაციის შედეგების გამოსავლენად ორგანიზაციის ბუღალტერია ადგენს შესაბამის შედარების უწყისებს.

შედარების უწყისების შედგენამდე ორგანიზაციის ბუღალტერია ამოწმებს ყველა გაანგარიშების სისწორეს, რომელიც მოცემულია საინვენტარიზაციო აღწერილობებში. საინვენტარიზაციო აღწერილობებში შეცდომების გამოვლენის შემთხვევაში შეტანილი ცვლილებები დამოწმებული უნდა იყოს საინვენტარიზაციო კომისიის ყველა წევრის მიერ.

იმ აქტივებზე, რომლებიც არ არის აღრიცხული საბალანსო ან საცნობარო მუხლებში, დგება ცალკე შედარების უწყისი. ასევე ცალკე შედარების უწყისი დგება საცნობარო მუხლში აღრიცხულ აქტივებზე.

შედარების უწყისში აისახება ინვენტარიზაციის შედეგები – სხვაობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტობრივი ნაშთებს შორის.

ინვენტარიზაციის შედეგების გასაფორმებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგისტრები, რომლებშიც გაერთიანებულია როგორც საინვენტარიზაციო აღწერილობათა, ასევე შედარების უწყისების მაჩვენებლები.

ინვენტარიზაციისას გამოვლენილი სხვაობების რეგულირებისა და შედეგების გაფორმების წესი. ყველა დანაკლისის, დანაკარგის და ზედმეტობის მიხედვით, ასევე იმ დებიტორული დავალიანებების მიხედვით, რომელთა ძიების ხანდაზმულობის ვადა გასულია, საინვენტარიზაციო კომისიამ შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისაგან უნდა მიიღოს წერილობითი განმარტებები, რომელთა საფუძველზეც უნდა დადგინდეს დანაკლისების, დანაკარგებისა და ზედმეტობების ხასიათი.

ინვენტარიზაციის შედეგებს იხილავს ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, რაზეც ფორმდება სპეციალური ოქმი. ოქმში მოყვანილ უნდა იქნეს დაწვრილებითი ცნობები დანაკლისების, დანაკარგებისა და ზედმეტობების მიზეზებისა და დამნაშავე პირების შესახებ, ასევე, გასატარებელი ღონისძიებები ფაქტობრივი მონაცემების საბუღალტრო ჩანაწერებთან განსხვავებების რეგულირების შესახებ.

ინვენტარიზაციითა და სხვა შემოწმებებით გამოვლენილი სხვაობები მატერიალურ ფასეულობათა ფაქტობრივი ნაშთებსა და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებს შორის რეგულირდება შემდეგნაირად:

- მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი, დადგენილი ნორმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფარგლებში, ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, ჩამოიწერება ხარჯების შესაბამის ანგარიშებზე. ამასთან, მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი ნორმის ფარგლებში განისაზღვრება ერთგვაროვან საქონელზე დანაკლისისა და ზედმეტობის დადგენილი წესით ურთიერთჩათვლის შემდეგ;

- დანაკლისის ნორმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფაქტობრივი დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში;

- ნორმის ზევით დანაკლისი ჩაითვლება დანაკლისად, დადგენილი ნორმების არსებობისას;

- აქტივების დანაკლისი, ასევე ნორმის ზემოთ მატერიალური მარაგების დანაკლისის ანაზღაურება დაეკისრებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, თუ დანაკლისი მათი ბრალეული ქმედებით არის გამოწვეული. ამასთან, ინვენტარიზაციის დასრულებიდან 5 დღის ვადაში ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შეკრებილი მასალები გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს;

- მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი და დანაკარგები ბუნებრივი ნორმების ზევით, როდესაც კონკრეტული დამნაშავეების დადგენა ვერ მოხერხდა ან დამნაშავე პირებს სასამართლომ არ დააკისრა დანაკლისის ანაზღაურება, ჩამოიწერება ორგანიზაციაში წმინდა ღირებულების შემცირებით როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადი, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული მატერიალური ფასეულობების დანაკლისის შემთხვევაში – მოგება/ზარალის ანგარიშზე.

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობით ორგანიზაციაში გაიზრდება წმინდა ღირებულება როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადი, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ზედმეტობის შემთხვევაში – მოგება.

გადახარისხების შედეგად დანაკლისისა და ზედმეტობის ურთიერთჩათვლა შესაძლებელია დაშვებულ იქნეს ერთსა და იმავე შესამოწმებელ პერიოდში, ერთსა და იმავე მატერიალურად პასუხისმგებელ პირთან, ერთი და იგივე დასახელების ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების მიმართ და თანაბარ ოდენობაში. იმ შემთხვევაში, როცა დანაკლისისა და ზედმეტობის ურთიერთჩათვლის შედეგად დანაკლისი მატერიალური ფასეულობის ღირებულება საბუღალტრო მონაცემების მიხედვით მეტი აღმოჩნდება ზედმეტობაზე, სხვაობა დაეწერება დამნაშავე პირს. თუ კონკრეტული დამნაშავე პირების დადგენა ვერ მოხერხდა, ფასთა სხვაობა განიხილება როგორც დანაკლისი ნორმის ზევით, რომელიც ჩამოიწერება ამავე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტში მითითებული წესის შესაბამისად. თუ დადგინდა, რომ ფასთა სხვაობა (დანაკლისის შემთხვევაში) არ არის გამოწვეული მატერიალურად პასუხისმგებელი პირის დანაშაულით, საინვენტარიზაციო კომისია თავის აქტებში დაწვრილებით განმარტავს.

ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგების დანაკლისი (მიუხედავად იმისა აღრიცხული არის თუ არა საცნობარო მუხლში), აღირიცხება როგორც მოთხოვნების წარმოქმნა სხვა ეკონომიკური ნაკადებით „მოთხოვნები დანაკლისებით“ ანგარიშზე.

დანაკლისის დაფარვა ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შესაძლებელია როგორც ფულადი, ასევე სასაქონლო ფორმით. თუ დანაკლისის დაფარვა ხდება სასაქონლო ფორმით, საბალანსო ღირებულება არ შეიცვლება, ხოლო ფულადი ფორმით დაფარვის შემთხვევაში გადახდა უნდა განხორციელდეს საბაზრო ფასით, საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი მტკიცდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, ინვენტარიზაციის დასრულებიდან ორი კვირის განმავლობაში.

ხელმძღვანელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს ღონისძიებები ინვენტარიზაციით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ინვენტარიზაციის შედეგები აისახება იმ თვის აღრიცხვასა და ანგარიშგებაში, რომელშიც დასრულდა ინვენტარიზაცია.

საინვენტარიზაციო აღწერა და შედეგების

უწყისი

ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციას

ბრძანება N _____ საფუძველზე კონტროლის განყოფილების ინსპექტორი _____

ჩავატარე აღწერა _____
(საწყობი, მაღაზია, სექცია, სათავსო, სახელოსნო და ა.შ.)

აღწერა ჩატარდა მატერიალურად პასუხისმგებელი პირის _____

უშუალო მონაწილეობით. აღწერაში ხელმძღვანელის ბრძანებით მონაწილეობდა _____ კომისიის თავმჯდომარე: _____

კომისიის წევრები _____

აღწერა დაიწყო	—	_____	_____
	(თვე და რიცხვი)	(საათი)	(წუთი)
და დამთავრდა	—	_____	_____
	(თვე და რიცხვი)	(საათი)	(წუთი)

ხელწერილი

აღწერის ჩატარების დასაწყისისათვის სასაქონლო - მატერიალურ ფასეულობათა ყველა გასავლისა და შემოსავლ საბუთები საქონელზე (მასალებზე), ფულზე და ყველა აქტები ჩართულია სასაქონლო და სალაროს ანგარიშებში. ჩაბარებულია ბუღალტერიაში, ჩემს (ჩვენს) პასუხისმგებლობის ქვეშ შემოსული ყველა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი აღებულია შემოსავალში, ხოლო გასული ჩამოწერილია გასავალში. არავითარი შემოსავალ-გასავლის საბუთები და ნაღდი ფული კომისიისთვის წარუდგენელი მე (ჩვენ) არ გამაჩნია (გაგვაჩნია). ინვენტარიზაციის დასაწყისისათვის ჩემი (ჩვენი) ჩანაწერებით ნაშთები შეადგენს

ნაღდ ფულს _____ ლ _____ თ; მატერიალურ ფასეულობას ლ _____ თ

ბოლო სასაქონლო მატერიალური ანგარიშის N _____ 20 _____ (რიცხვი, თვე)

სალაროს ანგარიშის N _____ 20 _____ (რიცხვი, თვე)

მატერიალურად პასუხისმგებელი პირები _____
(თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი)

(თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი)

შემოწმების დროს ფაქტიურად აღმოჩნდა						საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები			ინვენტარიზაციის შედეგები				
N	ფასეულობის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანა	რაოდენობა	ფასი	თანა	ზედმეტობა		დანაკლისი		შენიშვნა
									რაოდენობა	თანა	რაოდენობა	თანა	

კომისიის თავმჯდომარე

_____ (თანამდებობა გვარი, სახელი, მამის სახელი ხელმოწერა)

კომისიის წევრები

_____ (თანამდებობა გვარი, სახელი, მამის სახელი ხელმოწერა)

_____ (თანამდებობა გვარი, სახელი, მამის სახელი ხელმოწერა)

_____ (თანამდებობა გვარი, სახელი, მამის სახელი ხელმოწერა)

_____ (თანამდებობა გვარი, სახელი, მამის სახელი ხელმოწერა)

თვითშეფასების კითხვარი:

1. განმარტეთ ინვენტარიზაციის არსი;
2. განმარტეთ ინვენტარიზაციის სახეები;
3. განსაზღვრეთ ინვენტარიზაციის ჩატარების წესი;
4. განმარტეთ სალაროში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების ბუღალტრული ასახვა;
5. განმარტეთ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგების ბუღალტრული ასახვა.

ამოცანები

1. სალაროს ანგარიშზე ნაშთი 1/06 1000 ლარია. ივნისის თვის ოპერაციები:
 2/06 ჩეკით ანგარიშსწორების ანგარიშიდან მიღებულია 1500 ლარი;
 5/06 ანგარიშვალდებულ პირზე გაიცა 800 ლარი;
 6/06 ანგარიშვალდებულმა პირმა სალაროში დააბრუნა დაუხარჯავი 200 ლარი.
 თვის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად სალაროში ნაღდი ფულის ოდენობამ შეადგინა 2000 ლარი.
 დაადგინეთ ინვენტარიზაციის შედეგი (დანაკლისი, ზედმეტობა) და ასახეთ ის ბუღალტრული მუხლით.

2. სალროს ანგარიშზე ნაშთი 1/11 750 ლარია. ნომბრის თვის ოპერაციები:

3/11 ნაღდ ფულზე გაიყიდა 12500 ლარის საქონელი;

6/11 ანგარიშვალდებულ პირზე გაიცა 900 ლარი საკანცელარიო ნივთების შესაძენად;

7/11 ანგარიშვალდებულმა პირმა დააბრუნა დაუხარჯავი 200 ლარი;

10/11 მომსახურე ბანკის მიერ მოხდა 10550 ლარის ინკასირება (ფულის შეტანა საბანკო ანგარიშზე).

თვის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციით სალაროში დადგინდა ნაღდი ფულის ოდენობა 1750 ლარი.

დადგინეთ ინვენტარიზაციის შედეგი (დანაკლისი, ზედმეტობა) და ასახეთ ის ბუღალტრული მუხლით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს)
2. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)
3. ე. ხარაბაძე. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები. თბილისი, 2014
4. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი. ბუღალტრული აღრიცხვა. თბ., 2014
5. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ზ. გოგრიჭიანი. სავარჯიშოების კრებული ფინანსურ აღრიცხვაში. თბ., 2014
6. საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ. 1999
7. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ
8. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N72 ბრძანება „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“ დამტკიცების შესახებ
9. საქართველოს საგადასახადო კოდექსი
10. www.Matsne.gov.ge - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“
11. www.rs.ge - სსიპ „შემოსავლების სამსახური“

დანართი

ანგარიშთა გეგმა

აქტივები	
1000 მიმდინარე აქტივები	
1100	ნაღდი ფული
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
1120	ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში
1200 ფული საბანკო ანგარიშებზე	
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში
1220	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში
1230	უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკებში
1290	ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე
1300 მოკლევადიანი ინვესტიციები	
1310	მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოს ფასიან ქაღალდებში
1320	მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწ. ფასიან ქაღალდებში
1330	გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი
1390	სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები
1400 მოკლევადიანი მოთხოვნები	
1410	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან
1415	საექვო ვალების რეზერვი
1420	მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ
1430	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ
1440	მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების მიმართ
1450	მოთხოვნები პარტნიორებზე გაცემული სესხებით
1460	კაპიტალის შევსებაზე პარტნიორების გრძელვადიანი დავალიანებების მიმდინარე ნაწილი
1470	გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი
1480	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები
1490	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები
1500 მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები	
1510	მიღებული მოკლევადიანი თამასუქები
1520	მიღებული გრძელვადიანი თამასუქების მიმდინარე ნაწილი
1600 სასაქონლო მატერიალური მარაგები	
1610	საქონელი
1620	ნედლეული და მასალები
1630	დაუმთავრებელი წარმოება
1640	მზა პროდუქცია
1690	სხვა საწარმოო მარაგი

1700	წინასწარ გაწეული ხარჯები
1710	წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება
1720	წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა
1790	სხვა წინასწარ გადახდილი ხარჯები
1800	დარიცხული მოთხოვნები
1810	მისაღები დივიდენდები
1820	მისაღები პროცენტები
1890	სხვა დარიცხული მოთხოვნები
1900	სხვა მიმდინარე აქტივები
1910	სხვა მიმდინარე აქტივები
2000	გრძელვადიანი აქტივები
2100	ძირითადი საშუალებები
2110	მიწის ნაკვეთები
2120	დაუმთავრებელი მშენებლობები
2130	შენობები
2140	ნაგებობები
2150	მანქანა-დანადგარები
2160	ოფისის აღჭურვილობა
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი
2180	სატრანსპორტო საშუალებები
2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
2200	ძირითადი საშუალებების ცვეთა
2230	შენობების ცვეთა
2240	ნაგებობების ცვეთა
2250	მანქანა-დანადგარების ცვეთა
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა
2270	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა
2280	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა
2290	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ცვეთა
2300	გრძელვადიანი მოთხოვნები
2310	მიღებული გრძელვადიანი თამასუქები
2320	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები
2330	მოთხოვნები საწესდებო კაპიტალის შევსებაზე
2340	გადავადებული საგადასახადო აქტივები
2390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები
2400	გრძელვადიანი ინვესტიციები
2410	გრძელვადიანი ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქალაქებში
2420	გრძელვადიანი ინვესტიციები სახელმწ. ფასიან ქალაქებში

2430	მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში
2490	სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები
2500	არამატერიალური აქტივები
2510	ლიცენზიები
2520	კონცესიები
2530	პატენტები
2540	გუდვილი
2590	სხვა არამატერიალური აქტივები
2600	არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია
2610	ლიცენზიების ამორტიზაცია
2620	კონცესიების ამორტიზაცია
2630	პატენტების ამორტიზაცია
2640	გუდვილის ამორტიზაცია
2690	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია
	ვალდებულებები
3000	მიმდინარე ვალდებულებები
3100	მოკლევადიანი ვალდებულებები
3110	მოწოდებიდან და მომსახურებებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები
3120	მიღებული ავალსები
3130	გადასახდელი ხელფასი
3140	როიალტი
3150	საკომისიო გადასახდელები
3160	ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე
3170	ვალდებულებები მეკავშირე საწარმოების წინაშე
3190	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები
3200	მოკლევადიანი სესხები
3210	მოკლევადიანი სესხები
3220	სესხები პარტნიორებისაგან
3230	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი
3300	საგადასახადო ვალდებულებები
3310	გადასახდელი მოგების გადასახადი
3320	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი
3330	გადასახდელი დ. ლ. გ.
3340	გადახდილი დ. ლ. გ.
3350	გადასახდელი აქციზი
3360	გადახდილი აქციზი
3370	სოციალური გადასახადი
3390	სხვა საგადასახადო ვალდებულებები
3400	დარიცხული ვალდებულებები

3410	გადასახდელი პროცენტები
3420	გადასახდელი დივიდენდები
3430	ვალდებულება საგარანტიო მომსახურებაზე
3490	სხვა დარიცხული ვალდებულებები
4000	გრძელვადიანი ვალდებულებები
4100	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები
4110	გასანაღდებელი ობლიგაციები
4120	გასანაღდებელი თამასუქები
4130	ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე
4140	გრძელვადიანი სესხები
4190	სხვა გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები
4200	გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები
4210	გადავადებული მოგების გადასახადი
4220	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები
4300	ანარიცხები
4310	საპენსიო უზრუნველყოფის ანარიცხები
4320	სხვა ანარიცხები
4400	გადავადებული შემოსავალი
4410	გადავადებული შემოსავალი
5000	საკუთარი კაპიტალი
5100	საწესდებო კაპიტალი
5110	ჩვეულებრივი აქციები
5120	პრივილეგირებული აქციები
5130	გამოსყიდული საკუთარი აქციები
5140	საემისიო კაპიტალი
5150	საწესდებო კაპიტალი შპს-ში
5200	პარტნიორთა კაპიტალი (შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობისარმქონე საზოგადოებებში)
5210	პარტნიორთა კაპიტალი
5300	მოგება-ზარალი
5310	გაუნაწილებელი მოგება
5320	დაუფარავი ზარალი
5330	საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი
5400	რეზერვები და დაფინანსება
5410	სარეზერვო კაპიტალი
5420	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი
5430	ინვესტიციების გადაფასების რეზერვი
5490	სხვა რეზერვები და დაფინანსება

6000 საოპერაციო შემოსავლები	
6100	საოპერაციო შემოსავლები
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან
6120	გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა
6130	შემოსავალი საექვო მოთხოვნებიდან
6190	სხვა საოპერაციო შემოსავლები
7000 საოპერაციო ხარჯები	
7100	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (პროდუქციისმწარმოებელ და მომსახურების სფეროს საწარმოებისათვის)
7110	ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა
7120	პირდაპირი ხელფასი
7130	სოციალური დანარიცხები პირდაპირ ხელფასზე
7140	დამხმარე მასალების დანახარჯები /შემენა
7150	არაპირდაპირი ხელფასი
7160	სოციალური დანარიცხები არაპირდაპირ ხელფასზე
7170	ცვეთა და ამორტიზაცია
7180	რემონტის დანახარჯები
7185	სასაქონლო-მატერიალური მარაგების კორექტირება
7190	სხვა საოპერაციო ხარჯები
7200	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (სავაჭროსაწარმოებისათვის)
7210	გაყიდული/ შემენილი საქონელი
7220	შემენილი საქონლის უკანდაბრუნება და ფასდათმობა
7290	სასაქონლო-მატერიალური მარაგების კორექტირება
7300	მიწოდების ხარჯები
7310	რეკლამის ხარჯები
7320	შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო
7330	შრომის ანაზღაურებაზე დანარიცხი
7340	ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები
7390	სხვა მიწოდების ხარჯები
7400	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
7410	შრომის ანაზღაურება
7415	სოციალური დანარიცხები
7220	საიჯარო ქირა
7425	საოფისე ინვენტარი
7430	კომუნიკაციის ხარჯები
7435	დაზღვევა
7440	რემონტი
7445	კომპიუტერის ხარჯები
7450	საკონსულტაციო ხარჯები
7455	ცვეთა და ამორტიზაცია

7460	საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები
7470	სხვა საგადასახადო ხარჯები
7480	საგარანტიო ხარჯები
7490	სხვა საერთო ხარჯები
8000 არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	
8100	არასაოპერაციო შემოსავლები
8110	საპროცენტო შემოსავლები
8120	დივიდენდები
8130	არასაოპერაციო მოგება
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები
8200 არასაოპერაციო ხარჯები	
8210	საპროცენტო ხარჯები
8220	არასაოპერაციო ზარალი
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები
9000 განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები	
9100	განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები
9110	განსაკუთრებული შემოსავლები
9120	განსაკუთრებული ხარჯები
9200 სხვა ხარჯები	
9210	მოგების გადასახადი

ერთი ლარის ერთეულად გადასახდელი მიმდინარე ღირებულება PV

წელი	პროცენტის განაკვეთი																							
	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	
1	0.9804	0.9709	0.9615	0.9524	0.9434	0.9346	0.9259	0.9174	0.9091	0.9009	0.8929	0.8850	0.8772	0.8696	0.8621	0.8547	0.8475	0.8403	0.8333	0.8264	0.8197	0.8130	0.8065	
2	0.9612	0.9426	0.9246	0.9070	0.8900	0.8734	0.8573	0.8417	0.8264	0.8116	0.7972	0.7831	0.7695	0.7561	0.7432	0.7305	0.7182	0.7062	0.6944	0.6830	0.6719	0.6610	0.6504	
3	0.9423	0.9151	0.8890	0.8638	0.8396	0.8163	0.7938	0.7722	0.7513	0.7312	0.7118	0.6931	0.6750	0.6575	0.6407	0.6244	0.6086	0.5934	0.5787	0.5645	0.5507	0.5374	0.5245	
4	0.9238	0.8885	0.8548	0.8227	0.7921	0.7629	0.7350	0.7084	0.6830	0.6587	0.6355	0.6133	0.5921	0.5718	0.5523	0.5337	0.5158	0.4987	0.4823	0.4665	0.4514	0.4369	0.4230	
5	0.9057	0.8626	0.8219	0.7835	0.7473	0.7130	0.6806	0.6499	0.6209	0.5935	0.5674	0.5428	0.5194	0.4972	0.4761	0.4561	0.4371	0.4190	0.4019	0.3855	0.3700	0.3552	0.3411	
6	0.8880	0.8375	0.7903	0.7462	0.7050	0.6663	0.6302	0.5963	0.5645	0.5346	0.5066	0.4803	0.4556	0.4323	0.4104	0.3898	0.3704	0.3521	0.3349	0.3186	0.3033	0.2888	0.2751	
7	0.8706	0.8131	0.7599	0.7107	0.6651	0.6227	0.5835	0.5470	0.5132	0.4817	0.4523	0.4251	0.3996	0.3759	0.3538	0.3332	0.3139	0.2959	0.2791	0.2633	0.2486	0.2348	0.2218	
8	0.8535	0.7894	0.7307	0.6768	0.6274	0.5820	0.5403	0.5019	0.4665	0.4339	0.4039	0.3762	0.3506	0.3269	0.3050	0.2848	0.2660	0.2487	0.2326	0.2176	0.2038	0.1909	0.1789	
9	0.8368	0.7664	0.7026	0.6446	0.5919	0.5439	0.5002	0.4604	0.4241	0.3909	0.3606	0.3329	0.3075	0.2843	0.2630	0.2434	0.2255	0.2090	0.1938	0.1799	0.1670	0.1552	0.1443	
10	0.8203	0.7441	0.6756	0.6139	0.5584	0.5083	0.4632	0.4224	0.3855	0.3522	0.3220	0.2946	0.2697	0.2472	0.2267	0.2080	0.1911	0.1756	0.1615	0.1486	0.1369	0.1262	0.1164	
11	0.8043	0.7224	0.6496	0.5847	0.5268	0.4751	0.4289	0.3875	0.3505	0.3173	0.2875	0.2607	0.2366	0.2149	0.1954	0.1778	0.1619	0.1476	0.1346	0.1228	0.1122	0.1026	0.0938	
12	0.7885	0.7014	0.6246	0.5568	0.4970	0.4440	0.3971	0.3555	0.3186	0.2858	0.2567	0.2307	0.2076	0.1869	0.1685	0.1520	0.1372	0.1240	0.1122	0.1015	0.0920	0.0834	0.0757	
13	0.7730	0.6810	0.6006	0.5303	0.4688	0.4150	0.3677	0.3262	0.2897	0.2575	0.2292	0.2042	0.1821	0.1625	0.1452	0.1299	0.1163	0.1042	0.0935	0.0839	0.0754	0.0678	0.0610	
14	0.7579	0.6611	0.5775	0.5051	0.4423	0.3878	0.3405	0.2992	0.2633	0.2320	0.2046	0.1807	0.1597	0.1413	0.1252	0.1110	0.0985	0.0876	0.0779	0.0693	0.0618	0.0551	0.0492	
15	0.7430	0.6419	0.5553	0.4810	0.4173	0.3624	0.3152	0.2745	0.2394	0.2090	0.1827	0.1599	0.1401	0.1229	0.1079	0.0949	0.0835	0.0736	0.0649	0.0573	0.0507	0.0448	0.0397	
16	0.7284	0.6232	0.5339	0.4581	0.3936	0.3387	0.2919	0.2519	0.2176	0.1883	0.1631	0.1415	0.1229	0.1069	0.0930	0.0811	0.0708	0.0618	0.0541	0.0474	0.0415	0.0364	0.0320	
17	0.7142	0.6050	0.5134	0.4363	0.3714	0.3166	0.2703	0.2311	0.1978	0.1696	0.1456	0.1252	0.1078	0.0929	0.0802	0.0693	0.0600	0.0520	0.0451	0.0391	0.0340	0.0296	0.0258	
18	0.7002	0.5874	0.4936	0.4155	0.3503	0.2959	0.2502	0.2120	0.1799	0.1528	0.1300	0.1108	0.0946	0.0808	0.0691	0.0592	0.0508	0.0437	0.0376	0.0323	0.0279	0.0241	0.0208	
19	0.6864	0.5703	0.4746	0.3957	0.3305	0.2765	0.2317	0.1945	0.1635	0.1377	0.1161	0.0981	0.0829	0.0703	0.0596	0.0506	0.0431	0.0367	0.0313	0.0267	0.0229	0.0196	0.0168	
20	0.6730	0.5537	0.4564	0.3769	0.3118	0.2584	0.2145	0.1784	0.1486	0.1240	0.1037	0.0868	0.0728	0.0611	0.0514	0.0433	0.0365	0.0308	0.0261	0.0221	0.0187	0.0159	0.0135	
21	0.6598	0.5375	0.4388	0.3589	0.2942	0.2415	0.1987	0.1637	0.1351	0.1117	0.0926	0.0768	0.0638	0.0531	0.0443	0.0370	0.0309	0.0259	0.0217	0.0183	0.0154	0.0129	0.0109	
22	0.6468	0.5219	0.4220	0.3418	0.2775	0.2257	0.1839	0.1502	0.1228	0.1007	0.0826	0.0680	0.0560	0.0462	0.0382	0.0316	0.0262	0.0218	0.0181	0.0151	0.0126	0.0105	0.0088	
23	0.6342	0.5067	0.4057	0.3256	0.2618	0.2109	0.1703	0.1378	0.1117	0.0907	0.0738	0.0601	0.0491	0.0402	0.0329	0.0270	0.0222	0.0183	0.0151	0.0125	0.0103	0.0086	0.0071	
24	0.6217	0.4919	0.3901	0.3101	0.2470	0.1971	0.1577	0.1264	0.1015	0.0817	0.0659	0.0532	0.0431	0.0349	0.0284	0.0231	0.0188	0.0154	0.0126	0.0103	0.0085	0.0070	0.0057	
25	0.6095	0.4776	0.3751	0.2953	0.2330	0.1842	0.1460	0.1160	0.0923	0.0736	0.0588	0.0471	0.0378	0.0304	0.0245	0.0197	0.0160	0.0129	0.0105	0.0085	0.0069	0.0057	0.0046	

ერთი ლარის ეროვნული გადასახდელის მომაკალი ღირებულება FV

№ ლი	პროცენტის განაკვეთი																								
	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24		
1	10200	10300	10400	10500	10600	10700	10800	10900	11000	11100	11200	11300	11400	11500	11600	11700	11800	11900	12000	12100	12200	12300	12400		
2	10404	10609	10816	11025	11236	11449	11664	11881	12100	12321	12544	12769	12996	13225	13456	13689	13924	14161	14400	14641	14884	15129	15376		
3	10612	10927	11249	11576	11910	12250	12597	12950	13310	13676	14049	14429	14815	15209	15609	16016	16430	16852	17280	17716	18158	18609	19066		
4	10824	11255	11699	12155	12625	13108	13605	14116	14641	15181	15735	16305	16890	17490	18106	18739	19388	20053	20736	21436	22153	22889	23642		
5	11041	11593	12167	12763	13382	14026	14693	15386	16105	16851	17623	18424	19254	20114	21003	21924	22878	23864	24883	25937	27027	28153	29316		
6	11262	11941	12653	13401	14185	15007	15869	16771	17716	18704	19738	20820	21950	23131	24364	25652	26996	28398	29860	31384	32973	34628	36352		
7	11487	12299	13159	14071	15036	16058	17138	18280	19487	20762	22107	23526	25023	26600	28262	30012	31855	33793	35832	37975	40227	42593	45077		
8	11717	12668	13686	14775	15938	17182	18509	19926	21436	23045	24760	26584	28526	30590	32784	35115	37589	40214	42998	45950	49077	52389	55895		
9	11951	13048	14233	15513	16895	18385	19990	21719	23579	25580	27731	30040	32519	35179	38030	41084	44355	47854	51598	55599	59874	64439	69310		
10	12190	13439	14802	16289	17908	19672	21589	23674	25937	28394	31058	33946	37072	40456	44114	48068	52338	56947	61917	67275	73046	79259	85944		
11	12434	13842	15395	17103	18983	21049	23316	25804	28531	31518	34785	38359	42262	46524	51173	56240	61759	67767	74301	81403	89117	97489	106571		
12	12682	14258	16010	17959	20122	22522	25182	28127	31384	34985	38960	43345	48179	53503	59360	65801	72976	80642	89161	98497	108722	119912	132148		
13	12936	14685	16651	18856	21329	24098	27196	30658	34523	38833	43635	48980	54924	61528	68858	76987	85994	95964	106993	119182	132641	147491	163863		
14	13195	15126	17317	19799	22609	25785	29372	33417	37975	43104	48871	55348	62613	70757	79875	90075	101472	114198	128392	144210	161822	181414	203191		
15	13459	15580	18009	20789	23966	27590	31722	36425	41772	47846	54736	62543	71379	81372	92655	105387	119737	135895	154070	174494	197423	223140	251956		
16	13728	16047	18730	21829	25404	29522	34259	39703	45950	53109	61304	70673	81372	93576	107480	123303	141290	161715	184884	211138	240856	274462	312426		
17	14002	16528	19479	22920	26928	31588	37000	43276	50545	58951	68660	79861	92765	107613	124677	144265	166722	192441	221861	255477	293844	337988	387408		
18	14282	17024	20258	24066	28543	33799	39960	47171	55599	65436	76900	90243	105752	123755	144625	168790	196733	229005	266233	309127	358490	415233	480386		
19	14568	17535	21068	25270	30286	36165	43157	51417	61159	72633	86128	101974	120557	142318	167765	197484	232144	272516	319480	374043	437358	510737	595679		
20	14859	18061	21911	26533	32071	38697	46610	56044	67275	80623	96463	115231	137435	163665	194608	231056	273930	324294	383376	452593	533576	628206	738641		
21	15157	18603	22788	27860	33996	41406	50338	60888	74002	89492	108038	130211	156676	188215	225745	270336	323238	385910	460051	547637	650963	772694	915915		
22	15460	19161	23699	29253	36035	44304	54365	66586	81403	99336	121003	147138	178610	216447	261864	316293	381421	459233	552061	662641	794175	950413	113573		
23	15769	19736	24647	30715	38197	47405	58715	72579	89543	110263	135523	166266	203616	248915	303762	370062	450076	546487	662474	801795	966894	116908	140831		
24	16084	20328	25633	32251	40489	50724	63412	79111	98497	122292	151786	187881	232122	286252	352364	432973	531090	650320	794968	970172	118205	143780	174630		
25	16406	20938	26658	33864	42919	54274	68485	86231	108347	135855	170001	212305	264619	329190	408742	506578	626686	773881	953962	117390	144210	176853	216542		

ერთი ლარის ანოუტეტის მიმდინარე ღირებულება PVA

პროცენტის განაკვეთი

წელი	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
1	0.98039	0.97087	0.96154	0.95238	0.94340	0.93458	0.92593	0.91743	0.90909	0.90090	0.89286	0.88496	0.87719	0.86957	0.86207	0.85470	0.84746	0.84034	0.83333	0.82645	0.81967	0.81301	0.80645
2	1.94156	1.91347	1.88609	1.85941	1.83339	1.80802	1.78326	1.75911	1.73554	1.71252	1.69005	1.66810	1.64666	1.62571	1.60523	1.58521	1.56564	1.54650	1.52778	1.50946	1.49153	1.47399	1.45682
3	2.88388	2.82861	2.77509	2.72325	2.67301	2.62432	2.57710	2.53129	2.48685	2.44371	2.40183	2.36115	2.32163	2.28323	2.24589	2.20958	2.17427	2.13992	2.10648	2.07393	2.04224	2.01137	1.98130
4	3.80773	3.71710	3.62990	3.54595	3.46511	3.38721	3.31213	3.23972	3.16987	3.10245	3.03735	2.97447	2.91371	2.85498	2.79818	2.74324	2.69006	2.63859	2.58873	2.54044	2.49364	2.44827	2.40428
5	4.71346	4.57971	4.45182	4.32948	4.21236	4.10020	3.99271	3.88965	3.79079	3.69590	3.60478	3.51723	3.43308	3.35216	3.27429	3.19935	3.12717	3.05763	2.99061	2.92598	2.86364	2.80347	2.74538
6	5.60143	5.41719	5.24214	5.07569	4.91732	4.76654	4.62288	4.48592	4.35526	4.23054	4.11141	3.99755	3.88867	3.78448	3.68474	3.58918	3.49760	3.40978	3.32551	3.24462	3.16692	3.09225	3.02047
7	6.4720	6.2303	6.0021	5.7864	5.5824	5.3893	5.2064	5.0330	4.8684	4.7122	4.5638	4.4226	4.2883	4.1604	4.0386	3.9224	3.8115	3.7057	3.6046	3.5079	3.4155	3.3270	3.2423
8	7.3255	7.0197	6.7327	6.4632	6.2098	5.9713	5.7466	5.5348	5.3349	5.1461	4.9676	4.7988	4.6389	4.4873	4.3436	4.2072	4.0776	3.9544	3.8372	3.7256	3.6193	3.5179	3.4212
9	8.1622	7.7861	7.4353	7.1078	6.8017	6.5152	6.2469	5.9952	5.7590	5.5370	5.3282	5.1317	4.9464	4.7716	4.6065	4.4506	4.3030	4.1633	4.0310	3.9054	3.7863	3.6731	3.5655
10	8.9836	8.5302	8.1109	7.7217	7.3601	7.0236	6.7101	6.4177	6.1446	5.8892	5.6502	5.4262	5.2161	5.0188	4.8332	4.6586	4.4941	4.3389	4.1925	4.0541	3.9232	3.7993	3.6819
11	9.7868	9.2526	8.7605	8.3064	7.8869	7.4987	7.1390	6.8052	6.4951	6.2065	5.9377	5.6869	5.4527	5.2337	5.0286	4.8364	4.6560	4.4865	4.3271	4.1769	4.0354	3.9018	3.7757
12	10.573	9.9540	9.3851	8.8633	8.3838	7.9427	7.5361	7.1607	6.8137	6.4924	6.1944	5.9176	5.6603	5.4206	5.1971	4.9884	4.7932	4.6105	4.4392	4.2784	4.1274	3.9852	3.8514
13	11.3484	10.6350	9.9856	9.3936	8.8527	8.3577	7.9038	7.4869	7.1034	6.7499	6.4235	6.1218	5.8424	5.5831	5.3423	5.1183	4.9095	4.7147	4.5327	4.3624	4.2028	4.0530	3.9124
14	12.1062	11.2961	10.5631	9.8986	9.2950	8.7455	8.2442	7.7862	7.3667	6.9819	6.6282	6.3025	6.0021	5.7245	5.4675	5.2293	5.0081	4.8023	4.6106	4.4317	4.2646	4.1082	3.9616
15	12.8493	11.9379	11.1184	10.3797	9.7122	9.1079	8.5595	8.0607	7.6061	7.1909	6.8109	6.4624	6.1422	5.8474	5.5755	5.3242	5.0916	4.8759	4.6755	4.4890	4.3152	4.1530	4.0013
16	13.5777	12.5611	11.6523	10.8378	10.1059	9.4466	8.8514	8.3126	7.8237	7.3792	6.9740	6.6039	6.2651	5.9542	5.6685	5.4053	5.1624	4.9371	4.7296	4.5364	4.3567	4.1894	4.0333
17	14.2919	13.1661	12.1657	11.2741	10.4773	9.7632	9.1216	8.5436	8.0216	7.5488	7.1196	6.7291	6.3729	6.0472	5.7487	5.4746	5.2223	4.9897	4.7746	4.5755	4.3908	4.2190	4.0591
18	14.9920	13.7535	12.6593	11.6896	10.8276	10.0591	9.3719	8.7556	8.2014	7.7016	7.2497	6.8399	6.4674	6.1280	5.8178	5.5339	5.2732	5.0333	4.8122	4.6079	4.4187	4.2431	4.0799
19	15.6785	14.3238	13.1339	12.0853	11.1581	10.3356	9.6036	8.9501	8.3649	7.8393	7.3658	6.9380	6.5504	6.1982	5.8775	5.5845	5.3162	5.0700	4.8435	4.6346	4.4415	4.2627	4.0967
20	16.3514	14.8775	13.5903	12.4622	11.4699	10.5940	9.8181	9.1285	8.5136	7.9633	7.4694	7.0248	6.6231	6.2593	5.9288	5.6278	5.3527	5.1009	4.8696	4.6567	4.4603	4.2786	4.1103
21	17.0112	15.4150	14.0292	12.8212	11.7641	10.8355	10.0168	9.2922	8.6487	8.0751	7.5620	7.1016	6.6870	6.3125	5.9731	5.6648	5.3837	5.1268	4.8913	4.6750	4.4756	4.2916	4.1212
22	17.6580	15.9369	14.4511	13.1630	12.0416	11.0612	10.2007	9.4424	8.7715	8.1757	7.6446	7.1695	6.7429	6.3587	6.0113	5.6964	5.4099	5.1486	4.9094	4.6900	4.4882	4.3021	4.1300
23	18.2922	16.4436	14.8568	13.4886	12.3034	11.2722	10.3711	9.5802	8.8832	8.2664	7.7184	7.2297	6.7921	6.3988	6.0442	5.7234	5.4321	5.1668	4.9245	4.7025	4.4985	4.3106	4.1371
24	18.9139	16.9355	15.2470	13.7986	12.5504	11.4693	10.5288	9.7066	8.9847	8.3481	7.7843	7.2829	6.8351	6.4338	6.0726	5.7465	5.4509	5.1822	4.9371	4.7128	4.5070	4.3176	4.1428
25	19.5235	17.4131	15.6221	14.0939	12.7834	11.6536	10.6748	9.8226	9.0770	8.4217	7.8431	7.3300	6.8729	6.4641	6.0971	5.7662	5.4669	5.1951	4.9476	4.7213	4.5139	4.3232	4.1474

ერთი ლარის ანუტეტის მომაკალი ღირებულება FVA

პროცენტის განაკვეთი

№	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
1	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000	1.0000
2	2.0100	2.0300	2.0400	2.0400	2.0500	2.0600	2.0700	2.0800	2.0900	2.1000	2.1100	2.1200	2.1300	2.1400	2.1500	2.1600	2.1700	2.1800	2.1900	2.2000	2.2100	2.2200	2.2300	2.2400
3	3.0604	3.0909	3.1216	3.1525	3.1836	3.2149	3.2464	3.2781	3.3100	3.3421	3.3744	3.4069	3.4396	3.4725	3.5056	3.5389	3.5724	3.6061	3.6400	3.6741	3.7084	3.7429	3.7776	
4	4.1216	4.1836	4.2465	4.3101	4.3746	4.4399	4.5061	4.5731	4.6410	4.7097	4.7793	4.8498	4.9211	4.9934	5.0665	5.1405	5.2154	5.2913	5.3680	5.4457	5.5242	5.6038	5.6842	
5	5.2040	5.3091	5.4163	5.5256	5.6371	5.7507	5.8666	5.9847	6.1051	6.2278	6.3528	6.4803	6.6101	6.7424	6.8771	7.0144	7.1542	7.2966	7.4416	7.5892	7.7396	7.8926	8.0484	
6	6.3081	6.4684	6.6330	6.8019	6.9753	7.1533	7.3359	7.5233	7.7156	7.9129	8.1152	8.3227	8.5355	8.7537	8.9775	9.2068	9.4420	9.6830	9.9299	10.1830	10.4423	10.7079	10.9801	
7	7.4343	7.6625	7.8983	8.1420	8.3938	8.6540	8.9228	9.2004	9.4872	9.7833	10.0890	10.4047	10.7305	11.0668	11.4139	11.7720	12.1415	12.5227	12.9159	13.3214	13.7396	14.1708	14.6153	
8	8.5830	8.8923	9.2142	9.5491	9.8975	10.2598	10.6366	11.0285	11.4359	11.8594	12.2997	12.7573	13.2328	13.7268	14.2401	14.7733	15.3270	15.9020	16.4991	17.1189	17.7623	18.4300	19.1229	
9	9.7546	10.1591	10.5828	11.0266	11.4913	11.9780	12.4876	13.0210	13.5795	14.1640	14.7757	15.4157	16.0853	16.7858	17.5185	18.2847	19.0859	19.9234	20.7989	21.7139	22.6700	23.6690	24.7125	
10	10.9497	11.4639	12.0061	12.5779	13.1808	13.8164	14.4866	15.1929	15.9374	16.7220	17.5487	18.4197	19.3373	20.3037	21.3215	22.3931	23.5213	24.7089	25.9587	27.2738	28.6574	30.1128	31.6434	
11	12.1687	12.8078	13.4864	14.2068	14.9716	15.7836	16.6455	17.5603	18.5312	19.5614	20.6546	21.8143	23.0445	24.3493	25.7329	27.1999	28.7551	30.4035	32.1504	34.0013	35.9620	38.0388	40.2379	
12	13.4121	14.1920	15.0258	15.9171	16.8699	17.8885	18.9771	20.1407	21.3843	22.7132	24.1331	25.6502	27.2707	29.0017	30.8502	32.8239	34.9311	37.1802	39.5805	42.1416	44.8737	47.7877	50.8950	
13	14.6803	15.6178	16.6268	17.7130	18.8821	20.1406	21.4933	22.9534	24.5227	26.2116	28.0291	29.9847	32.0887	34.3519	36.7862	39.4040	42.2187	45.2445	48.4966	51.9913	55.7459	59.7788	64.1097	
14	15.9739	17.0863	18.2919	19.5986	21.0151	22.5505	24.2149	26.0192	27.9750	30.0949	32.3926	34.8827	37.5811	40.5047	43.6720	47.1027	50.8180	54.8409	59.1959	63.9095	69.0100	74.5280	80.4961	
15	17.2934	18.5989	20.0236	21.5786	23.2760	25.1290	27.1521	29.3609	31.7725	34.4054	37.2797	40.4175	43.8424	47.5804	51.6595	56.1101	60.9653	66.2607	72.0351	78.3305	85.1922	92.6694	100.815	
16	18.6393	20.1569	21.8245	23.6575	25.6725	27.8881	30.3243	33.0034	35.9497	39.1899	42.7533	46.6717	50.9804	55.7175	60.9250	66.6488	72.9390	79.8502	87.4421	95.7799	104.934	114.983	126.010	
17	20.0121	21.7616	23.6975	25.8404	28.2129	30.8402	33.7502	36.9737	40.5447	44.5008	48.8837	53.7391	59.1176	65.0751	71.6730	78.9792	87.0680	96.0218	105.930	116.893	129.020	142.429	157.253	
18	21.4123	23.4144	25.6454	28.1324	30.9057	33.9990	37.4502	41.3013	45.5992	50.3959	55.7497	61.7251	68.3941	75.8364	84.1407	93.4056	103.740	115.265	128.116	142.441	158.404	176.188	195.994	
19	22.8406	25.1169	27.6712	30.5390	33.7600	37.3790	41.4463	46.0185	51.1591	56.9395	63.4397	70.7494	78.9692	88.2118	98.6032	110.284	123.413	138.166	154.740	173.354	194.253	217.711	244.032	
20	24.2974	26.8704	29.7781	33.0660	36.7856	40.9955	45.7620	51.1601	57.2750	64.2028	72.0524	80.9468	91.0249	102.443	115.379	130.032	146.628	165.418	186.688	210.758	237.989	268.785	303.600	
21	25.7833	28.6765	31.9692	35.7193	39.9927	44.8652	50.4229	56.7645	64.0025	72.2651	81.6987	92.4699	104.768	118.810	134.840	153.138	174.021	197.847	225.025	256.017	291.346	331.605	377.464	
22	27.2990	30.5368	34.2480	38.5052	43.3923	49.0057	55.4568	62.8733	71.4027	81.2143	92.5026	105.491	120.436	137.631	157.415	180.172	206.344	236.438	271.030	310.781	356.443	408.875	469.056	
23	28.8450	32.4529	36.6179	41.4305	46.9958	53.4361	60.8933	69.5319	79.5430	91.1479	104.602	120.204	138.297	159.276	183.601	211.801	244.486	282.361	326.236	377.045	435.860	503.916	582.629	
24	30.4219	34.4265	39.0826	44.5020	50.8156	58.1767	66.7648	76.7898	88.4973	102.174	118.155	136.831	158.658	184.167	213.977	248.807	289.494	337.010	392.484	457.224	532.750	620.817	723.461	
25	32.0303	36.4593	41.6459	47.7271	54.8645	63.2490	73.1059	84.7009	98.3471	114.413	133.333	155.616	181.870	212.793	249.214	292.104	342.603	402.042	471.981	554.242	650.955	764.605	898.091	